საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№17 (108)
18 – 24 მაისი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

21 მაისს აქციას «რევიანიდან» რამდენიმე 12 პარტია შეუერთდება

ნინო ბურჯანაძე:
## ნიღბები ჩამოხსნილია – «ქართული პარტია» ხელისუფლების თამაშს თამაშობს 6





3
## «ქართული პარტიის» რუსული «რულეტკა»

ვიქტორ ცაავა:
## რისთვისაც ჩვენ გაგვლანძღეს, დღეს თვითონ აკეთებენ 4



როცა ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გავმართეთ და მოვითხოვეთ ამერიკის კოლონისტური პოლიტიკის შეჩერება საქართველოში, კარგად მახსოვს, ჩვენ მაშინ რა არ გვიწოდა იმ ხალხმა, ვინც დღეს ანტიამერიკული განცხადებებით გამოდის.

## როგორ გადასცა სააკაშვილმა დედამისს სახელმწიფო ქონება 8



ვის უმიზნებდა 7 ეროსი ოქროს ისარს?

გამოცხადებული სიკვდილის 9 ქრონიკა

ცელნამგალა 11 მინისტრი ვერა ქობალია

## არშემდგარი ქვეყნის შემდგარი დიქტატორი 5



## მასხარაშვილი ისტორიას აყალბებს ანუ სტაჟიორი გებელსის კანტორიდან 14



20 აშშ საქართველოს მხოლოდ რიტორიკით ეხმარება

21 ნატო და რუსეთი ანტისარაკეტო თავდაცვაზე თანხმდებიან

მეუფე იობი, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი:
## დღეს რასაც პოლიტიკას ვეძახით, ცბიერებაზე და ტყუილზეა დაფუძნებული 16



კონტრტერორისტული 29 ტელეშოუ და მისი შედეგები

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**საპროტესტო მოძრაობის ძალისმიერი ჩახშობის შემთხვევაში (ცხადია, თუ გამოუვა), სააკაშვილს ორი გზა ექნება: ან სასტიკი დიქტატურა დაამყაროს, ან კიდევ დაახლოებით ისე იმოქმედოს, როგორც 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ: ჩაატაროს (შესაძლოა ვადამდელი) არჩევნები და ძალის გამოყენებით შელახული იმიჯის თანდათანობითი გაუმჯობესება სცადოს. მეორე გზით წასვლა გაცილებით ლოგიკური და უფრო სავარაუდო ჩანს.**

## გაფრიაზებულნი



**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს პრეზიდენტი:

არის ხალხი, ვინც წინ უწვება ტრაქტორებს და გადახვნის საშუალებას არ აძლევს. არ მესმის, ტრაქტორისტი რატომ ამუხრუჭებს. თუ უწვება, გადაუარონ...

*„ინტერპრესნიუსი“*



**ედუარდ შევარდნაძე,** საქართველოს ექს-პრეზიდენტი:

ვფიქრობ, საქართველოში პროცესები მშვიდობიანი აქციებით დაიწყება, მაგრამ საბოლოოდ მაინც რევოლუციით დასრულდება. ხელისუფლება არ წავა, თუმცა, შესაძლოა, რევოლუციაც არ გახდეს საჭირო, ისეთი მოულოდნელი რამ მოხდეს, რომ ხელისუფლება შეიცვალოს.

*„ასავალ-დასავალი“*



**ნონა გაფრინდაშვილი,** „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ თავმჯდომარე:

ჩვენ უკანდასახევი გზა არ გვაქვს და არც ვაპირებთ უკან დახევას, იმიტომ, რომ ეს არის ბრძოლა საქართველოს გადასარჩენად!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირაკლი ოქრუაშვილი,** „ქართული პარტიის“ ლიდერი:

ჩვენ გამოვიყენებთ აბსოლუტურად ყველაფერს, ყველა მეთოდს გამოვიყენებთ, რომელიც ამ რეჟიმის დასამარცხებლად იქნება ეფექტური. მე აღარ დავიწყებ ამის დაკონკრეტებას...

*ტელეკომპანია „მაესტრო“*



**ნესტან კირთაძე,** ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი:

ხელისუფლებიდან წამოსულ ადამიანებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ოპოზიციაში გადასვლა მდინარე იორდანეში შესვლა და განწმენდაა.

*„პირველი“*

# 300 სახალხო კრებელი, ანუ




**21 (ოცდაერთი)... კაზინოს თვალებჩაწითლებული ბინადარნიც კი არ იმეორებენ ამ რიცხვს ისეთი სიხშირითა და აღტკინებით, როგორც ამას, ბოლო კვირაა, ქართველების უმრავლესობა აკეთებს. მეტიც, 21 მაისის გარშემო განვითარებულ პოლიტიკურ ბატალიებში ნამდვილად არის რაღაც ბანქოს ცნობილი თამაშიდან, რომლის სახელწოდება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, თუმცა პირველად ის სერვანტესმა „სამოძღვრებო ნოველებში“ აღწერა და „Ventiuna“-ს („ოცდაერთი“ — ესპ.) სახელით მოიხსენია. ეს პოლიტიკური თამაში უაღრესად აზარტულია, ხოლო ფსონი — ძალზე დიდი; 80-იანი წლების ტელეეკრანებიდან ობერ-ლეიტენანტი კლოსი რომ იტყოდა, „ფსონი სიცოცხლეზე მეტია“, რადგან თამაშ-თამაშში შეიძლება საქართველო წავაგოთ.**

### გაზაფხული შემოსულა, ნინ...

საგაზაფხულო გამოსვლებისთვის „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ ნახევარი წლის განმავლობაში ემზადებოდა და, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში მათ მოიფიქრეს რაიმე უფრო ღირებული, ვიდრე ერთ ადგილზე დგომა და დროის ფლანგვაა, რასაც ადგილი 2009 წლის გაზაფხულზე ჰქონდა. მაშინ ყოველივე ერთობ მოაგონებდა I მსოფლიო ომს, სანგრებში ჯდომითა და იმის ლოდინით, თუ როდის გამოელევა მოწინააღმდეგეს რესურსები. **ამჯერად კი პროცესებმა შეიძლება უფრო II მსოფლიო ომის რეალიები მოგვაგონოს, კერძოდ კი ბლიცკრიგის ფრიად დინამიური პრაქტიკა; ყოველ შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებზე, დღეებსა და კვირებზე საუბრობს (ერთხელ საათებიც კი ახსენა). იდეაში, მან ძალიან სწრაფად უნდა იმოქმედოს, ისე, რომ ხელისუფლებას გონზე მოსვლისა და ძალთა მობილიზების საშუალება არ მისცეს. აქვს თუ არა მას ამის შესაძლებლობა?**

ერთის მხრივ, ახლო წარსულის მოვლენები ცხადყოფს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მაშინ, როდესაც რაღაც მოულოდნელ საფრთხეს ეჯახება, მინიმუმ რამდენიმე საათით ლობიოსავით იბნევა, რასაც, ალბათ, რიგი ფსიქოლოგიური თვისებებისა განაპირობებს. თუმცა მეორეს მხრივ, ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებში ინფორმატორების მუდმივ ინფილტრაციას ახდენს. ასე რომ, ამა თუ იმ გეგმის საიდუმლოდ შენახვა მეტად პრობლემური ჩანს. მიუხედავად ამისა, ნინო ბურჯანაძე მეტად (ზოგმა შეიძლება თქვას — „მეტისმეტად“) თავდაჯერებული ჩანს. ბურჯანაძის ტაქტიკური სიურპრიზი და ხელისუფლების არაადეკვატური, დაბნეულობით გამოწვეული რეაქცია შეიძლება გახდეს ის ფაქტორი, რომელიც სწრაფ ესკალაციას გამოიწვევს.

**საკუთარი თავის მოტყუება მაგიური ფრაზით „არაფერი არ მოხდება“, რასაკვირველია, შეიძლება, თუმცა სიტუაციაში, როდესაც ერთი მხარე წინასწარ აცხადებს, რომ რევოლუციაზე მიდის, ხოლო მეორე წინდახედულობის მწვავე დეფიციტს განიცდის, „რაღაც“ აუცილებლად მოხდება.**

ჩვენ ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ, „მშვიდობიან მეთოდებსა“ და „კონსტიტუციურ ჩარჩოებზე“ და ეს, ალბათ, სულიერ სიმშვიდეს მოგვგვრის, მაგრამ იმის ალბათობა, რომ „არც ერთი ფოთოლი“ ამჯერადაც არ ჩამოვარდება, საკმაოდ მცირეა. **სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენება სავსებით რეალური ჩანს.** ორი საგანგაშო სიგნალი უკვე გაისმა: სააკაშვილის ხისტი განცხადებები ბათუმში, პოლიციის აღლუმზე, რომელზეც ვრცლად წინა ნომერში ვისაუბრეთ, და 26 მაისს რუსთაველზე სამხედრო აღლუმის დანიშვნა, რომელიც კომენტატორების ნაწილმა აღიქვა როგორც ძალის დემონსტრირება, ჯიბრში ჩადგომა და ისეთი სიტუაციის მიზანმიმართული შექმნა, რომელიც შეიძლება შეტაკებით დასრულდეს.

საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენება მისი დასავლელი პარტნიორების ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს და ამიტომ გადამჭრელ ზომებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს. **თუმცა მოლოდინი დასავლეთის მკვეთრ რეაქციასთან დაკავშირებით შეიძლება გადაჭარბებული აღმოჩნდეს; თანაც, თუ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ბურჯანაძის შესაჩერებლად ძალის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს, ამას, სავარაუდოდ, მაინც გააკეთებს, თან სწრაფად. რაც უფრო თამამად იმოქმედებს „სახალხო კრება“, მით უფრო მეტი, ჯერ კიდევ სახლში მჯდომი ადამიანი შეუერთდება მას, ხოლო მზარდი ზეწოლა სახელისუფლო სტრუქტურებზე მათი კოროზიის საფრთხეს შექმნის. ამიტომ სააკაშვილი, სავარაუდოდ, შეეცდება პროცესი ჩანასახში ჩაკლას.**

რა თქმა უნდა, მისთვის გაცილებით მომგებიანი იქნება, რომ ყოველივე წარმოჩინდეს როგორც საპასუხო მოქმედება დემონსტრანტების მიერ კანონის დარღვევაზე. ამ კონტექსტში მისთვის იდეალური იქნებოდა, თუ მოხდებოდა რაიმე პროვოკაცია, რომელიც დემონსტრანტებს ისე გააღიზიანებდა, რომ ისინი მკვეთრ მოქმედებას დაიწყებდნენ (მაგალითად, ადმინისტრაციულ შენობებში შეჭრას, პოლიციელების ცემას და ა.შ.). ტექნოლოგიურად ასეთი პროვოკაციის მოწყობა, კაცმა რომ თქვას, არც ისე რთულია და გამორიცხული არაა, რომ მისი განხორციელებისთვის ყველაფერი უკვე მზად არის.

**საპროტესტო მოძრაობის ძალისმიერი ჩახშობის შემთხვევაში (ცხადია, თუ გამოუვა), სააკაშვილს ორი გზა ექნება: ან სასტიკი დიქტატურა დაამყაროს, ან კიდევ დაახლოებით ისე იმოქმედოს, როგორც 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ: ჩაატაროს (შესაძლოა ვადამდელი) არჩევნები და ძალის გამოყენებით შელახული იმიჯის თანდათანობითი გაუმჯობესება სცადოს.**

მეორე გზით წასვლა გაცილებით ლოგიკური და უფრო სავარაუდო ჩანს. ამ ვარიანტში სააკაშვილს დასჭირდება პოლიტიკური პარტნიორები ოპოზიციიდან, რომელთა მონაწილეობა არჩევნებში, მათი ლეგიტიმურობის ხარისხს აამაღლებს და, ჟარგონულად რომ ვთქვათ, შემდგომ პოლიტიკურ ცვლილებებს „გააპრავებს“. საერთოდ, მოვლენები აღწერილი სცენარით რომც არ განვითარდეს, „კონსტრუქციული“ ოპოზიცია დღეს, ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო სასტარტო პოზიციაზე იმყოფება და შექმნილი მდგომარეობიდან შეიძლება საკმაო მოგება ნახოს.

## სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენება სავსებით რეალური ჩანს

### რვა ბაბუინი ბაობაბის კენწეროში

**ცხონებულ თავმჯდომარე მაოს უყვარდა ისტორია ბრძენი მაიმუნის შესახებ, რომელიც ხეზე იჯდა და ორი ვეფხვის ჩხუბს უყურებდა. ისე, ამ იგავის პირვანდელ რედაქციაში იბრძოდა არა ორი ვეფხვი, არამედ ვეფხვი და სპილო და ფორმალურად შერკინებაში მაიმუნიც მონაწილეობდა.** მოკლე შინაარსი: მაიმუნი, ვეფხვი და სპილო ტყის მბრძანებლის ტიტულისთვის შეიბნენ. მა-

▶

მსოფლიო

## შეხვედრა თეთრ სახლში

**მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლიბიის ოპოზიციის ლიდერმა მაჰმუდ ჯიბრილმა თეთრ სახლში აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებთან და კონგრესის წევრებთან შეხვედრა გამართა.** ლიბიის გარდამავალი საბჭოს ლიდერი ჯიბრილი შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს მრჩეველ ტომ დონილონთაც გამართავს. შეხვედრის დეტალები არ გახმაურებულა.



## ობამას ახალი სტრატეგია

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა უახლოეს მომავალში ახლო აღმოსავლეთის მიმართ თეთრი სახლის ახალ მიდგომას გაახმიანებს.** ტელეკომპანია „ფოქსნიუსის“ ინფორმაციით, თავდაპირველად ობამა გეგმავდა, ახლო აღმოსავლეთის შესახებ ახალი სტრატეგია მაისის დასაწყისში წარმოედგინა, თუმცა, უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ, ამ სტრატეგიაში გარკვეული შესწორებების შეტანა გახდა საჭირო.

**რეალურად „ნაციონალები“, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილი, (მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ, არ შეიმჩნიონ), სავარაუდოდ, ძლიერ ნერვიულობენ. ქვეყანაში, როგორც ჩანს, ფრიად დინამიური პროცესები იწყება და ნებისმიერმა შეცდომამ ან გაუთვალისწინებელმა ფაქტორმა მათ მომავალზე შეიძლება განმსაზღვრელი ზემოქმედება იქონიოს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# «ქართული პარტიის» რუსული «რულეტკა»



მაიმუნი ხეზე აძვრა, ვეფხვი და სპილო კი ერთმანეთს ეძგერნენ. დიდხანს იბრძოლეს, ბოლოს ვეფხვმა სპილოს ყელი გამოსჭამა, სასიკვდილოდ დაჭრილი გიგანტი კი ვეფხვს დაეცა და გასრისა. მაიმუნი ხიდან ჩამოვიდა. ცხოველებმა ნახეს, რომ გამარჯვებული ის დარჩა და ტყის მეფედ გამოაცხადეს. ჩინეთი მსოფლიოს №1 ზესახელმწიფოს ტახტისკენ ასე თავდაჯერებულად, ალბათ, იმიტომ მიაბიჯებს, რომ ყველა ჩინელმა, გენერალური მდივნიდან დაწყებული უკანასკნელ მეეზოვემდე, ეს იგავი მშვენივრად იცის.

**მართალია, ოპოზიციური „რვიანის“ შემთხვევაში ჩვენ საქმე არა ერთ ბრძენ მაიმუნთან, არამედ მაიმუნების მთელ ასამბლეასთან გვაქვს** (არაფერი პირადული, ეს, უბრალოდ, მეტაფორაა), **რომელიც ჭარბი ინტელექტით** (როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად) **არასოდეს გამოირჩეოდა. თუმცა ეს დეტალებია, მთავარი კი ისაა, რომ დიდი ბრძოლის დაწყების წინ ისინი ხეზე აღმოჩნდნენ. ეს ნამდვილად არ არის ჰეროიკული და რომანტიული პოზიცია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, ის უაღრესად პრაგმატული და კომფორტულია.** შეგიძლია შეჭამო ბანანი, შეგიძლია ვეფხვი და სპილო გალანძღო ან ერთ-ერთ მათგანს (იმას, რომელიც იმარჯვებს) გამხმარი ტოტები ესროლო, რათა მოწინააღმდეგეების შანსები გაათანაბრო, ბოლოს და ბოლოს შეგიძლია წაიძინო კიდეც. მთავარია, ზუსტად განსაზღვრო ხიდან ჩამოსვლის მომენტი.

**ბურჯანაძეს და სააკაშვილს უკან დასახევი გზა აღარ დარჩათ: „ფარით ან ფარზე!“, მარტივად რომ ვთქვათ — „ტაფით ან ტაფაზე!“,** მაგრამ „რვიანის“ პარტიებს არჩევანის შესაძლებლობა ნამდვილად აქვთ, რაც დღევანდელ მდგომარეობაში საკმაოდ დიდი ფუფუნებაა. მათი მხარდაჭერა კრიტიკულ მომენტში ორივე მხარისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ამ მხარდაჭერის დაფიქსირებას ადგილი რომც არ ჰქონდეს, მოთხოვნა „კონსტრუქციულ ოპოზიციაზე“ ნებისმიერ შემთხვევაში გაიზრდება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს. შესაბამისად, გაიზრდება მოგროვებული ბანანების, სხვადასხვა ბონუსის რაოდენობაც, იქნება ეს დამატებითი ადგილები პარლამენტში თუ რაიმე სხვა. ამასთანავე, ბუნებრივად გაიზრდება გავლენა საზოგადოების იმ სეგმენტზე, რომელსაც დღეს, ხელისუფლებისა და „სახალხო კრების“ დაპირისპირებაში „ნეიტრალური უჭირავს“. ასევე, სავარაუდოა ქულების მომატება უცხოელი პარტნიორების თვალშიც.

**იმისათვის, რომ ამ პერსპექტივით თავბრუდახვეულმა პოპულაციამ ხეზე ხტუნვა არ დაიწყოს და დროზე ადრე ძირს არ ჩამოვარდეს, არსებობს მომთვინიერებელი, წელში ოდნავ მოტეხილი მოხუცი გამჭოლი მზერით, რომელსაც შინაურები ძია სემს ეძახიან. ის, „მათრახის და ბანანის“ მეთოდს ფრიად ოსტატურად იყენებს. წინდახედული მაიმუნები ცდილობენ, ის არ გააბრაზონ.**

მოკლედ, როგორც ამბობდნენ რედიარდ კიპლინგის გმირები, „მოიწყვეს ცხოვრება ბანდერლოგებმა, ვერაფერს ვიტყვით“.

## მოდელირება ლომთა ხვედრია

**არსებობს მოსაზრება, რომ დაძაბული მოლოდინი, რომელიც 21 მაისს უკავშირდება, ცრუ იმედებს და არასწორ გათვლებს ეფუძნება.** ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ „სახალხო კრების“ მხარდასაჭერად ქუჩაში არც ისე ბევრი ხალხი გავა, ამის გამო კი აქციის ორგანიზატორები იძულებული გახდებიან, მხოლოდ პროტესტის სიმბოლური დაფიქსირებით შემოიფარგლონ. თუმცა ამასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი კონტრ-არგუმენტი გაჩნდეს: **ექვსთვიანი მუშაობა აქციების მომზადებაზე** (თუ „სახალხო კრებამ“ ეს პერიოდი სულელურად არ გაფლანგა), **ალბათ, გულისხმობს იმას, რომ ქუჩაში იმაზე მეტი ადამიანი უნდა გამოვიდეს, ვიდრე შარშან, 25 ნოემბერს. ხოლო თუ ქუჩაში გავა იმდენივე ადამიანი, რამდენიც ნოემბერში** (+ამას თუნდაც 25-50%), **ეს აქტიური მოქმედების** (მაგ. მაგისტრალების გადაკეტვის) **დასაწყებად სავსებით საკმარისი იქნება.** ზოგიერთ სიტუაციაში კი, შედარებით მცირე ჯგუფების გამოყენება გაცილებით მოსახერხებელია, ვიდრე მრავალათასიანი, ძნელად სამართავი მასების.

ამ შემთხვევაში, ალბათ, განმსაზღვრელია არა იმდენად რიცხოვნება, რამდენადაც სწორად შერჩეული ტაქტიკა.

ხელისუფლება ცდილობს, არ გამოამჟღავნოს, რომ „სახალხო კრების“ ქუჩაში გასვლა მას აღელვებს და საერთოდ რამდენადმე ეხება. სააკაშვილი დელფინებს ეთამაშება და ეკონომიკურ აღმასვლაზე საუბრობს; მისი თანაპარტიელები იქცევიან ისე, თითქოს საქმე სადღაც სხვა პლანეტაზე განვითარებულ მოვლენებს ეხებოდეს. ერთი სანტერესო ფაქტი: **21 მაისს, როდესაც მათი გაწამებული თანამემამულეები ქუჩაში გავლენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია სტუდენტებთან გასაუბრებას გამართავს.**

საქმე ისაა, რომ ხსენებული ორგანიზაცია „ქართველი სტუდენტებისთვის ატარებს ევროპული საბჭოს მოდელირებას. მოდელირების მთავარი თემაა ევროპის სუვერენული ვალის კრიზისი. მოდელირება წარიმართება ინგლისურ ენაზე“ (ციტატა მმართველი პარტიის ოფიციალური საიტიდან). საკუთრივ ეს დიადი ღონისძიება 14-15 ივნისს ჩატარდება, ხოლო 21-22 მაისს მასში მონაწილეობის მოსურნე სტუდენტებს წინასწარ ახალგაზრდა პარტაიგენოსეები გაესაუბრებიან.

**რა აღმაფრენა, რა გაქანება, რა ტიტანური მასშტაბი... მათ გარშემო უბედური, მათივე ლიდერის თქმით, „ძალიან ღარიბი ქვეყანაა“ გაშლილი, მაგრამ ისინი ისეთ მაღალ მატერიებზე ბჭობენ, რომ, ალბათ, უხერხული იქნება, ჩვენი პრობლემებით შევაწუხოთ.** იმავე საიტის ინფორმაციაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდა ნაციონალები დროდადრო ადგილობრივ პრობლემებსაც იხილავენ, მაგრამ ეს უფროსი თაობის თანაპარტიელებთან შეხვედრების დროს ხდება. სტუდენტების ჩართვას მოდელირებაში თემაზე „საქართველოს დაუსრულებელი კოშმარი“, პარტია, როგორც ჩანს, არ გეგმავს. არა უშავს, იყოს „ევროპის სუვერენული ვალის კრიზისი“, თუნდაც ინგლისურ ენაზე. დომინიკ სტროს-კანი დაიჭირეს, მილტონ ფრიდმანი ცოცხალი აღარაა და ეგენი თუ გაგვაგებინებენ, რა ხდება სინამდვილეში. იმედია, მოდელირება (დედას ვფიცავარ, უნებლიე კალამბური იყო) მაინც ეხერხებათ.

**რეალურად „ნაციონალები“, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილი,** (მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ, არ შეიმჩნიონ), **სავარაუდოდ, ძლიერ ნერვიულობენ. ქვეყანაში, როგორც ჩანს, ფრიად დინამიური პროცესები იწყება და ნებისმიერმა შეცდომამ ან გაუთვალისწინებელმა ფაქტორმა მათ მომავალზე შეიძლება განმსაზღვრელი ზემოქმედება იქონიოს.** ვლინდება თუ არა მათი ნერვიულობა ჰალსტუხის ღეჭვის ტრადიციულ რიტუალში, ძნელი სათქმელია, რადგან ეს რიტუალი ანტიკური ხანის საიდუმლო კულტებზე უფრო დიდი იდუმალებით არის მოსილი და მასში, გადმოცემის თანახმად, მხოლოდ პარტიის განდობილი წევრები მონაწილეობენ. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, გინდ დაღეჭონ, გინდ არა, შავი და თეთრი მაინც 21-ში გამოჩნდება.

**დიმიტრი მონიავა**

**შემოდგომაზე ამოდიან ისინი ზღვიდან — 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე პერიოდში, ზღვის ბინადარნი, მოედებიან ქვეყანას, ხოცავენ ნადირს და ღრეობენ. მეფესედ მოიხსენიებს მათ მეგრული ფოლკლორი. მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ავ-კარგი, ბედი და უბედობა, ბარაქა და მოსავალი. ან ასე იქნება, ან — ისე.**

**შარშან, შემოდგომაზე, 12 ოქტომბერს შექმნილ „ქართულ პარტიასაც“, ეტყობა, მესეფეთა პრინციპი უდევს საფუძვლად — ან ასე იქნება, ან — უარესად.**

**ან გაიყოლიებენ ხალხს, ან — არა.**

ნდობის საკითხია. და ამ ნდობის მოსაპოვებლად, გულზე მჯილის რტყმევიდან რომ ვერაფერი გამოადნეს, ამერიკული კოლტი საფეთქელთან მიიდეს და 16 მაისს ამერიკის საელჩოს წინ რუსული „რულეტკის“ თავგანწირვის იმიტირებული სეანსი წარმოგვიდგინეს საპროტესტო აქციის სახით.

შეხედეთ, რა მაგრები ვართ, რა პირდაპირები და პრინციპულები ანტიდემოკრატიული დინების ონკანის გადაკეტვის საქმეში.

მაგრამ ეს ქუჩის მასკარადიც ისეთივე სამოყვარულო სპექტაკლი გამოდგა, როგორიც ამასწინათ თელავში მათივე წარმოდგენილი ვილაცვილაცების შავ-თეთრი პორტრეტების სახეზე აფარებით კუნტრუში.

**რაღაც უბედურება ჭირს ჩვენს ახლადშობილ, მაგრამ უკვე ამბიციებითა და პრეტენზიებით დამძიმებულ პარტიებსა და მოძრაობებს. ისეთი საეჭვო და ხალხისთვის მიუღებელი ბიოგრაფიების მქონე „მოღვაწეები“ გამოდიან სუროგატი მშობლების როლში, რომ ვერ გაიგებ, რომელ ფინანსურ კოლბაში არიან გამოყვანილი, რომელ შუშის ჭურჭელში — ჩასახული, სახელისუფლო თუ ოპოზიციური დონორების მიერ.**

„ქართულ პარტიას“ რუსეთს რომ უხსენებდნენ, ისე იუარებდა, როგორც პატარძალი, რომელმაც იცოდა, რომ ჩქმეტა-ჩქმეტით დაორსულდებოდა.

**რუსეთს კი ისე სჭირდებოდა ოქრუაშვილ-სუბარ-კიწმარიშვილ-გაჩეჩილაძის და ა.შ. პარტია, როგორც საზიდარს — მეხუთე ბორბალი.**

**ამათ სჭირდებოდათ და კიდეც მოაწყვეს საცდელ-საჩვენებელი თავგამოდების „რულეტკა“.**

ვინ დაადასტურებს, მაგრამ ეჭვი ხომ შეიძლება შეგეპაროს — აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ცოტას მაინც არ დაამუშავებდა ეროსის, ამერიკაში რაღაც გაუგებარ წარმომადგენლად კარგა ხანს ღობე-ყორეს რომ ედებოდა?

დაბეჯითებით ვერაფერს იტყვი. რომ თქვა, კიწმარიშვილი უნდა იყო, რომელიც „რუსთავი 2“-ის ეკრანიდან შხამსა და სამსალას ანთხევდა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ სახელის მოსაპოვებლად.

**ცნობისათვის: 2003 წლის გაზაფხულზე, როდესაც პოლიტიკურმა გაერთიანება „ერთობამ“ აშშ-ის საელჩოსთან 2000-კაციანი საპროტესტო აქცია მოაწყო და ჯორჯ ბუშ უმცროსის მილიტარისტული პოლიტიკა დაგმო, ეროსის „რუსთავი 2“ და „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდა მოქკავშირელები (მათ შორის ბატონი ოქრუაშვილი) შხამს და სამსალას ანთხევდნენ, ოღონდ კი „დაეგმოთ“ და „გაეპროტესტებინათ“, გამიჯვნოდნენ „დემოკრატიის მამა-მარჩენალის“ — ჯორჯ ბუშისა და მისი პოლიტიკის კრიტიკას.**

მაგრამ სულ მთლად უნდა გამოსულელდე, რომ ენდო ასეთ კაცსა და ასეთ პარტიას.

დაბოლოს, ვინ განსკვნა ის კუდი, რომლითაც სააკაშვილზე იყო გადაბმული?

ოქრუაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ხომ უცოდველობისა და სამშობლოსთვის თავდადების ნიმუშია!

გრეჩიხას, ამ, მომიტევეთ და, „პარაშუტისტს“ — ფინანსებს ნუ გააგონებ!

და დარჩა „ქართული პარტია“, როგორც თხევადი გაზის წითელი ბალონი სოფლის ორღობეში შევსების მოლოდინში გამოდებული.

**მათი ანტიამერიკული, უფრო სწორად, აშშ-ის საელჩოსთან გამართული საპროტესტო აქცია ძალიან ჰგავს რუსული „რულეტკის“ თამაშს, იმ განსხვავებით, რომ ოქრუაშვილს დოლურაში არა ერთი, არამედ ყველა ვაზნა უწყვია და, ალბათობა რომ გაუმართლებს, ანუ რუსეთს „შეეტენება“, ნულის ტოლია.**

რაც შეეხება საფრთხეს, რომ „არ გავარდეს“ და ოქრუაშვილს ამ რულეტკის თამაშით რამე მარცხი არ მოუვიდეს... არაფერი მოუვა. როცა სჭირდებოდა, იგი პირველი იყო, ვინც აშშ-ის მითითებით შინაგან საქმეთა სამინისტრო რეპრესიულ, უფრო ზუსტად კი, ინკვიზიციურ უწყებად აქცია. ოქრუაშვილი ასევე პირველი იყო, ვინც 2004 წელს ცხინვალის მიმართულებით სამხედრო ავანტიურა წამოიწყო. მკითხველს ასევე კარგად ახსოვს რუსეთის მისამართით მისი ცნობილი გამონათქვამები. ასე რომ,... **„ქართული პარტიის“ რუსული „რულეტკა“ არის საკენკი, რომლითაც ეს პარტია ანტიამერიკულად განწყობილი ელექტორატის გულის მოგებასაც ცდილობს.** საკითხავი მხოლოდ ის არის, რას მოიგებს, ვანო მერაბიშვილის გულის გარდა, „ქართული პარტია“ ამ სამოყვარულო ფარსით.

**დავით ბაზაძე**

მოკლედ

## გერმანიის მთავრობაში ცვლილებებს ელიან

**ანგელა მერკელის მთავრობაში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ძალთა ახალი გადანაწილების გამო მალე საკვანძო საკადრო ცვლილებები განხორციელდება.** 10 მაისს ლიბერალებმა აირჩიეს საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე — 65 წლის რაინერ ბრიუდერლემი, რომელიც ეკონომიკის მინისტრის პოსტს დატოვებს. მის ადგილს დაიკავებს ახლანდელი ჯანდაცვის მინისტრი ფილიპ რესლერი, რომელიც აპრილში გიდო ვესტერვალეს მემკვიდრე გახდა ვიცე-კანცლერის პოსტზე.

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ნატოში საქართველო არასდროს გაწევრიანდება. და თუ გაწევრიანდა, მხოლოდ — რუსეთის შემდეგ. ნატოს ინტერესებში არ შედის ტერიტორია, სადაც ეთნიკური კონფლიქტები არსებობს. სანამ ამ პრობლემებს არ გადავჭრით, არ მიგვიღებენ. ჩვენი ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრა კი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობითაა შესაძლებელი. თუ ტერიტორიული მთლიანობა არ აღვადგინეთ, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მომავალი არ აქვს. არადა, რაც მეტი დრო გავა, ტერიტორიების დაბრუნების მით უფრო ნაკლები შანსი გვექნება.**

# ვიქტორ ცაავა: რისთვისაც ჩვენ გაგვლანძღეს, დღეს იმავეს თვითონ აკეთებენ, ამიტომ არ მჯერა «ქართული პარტიის»

**რამდენად რეალურია გლობალიზაციის საფრთხე და როგორი იქნება საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში საქართველოს როლი და ადგილი — ამ და სხვა საკითხებზე გლობალიზაციის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, პოლიტოლოგი ვიქტორ ცაავა გვესაუბრება.**

**— დღეს ბევრს საუბრობენ გლობალიზაციის საფრთხეზე. თქვენი აზრით, დღესდღეობით მსოფლიოში მიმდინარე პროცესები რეალურად თუ შეიცავს მსგავს საფრთხეს?**

— თვითონ სიტყვა გლობალიზაცია მიუთითებს, რომ ყველაფერი ერთი რაღაცის გაერთიანებისკენაა მიმართული, რაც პატარა ერებს გადაგვარებისა და გადაშენების საფრთხეს უქმნის. აქვე უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციას ვერ გავექცევით, რადგან ეს მსოფლიოს საერთო სენი და ჭირია, მაგრამ ქართველებმა უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მცირე დანაკარგებით გამოვიდეთ გლობალიზაციის პროცესიდან. თითოეულმა ჩვენგანმა ეროვნული ტრადიციები და ქართველობა უნდა შევინარჩუნოთ.

**— თქვენ ამბობთ, რომ გლობალიზაცია საფრთხეს წარმოადგენს და მას სენს უწოდებთ, მაგრამ დასავლეთში საპირისპიროს ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ პატარა ერებისთვის გლობალიზაცია დადებითის მომტანია და ის მცირე ერების დიდ ცივილიზაციასთან ზიარებას შეუწყობს ხელს.**

— ყველა დიდი ქვეყანა ყოველთვის გლობალიზაციის მომხრეა, რადგან მათ დასაკარგი ცოტა აქვთ, მცირერიცხოვანი ერებისთვისაა ეს გადაგვარების მომტანი. ევროპაში ახლა დაიწყო გლობალიზაციის პროცესი, თორემ, რაც დღეს ხდება, ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირის დროსაც ხდებოდა. საბჭოთა კავშირი იყო პატარა გლობალისტური ქვეყანა, მაგრამ ამ პროცესებში საბჭოთა კავშირის პლიუსი ის იყო, რომ არსებობდა სტალინური თეორია ერებთან ურთიერთობის საკითხებში, ე.წ. ნაციონალური საკითხი, რომლის მიხედვითაც, 70 წლის განმავლობაში, ეთნიკური და ეროვნული პრობლემები გაიყინა, მაგრამ დღეს ნაძალადევი გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს.

**— რაში გამოიხატება ეს ძალადობა?**

— თუნდაც, მაგალითად, კონკრეტულ მითითებაში, რომ ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა. თუ ინგლისური ენა არ იცი, შეზღუდული გაქვს გარკვეული კომუნიკაციის საშუალებები და ცხოვრებაში წინ ვერ წახვალ. საბჭოთა კავშირშიც დაახლოებით იგივე ხდებოდა, მაგრამ ისინი მიხვდნენ, რომ შესაძლო იყო ეთნიკური პრობლემები წამოჭრილიყო და პოლიტიკა შეარბილეს. **საბჭოთა კავშირის დროს, რამდენიმე მილიონი წიგნი დაიბეჭდა ქართულ ენაზე, უამრავი ქართული სიმღერა დაიწერა. დღეს კი ინგლისურად წერას და სიმღერას უფრო ცდილობენ, ვიდრე ქართულად. სწორედ ეს არის ნაძალადევი გლობალიზაცია, მაგრამ დღეს თუ ამერიკანიზაცია მიმდინარეობს, ხვალ შეიძლება ჩინეთიზაცია დაიწყოს.** ეს არის დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტები და ამ კონფლიქტებში ჩვენ შეიძლება საერთოდ დავიღუპოთ, თუ ჩვენ რელიგიაზე უარს ვიტყვით.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მართლმადიდებლობას საფრთხე ემუქრება?**



**«დღეს ნაძალადევი გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს... თუ ინგლისური ენა არ იცი, შეზღუდული გაქვს გარკვეული კომუნიკაციის საშუალებები და ცხოვრებაში წინ ვერ წახვალ»**

— რა თქმა უნდა. თუ დავუკვირდებით, **ევროპული პოტენციალი რელიგიებთან ბრძოლას ხმარდება. დღესდღეობით ეს მართლმადიდებლურ რელიგიასთან ბრძოლაში გამოიხატება.** მიმდინარეობს ჩვენი ტერიტორიების მითვისება-გაყიდვა.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს რამდენიმე რეალობის წინაშე ვდგავართ: **პირველი — ეს არის რუსეთი,** რომელიც ძალიან ძლიერი სახელმწიფოა, და ნურავინ იტყვის, რომ რუსეთი სუსტია. მას სერიოზული შეიარაღება აქვს. **მეორე — ეს არის თურქეთი.** ამ ცოტა ხნის წინათ თურქეთში ვიყავი. საყურადღებოა, რომ თურქებს დღესაც თავიანთ ტერიტორიად მიაჩნიათ ბათუმი, სამეგრელო, სოხუმი... ისტორიის სახელმძღვანელოებშიც ასე უწერიათ. თურქეთი არის ჩვენ გარშემო არსებული იმპერია, რომელსაც არ ჰქვია იმპერია.

**— მაგრამ დღეს თურქეთსა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობა აქვს.**

— მათთვის მეგობრობა ინტერესების მიხედვითაა. როგორც ერთმა ცნობილმა ინგლისელმა თქვა, სახელმწიფოს მეგობარი არ ჰყავს, მას აქვს ინტერესი. თუ მისი ინტერესები სხვა სფეროში გადაინაცვლებს, მეგობრები კი აღარ ვიქნებით, უკვე მისი „ლუკმა" გავხდებით. ყველა დიდი ქვეყანა საფრთხეა. **ამერიკას სულ არ აინტერესებს საქართველოს ბედი, საქართველო არის მისი ერთ-ერთი ბერკეტი, რომლითაც რუსეთს აღიზიანებს. თუნდაც ნატოს საკითხი ავიღოთ, რომელმაც დღეს დაკარგა აქტუალობა.**

**— რატომ დაკარგა აქტუალობა? საქართველოში ბევრი დღესაც პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზად ნატოში შესვლას ასახელებს.**

— არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ნატოში საქართველო არასდროს გაწევრიანდება. და თუ გაწევრიანდა, მხოლოდ — რუსეთის შემდეგ. ნატოს ინტერესებში არ შედის ტერიტორია, სადაც ეთნიკური კონფლიქტები არსებობს. სანამ ამ პრობლემებს არ გადავჭრით, არ მიგვიღებენ. **ჩვენი ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრა კი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობითაა შესაძლებელი. თუ ტერიტორიული მთლიანობა არ აღვადგინეთ, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მომავალი არ აქვს. არადა, რაც მეტი დრო გავა, ტერიტორიების დაბრუნების მით უფრო ნაკლები შანსი გვექნება.**

ამერიკას დღეს მიაჩნია, რომ შეუძლია მთელ მსოფლიოში ჟანდარმის ფუნქცია შეასრულოს და „დემოკრატია" დაამყაროს, მაგრამ არ შეიძლება დემოკრატიის ნიშნით ასე მოქმედება: მაგალითად, სადამ ჰუსეინს ერთ-ერთი სოფლის გადაწვასა და რამდენიმე ათასი კაცის სიკვდილს აბრალებდნენ. მაგრამ გაუმართლებელია, ეს კაცი დემოკრატიის სახელით გაანადგურო და მასთან ერთად სამი მილიონი კაცი შეიწირო.

**— თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც წლების წინ ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა. ოქრუაშვილის ანტიამერიკულ განცხადებას როგორ შეაფასებთ და რას მოუტანს საქართველოს ამ ეტაპზე ამერიკის საელჩოსთან გამართული საპროტესტო აქციები?**

— **2003 წლის გაზაფხულზე, როცა პოლიტიკური გაერთიანება „ერთობისა" და ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით, მე და ჩემმა მეგობრებმა — თემურ ქორიძემ, მანუჩარ მაჩაიძემ და სხვა თანამოაზრეებმა ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გავმართეთ და მოვითხოვეთ ამერიკის კოლონისტური პოლიტიკის შეჩერება საქართველოში, კარგად მახსოვს, ჩვენ მაშინ რა არ გვიწოდა იმ ხალხმა, ვინც დღეს ანტიამერიკული განცხადებებით გამოდის.** იმავე ირაკლი ოქრუაშვილმა, სულ „მეხუთე კოლონა", სამშობლოს მოღალატეები, რუსეთის აგენტები გვეძახა; ყველანაირი შეურაცხყოფა მოგვაყენეს და, რისთვისაც ჩვენ გაგვლანძღეს, დღეს იმავეს თავად აკეთებენ. ამიტომ არ მჯერა მათი. უბრალოდ, მიხვდნენ, რომ დღეს ხალხშია ანტიამერიკული განწყობა და თან ამ საქციელით ხელისუფლების შეკვეთასაც ასრულებენ. როდესაც ხალხი გამოვა აქციაზე, რასაც შედეგი ისევ არ მოჰყვება, ხალხი უკვე ხელს ჩაიქნევს.

**პოლიტიკოსების მოწოდებების გამო კი არა, ხალხი თავისი სურვილით უნდა მივიდეს ამერიკის საელჩოსთან პროტესტის გამოსახატად. „რუსთავი 2" დღედაღამ მოღალატეებს გვეძახდა. არადა, დღეს ანტიამერიკული აქციის ერთ-ერთი ლიდერი მათი მაშინდელი ხელმძღვანელი ეროსი კიწმარიშვილია.**

**— თქვენ ახსენეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის დაინტერესებული საქართველოს ბედით, არადა, რამდენიმე დღის წინათ ამერიკელმა სენატორებმა — ჯინ შაჰინმა და ლინდსი გრეჰემმა ამერიკის სენატში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია წარადგინეს.**

— ეგ ამერიკელი სენატორები საქართველოს ხელისუფლებამ დაიქირავა და წელიწადში რამდენიმე მილიონს უხდის, რათა სენატში საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით გამოვიდნენ. არავითარი რეალური შედეგის მომტანი ეს რეზოლუცია არ იქნება, სახელმწიფოს მეთაურმა ობამამ რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკა" გამოაცხადა და როგორ ფიქრობთ, ამერიკა ვიღაც დაქირავებული ორი სენატორის გამო რამეს შეცვლის?

**სასწრაფოდ თუ არ დავიწყეთ შუამავლების გარეშე ოსებთან და აფხაზებთან მოლაპარაკება, არ მოვაწესრიგეთ რუსეთთან ურთიერთობა, ისე არაფერი გამოვა. პირველ რიგში, მართებული სახელმწიფო პოლიტიკა უნდა შევიმუშავოთ.**

რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ სააკაშვილს არ დაელაპარაკება, გამოსავალი მხოლოდ ხელისუფლების ცვლილებაშია, მაგრამ არ უნდა მოხდეს ფსევდოჩანაცვლება. ოპოზიციაშიც სულ ერთი და იგივე ხალხი ჩანს, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ და ახლა ოპოზიციაში არიან. რომ არა ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი არ იქნებოდა. სწორედ მან დაუკანონა არჩევნები. მართალია, შემდეგ მოინანია, მაგრამ ჩვენთვის ეგ ვერაფერი შეღავათია. რაც შეეხება „ქართული პარტიის" ლიდერებს, უკვე მოგახსენეთ, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ ნათქვამს ხვალ უარყოფენ.

ჩვენს ქვეყანას ჩვენ უნდა მივხედოთ, თორემ იმპერიები ყოველთვის მოილაპარაკებენ ერთმანეთში. ამერიკაც და რუსეთიც იმპერიებია, რომლებიც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებისკენ მიისწრაფვიან, გლობალიზაცია კი ხალხის სამართავად სჭირდებათ. არსებობს ცნება „ოქროს მილიარდი", რომლის მიხედვითაც, მხოლოდ ერთი მილიარდი დარჩება მსოფლიოს მმართველ რგოლში, დანარჩენი 10-12 მილიარდი კი მათ მოემსახურება.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**როცა პოლიტიკური გაერთიანება „ერთობისა" და ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით, ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გავმართეთ და მოვითხოვეთ ამერიკის კოლონისტური პოლიტიკის შეჩერება საქართველოში, კარგად მახსოვს, ჩვენ მაშინ რა არ გვიწოდა იმ ხალხმა, ვინც დღეს ანტიამერიკული განცხადებებით გამოდის.**

## თბილისში აშშ-ის საელჩოს წინ ბუში გალანძღეს



## „ერთობა" — ერთადერთი მშვიდობის მტრედი



**ნებისმიერი ქართველის მიერ (ეს იქნება პოლიტიკოსი თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი) გაკეთებული განცხადება საქართველოს, როგორც შემდგარი სახელმწიფოს შესახებ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაპირდაპირ აღიარებასა და ამ ტერიტორიების დაკარგვასთან შეგუებას ნიშნავს. რადგან შემდგარი სახელმწიფოს ხელისუფლება თავის ძალაუფლებას საკუთარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ავრცელებდეს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# არშემდგარი ქვეყნის შემდგარი დიქტატორი

**ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როგორც პრეზიდენტი, ასევე სახელისუფლო გუნდის წევრები თავის გამოსვლებში ხაზს უსვამდნენ იმას, თითქოს მათ ჩაიბარეს არშემდგარი ქვეყანა და საქართველო სახელმწიფოდ მხოლოდ მათი „არნახული“ მიღწევების შედეგად შედგა. საქართველოს პრეზიდენტი თავის, რიგით მეორე საინაუგურაციო სიტყვაში ერთ-ერთ უმთავრეს აქცენტს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე აკეთებდა: „სახელმწიფოებრიობა დავიბრუნეთ და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნის“... ან „ოთხი წლის შემდეგ ქართული სახელმწიფო უდრეკად დგას ფეხზე...“ და ა.შ.**



თუ გადავხედავთ სახელმწიფოებრიობის იმ უმთავრეს ელემენტებს, რომელთა გარეშეც ვერ იფუნქციონირებს თანამედროვე სახელმწიფო, ასევე გადავხედავთ არშემდგარი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელ პარამეტრებს, დავინახავთ, რომ ჩვენი მმართველი პოლიტიკური კლასის მიერ გაკეთებული განცხადებები იმ პიარის ნაწილია, რომლის მიზანსაც საქართველოს ხელისუფლებისთვის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება და მათ მიერ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველმყოფი ძალაუფლების შენარჩუნება წარმოადგენს.

სახელმწიფოს საყოველთაოდ ცნობილი დეფინიცია შემდეგში მდგომარეობს: **„სახელმწიფო არის ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც თავის იურისდიქციას ავრცელებს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ტერიტორიაზე“**, თუ მაქს ვებერს დავესესხებით, სახელმწიფოს მოცემულ ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა გააჩნდეს ლეგიტიმური ძალადობის განხორციელების უფლება. ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია საჯარო ხელისუფლება, რომლის უმთავრეს ფუნქციას საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზება და საკუთარი მოქალაქეების დაცვა წარმოადგენს, როგორც საგარეო აგრესიისგან, ასევე ქვეყნის შიგნით არსებული უკანონობისგან. ყველა სახელმწიფოს ასევე გააჩნია სუვერენიტეტი, რომელიც გულისხმობს ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის წარმოებას. ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებში არ ჯდება, თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ არშემდგარ სახელმწიფოთა კატეგორიას.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, ორპოლუსიანი მსოფლიოს სისტემის ნგრევის შემდეგ, იმათა იურიდიულად აღიარებულ სუსტ სახელმწიფოთა რაოდენობამ, რის გამოც **დასავლურ ინტელექტუალურ წრეებში დამკვიდრდა ტერმინი „არშემდგარი სახელმწიფო“ იმ პოლიტიკური სუბიექტების აღსანიშნავად, რომლებიც ვერ ახორციელებდნენ სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს. ინტელექტუალური წრეების მიერ ჩამოყალიბდა არშემდგარი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი რიგი ნიშან-თვისებებისა.**

**არშემდგარ სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს:**

**ისეთი სახელმწიფო, რომლის ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს კონტროლს იურიდიულად აღიარებულ საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე;**

**ის პოლიტიკური ერთეული, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება;**

**ის ქვეყანა, სადაც ხელისუფლების ცვლილება ხდება არაკონსტიტუციური ძალადობრივი და გადატრიალების გზით;**

**ის სახელმწიფო, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი მოქალაქეებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;**

**სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტის გამო ძალაუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია, ანუ დარღვეულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, კანონების მიღება და ცხოვრებაში გატარება მმართველის ნება-სურვილის შესაბამისად;**

**სადაც სახელმწიფო რესურსებისა და ქონების უდიდეს ნაწილს მმართველი გუნდი განკარგავს, რაც ხელს უწყობს კლანურობის ჩამოყალიბებას;**

**სადაც დაკარგულია სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ ეკონომიკურ ობიექტებზე კონტროლი და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია არ არსებობს;**

**ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც უცხო სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების ყოფნა არ კონტროლდება.**

ჩვენი სტატიის მთავარი ამოცანა მკითხველამდე სიმართლის მიტანაა და საქართველოს შემდგარი სახელმწიფოს შესახებ საქართველოს მმართველი ელიტის მიერ პროპაგანდირებული მითის დამსხვრევა.

როგორც ზემოთ ითქვა, შემდგარი სახელმწიფო თავის იურისდიქციას უნდა ავრცელებდეს სამართლებრივად აღიარებულ მთელ ტერიტორიაზე. დღევანდელი ქართული რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ავრცელებს თავის იურისდიქციას ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებულ ტერიტორიაზე.

**ნებისმიერი ქართველის მიერ (ეს იქნება პოლიტიკოსი თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი) გაკეთებული განცხადება საქართველოს, როგორც შემდგარი სახელმწიფოს შესახებ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაპირდაპირ აღიარებასა და ამ ტერიტორიების დაკარგვასთან შეგუებას ნიშნავს. რადგან შემდგარი სახელმწიფოს ხელისუფლება თავის ძალაუფლებას საკუთარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ავრცელებდეს.**

ნებისმიერი პატარა სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სიცოცხლისუნარიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება. პატარა სახელმწიფოების არსებობა და უსაფრთხოების შენარჩუნება, ძირითადად, ძალთა გადანაწილებაზეა დამოკიდებული იმ რეგიონში, სადაც ისინი მდებარეობს, ორი ზესახელმწიფოს მიერ ურთიერთშეკავების პოლიტიკის საფუძველზე.

**ჩვენი ხელისუფლების გაუაზრებელმა საგარეო პოლიტიკამ საქართველო ორ დიდ სახელმწიფოს შორის გადანაწილების მსხვერპლად აქცია, რითაც საქართველომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე პრეტენზიის აღდგენის შანსი დაკარგა. 2008 წელს ცხინვალის რეგიონში მომხდარმა სამდღიანმა ომმა დაგვანახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება არ შეუძლია. რუსულ არმიას თავისუფლად შეეძლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დაწესება, რაშიც მას ხელს ვერავინ შეუშლიდა. რაც შეეხება ომის შემდგომ ძალთა ბალანსების ცვლილებას, საქართველოს სახელმწიფოებრიობა უფრო დაუცველი გახდა.** რეგიონში შექმნილმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ თურქეთი გაააქტიურა, რამაც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის საფრთხე უფრო მეტად გაზარდა. შეუძლია კი დღეს „ქართულ სახელმწიფოს“ გარე ძალებიდან წამოსული აგრესიის შეჩერება? რა თქმა უნდა, არა. იქნებ, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება ავლაბრის რეზიდენციის დაცვას ნიშნავს?

**შემდგარ სახელმწიფოებში ხელისუფლების ცვლის სამართლებრივი მექანიზმი არსებობს, მიუხედავად ამ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური სისტემისა. არშემდგარ სახელმწიფოებში ხელისუფლების ცვლის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს არაკონსტიტუციური გზა.**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ისტორიას თუ გადავხედავთ, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება არ მომხდარა კანონიერი გზით. ჯერ იყო და ზვიად გამსახურდიას კანონიერად არჩეული ხელისუფლება დაამხეს ეროვნული გვარდიის ლიდერმა თენგიზ კიტოვანმა და ექსპრემიერმინისტრმა თენგიზ სიგუამ. ამ უკანასკნელთა თხოვნით ხელისუფლებაში მოსული ედუარდ შევარდნაძის რეჟიმიც მისი გამოზრდილი ე. წ. რეფორმატორების მიერ, სააკაშვილის ხელმძღვანელობით და გარე ძალების დახმარებით შეიცვალა. უახლოეს საქართველოს ჯერ არ ახსოვს ხელისუფლების ცვლის კონსტიტუციური და ლეგიტიმური გზა, რაც არშემდგარი სახელმწიფოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

არშემდგარი სახელმწიფოებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება, რაც გამოიხატება საკუთარი მოქალაქეების დაცვაში. მოქალაქეების დაცვის ქვეშ იგულისხმება მათი საკუთრების, ღირსებისა და სიცოცხლის ხელყოფისგან დაცვა, რაც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენს. თუ გავიხსენებთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, ქართულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო ცხინვალის რეგიონში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების საკუთრების, ღირსებისა და სიცოცხლის ხელყოფისგან დაცვა.

**ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს კონსტიტუციით მეორე პირის — დავით ბაქრაძის სატელევიზიო გამოსვლა იმ დღეებში, როცა იგი მოუწოდებდა მოსახლეობას საკუთარი ძალებით, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით დაეცვა თავი. აი, ესეც ერთ-ერთი არგუმენტი იმ ადამიანების საწინააღმდეგოდ, რომლებიც საქართველოს შემდგარ სახელმწიფოდ თვლიან.**

ასევე, საქართველო არშემდგარ სახელმწიფოთა რიგს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით შეიძლება მივაკუთვნოთ. **დღეს ბევრს საუბრობენ საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტეზე, რაც თავისთავად გულისხმობს ქვეყნის ერთპიროვნულ მართვას მისი ლიდერის ნება-სურვილის შესაბამისად. არშემდგარ სახელმწიფოებში, სადაც გაბატონებულია ერთპიროვნული მმართველობა, კანონების მიღება და მისი ცხოვრებაში გატარება ხორციელდება ქვეყნის მმართველის ინტერესების შესაბამისად.** ამის დამამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ სააკაშვილის მართველობის პირველივე წლებში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებები, რომელთა ლეგიტიმაცია უფლებამოსილებაამოწურულმა პარლამენტმა მოახდინა. **ამ კონსტიტუციური ცვლილებით ძალაუფლება, ფაქტობრივად, ერთი პირისა და მისი გუნდის ხელში აღმოჩნდა. თუ მიხეილ სააკაშვილის ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ქმედებებს დავაკვირდებით, იგი საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებს და არ არსებობს ხელისუფლების ზღვარგადასული ქმედების შეზღუდვის შესაძლებლობა.**

საქართველოში ერთპიროვნულმა მმართველობამ კლანური სისტემის ჩამოყალიბება გამოიწვია. ქართველი ერის სიმდიდრე და რესურსები მმართველი უმცირესობის ხელში აღმოჩნდა. ისინი ამ რესურსებს საკუთარი კლანის კეთილდღეობისთვის იყენებენ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ომში სამარცხვინო მარცხის შემდეგ პატრიოტი, ღირსეული და პასუხისმგებლობის მქონე ლიდერი გადადგებოდა მაინც. მაგრამ, არათუ გადადგა, პირიქით — უფრო მეტად გაიმყარა საკუთარი ძალაუფლება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობს საკუთარი კლანისთვის მატერიალური და ფინანსური კეთილდღეობის შენარჩუნებას.

**საქართველოზე, როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე, მიუთითებს ამ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკაც, რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის კოლონიზაციას უწყობს ხელს.**

ჩვენი ხელისუფლების მიერ გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც თითქმის ყველანაირი ეკონომიკური ობიექტების გაყიდვას გულისხმობს, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უცხოური კომპანიების ხელში გადასვლას. **ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც კარგავს ეკონომიკურ ობიექტებზე კონტროლის მექანიზმებს, ფაქტობრივად, კარგავს დამოუკიდებლობას, რაც დღეს ხდება საქართველოში.**

დასასრულ, მინდა შევეხო არშემდგარი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელ კიდევ ერთ ნიშანს, რაც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების უკონტროლო ყოფნას გულისხმობს. ამ პარამეტრის მიხედვით, შეიძლება საქართველო ჩაგვეთვალა შემდგარ სახელმწიფოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა უარს იტყოდა იურიდიულად მისთვის კუთვნილ ტერიტორიებზე. მართალია, დღეს ამ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები არ არიან, მაგრამ ფაქტია ის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომელიც თითოეულ ქართველს საქართველოს ტერიტორიად მიაჩნია, ამ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალებია განლაგებული, რაც საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოზე მიუთითებს.

**ზემოთ ჩამოთვლილი არშემდგარი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ჩვენს ქვეყანასთან მისადაგებით დავინახეთ, რომ საქართველო თითქმის ყველა პარამეტრით ჯდება არშემდგარ სახელმწიფოთა კატეგორიაში. გამომდინარე აქედან, უმთავრეს ამოცანას, მათ შორის ოპოზიციისთვის, უნდა წარმოადგენდეს არა უსაფუძვლო დაპირებები „სააკაშვილის რეჟიმის გარდაუვალ დემონტაჟთან“ დაკავშირებით, არამედ ქართული საზოგადოების იმ ილუზიების ტყვეობიდან გამოყვანა, რომელთაც მიზანმიმართულად ქმნის და თავს გვახვევს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება.**

**ირაკლი უბილავა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„ხელისუფლების აზრი არ მაინტერესებს. მე, მათგან განსხვავებით, ღიად ჩავდივარ რუსეთში და რუსეთის პოლიტიკურ ელიტას ვხვდები. ისინი ჩუმ-ჩუმად დაძვრებიან და ძალაუფლების შესანარჩუნებლად რუსებს ყველაფერს ჰპირდებიან, თუმცა იმ რანგის პოლიტიკოსებს, მე ვისაც ვხვდები, ისინი ვერ ხვდებიან. კარგად ვიცი, ხელისუფლებას ნერვებს უშლის ჩემი პუტინთან შეხვედრები, მაგრამ მაგათი ნერვების აშლა ყველაზე ნაკლებად მაწუხებს".**

ნინო ბურჯანაძე:

# ნიღბები ჩამოხსნილია — «ქართული პარტია» ხელისუფლების თამაშს თამაშობს

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე 21 მაისს „სახალხო კრებასთან" ერთად გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად ემზადება და იმედი აქვს, რომ ხელისუფლების შესაცვლელად ხალხი ქუჩაში აუცილებლად გამოვა. ასევე საპროტესტო აქციების მომხრე „ქართულ პარტიას" ის ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ მათთან ურთიერთობას გამორიცხავს. თუ როგორ წარმოუდგენია ხელისუფლების ცვლილება და როგორია მისი უახლოესი გეგმები „საქართველო და მსოფლიოს" ნინო ბურჯანაძე ესაუბრა.**



**— საზოგადოების მოლოდინი, რომ 2 მაისს საპროტესტო აქციები დაიწყებოდა, არ გამართლდა, რაც ბევრმა სისუსტეში ჩაგითვალათ. რა მოხდება 21 მაისს, ხომ არ აღმოჩნდება საზოგადოება ისევ ცრუ მოლოდინის წინაშე?**

— ცრუ მოლოდინი აბსოლუტურად ხელოვნურად, ხელისუფლების წყალობით შეიქმნა და ამაში მას ზოგიერთი ოპოზიციური პარტიაც დაეხმარა. ჩვენი მხრიდან გარკვევით ითქვა, რომ 2 მაისს გამოცხადდებოდა მხოლოდ სამოქმედო გეგმა და თარიღი, თუ როდის დავიწყებდით მოქმედებას. მაგრამ კონტროლირებადი მედიის პირობებში, როდესაც ხელისუფლება ტყუილების ტირაჟირებას ახდენს, საზოგადოების ნაწილს, რომელიც ბოლომდე ვერ გაერკვა მოვლენებში, გაუჩნდა ეს მოლოდინი. თუმცა, სისუსტეში ეს ვერანაირად ვერ ჩაგვეთვლება, ვინაიდან, ჩვენ რასაც ვამბობდით, ის გავაკეთეთ. ჩვენ გამოვაცხადეთ ძალიან ნათლად ჩამოყალიბებული გეგმა, რომ 21 მაისს სააკაშვილის ხელისუფლების მოსაშორებლად საბოლოო ბრძოლა იწყება და უკან დახევას არ ვაპირებთ.

„სახალხო კრებამ" უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა, რათა გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადებისას დარწმუნებული ვყოფილიყავით ჩვენს ძალებში. თარიღის გამოცხადებაც სწორედ ამიტომ არ ვიჩქარეთ და მე, რა თქმა უნდა, თქვენს მკითხველს, ისევე, როგორც სრულიად საქართველოს, მოვუწოდებ 21 მაისს, 3 საათზე, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, გამოვიდეს; ხოლო ბათუმში — ერას მოედანზე. ეს იქნება მართლაც გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი, ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ.

**— ცრუ მოლოდინის შექმნაში ხელისუფლების გარდა ოპოზიციურ პარტიებსაც ადანაშაულებთ, ვის გულისხმობთ?**

— მინდა გითხრათ, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ხელისუფლებაზე გაცილებით ეფექტურად ლანძღავდა „სახალხო კრებას" და ხელისუფლება საქმეს ოპოზიციის ხელით აკეთებდა. 2 მაისთან დაკავშირებით, ყველაზე სახელისუფლო პოზიცია „ქართულმა პარტიამ" დააფიქსირა. როდესაც ეროსი კიწმარიშვილი „სახალხო კრებას" ბრალს სდებდა და აცხადებდა, თითქოს 2 მაისს ჩვენ აქციები უნდა დაგვეწყო, ხელისუფლების თამაშს უტიფრად თამაშობდა.

**— ნებით თუ უნებლიეთ თამაშობდა ის ხელისუფლების თამაშს?**

— ისეთი ადამიანი, როგორიც ეროსი კიწმარიშვილია, უნებლიეთ არაფერს აკეთებს. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ის ხელისუფლების თამაშს შეგნებულად თამაშობს.

**— „ქართულმა პარტიამ" დაგასწროთ და აქციები 9 მაისს დაიწყო. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ორივე რადიკალურ ოპოზიციურ ძალად მოიაზრებით, განსხვავებით ოპოზიციური „რვიანისაგან", რომელიც მოლაპარაკების მომხრეა. თუ ლევან გაჩეჩილაძის ბოლოდროინდელ განცხადებებს გავიხსენებთ, მან თითქოს ნაბიჯიც გადმოდგა ელიტებთან. მოსალოდნელია თუ არა უახლოეს მომავალში თქვენი ერთ პოლიტიკურ ძალად გაერთიანება?**

— კატეგორიულად გამორიცხულია. ჯერ ერთი, ჩვენ არ ვართ რადიკალური (ეს ხელისუფლებას სურს, ასე ჩანდეს). ჩვენ ვართ ადეკვატურები. არაადეკვატურები ის ადამიანები არიან, რომლებიც ელოდებიან, რომ ხელისუფლება დემოკრატიულ არჩევნებს ჩაატარებს. ჩვენც გვინდა დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ ვიცით, რომ თავისუფალი არჩევნები ამ ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია.

**— ანუ ფიქრობთ, რომ „რვიანი" არაადეკვატურია?**

— რა თქმა უნდა, არაადეკვატურია. **აცხადებენ, რომ სააკაშვილი დიქტატორი, ავტოკრატი და უპასუხისმგებლოა და თან მასთან მოლაპარაკებებზე მიდიან. მსოფლიოში ერთი მაგალითიც კი არ არსებობს, რომ ავტოკრატიულ ხელისუფლებას მოლაპარაკების გზით ჩაეტარებინოს თავისუფალი არჩევნები, ხოლო, თუ ეს ხელისუფლება დემოკრატიულია, მაშინ რას ვერჩით? დემოკრატიულ ქვეყნებში რევოლუციები არ ხდება. რევოლუციები სწორედ იქ ხდება, სადაც ხელისუფლება არადემოკრატიულია. შესაძლებელი რომ იყოს მშვიდ გარემოში სამართლიანი არჩევნების ჩატარება, ჩვენ რა, გაგვიჟდით?** რომელი გიჟი რადიკალები არიან ნონა გაფრინდაშვილი, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე, გოგი ქავთარაძე, ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ესაძე?! ამ ადამიანებმა დაინახეს, რომ ქვეყანა გადასარჩენია და იძულებული გახდნენ, იმ გზაზე დამდგარიყვნენ, რომელსაც დღეს დემოკრატიისა და მშვიდობიანი რევოლუციის გზა ჰქვია.

ჩვენ გვაქვს ორი არჩევანი: ან გამოვდივართ ქუჩაში, ან ვეგუებით იმას, რომ გვართმევენ ენას, მამულს, სარწმუნოებას; გვილახავენ ღირსებას; არ აძლევენ ჩვენს შვილებს განათლების ნორმალურ შესაძლებლობას; ფეხქვეშ თელავენ ყველაფერ ფასეულს, რაც ამ ქვეყანას გააჩნია და თავს გვახვევენ ისეთ ფასეულობებს, რომლებიც ცივილიზებულობისა და განვითარების მომტანი კი არ არის, არამედ სიმახინჯეა, მაგრამ ამის კულტივირება ტელევიზიებში ყოველდღიურად მიმდინარეობს. ჩვენთან მოდური გახდა ის, რაც დასავლეთის ნორმალურ ოჯახებსა და წრეებში მიუღებელია. ქვეყანა ვალებში იხრჩობა, მოსახლეობის ორი მესამედი ღატაკია. გვყავს ახალგაზრდობა, რომელმაც არ იცის, რა არის სიტყვა ობსერვატორია და რომელმაც შეიძლება გიპასუხოს, რომ სამკუთხედს ორი კუთხე აქვს. ვიღუპებით და რას ველოდებით?

სხვათა შორის, პირველი არხის ეთერში ძალიან საინტერესო რამ განაცხადა „რვიანის" წევრმა, „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელმა: ჩვენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ვიმუშავებთ და შედეგს როდის მივიღებთ, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. გამოდის, 2033 წელსაც რომ მივიღოთ შედეგი, მნიშვნელობა არ აქვს?! ეს არის ადეკვატურობა?!

რაც შეეხება „ქართულ პარტიას", ჩვენ მათთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ დავდგებით და გადაწყვეტილებებს „ქართული პარტია" ჩვენთან ერთად ვერ მიიღებს.

**— დღეს იმასაც აღნიშნავენ, რომ შეიძლება თქვენი გზები სულაც ქუჩაში გადაიკვეთოს, ამ შემთხვევაში როგორ მოიქცევით?**

— თუ ვინმეს ხალხთან დადგომა, საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვა და ბრძოლა სურს, დადგეს ხალხის გვერდით, არავინ უშლის. ეს არ არის „სახალხო კრების" პრივატიზებული პროცესი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვერ ჩაერევიან.

როგორც „სახალხო კრების" მიერ გამოცხადებულ საბოლოო ბრძოლამდე, 21 მაისამდე ათი დღით ადრე, „ქართული პარტიის" ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში ხალხს გამოუცხადა, „კრებას" არაფრის თავი არ აქვს და არ იცის, რას აკეთებსო, ეს იყო თავიდან ბოლომდე ხელისუფლების თამაში. „ქართული პარტიის" წევრები ისეთი ბრიყვები არ არიან, ვერ ხვდებოდნენ, რომ მხოლოდ ხელისუფლების საქმეს აკეთებენ. არც ჩვენ მივცემთ მათ ამ პროცესების ხელის შეშლის შესაძლებლობას. 21 მაისს, 3 საათზე, ქუდზე კაცს ველოდებით და ნახავთ, ეს ხელისუფლება ძალიან მალე აღარ იქნება.

**— ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ თქვენთან არ ითანამშრომლებს, სანამ ბოდიშს არ მოიხდით.**

— არ ვაპირებ ამაზე კომენტარის გაკეთებას. ოქრუაშვილი რომ პარიზიდან ქვეყანას მორალს უკითხავს და სამართლიანობაზე ლაპარაკობს, სასაცილოა. მე არავის წინაშე არ მაქვს ბოდიში მოსახდელი.

**— არც ხალხის წინაშე?**

— ხალხის წინაშე მე ბოდიში უკვე მოვიხადე და ქართველი ხალხი ის ხალხია, რომლის წინაშეც ერთხელ ბოდიშის მოხდა საკმარისია. მიუხედავად, რომ მე ბევრჯერ მოვიხადე ბოდიში, თუმცა, განსხვავებით სხვა პოლიტიკოსებისგან, მე ხალხი არასდროს მომიტყუებია და მისთვის არასდროს მიღალატია, მაგრამ შეიძლება სადღაც შეცდომა დავუშვი. ჩემთვის შეცდომის შესწორების უფლება მხოლოდ ხალხს აქვს. ჩემთვის ჭკუის დარიგების, მორალის წაკითხვის და რამის შეხსენების უფლება არც ერთ პოლიტიკოსს არ აქვს, ვინაიდან მე, სხვებისგან განსხვავებით, ჩემი ხალხისთვის არასდროს არაფერი დამიმალავს. როცა ხელისუფლებასთან ვიდექი, ამას არ ვმალავდი და არ ვთამაშობდი, არც ახლა დავდივარ ხელისუფლებასთან ჩუმ-ჩუმად მოსალაპარაკებლად. რასაც ვაკეთებ, ღიად ვაკეთებ. ხალხმა იცის, რომ ბურჯანაძეს შეიძლება ენდო, რადგან ბურჯანაძე არ იტყუება.

**— თუმცა თქვენმა განცხადებამ, რომ ყველაზე სუფთა პოლიტიკოსი ხართ, ცოტა არაერთგვაროვანი განწყობა გამოიწვია. ბევრმა თქვენი პოლიტიკური წარსული გაიხსენა, როდესაც ის უსამართლობა, რასაც დღეს აპროტესტებთ მაშინაც ხდებოდა და თქვენ ჩუმად იყავით...**

— არ მაინტერესებს რა რეაქცია გამოიწვია. ვიტყუებოდი? სისუფთავე არ ნიშნავს იმას, რომ შეუცდომელი ვარ. პოლიტიკური სისუფთავე ნიშნავს იმას, რომ გულწრფელი ხარ შენს შეცდომაშიც და არ თამაშობ, არ იტყუები. პირდაპირ გეტყვით, ჩემი შეცდომა იყო ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩემს დამსახურებებზე ცოტა ვილაპარაკე.

თავისუფლად შემეძლო, ან პარლამენტის თავმჯდომარედ დავრჩენილიყავი და თვალი დამეხუჭა ყველაფერზე, ან ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში უმაღლეს თანამდებობაზე სამუშაოდ წავსულიყავი. მე ჩავთვალე, რომ ამის უფლება არ მქონდა, რამაც გამოიწვია ის, რომ მთელი ჩემი ოჯახი, ძაღლების ჩათვლით, გალანძღეს. ისე გამოტვინდა ეს ხელისუფლება, რომ ძაღლებზეც კი დაწერეს სტატიები.

**— თქვენ ამასწინათ განაცხადეთ, რომ არ შეუშინდებით რეზინის ტყვიებსა და ჯოხებს. რევოლუციას ხომ არ ელოდებით?**

— ვინაიდან, ეს ხელისუფლება არაადეკვატური და უპასუხისმგებლოა, რთულია, გათვალო, ზუსტად როგორ იმოქმედებს. მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ საპასუხო ნაბიჯები გათვლილი გვაქვს. 2009 წლის 6 მაისს ხელისუფლებამ რეზინის ტყვიებიც და ხელკეტებიც სრულიად უკანონოდ გამოიყენა და არც ახლა გამორიცხული, იგივე საქციელი გაიმეოროს.

ჩვენ ვართ შეუიარაღებელი ადამიანები, ჩვენი ერთადერთი იარაღი სიმართლეა. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად ვიბრძვით. ამიტომ, თუ უიარაღო ადამიანების წინააღმდეგ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, რა თქმა უნდა, ის საკადრის პასუხს მიიღებს.

**«თუ უიარაღო ადამიანების წინააღმდეგ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, ის საკადრის პასუხს მიიღებს»**

**— რას ნიშნავს თქვენი განცხადება, რომ „26 მაისს ხელისუფლება ვერ მიიღებს აღლუმს"?**

— ხელისუფლებას თავმოყვარეობა ოდნავ მაინც რომ ჰქონდეს, აღლუმს საერთოდ არ უნდა ატარებდეს. მთავარსარდალი, რომელმაც ქვეყანას ტერიტორიის 20% დააკარგვინა, მთავარსარდალი, რომელმაც ჯარს ბაჩო ახალაია უნიშნა თავდაცვის მინისტრად, მთავარსარდალი, რომელიც ყოველდღიურად შეურაცხყოფს ჯარისკაცების ღირსებას და ჯარის მხოლოდ ის ნაწილი უნდა, რომელიც ავღანეთში გასაგზავნად სჭირდება, იმიტომ, რომ თვითონ ჩაიწეროს ქულები ▶

**კრემლს ნაკლებად აინტერესებს აშშ-თან კონფრონტაციაზე ორიენტირებული ძალები; მისთვის გაცილებით კომფორტულია ისეთ პარტნიორებთან ურთიერთობა, როგორიცაა, მაგალითად, ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელსაც ანტიამერიკული რიტორიკისთვის არასოდეს მიუმართავს. საერთოდ, „გადატვირთვის“ კონტექსტში, ეს რიტუალური ცეკვები „პრორუსულობისა“ და „პროამერიკულობის“ გარშემო ერთობ არააქტუალური გახდა.**

**რეპლიკა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ საზღვარგარეთ, მთავარსარდალი, რომელმაც ჯარისკაცები და ოფიცრები ბრძოლის ველზე მიატოვა და მიწაზე დაფორთხავდა, ასეთი მთავარსარდალი საერთოდ ვერ უნდა ატარებდეს აღლუმს, ოდნავ მაინც რომ იყოს ნორმალური.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 21 მაისს ამ რეჟიმის ხელისუფლებისგან ჩამოშორების სერიოზული პროცესი დაიწყება და არ მგონია, რომ ეს ხელისუფლება 26 მაისს მშვიდი და კმაყოფილი შეხვდეს.

**— თქვენ გაქვთ იმედი, რომ შეძლებთ ფართომასშტაბიანი აქციის ჩატარებას და ხალხის მობილიზებას? ოპოზიციამ ხალხს არაერთხელ გაუცრუა იმედი.**

— გეთანხმებით, მაგრამ დღეს საუბარია არა ოპოზიციაზე, არამედ ხალხზე. „სახალხო კრება“ არ არის ოპოზიციური პარტია, ეს არის ხალხი. მინდა გითხრათ, მუხტი ძალიან მაღალია. უბრალოდ, ადამიანებს ეს მუხტი გულში ჰქონდათ ჩაკლული, ვინაიდან არ ჩანდა ძალა, რომელიც მათ ამ ყველაფრის ორგანიზებაში დაეხმარებოდა.

არავინ იტყვის: რადგან ერთხელ არაფერი გამოგვივიდა, მეორედ არაფერი გამოგვივიდა, ახლა თვალი უნდა დავხუჭოთ იმაზე, რომ სამშობლო ხელიდან გვეცლება. დარწმუნებული ვარ, ხალხი გამოვა.

**— ქალბატონო ნინო, თქვენ ლევან გაჩეჩილაძე ამხილეთ ხელისუფლებასთან გარიგებაში. როგორც გაირკვა, თქვენ ეს ინფორმაცია დიდი ხანი გქონდათ, რატომ იდექით მის გვერდით?**

— მე არავის გვერდით არ ვყოფილვარ. ყველას უნდა მისცე შანსი, თავის ქვეყანასა და ხალხს ემსახუროს. რაც მოხდა, რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ „ქართული პარტიის“ მხრიდან, ჩვენ წინააღმდეგ რომ არ განხორციელებულიყო ის დარტყმები, არც ჩვენი მხრიდან მოჰყვებოდა გაგრძელება. იძულებული გავხდი, მეთქვა, რომ ნიღბები ჩამოხსნილია და „ქართული პარტია“ ხელისუფლების თამაშს თამაშობს. არის რაღაც, რაც მოცემულ სიტუაციაში უნდა თქვა, ან საერთოდ არ თქვა.

**— ხელისუფლება ხშირად აკრიტიკებს რუსეთში თქვენს ვიზიტებს და თქვენ მიერ ორგანიზებული აქციების მიღმაც რუსულ ხელს ხედავს.**

— **ხელისუფლების აზრი არ მაინტერესებს. მე, მათგან განსხვავებით, ღიად ჩავდივარ რუსეთში და რუსეთის პოლიტიკურ ელიტას ვხვდები. ეგენი ჩუმ-ჩუმად დაძვრებიან და ძალაუფლების შესანარჩუნებლად რუსებს ყველაფერს ჰპირდებიან, თუმცა იმ რანგის პოლიტიკოსებს, მე ვისაც ვხვდები, ეგენი ვერ ხვდებიან. კარგად ვიცი, ხელისუფლებას ნერვებს უშლის ჩემი პუტინთან შეხვედრები, მაგრამ მაგათი ნერვების აშლა ყველაზე ნაკლებად მაწუხებს.**

**— თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა ხელისუფლების კულუარებში. რა ვერსია გაქვთ ვასილ სანოძის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით?**

— მე ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. სანოძე არ არის რიგითი პოლიციელი და ხელისუფლება ვალდებულია, სიმართლე გაარკვიოს. როგორც მინიმუმ, 50%-ია იმის ალბათობა, რომ ეს არ იყო უბედური შემთხვევა და, თუ ეს ასეა, საინტერესოა, რა იცოდა მან ისეთი, რაც არ უნდა ეთქვა. ყოველ შემთხვევაში, ეს საქმე ისე მიაჩუმათეს, რომ ვეჭვობ, ეს უბედური შემთხვევა ყოფილიყო.

**— თქვენ ყოველთვის თამამი განცხადებებით გამოდიხართ, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს, სააკაშვილი ისევ ხელისუფლებაშია. იმ შემთხვევაში, თუ 21 მაისს დაწყებული აქციების შედეგადაც ვერ მიაღწევთ სასურველ შედეგს, რას იზამს ნინო ბურჯანაძე, წავა პოლიტიკიდან? რა იქნება თქვენი შემდგომი ნაბიჯი?**

— პირდაპირ გეტყვით, **21 მაისის აქციების შემდეგ თუ სააკაშვილი დარჩა ხელისუფლებაში, ბურჯანაძე წავა პოლიტიკიდან თუ დარჩება, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. აქ არ არის ლაპარაკი ბურჯანაძის ყოფნა-არყოფნაზე, აქ ქვეყნის ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი. მინდა ეს ყველამ გააცნობიეროს და მე არც ვუშვებ იმას, რომ ეს აქციები წარუმატებლად შეიძლება დასრულდეს.**

რა თქმა უნდა, რისკი არსებობს. არ მინდა, ჩვენს მკითხველს ისეთი ილუზია შეექმნას, რომ ჩვენ ეიფორიასა და ილუზიებში ვართ, და როგორც კი ბევრი ხალხი შეიკრიბება, სააკაშვილი უცებ გაიქცევა. ვიცით, რომ პროვოკაციების მოწყობის დიდი ალბათობაა. ციხიდან გვაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ორ, წარმოშობით გალელ ახალგაზრდას „ამუშავებს“, რათა ათქმევინონ, თითქოს ბადრი ბიწაძე მათ იარაღს აძლევდა, მაგრამ მე არ მეშინია ამ ხელისუფლების, ეს მათ ეშინიათ ჩემი. თან იძახდნენ ბურჯანაძეს ნული რეიტინგი აქვსო და თან ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ ჩემ წინააღმდეგ მიმართულ შავ პიარზე მილიონები დახარჯეს.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მაღალი რეიტინგი გაქვთ და ხალხი მხარს დაგიჭერთ? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— მოდი რეიტინგზე მას შემდეგ ვილაპარაკოთ, რაც სააკაშვილი წავა. მე ვიცი, რომ გვყავს ძალიან ბევრი მომხრე, სჯერათ ჩვენი და, ვისაც არ სჯერა, ისინიც დაინახავენ, რომ ვართ თავდადებული, მებრძოლი, უშიშარი ადამიანები. დანარჩენი მერე გამოჩნდება, როდესაც ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები დაინიშნება. ჯერ ქვეყანაა გადასარჩენი, ვინც გულშემატკივრობს ამ პროცესს, ყველა უნდა მოვიდეს.

თუ ყველა უკანონო პატიმრის ოჯახი, უკანონოდ ქონებაწართმეული, ბიზნესდატერორებული, უკანონოდ სამსახურიდან გაშვებული და ღირსებაშელახული ადამიანი გადალახავს შიშსა და უიმედობას და ქუჩაში გამოვა, სააკაშვილი და მისი რეჟიმი რამდენიმე საათში აღარ იქნება.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# ვის უმიზნებდა ეროსი ოქროს ისარს?

**„ქართულმა პარტიამ“ აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილმა ეს აქცია დააანონსა (ო, რამდენი „ა“-ა ამ მოკლე სიტყვაში) პოლიტიკურ წრეებში დაახლოებით ისეთი აურზაური ატყდა, როგორც გაკოტრებულ ბორდელში, როდესაც საუკეთესო კლიენტს გაულანძღავენ. პოლიტიკოსები და ექსპერტები (მცირე გამონაკლისის გარდა) ლამის რიგში ჩამწკრივდნენ, ოქრუაშვილისთვის ქვა რომ ესროლათ.**



და მაინც, რატომ მივიდა „ქართული პარტია“ აშშ-ის საელჩოსთან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ალბათ, უმჯობესი იქნება, მომხდარის საინფორმაციო და პოლიტიკური ასპექტები ცალ-ცალკე განვიხილოთ.

**ბოლო დროს „ქართული პარტია“ სასტვენიანი ჩაიდანივით ხმაურობს. გასაკვირი ამაში არაფერია, რადგან მას საკუთარი თავის წარმოჩენა და სხვა პოლიტიკური ძალებისგან განსხვავებულობის დაფიქსირება სჭირდება.** საინფორმაციო თვალსაზრისით, ყველაზე სწრაფი და იაფი (და ყველაზე დესტრუქციული, თუმცა რას ვიზამთ) მეთოდი ამისთვის კონფლიქტის გაღვივებაა, რომლის დროსაც მასში ჩართული მხარეების განსხვავება ერთმანეთისგან (ნამდვილი თუ წარმოსახვითი, რა მნიშვნელობა აქვს) უფრო რელიეფურად ჩანს. **მხოლოდ ხელისუფლებასთან დაპირისპირება აშკარად არ კმაროდა, ამიტომ „ქართული პარტია“ მსწრაფლ ჩაება ურთიერთობების ისტერიულ გარკვევაში „რვიანთან“ და ნინო ბურჯანაძესთან. მთლიანობაში ეს საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მიზანი მიღწეულია — „ქართულმა პარტიამ“ საკუთარი „განსხვავებულობის“ დაფიქსირება საკმაოდ მოკლე ვადაში მოახერხა.**

თუ აქციას აშშ-ის საელჩოსთან ამავე ჭრილში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ „ქართულმა პარტიამ“: ა) მიიპყრო ყურადღება; ბ) რამდენიმე დღით ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ „ნიუსმეიკერად“ იქცა; გ) დაიმსახურა იმ ადამიანების (ნაწილის) მოწონება, რომლებიც აშშ-ის საელჩოს და, ზოგადად, ამერიკული სახელმწიფოს მოქმედებას საქართველოში კრიტიკულად ეკიდებიან; დ) კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი განსხვავებულობა სხვა პარტიებისგან. ყველაფერი დანარჩენი, პრინციპში, კორდებალეტია. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ კონსპიროლოგიური სქემები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს აქცია წარმოადგენდა რევერანსს კრემლის მისამართით, ან კიდევ, ვიმსჯელოთ იმაზე, რომ სააკაშვილმა და „ქართულმა პარტიამ“ ვაშინგტონის წინაშე შეგნებულად გაითამაშეს სპექტაკლი, რომელშიც ერთმა „მეგობრის“, ხოლო მეორემ „მტრის“ როლი შეასრულა; მაგრამ ეს, ალბათ, მაინც კონტრპროდუქტიული იქნება.

**ჯერ ერთი, კრემლს ნაკლებად აინტერესებს აშშ-თან კონფრონტაციაზე ორიენტირებული ძალები; მისთვის გაცილებით კომფორტულია ისეთ პარტნიორებთან ურთიერთობა, როგორიცაა, მაგალითად, ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელსაც ანტიამერიკული რიტორიკისთვის არასოდეს მიუმართავს. საერთოდ, „გადატვირთვის“ კონტექსტში, ეს რიტუალური ცეკვები „პრორუსულობისა“ და „პროამერიკულობის“ გარშემო ერთობ არააქტუალური გახდა.** რაც შეეხება „ვაშინგტონის მეგობრებისა და მოწინააღმდეგეების“ როლების ჰიპოთეტურ განაწილებას და ამერიკელების რეაქციას, საელჩომ განაცხადა, რომ „ქართულ პარტიას“ აქციის გამართვის სრული უფლება აქვს. შესაძლოა, ეს იმისთვისაც გაკეთდა, რომ ქართველი „მეგობრები და მოწინააღმდეგეები“ როლში არ შეჭრილიყვნენ და მეტი დამაჯერებლობისთვის ერთმანეთისთვის იქვე, საელჩოსთან თავ-ყბა არ გაეერთიანებინათ. საერთოდ კი, მოსკოვი და ვაშინგტონი, მარტივად რომ ვთქვათ, „ბავშვთა ლიგაში არ თამაშობენ“ და მსგავსი ფორმით გაგზავნილ მესიჯებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ.

**გარკვეული დამატებითი ქვეტექსტი ყოველივე ამას შეიძლება მხოლოდ საზოგადოების განწყობასთან დაკავშირებით ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ მართლაც არსებობს რაღაც ძლიერ გასაიდუმლოებული გეგმა, რომელიც მიზნად ანტიამერიკული მისწრაფებების მარგინალიზაციას ისახავს.** დღეს საზოგადოებაში პროამერიკული განწყობის დაფიქსირება, პრინციპში, ცუდ ტონად ითვლება (ეს სააკაშვილის მმართველობის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შედეგია) **და რატომ არ შეიძლება იგივე ანტიამერიკულ განწყობას დაემართოს** (უფრო სწორად, დამართონ)**?** ეს სავსებით შესაძლებელია, თუ შტატების მძაფრ კრიტიკას სკანდალური პარტია დაიწყებს, რომელსაც საზოგადოება ფრიად არაერთგვაროვნად აღიქვამს. მაგრამ ერთი, არცთუ შთამბეჭდავი, აქცია ამ შემთხვევაში ამინდს ვერ შექმნის და ჩვენ იძულებული ვართ, დაველოდოთ, გადადგამს თუ არა „ქართული პარტია“ მომდევნო ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

**დიმიტრი მონიავა**






# ამერიკა დეფოლტის ზღვარზეა



**ამერიკის სახელმწიფო ვალი იზრდება, რომელიც ამ დროისთვის 14,4 ტრილიონ დოლარს შეადგენს. „როსბალტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა კონგრესში გამოსვლისას განაცხადა.**

ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ამერიკის სახელმწიფო ვალმა არ შეიძლება 14,29 ტრილიონს გადააჭარბოს. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, დაწყებულია ზომების მიღება დეფოლტის თავიდან ასაცილებლად.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული ზომები 2 აგვისტომდე იმოქმედებს. მან კანონმდებლებს თხოვნით მიმართა, ვალის ზედა ზღვარი გაზარდონ. შექმნილი ვითარების გამო „რესპუბლიკელები“ აპირებენ განათლების, ჯანდაცვისა და შრომის ბაზრის მხარდამჭერი პროგრამები შეამცირონ. „დემოკრატები“ კი გამოვიდნენ ინიციატივით, მოქალაქეებს, რომელთა შემოსავალი წელიწადში მილიონ დოლარს შეადგენს, 3%-ის ოდენობით გადასახადი დაუწესდეთ.

**„როსბალტი“**

ნაც-ჩეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**პრეზიდენტის დედის ინტერესები საუნივერსიტეტო ბიზნესსაც გასცდა და, როგორც რესპუბლიკელებმა გაარკვიეს, გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტი“ ერთადერთი დამფუძნებელია შპს „საუნივერსიტეტო ავეჯისა“; ასევე მას დაუფუძნებია 2008 წელს კაფე „ხადილი“ და სხვ.**

# პრეზიდენტის დედის ბიზნესი

**პრეზიდენტი სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მისი ხელისუფლება ყველაზე არაკორუმპირებულია, თუმცა ოპოზიციამ ამის საწინააღმდეგო დოკუმენტები აუფრიალა მის ჩინოვნიკებზე. ამჯერად კი საკრებულოს წევრმა თინათინ ხიდაშელმა პრეზიდენტი დედამისის, გიული ალასანიას ბიზნეს-ინტერესების ლობირებაში დაადანაშაულა და ის დოკუმენტებიც წარმოადგინა, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მიერ დედისთვის, გიული ალასანიასთვის სახელმწიფო ქონების გადაცემას ადასტურებს.**

## როგორ გადასცა სააკაშვილმა დედამისს სახელმწიფო ქონება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Phone: (995 32) 33 04 93
Fax: (995 32) 94 20 33
E-mail: gtechuni@gtu.edu.ge

380075, საქართველო, თბილისი, კოსტავას, 77
77, Kostava str., Tbilisi, Georgia, 380075

4301-224/01-39
23. 07 2004

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს
რაიონულ სასამართლოს

უფლებას ვაძლევ შ.პ.ს. „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის“ დირექციას, რათა მათ განათავსონ აღნიშნული საწარმო შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI სასწავლო კორპუსი, IV სართული, ბ) ბლოკი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

რამაზ ხუროძე

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება
N 308 2007 წლის 20 ივნისი ქ.თბილისი
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების

1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ამ განკარგულების დანართში მითითებული მოძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს „თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდს“ შემდეგი პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში;

ბ) მყიდველი ვალდებულია საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის – „ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, ფოლკლორული ჯგუფები, ანსამბლები, შემოქმედებითი გაერთიანებები უზრუნველყოს დანართში მითითებული ქართული ეროვნული სამოსითა და მუსიკალური საკრავებით.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (გ.არველაძე) განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული მოძრავი ქონების (დანართი) „თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდისათვის“ გადაცემის მიზნით.

მიხეილ სააკაშვილი



**საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, როგორ გადასცა პრეზიდენტმა სახელმწიფო ქონება, კერძოდ — წყნეთის სამთავრობო აგარაკი, პარლამენტის თავმჯდომარეს (ამჟამად ოპოზიციაში მყოფ ნინო ბურჯანაძეს) სიმბოლურ ფასად — 1 ლარად. ასევე ახსოვს, როგორ გადასცა საქართველოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლეს — ნინო ანანიაშვილს, უზურფრუქტის წესით, ვერაზე 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი და აჩუქა შენობა დახურული ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც ადრე ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი ობიექტი მდებარეობდა. მაგრამ აქამდე ჩვენთვის ცნობილი არ იყო, თუ როგორ ასაჩუქრებს სააკაშვილი სახელმწიფო ქონებით საკუთარი ოჯახის წევრებს.**

გიული ალასანია საზოგადოებამ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ გაიცნო. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი საუნივერსიტეტო ბიზნესიც. ყველას ახსოვს, ალბათ, როცა ახლადგაპრეზიდენტებული სააკაშვილი უნივერსიტეტებს დაერია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის დასაცავად მაშინ მთელი უნივერსიტეტი გამოვიდა, მაგრამ როინ მეტრეველს, ისევე, როგორც სხვა რექტორებს, ვერაფერი უშველეს. პოსტი მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ შეინარჩუნა. თუ რატომ გადაურჩა ხუროძე სააკაშვილის რისხვას, ამის მარტივი ახსნა ხიდაშელის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტებში მოიძებნება. თუმცა თვალშისაცემი იყო ისიც, რომ მაშინ, ჯერ კიდევ 2004 წელს, გიული ალასანია ხუროძის გვერდით გამოჩნდა ღონისძიებაზე, სადაც გაცხადდა, რომ ის თანამდებობას ინარჩუნებდა.

რესპუბლიკური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მდივნის, საკრებულოს წევრის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, 2004 წლის ზაფხულიდან ქალბატონი გიული ალასანია აქტიური ბიზნესმენი ხდება და ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროს აკონტროლებს. თინათინ ხიდაშელი აღნიშნავს, რომ მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებში არაფერია გიული ალასანიას სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, რადგან მათი ინტერესის სფერო მისი ბიზნეს-საქმიანობა გახდა, რაც მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იწყება.

**„უცნაური დამთხვევაა, მაგრამ სწორედ 2004 წლის ზაფხულიდან ქალბატონი გიული აქტიური ბიზნესმენი ხდება და ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროს აკონტროლებს,** — აცხადებს ხიდაშელი, — **სწორედ 2004 წლის ზაფხულში ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად აფუძნებს „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლას“, რომელიც სულ მალე დამოუკიდებელ უნივერსიტეტად „საქართველოს უნივერსიტეტად“ გადაკეთდა. ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, ბატონმა ხუროძემ უნივერსიტეტის წილი სიმბოლურ ფასად — 200 ლარად, სწორედ გიული ალასანიასა და მის მეგობარსა და ბიზნეს-პარტნიორ მანანა სანაძეს დაუთმო.**

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტი „საქართველოს უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი აღარ იყო, ქონება, რომლითაც უნივერსიტეტი მანამდე სარგებლობდა, კვლავაც გიული ალასანიას განკარგულებაში დარჩა.

საჯარო რეესტრის მიერ გაცემული დოკუმენტის შესაბამისად, 2005 წელს, საქართველოს უნივერსიტეტს (ანუ მაშინდელ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლას“) ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცა კოსტავას №77-ში მდებარე ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ფართიდან 1240 კვ.მ. მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთითურთ, ხოლო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, იმავე მისამართზე დამატებით კიდევ 866 კვ.მ გადასცა. შესაბამისად, **გიული ალასანიამ თბილისის ცენტრში სახელმწიფოსგან, პირდაპირი წესით, 2106 კვ.მ. ფართობის შენობა მიიღო, მის შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად, ხოლო საიჯარო ქირად მხოლოდ 250 დოლარის გადახდა დაეკისრა.**

თუმცა სახელმწიფო ქონების მითვისება ამით არ დასრულებულა. ტექნიკური უნივერსიტეტის ფორმალური თანამონაწილეობისგან სრულიად გათავისუფლების შემდეგ, ქალბატონმა გიულიმ წერილობით მიმართა ვაკე-საბურთალოს გამგეობას და მის სარგებლობაში არსებული შენობისთვის განსხვავებული მისამართის მინიჭება მოითხოვა, რაც დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდა. **2008 წლიდან კი ტექნიკური უნივერსიტეტის დაახლოებით 15827 კვ.მ. ფართი უკვე „საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრებად ირიცხება. შესაბამისად, დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილ კორპუსს, რომელშიც გიული ალასანიას უნივერსიტეტია განთავსებული, მისამართია კოსტავას №77-ა, ნაცვლად კოსტავას №77-ისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გიული ალასანიამ საკუთარი სტატუსი და პრივილეგია გამოიყენა სახელმწიფო ქონების მისათვისებლად“.**

თინათინ ხიდაშელის განცხადებით, გიული ალასანიას ინტერესები „საქართველოს უნივერსიტეტით“ არ შემოიფარგლება. ცნობილია, რომ იგი ასევე გახლავთ „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ პრორექტორიც. მიწა კი, სადაც ამჟამად უნივერსიტეტის ახალი კორპუსი შენდება, მას შვილმა სიმბოლურ ფასად გადასცა. 2007 წლის 22 მარტს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განკარგულება გამოსცა, რომლითაც გადაწყვიტა, რომ დედამისის, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ყოფილი „ავტოგაზის“ მიმდებარედ. მიწის ნაკვეთის ფართობი 101,222 კვ.მ-ია. ამავე განკარგულებით სააკაშვილმა თბილისის მერ უგულავას მიწის ნაკვეთის გადასაცემად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაავალა.

**2009 წელს ქალბატონი გიული კიდევ ერთი უნივერსიტეტის დამფუძნებლებს შორის ჩნდება. სწორედ მან შეიძინა „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ 14%-იანი წილი აუქციონზე, სადაც აღმოჩნდა, რომ სხვა დაინტერესებული მხარე არ არსებობდა. პრეზიდენტის დედის ინტერესები საუნივერსიტეტო ბიზნესსაც გასცდა და, როგორც რესპუბლიკელებმა გაარკვიეს, გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტი“ ერთადერთი დამფუძნებელია შპს „საუნივერსიტეტო ავეჯისა“; ასევე მას დაუფუძნებია 2008 წელს კაფე „ხადილი“ და სხვ.** აღნიშნული ბიზნესის სარგებლიანობის უკეთ გაცნობისთვის რესპუბლიკელებმა კაფე „ხადილის“ ვებსაიტი მოინახულეს, სადაც აღნიშნულია, რომ **„2008 წლის 17 ნოემბერს მის ბაზაზე დაარსდა კაფე „ხადილი“, რომელსაც III კორპუსის II სართულის დიდი ნაწილი უკავია. კაფეს ყოველდღიურად 1000-მდე ადამიანი სტუმრობს. გარდა ამისა, კაფე ემსახურება კონფერენციების, ტრეინინგებისა და პრეზენტაციების მონაწილეებს“,** რაც ალასანიას ბიზნესს, ალბათ, სოლიდურ მოგებას აძლევს, რადგან დღეში 1000 სტუმარი სერიოზული შემოსავალია. თინათინ ხიდაშელმა ასევე წარმოადგინა პრეზიდენტის 2007 წლის 20 ივნისის განკარგულება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“.

**1. საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ამ განკარგულების დანართში მითითებული მოძრავი ქონება, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს „თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდს“ შემდეგი პირობებით:**

**ა) საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში;**

**ბ) მყიდველი ვალდებულია, საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის — „ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, ფოლკლორული ჯგუფები, ანსამბლები, შემოქმედებითი გაერთიანებები უზრუნველყოს დანართში მითითებული ქართული ეროვნული სამოსითა და მუსიკალური საკრავებით.**

**2.საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (გ. არველაძე) განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული მოძრავი ქონების (დანართი) „თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდისთვის“ გადაცემის მიზნით“.**

აღნიშნული ფონდი ასევე გიული ალასანიას სახელს უკავშირდება. დოკუმენტები, რომლებიც მასალებს თან ახლავს, ალბათ, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ პრეზიდენტის განცხადება, რომ მის ხელისუფლებაში კორუფცია დამარცხებულია, რეალობას მოკლებულია. მეტიც, ქვეყანაში კორუფციის ფაქტებმა იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ, როგორც თქვენთვის ცნობილია, მასზე საკმაოდ მწვავე შეფასებები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც მოხვდა.

**სოფო გელაშვილი**

**„ერთხელ ადვოკატი რომ შევიდა, ნახა სასტიკად ნაცემი — სახეზე თვალი და ცხვირი აღარ ეტყობოდა, შეიყვანა ის საპყრობილის დირექტორ დავით მარგებაძესთან და სთხოვა, რეაგირება მოეხდინა, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომ კახა სიკვდილის წინ გვეხვეწებოდა, ამ საქმეს საქართველოში არავინ მიხედავს და სტრასბურგში გაასაჩივრეთო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარით“.**

ნაც-ტერორი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა

## პატიმარი, რომელიც ერთი კვირით ადრე იტყობინებოდა, რომ მას მოკლავდნენ, მკვდარია



**26 წლის კახაბერ თედლიაშვილი, რომელმაც ციხეში სამი წელი და სამი თვე გაატარა, 30 აპრილს იქიდან გამოასვენეს. ოფიციალური ვერსიით, მან თავი მარლით ჩამოიხრჩო, მაგრამ საწინააღმდეგოს აცხადებენ მისი ოჯახის წევრები და ასევე საწინააღმდეგოს მეტყველებს ციხიდან გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე გამოგზავნილი წერილები სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძის, სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის, პარლამენტის წევრ ლაშა თორდიასა და ადამიანის უფლებათა დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციისთვის.**

**კახაბერ თედლიაშვილის წერილი, რომლის ადრესატიც სახალხო დამცველი გიორგი ტუღუშია, 2011 წლის 12 აპრილით არის დათარიღებული:**

„2010 წელს, ციხის უსაფრთხოების თანამშრომლების მხრიდან დაიწყო ზეწოლა: „ბოზობ და იმიტომაც დაგიკლეს სასჯელიო“, რაზეც ვუთხარი, რომ არ იყო სწორი ინფორმაცია და შეეძლოთ გადაემოწმებინათ. ამის შემდეგ მითხრეს, რომ უნდა მეთანამშრომლა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელს დამიმატებდნენ და პატიმრებს აჩვენებდნენ წერილებს, რომლებსაც გარეთ „ვაგზავნიდი“ ტილოთი ე.წ. დაჩკაში და ეტყოდნენ, რომ ხალხს ვაჭერინებდი, რითაც სასჯელს ვიკლებდი. როდესაც ვუთხარი უსაფრთხოების თანამშრომლებს, რომ არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ, არავის ვაჭერინებდი და აღნიშნული წერილები ჩემი დაწერილი არ იყო, კვლავ მითხრეს, რომ უნდა მეთანამშრომლა, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილებს წაუკითხავდნენ ჩემს საკანში მყოფ ბიჭებს და მერე მერკვია, ჩემი დაწერილი იყო თუ სხვისი“.

**11 აპრილი, სასჯელაღსრულების მინისტრს, ხათუნა კალმახელიძეს:**

„ციხის უფროსმა ჩემზე კონკრეტულ პატიმრებს უთხრა: **„ყველაზე გამწარებული და გაბოროტებულია, ცალკე თქვენ გიჩივით, ცალკე — ჩვენ. ოჯახები გვყავს გარეთ, მაგისი გაშვება აქედან ცოცხლად არ შეიძლება. აქ არ ჩერდება, ჩივის და გარეთ რას იზამს, თან შეწყალებას ელოდება. ცოტა ხანს არაფერი აგრძნობინოთ და, თუ დეპარტამენტში შემოვიდა მაგის შეწყალების საბუთები, კახაზე ადრე მე მეცოდინება, ჩვენ შეგახვედრებთ და თქვენ იღლიის ქვეშ გაუკეთეთ 10 (ათი) ხაზი წამალი, მარტო ჩხვლეტას გაიგებს და მკვდარს გავაცილებთ ვახტაზეო. დეპარტამენტში და ყველგან საქმის კურსშია ხალხი. დაბლიდან მაღლამდე ყველას ფეხებზე კიდია, გამწვანებულია, დღეს ჩვენ დავგეგმავთ და მიხედეთ, პასუხი არავის მოეთხოვება მაგის დაბრედვაზეო“.** ციხის თანამშრომლებს ვუთხარი: საკნიდან გამიყვანეთ, არ ვარ კარგ ხალხში ცხოვრების ღირსი. ვიცი, ჩემი მოკვლა გინდათ, მაგრამ ხომ ხედავთ, არ მკლავენ, თქვენ მომკალით, ამ ხალხს რას ერჩით და, ვინც არ უნდა მომკლას, თქვენ მაინც არ დარჩებით დაუსჯელები, იმიტომ, რომ ყველაფერი თქვენი ბრალი, თქვენი მოწყობილი იქნება-მეთქი“.

**12 აპრილი, პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს:**

„უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა მიხსენა ჩემი ოჯახის წევრების სახელები, შემეშინდა, ვიფიქრე, პრობლემები არ შეუქმნან ვინმეს-თქო და ვუთხარი, რომ ვითანამშრომლებდი. ამის შემდეგ მითხრეს, დამეწერა, თუ არა და — „ლაპარაკი ჩავიწერე, ბიჭებს მოვასმენინებ და ისინი მოგხედავენო“. შეშინებულმა იძულებით დავწერე, რომ ვითანამშრომლებდი და ამიყვანეს საკანში, შემდეგ დავრეკე მამაჩემთან, ვუთხარი, რომ სხვა ციხეში გადაყვანის საკითხი გაერკვია, რადგან რაღაც უბედურება ტრიალებდა ჩემ თავს. ცოტა ხანში საკანში უსაფრთხოების თანამშრომლებმა ხმა გამივრცელეს, რომ ციხის ადმინისტრაციის აგენტი ვიყავი და ისეთი სიტუაცია შემიქმნეს, საკუთარი მშობელიც არ დამიჯერებდა, რომ სინამდვილეში არავითარი ურთიერთობა არ მქონდა ციხის ადმინისტრაციასთან. გამარჯობასაც კი აღარ ვეუბნებოდი არავის და გარეთ ვითხოვდი შველას, რომ იქნებ სხვა ციხეში გადავეყვანე“.

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ლაშა თორდიას:**

„ვიცი, თუ შემიწყალეს შემახვედრებენ იმ ხალხს, ვინც გადამკიდეს და მათ მოაკვლევინებენ ჩემს თავს. აღნიშნული განცხადების შემდეგ ცალი ფეხი სამარეში მაქვს. **25 რიცხვი რომ ახლოვდება, გული მისკდება, შეწყალებულთა სიაში თუ მოვხვდი, ვიცი, მომკლავენ და ვიღაცა უბედურს დააბრალებენ.** ზემოაღნიშნული ფაქტების გახმაურებამ შეიძლება გადამარჩინოს და შეცვალონ გეგმა. ადრე რომ გამეხმაურებინა ყველაფერი, საკანშიც აღარ შემექმნებოდა პრობლემები. არც გიჟი ვარ და არც მელანდება რამე, რასაც ვწერ, ესე ხდება და ყველას გთხოვთ, შემინარჩუნოთ სიცოცხლე“.

**ამ და მსგავსი შინაარსის მრავალი წერილის მიუხედავად, კახაბერ თედლიაშვილის სიცოცხლე ვერავინ, თუ არავინ, გადაარჩინა. როგორც აღვნიშნეთ, იგი 30 აპრილს გარდაიცვალა. „საქართველო და მსოფლიო“ კახაბერ თედლიაშვილის დედას, ინაზი თედლიაშვილს ესაუბრა:**

— ჩემი შვილი შველას ითხოვდა. თუ სადმე ხელი მიგვიწვდებოდა, ყველას მივმართეთ — კალმახელიძეს, პარლამენტს, ასოციაციებს, ადამიანის უფლებათა დამცველებს; თავადაც ყველგან აგზავნიდა განცხადებებს, ითხოვდა შველას და ეხვეწებოდა ყველას, გადაერჩინათ მისი სიცოცხლე და აეცილებინათ სიკვდილი. **ემუქრებოდნენ დიდი დოზით წამლის გაკეთებით, თუმცა შემდეგ უთხრეს: ერთი ჩხვლეტით სიკვდილის ღირსი შენ არ ხარ, უნდა გაწამოთ და მერე მარლაზე დაგკიდოთო. ზუსტად ასე მოხდა, ის აწამეს და შემდეგ მარლით ჩამოკიდეს.**

**— წამების კვალი ეტყობოდა სხეულზე? სასჯელაღსრულების სამინისტრო აცხადებს, რომ მან თავი მოიკლა.**

— არანაირი თვითმკვლელობა, მტკიცებულებები არსებობს, რომ ერთი თვის წინათ ითხოვდა პატიმარი შველას. 22 აპრილს „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა მასალა სათაურით: „№6 საპყრობილეში მყოფი კახაბერ თედლიაშვილის სიცოცხლეს სიკვდილი ემუქრება“. გვეგონა, ზომებს მიიღებდნენ და კახა გადარჩებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

**— თქვენი ვერსია როგორია, როგორ გარდაიცვალა თქვენი შვილი?**

**— საშინლად ნაწამები იყო. თითები დაჩეჩქვილი ჰქონდა, ზურგზე, საკუთარი თვალით ვნახე, სამგან ჰქონდა ამოგლეჯილი ხორცი, მარჯვენა მკლავი — მოტეხილი (როგორც ჩემთვის ცნობილია), თავზე — კოპები.**

არაერთხელ მივმართეთ საპყრობილის დირექტორს, ციხის ადმინისტრაციას, ვიმუქრებოდი, რომ თავს დავიწვავდი საპყრობილის წინ, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ვერ გადავარჩინეთ.

**— რატომ დაიწყო მის წინააღმდეგ ეს კამპანია?**

— არ ვიცი, ადმინისტრაცია თავიდანვე ძალიან ცუდად ექცეოდა. ცემაში ფეხიც კი მოტეხეს. ცემის ძალიან ბევრი ფაქტი იყო. **ერთხელ ადვოკატი რომ შევიდა, ნახა სასტიკად ნაცემი — სახეზე თვალი და ცხვირი აღარ ეტყობოდა, შეიყვანა ის საპყრობილის დირექტორ დავით მარგებაძესთან და სთხოვა, რეაგირება მოეხდინა, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.** ამიტომ კახა სიკვდილის წინ გვეხვეწებოდა, ამ საქმეს საქართველოში არავინ მიხედავს და სტრასბურგში გაასაჩივრეთო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარით. **ბოლოს საკუთარი ყურით მოისმინა, რომ შაბათს ან კვირას უნდა მოეკლათ, მე ადმინისტრაციაში დავრეკე, თავის დაწვით დავიმუქრე, თუ მას მოკლავდნენ. ერთი კვირა აცოცხლეს, მეორე კვირას კი მოკლეს წამებით.** 30-ში დილით, როცა შემოწმებაზე შესულან, როგორც ამბობენ, ცოცხალი იყო, დაახლოებით 10:30-ზე მოკლეს, როგორც ჩემთვის არის ცნობილი. ასევე ვიცით, რომ პარასკევს ღამით, ანუ 29-ში სასტიკად აწამეს. ამბობდა, რომ დასადამბლავებელ წამლებს ასმევდნენ, რომ ძალა გამოცლოდა, რადგან ძალიან ღონიერი იყო და ადვილად უმკლავდებოდა და იგერიებდა თავდამსხმელებს.

**— მის წერილებში დასახელებულია გვარებიც.**

— ერთი, ვის გვარსაც ასახელებდა, ციხის უშიშროების წარმომადგენელი ჯონი რამიშვილია, რომელსაც ზეწოლაში ადანაშაულებდა.

**— პატიმრებთანაც ჰქონდა მას დაპირისპირება, როგორც წერილებიდან ირკვევა.**

— იმიტომ, რომ ჩვენთან შესახვედრად როცა გამოდიოდა, პატიმრებს ეუბნებოდნენ, თითქოს „ნასედკა“ იყო და ინფორმაციები გამოჰქონდა, მაგრამ ეს იყო სრული აბსურდი. ჩემმა შვილმა სიცოცხლე შესწირა კაცობას, ვერ ათანამშრომლეს და სწორედ ამიტომ გადაეკიდნენ. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ადვოკატი აგრძელებს მუშაობას, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მომხდარა, რადგან ეს დაგეგმილი და შეკვეთილი იყო მაღალჩინოსნების მიერ, თორემ ასე ადამიანებს ვერ ხოცავენ ციხეში. მას ხომ პირდაპირ ეუბნებოდნენ ამას. საშინელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის ქვეშ იყო, ოჯახის წევრებზე, მათ შორის — 7 წლის ინვალიდ შვილზე ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. ყველაფერს უკეთებდნენ, რომ მოეკლათ, რადგან პირდაპირ უთხრეს: შენ ისე გვყავხარ გამწარებული, ჩვენ ოჯახები გვაქვს და გარეთ შენი ცოცხლად გაშვება არ შეიძლებაო.

**ყველა პატიმრის დედას მინდა ვთხოვო, გამოფხიზლდნენ, ნუ დაახოცინებენ შვილებს ამ ხალხს, გაუფრთხილდნენ მათ სიცოცხლეს. ყველა მშობელმა ამოიღოს ხმა, გამოვიდნენ, ნუ შეუშინდებიან ამ მთავრობას.** უდანაშაულოდ მომიკლეს 26 წლის შვილი. 22 აპრილს გავაფრთხილეთ ხელისუფლება, რომ №6 საპყრობილეში მჯდომი კახაბერ თედლიაშვილს ემუქრებოდა სიკვდილის საფრთხე. არავინ გამოგვეხმაურა. ბოლო 4 თვის განმავლობაში 10-ჯერ, 15-ჯერ ვართ შესული დავით მარგებაძესთან. თუ შეკვეთა არ მოდის ციხის დირექტორისგან, ადმინისტრაცია მას ვერ მოკლავდა. ჩვენ გაჩუმებას არ ვაპირებთ, ყველას მოვთხოვთ პასუხს კახას მკვლელობისთვისაც და იმისთვისაც, რომ, მიუხედავად გაფრთხილებებისა, ზომები არ მიიღეს მისი მკვლელობის თავიდან ასაცილებლად. ასევე ვაპირებთ სტრასბურგში ამ საქმის გასაჩივრებას.

**სოფო გელაშვილი**

# წერილი ციხიდან

## ქ. რუსთავის №17 დაწესებულების მსჯავრდებული, რუდიკ ოვაკიმიანი:

მოგახსენებთ, რომ 2011 წლის თებერვლის თვიდან დღემდე ვარ მძიმე მდგომარეობაში ჯანმრთელობის მხრივ. მაქვს სისუსტე, ოფლიანობა, მკვეთრად დავიკელი წონაში. არაერთხელ ჩამიტარდა ამათი ე.წ. ვითომდა „მკურნალობა“, რამაც შედეგი არ გამოიღო და დღემდე დიაგნოზი, თუ რატომ ვიმყოფები ამ მდგომარეობაში — მთავარმა ექიმმა და აქაურმა პერსონალმა ვერ დაადგინა.

2011 წლის 14 აპრილს, გამოკვლევის მიზნით სპეცეტაპით ვიქენი გადაყვანილი გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში, ე.წ. „რესბალნიცაზე“. ჩასვლისთანავე მკითხეს ვარ თუ არა ოვაკიმიანი, რომელიც ვუჩივივარ ახალაიას და მის „ზონდერბრიგადებს“. დამიწყეს დამამცირებელი, ცინიკური საუბარი, რის შემდეგ შემიყვანეს მთავარ მიმღებში, სადაც დამხვდნენ თეთრხალათიანი „ჯალათები“, რომლებიც შემდეგ გავარკვიე — ყოფილან ექიმები. მთავარმა ექიმმა შემოსვლისთანავე ანალოგიური შეკითხვით მომმართა: მე ვიყავი თუ არა ოვაკიმიანი. ჩემგან როგორც კი მიიღო დადებითი პასუხი, აგრეთვე დამამცირებლად და ირონიულად მიმართა ექიმებს, რომ ჩაეტარებინათ გამოკვლევა, რის შედეგადაც დაიწყეს „კვლევა“. მოკლედ განსხვავებული იქ არაფერი ჩატარებულა, ადგილობრივი ზონის სამედიცინო პუნქტთან განსხვავებით, თუ არ ჩავთვლით სისხლის ანალიზს, რომლის პასუხიც დღემდე არ მოუხსენებიათ.

„გამოკვლევა“ არც დაუმთავრებიათ, რომ დაიდგა შემდეგი პროვოკაცია: კერძოდ ექიმებმა დაიწყეს ჩემთვის გაურკვეველი მიზეზის გამო ყვირილი და დამცირება, თუ რატომ მიათრევენ ჩემნაირ პატიმრებს ამ დაწესებულებაში. აღნიშნულ წივილ-კივილზე შემოვარდა უსაფრთხოების უფროსი გიორგი ავსაჯანაშვილი თავის „ზონდერებთან“ ერთად. შემიყვანეს რენტგენის ოთახში და დამიწყეს გინება. იწევდა დასარტყმელად და მემუქრებოდა სიცოცხლის ხელყოფით, ხოლო ის „კატაფალკა“, რომელიც ჩემი მოყვანის დროს მივიდა, ალბათ მიცვალებულის წასასვენებლად, რომ გამაყოლებდა მორგის გავლით იმ „კატაფალკას“. ამის შემდეგ თქვა: წაათრიეთ აქედან ამის მომჩივანი სტრასბურგელი... და შეიგინა, რის შემდეგაც ჩამაგდეს „ვარონკაში“ და დამაბრუნეს რუსთავის №17 დაწესებულებაში, სადაც გაოგნებულ მდგომარეობაში დამხვდა მთავარი ექიმი და მკითხა თუ ასე სწრაფად როგორ ჩამიტარდა გამოკვლევა. რის შემდეგ ნახა სამედიცინო ბარათი, სადაც უნდა ყოფილიყო კვლევის შედეგები, ახალი იქ არაფერი იყო, რითაც შეიძლებოდა ჩემი მკურნალობის დაწყება, თუმცა რა უნდა ყოფილიყო: მე ხომ იქ „გინებათერაპიის“ და „კატაფალკათერაპიის“ შეპირების მეტი არაფერი ჩამიტარებია.

დღემდე ვარ ფიზიკურად გაუსაძლის მდგომარეობაში, ყოველ დღე მისინჯავენ სიცხეს და მიკეთებენ ანალგინ-დიმედროლს. ეს არის იმ ყველაფერის შედეგი, რასაც ბაჩუკი ახალაია შეგვპირდა, რომ თუ საჩივარს არ გამოვიტანდით **(იგულისხმება საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში — რედ.)** მოვკვდებოდით ნელი სიკვდილით. მოვითხოვ აღნიშნულზე სასწრაფოდ რეაგირებას და ძიების დაწყებას.

**27 აპრილი, 2011 წელი“**

**(წერილი მოგვაწოდა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო ანდრიაშვილმა).**

**სტილი დაცულია**

ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მერაბ რატიშვილი პოლიტპატიმრად რამდენიმე საანგარიშო მოხსენებასა და დასკვნაშია დასახელებული: კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 და 2010 წლების საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშებში; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) მიერ 2009 წელს შემუშავებულ დასკვნაში; სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშში; არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ანგარიშში; 2009 წლის 23 იანვარს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ დამტკიცებულ გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შემუშავებულ დასკვნაში.**

# პოლიტპატიმარ მერაბ რატიშვილის წიგნის დაბეჭდვაზე სტამბებმა უარი თქვეს

**ცოტა ხნის წინათ „ლიტერატურულ კაფეში“ მერაბ რატიშვილის ისტორიულ-პოლიტიკური რომანის — „ჯულას“ პრეზენტაცია გაიმართა. ეს პრეზენტაცია განსხვავებული, ალბათ, იმით იყო, რომ მას ავტორი ვერ დაესწრო. მერაბ რატიშვილი პოლიტპატიმარია და წიგნიც ციხეში დაწერა.**

**ეკონომისტი, ფინანსისტი, საერთაშორისო სამართლის იურისტი და პოლიტოლოგი მერაბ რატიშვილი წლების განმავლობაში ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას ენერგეტიკისა და ფინანსურ სფეროში. მუშაობდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, დსთ-ის აღმასრულებელ სამდივნოში. 1999 წლიდან იყო „ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის“ პრეზიდენტი. 2004 წელს ხელისუფლების თხოვნითა და ინიციატივით დაბრუნდა საცხოვრებლად საქართველოში. დააარსა საქართველოს გოლფის ეროვნული ასოციაცია.**

**არის რამდენიმე ეკონომიკური პროექტის ავტორი.**

**ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.**

**მერაბ რატიშვილი ერთ დროს ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი გახლდათ და ქვეყნის მესაჭეთა კეთილგანწყობითაც სარგებლობდა, მაგრამ ამქვეყნად მუდმივი არაფერია და მათ შორის, — არც „სამეფო კარის“ კეთილგანწყობა. 2007 წლის 26 ოქტომბერს მერაბ რატიშვილი ნარკოტიკების შენახვა-გასაღება-მოხმარებისთვის დააპატიმრეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.**

**ამჟამად ის რუსთავის №6 საპყრობილეში იმყოფება.**

**მერაბ რატიშვილის საქმეში დღემდე ბევრი ბუნდოვანი სამხილია, რომელთა გარკვევა და დაზუსტება სასამართლოს არც რატიშვილის გასამართლების დროს უცდია და არც მას შემდეგ.**

**ახალი წიგნის თაობაზე და, საერთოდ, უასამართლოდ დაპატიმრებული ადამიანის ოჯახის წევრების ცხოვრებაზე მერაბ რატიშვილის მეუღლე, ეკა ჯიხვაშვილი გვესაუბრება.**





## ეკა ჯიხვაშვილი:

## მერაბის ჩხრეკა-დაკავება-გასამართლებაში უამრავი დარღვევაა, რასაც, დარწმუნებული ვარ, სტრასბურგის სასამართლო გაითვალისწინებს

**— ქალბატონო ეკა, აპრილის ბოლოს თქვენი მეუღლის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. რამდენად ადვილი იყო მისი გამოცემა და რაზეა იგი?**

**— წიგნის დაწერას მერაბმა უფრო ცოტა დრო მოანდომა, ვიდრე ჩვენ — მის გამოცემას. რამდენიმე გამომცემლობამ დაბეჭდვაზე უარი გვითხრა ავტორის გამო, რამდენიმემ კი — შინაარსის გაცნობის შემდეგ. ბოლოს ერთი ღვთისნიერი ადამიანი გამოჩნდა და შევძელით წიგნის გამოცემა.**

რაც შეეხება წიგნის შინაარს: ბევრს ეგონა, რომ მერაბ რატიშვილის წიგნი ციხის ცხოვრებასა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არაა. „ჯულა“ მძაფრსიუჟეტიანი, ისტორიულ-პოლიტიკური რომანია. რომანში ასახული მოვლენები საქართველოში, მოსკოვსა და შვეიცარიაში ვითარდება.

რომანს ორი მთავარი მოქმედი გმირი ჰყავს — **ალექსანდრე ჯულა**, სტალინის უკანონო შვილი, საიდუმლოებით მოცული გენერალი, რომელიც რუსეთიდან იძულებით შვეიცარიაში გადადის და მსოფლიო მართვის სადავეებს აკონტროლებს, და **ილია**, ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც თავგადასავლებისა და საიდუმლოებების ამოხსნის ძიებაშია. „ჯულა“ უკვე იყიდება წიგნის მაღაზიებში. მალე ის რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა და საზღვარგარეთაც გაიყიდება.

**— რა ეტაპზეა დღეს თქვენი მეუღლის საქმე, განაგრძობთ თუ არა ბრძოლას მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად?**

— საქართველოში ბრძოლას უკვე მოვრჩით. არც ერთმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის დეტალები, რომელთა ნიადაგზეც შეიძლებოდა მერაბის უდანაშაულობის დამტკიცება. ახლა სტრასბურგის სასამართლოში გვაქვს გაგზავნილი ეს საქმე. მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, სანამ სტრასბურგის სასამართლო საქმის განხილვას დაიწყებს. ამ ეტაპზე რეგისტრაციის ნომრით განსაზღვრულ რიგს ველოდებით.

არაერთხელ მივმართეთ საერთაშორისო სამართალდამცავ და უფლებადამცველ ორგანიზაციებს. ვფიქრობ, სწორედ ამის შედეგია ის, რომ 18 აპრილს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა თომას ჰამარბერგმა საკუთარი ინიციატივით მოინახულა მერაბი საპატიმროში, რისთვისაც პირადად შევხვდი და მადლობაც გადავუხადე. მანამდე ასეთი პრეცენდენტი არ ყოფილა, ბატონი ჰამარბერგი ქართულ ციხეში პატიმრების სანახავად არ დადის. საუბარი ჰქონდათ ყველა იმ საკითხზე, რაც მერაბის დაპატიმრებას უკავშირდება — მიზეზებზე, დაკავების პროცესში თუ სამართალწარმოების დროს არსებულ დარღვევებზე. ვერ ვიტყვი, რომ მისი შესვლის შემდეგ მერაბს კარს გაუღებენ და გარეთ გამოუშვებენ, მაგრამ გაგრძელდება მოთხოვნა მერაბ რატიშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

საკმაოდ კრიტიკული იყო ბატონი ჰამარბერგის შეფასებებიც, რომ საქართველოში არის შერჩევითი მართლმსაჯულება, კორუფცია მაღალ ეშელონებში, გამოუძიებელი დანაშაულები. ეს არ უნდა დარჩეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილ სიტყვებად. ეს ყველაფერი არა მხოლოდ ხელისუფლებამ, თავად საზოგადოებამ უნდა გაიაზროს. უნდა მიხვდეს ყველა, თუ როგორ რეალობაში გვიწევს ცხოვრება.

**— განაჩენი თქვენს მეუღლეს ნარკოტიკების შენახვა-გასაღებისა და მოხმარებისთვის გამოუტანეს, ასევე ბრალად დებდნენ ჯაშუშობასაც. სინამდვილეში რისთვის დააპატიმრეს?**

— ვფიქრობ, მთავარი მიზეზი იყო ის, რომ 2007 წლის ოქტომბერში, თბილისში დაწყებული აქციების დროს, მერაბი ფინანსურად ეხმარებოდა ოპოზიციას. ამ ხელისუფლებამ მერაბი გაწირა. მაგრამ მარტო ის არ არის უკანონოდ ციხეში. სხვებიც დააპატიმრეს იმის გამო, რომ ხელისუფლებას არ ეთანხმებოდნენ. გარკვეულწილად ისიც მაძლევს ძალას, რომ ამ მდგომარეობაში მარტო არ ვარ.

მერაბის ნარკოტიკებთან კავშირი აბსურდია. ის პიჯაკი, რომელშიც 8 გრამი მეტადონი „ამოაჩინეს“, ნახევარი საათის წინ თავად დავაუთოვე. გარდა ამისა, ვიცოდით, რომ მერაბსა და ჩვენს ოჯახს უთვალთვალებდნენ. ველოდით იმასაც, რომ, შესაძლოა, სახლის გაჩხრეკა მოეთხოვათ. როგორ ფიქრობთ, ადამიანი, რომელიც ელოდება, რომ გაჩხრეკენ, და რომელმაც იცის, რომ გამუდმებით უთვალთვალებენ, ნარკოტიკებს და შპრიცს შეინახავდა მანქანაში ან სახლში?!

საქმეს ისე „კერავენ“, რომ დიდი ძალისხმევა არ სჭირდება მათ მიერ განხორციელებული დარღვევების დანახვას. არ ვიცი, ეს მათი არაპროფესიონალიზმის ბრალია თუ „გაგვდის და ვაკეთებთ“ დევიზის შედეგი. ფაქტია, რომ მერაბის ჩხრეკა-დაკავება-გასამართლებაში უამრავი დარღვევაა, რასაც, დარწმუნებული ვარ, სტრასბურგის სასამართლო გაითვალისწინებს.



**მერაბ რატიშვილი ერთ დროს ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი გახლდათ და ქვეყნის მესაჭეთა კეთილგანწყობითაც სარგებლობდა**

**— თქვენს მეუღლეზე საპატიმროში ხომ არ ხორციელდებოდა ზეწოლა?**

— თავიდან, რა თქმა უნდა, დიდი ზეწოლა იყო. მერაბისგან მოითხოვდნენ აღიარებით ჩვენებას, გათავისუფლების სანაცვლოდ — ჯაშუშური ქსელის დასახელებას, ოპოზიციონერების „ჩაშვებას“. 11-ჯერ გამოუცვალეს საკანი. ხან სად გადაჰყავდათ, ხან — სად. ყველა ციხე მოატარეს. თავდაპირველად ორთაჭალის მე-5 საპყრობილეში ჩასვეს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული. შეიყვანეს საკანში, სადაც 20 ნარი იდგა და 120 პატიმარი იყო. გაუსაძლის, არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ. მერაბი იყო ბოლო პატიმარი, ვინც მე-5 საპყრობილიდან გამოიყვანეს. ციხეს ანგრევდნენ. პატიმრები გადაყვანილი ჰყავდათ, მერაბს კი იქ ტოვებდნენ. ვიცი, რომ მე ყველაფერს არ მეუბნებოდა, რომ არ მენერვიულა. მერაბი ძლიერი პიროვნებაა და ამ ყველაფერს გაუძლო. ვერ აღიარებდა იმ დანაშაულს, რაც მას არ ჩაუდენია, და ვერც ვერავის დაადებდა ხელს, რადგან არანაირი ჯაშუშური ქსელის შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია.

**— თქვენმა მეუღლემ დაპატიმრებამდე გოლფის ასოციაცია ჩამოაყალიბა. მისი პრეზიდენტიც თავად იყო. რამდენადაც ვიცი, საქართველოში გოლფის განვითარების სერიოზული გეგმები ჰქონდა, რა ბედი ეწია ამ საქმეს?**

**— მერაბის დაპატიმრების შემდეგ მიწა, რომელზეც გოლფის ინფრასტრუქტურის განვითარებას აპირებდა, ჩამოგვართვეს. 50 ჰექტარი მიწა იმ მიზეზით დაგვიყადაღა სახელმწიფომ, რომ იმ ადამიანს, ვისგანაც ჩვენ ეს მიწა 40 წლის ვადით იჯარით ავიღეთ, თავის დროზე სახელმწიფოსგან არაკანონიერად ჰქონდა გაფორმებული. ამ საქმეზეც სტრასბურგში გვაქვს გაგზავნილი სარჩელი.**

როდესაც მერაბი დააპატიმრეს, უთხრეს, ამდენი ხანია, წვალობ და გოლფის კლუბის გაკეთებას თავი ვერ მოაბი, დაადე ამა და ამ ოპოზიციონერს ხელი, რომ რუსეთის ჯაშუშია და ერთ წელიწადში გოლფის კლუბი გექნებაო. ამ შემთხვევაში რამდენიმე ათეულ მილიონზე იყო ლაპარაკი, რადგან მერაბს ამ მიწაზე მხოლოდ მოედნის კი არა, ინფრასტრუქტურის, სასტუმროსა და კოტეჯების აშენება ჰქონდა განზრახული. მერაბი, რა თქმა უნდა, ამას არ გააკეთებდა და, რაც ჰქონდა, ისიც ჩამოართვეს. ვერაფრით რომ ვერ გატეხეს, შური ამით იძიეს.

**— თქვენს მეუღლეს საერთაშორისო ორგანიზაციები ოფიციალურად თუ აღიარებენ პოლიტპატიმრად?**

— მერაბი პოლიტპატიმრად რამდენიმე საანგარიშო მოხსენებასა და დასკვნაშია დასახელებული: კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 და 2010 წლების საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშებში; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) მიერ 2009 წელს შემუშავებულ დასკვნაში; სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშში; არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ანგარიშში; 2009 წლის 23 იანვარს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ დამტკიცებულ გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შემუშავებულ დასკვნაში.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

ნაც-რეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სხვათა შორის, სააკაშვილმა თავისი მთავრობის წევრი დელფინს შემთხვევით არ შეადარა. არსებობს დელფინთა ოჯახის წევრი ძუძუმწოვარი, ე.წ. მკვლელი ვეშაპი (KILLER WHALE). ვეშაპი მისი დიდი ზომის გამო უწოდეს, ქართულად სამეცნიერო ენაზე კი „ცელნამგალა ვეშაპი“ ჰქვია ზედა ფარფლის მოხაზულობის გამო. ისე, დელფინთა ოჯახს მიეკუთვნება და ძალიან გონიერია. გასაოცარი მონადირეა — დიდი ზომების მიუხედავად, მას ნაპირზე მდგომი მსხვერპლის მონადირებაც კი შეუძლია. წვრთნას ექვემდებარება, მაგრამ ეგ არის, რომ არაპროგნოზირებადია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც შუა ჩვენების დროს, მწვრთნელი შეუჭამია. აი, თურმე რატომ გააფრთხილა სააკაშვილმა თავისი ქვეშევრდომები, — ვერონიკას უფრთხილდითო.**

# სააკაშვილის მთავრობის ცელნამგალა მინისტრი

**11 მაისი არც ისე მნიშვნელოვანი თარიღი იქნებოდა, რომ არა ვაჭრობის ღმერთის — მერკურის „პატივსაცემად“ გამართულ ეროვნული ბიზნესდაჯილდოება „მერკური 2011“-ის ცერემონიალზე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სიტყვით რომ არ გამოსულიყო და მისთვის ჩვეული შეგონებებით არ დავემოძღვრეთ. მისი „რიტორიკა“ და „ორატორული ნიჭი“ საქვეყნოდ ცნობილია, „ბრძნული გამონათქვამები“ კი — განსაკუთრებით. სააკაშვილს ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევია.**

ეროვნული ბიზნესდაჯილდოება „მერკური 2011“



ვერა ქობალია



## ნომინაცია „წლის სენსაცია“ – ვერონიკას კბილები

ცერემონიალზე გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა, უპირველესად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია შეაქო ბიზნესდაჯილდოება „მერკური 2011“-ის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და სამინისტროს მუშაობაში მიღწეული წარმატებისთვის. სააკაშვილის შეფასებით, **„ვერა ქობალიამ მთელი სამინისტრო გამოაცოცხლა და დაწყებული კარისკაციდან, სამდივნოთი დამთავრებული ახალი ხალხი მუშაობს. და რაც მთავარია, სამინისტროში საქმიანი განწყობაა“.** მაგრამ რატომღაც პრეზიდენტს დაავიწყდა, ეთქვა იმ „ახალი ხალხის“, ანუ ვერონიკას მიერ თავისი ნაცნობმეგობრების სამინისტროში დასაქმება სამინისტროს ეფექტურ მუშაობას, მითუმეტეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, არ ნიშნავს. აკი თვითონვე აღიარა, რომ **„სინამდვილეში, ჩვენ ვართ ძალიან ჩამორჩენილნი ცხოვრებას, გვაქვს ბევრი რამ ასაწევი და ამოსაქაჩი და ვართ ჯერჯერობით ძალიან ღარიბი ქვეყანა“. მაშინ გაუგებარია, რის საფუძველზე დაიმსახურა ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა პრეზიდენტისგან საჯარო მადლობა?!**

„მერკური 2011“-ის ცერემონიალი სხვა კურიოზული სიტუაციითაც გახდა მნიშვნელოვანი. მაგალითად იმით, რომ **მინისტრი ვერონიკა პრეზიდენტმა დიდკბილებიანად გამოაცხადა.** როგორც სააკაშვილმა განაცხადა, **„მე თავიდანვე ვაფრთხილებდი ყველას, არ მოტყუებულიყვნენ ვერა ქობალიას სანდომიანი გარეგნობით, რადგან მას კბილები აქვს იმაზე დიდი, ვიდრე, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, დელფინს, რომელსაც პრეზიდენტმა ხახაში ჩაუყო თავი“.**

არ ვიცი, ქალბატონმა მინისტრმა თავისი „დიდი“ კბილებით პრეზიდენტს თავი როგორ დაამახსოვრა, მაგრამ პრეზიდენტი თავიდანვე **ვერონიკა ვანკუვერელის** სანდომიანი გარეგნობით რომ იყო მოხიბლული, ქართულ საზოგადოებას ეჭვი არ შეჰპარვია. „მცირე მეწარმე“ ვერა ქობალიას ეგზოტიკური ღიმილი და მოციმციმე თვალები — განუმეორებელი კანადური შარმით, ჩვენი ტურისტი პრეზიდენტის ყურადღების მიღმა რომ არ დარჩებოდა, ცხადზე ცხადია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, **„მეპურე“ ვერონიკას, მთელ ამ ღირსებებთან ერთად, ბევრი სხვა რამეც ჰქონია, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, პრეზიდენტისგან განსხვავებით, ვერ შევამჩნიეთ და არ გვინახავს, მაგალითად... დიდი კბილები.**

**სხვათა შორის, სააკაშვილმა თავისი მთავრობის წევრი დელფინს შემთხვევით არ შეადარა. არსებობს დელფინთა ოჯახის წევრი ძუძუმწოვარი, ე.წ. მკვლელი ვეშაპი (killer whale). ვეშაპი მისი დიდი ზომის გამო უწოდეს, ქართულად სამეცნიერო ენაზე კი „ცელნამგალა ვეშაპი“ ჰქვია ზედა ფარფლის მოხაზულობის გამო. ისე, დელფინთა ოჯახს მიეკუთვნება და ძალიან გონიერია. გასაოცარი მონადირეა — დიდი ზომების მიუხედავად, მას ნაპირზე მდგომი მსხვერპლის მონადირებაც კი შეუძლია. წვრთნას ექვემდებარება, მაგრამ ეგ არის, რომ არაპროგნოზირებადია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც შუა ჩვენების დროს, მწვრთნელი შეუჭამია. აი, თურმე რატომ გააფრთხილა სააკაშვილმა თავისი ქვეშევრდომები, — ვერონიკას უფრთხილდითო.**

## „დაუშვებლად ღარიბი ქვეყნის“ პრეზიდენტი

**„ჩვენ ჯერ კიდევ დაუშვებლად ღარიბები ვართ,“** — განაცხადა პრეზიდენტმა „მერკური 2011“-ის ცერემონიალზე გამოსვლისას. შესაშური გულწრფელობაა. მაგრამ ჩნდება კითხვა: **ვისი ბრალია, რომ ღარიბები ვართ — დიდკბილებიანი ვერა ქობალიასი თუ „დემოკრატიის შუქურა“ და „რეფორმატორი“ პრეზიდენტის?**

ვფიქრობ, ორივესი, რადგან პრეზიდენტისთვის ეკონომიკური წარმატება მხოლოდ რამდენიმე მილიონად ღირებულ უცხოური პრესის სარეკლამო გვერდებზე გამოქვეყნებულ სტატიებში საქართველოს „ნომერ პირველ რეფორმატორად“ მოხსენიებაა, რათა შემდეგ საზოგადოება ხელისუფლების ეფექტურ მუშაობასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დააჯეროს. არა, ბატონო პრეზიდენტო! საზოგადოებას ასე ადვილად ვერ მოატყუებ, რადგან, თუ ხალხს ჯიბეში ფული არ აქვს, ესე იგი საქართველოს ეკონომიკაც არ არსებობს. და თუ ეკონომიკა არ არსებობს, მაშინ ეკონომიკის მინისტრი, თავისი ამფსონებით, რაში გვჭირდება?

**მინისტრი ვერა ქობალია კი გვარწმუნებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული დარგი ტურიზმია, რომელიც აუცილებლად აგვაყვავებს, მაგრამ როგორ და რანაირად მოხდება ეგ ამბავი, ჯერ უცნობია. როგორც ჩანს, მინისტრი ვერონიკა საქართველოში ტურისტადაა ჩამოსული და, სანამ აქ ისვენებს, წაიმინისტრებს, შემდეგ კი ვანკუვერის მშობლიურ პურსაცხობს დაუბრუნდება, საქართველო კი დაქცეული ეკონომიკითა და დამშეული საზოგადოებით ტურისტებისთვის მიმზიდველი ნამდვილად არ იქნება.**





ზოგს რა ბედი აქვს?!

ტურიზმის განვითარება თუ როგორ „აგვაყვავებს“, კარგად გამოჩნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ კვარტალურ დოკუმენტში, სადაც წერია, რომ **საქართველოში კერძო საკუთრების უფლება ძლიერ არის დარღვეული და მთავრობის მიერ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით კერძო საკუთრების ხელყოფის შემთხვევები ხშირია... და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის პროცედურა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობს.**

ეს უკანონობა ხდება მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლების დეკლარირებული აქვს, რომ საქართველო არის ლიბერალური ეკონომიკის ქვეყანა. ლიბერალური ეკონომიკის საფუძველი ხომ კერძო საკუთრებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება. თუმცა, როგორც ჩანს, ლიბერალიზმის ეს აქსიომა ვერონიკას დიდ კბილებს შეეწირა ან პრეზიდენტის „დემოკრატიული შუქურის“ სხივებმა დააჭკნო.

## პრეზიდენტობის მუდმივა

„მერკური 2011“-ის ცერემონიალზე გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა: **„ეს მთავრობა ხელისუფლებაში 7 წელზე ნაკლებია. ეს დრო არაფერი არ არის, ისტორიული თვალსაზრისით. მენტალიტეტის გამოსაცვლელად საჭიროა, რომ ის მთლიანად გამოიცვალოს ყველა დონეზე. ვფიქრობ, 15-20 წელიწადი არის მინიმალური ვადა იმისათვის, რომ შევიცვალოთ და შეუქცევადად დავადგეთ მდიდარი ქვეყნის გზას“.**

როგორც აღმოჩნდა „დაუშვებლად ღარიბი ქვეყნის“ პრეზიდენტს „რეფორმების“ გასატარებლად და საქართველოს მდიდარ ქვეყნად გადასაქცევად კონსტიტუციით განსაზღვრული ვადა არ ჰყოფნის და თავისი ახალი მეგობრის, „ევროპის უკანასკნელ დიქტატორ“ ლუკაშენკოს მსგავსად, სურვილი აქვს, მუდმივად იყოს ხელისუფლების სათავეში. არცაა გასაკვირი, რომ ავტორიტარიზმის მშენებლობის პროცესი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს სისრულეში მოჰყავს, ძალაუფლების შენარჩუნებას უფრო დიდხანს ისახავდეს მიზნად, ვიდრე კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.

პრეზიდენტს იმის სურვილი — დარჩეს ხელისუფლების სათავეში ვადის ამოწურვის შემდეგაც, პირველად არ გამოუთქვამს. ჯერ კიდევ პარლამენტში ბოლო გამოსვლისას გეგმებს 2015 წლამდე აწყობდა: **„ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს გრძელვადიანი გეგმის მიხედვით. 2015 წელი არის ამ გეგმის პირველი შედეგების შემაჯამებელი წელი“.**

**სააკაშვილის ეს სურვილი ოპოზიციისა და საზოგადოების აშკარა გამოწვევაა, მითუმეტეს ქართულ პოლიტიკაში არსებული რადიკალური განწყობების ფონზე, თუმცა, როგორც ჩანს, პრეზიდენტს საზოგადოებისა და ოპოზიციის აზრი დიდად არ ანაღვლებს.**

ცალკე მსჯელობის თემაა, თუ რას გულისხმობს პრეზიდენტი მენტალიტეტის ცვლილებაში. თუკი სააკაშვილის მიზანი ჩვენი „ჩამორჩენილი მენტალიტეტის“ ევროპული (დასავლური) მენტალიტეტით ჩანაცვლებაა, მაშინ რატომღაც ამ ცვლილების პროცესში მას „ავიწყდება“ ევროპული მენტალიტეტისა და ცივილიზაციის უმთავრესი ღირებულებები, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, შრომის უფლება, სოციალურად დაცულ გარემოში ცხოვრების უფლება, განათლების მიღების შესაძლებლობა, გამოხატვის თავისუფლება და ა.შ.

როცა სააკაშვილი ამბობს: „მენტალიტეტის სრულად გამოსაცვლელად საჭიროა სულ მცირე 15-20 წელიწადი“-ო, მაშინ ცოტა გაუგებარია, რატომ ცდილობს პრეზიდენტი მენტალიტეტის ცვლილება მის მიერ განსაზღვრულ ვადებში მოაქციოს. როგორც ცნობილია, მენტალიტეტის (ლათ. მენტს — გონება, აზროვნება) ცვლილება ცოცხალი, დინამიური პროცესია და ის თანდათანობით იცვლება გარემო პირობების ცვლილებასთან ერთად. თუმცა მისი განსაზღვრულ ვადებში მოქცევა დიდი უაზრობაა. მაგრამ, **თუ სააკაშვილი მენტალიტეტის ცვლილებას ხელისუფლების ცვლილებასთან აიგივებს და ცდილობს, საზოგადოება შეაგუოს მისი ხელისუფლებაში მუდმივად დარჩენის აზრს, მაშინ ყველაფერი „გასაგები“ ხდება.**

**ზურაბ ჯამბურია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**უმრავლესობის წარმომადგენლებს მინდა ვურჩიო, რომ ნამდვილად არ ღირს ცხოვრება იმად, პიროზითად, ერთდღიან კეთილდღეობას საკუთარი ხალხი შესწირონ. ბევრი ვიცი, მთავრობაში ცალ-ცალი კალოშით მოსული, ახლა მილიონერები რომ არიან. თუ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსასწორებლად ზრუნვას ისინიც არ დაიწყებენ, თუ ერთსულოვნებას არ გამოიჩენენ და საკუთარ ხალხს მხარს არ დაუჭერენ, მაშინ ყველას გვერდზე დარჩება ნაგროვები ქონება, — უმცირესობასაც და უმრავლესობასაც.**

### კარლო კოპალიანი:

# 21 მაისს აქციას «რვიანიდან» რამდენიმე პარტია შეუერთდება

**მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, დღესაც ნიღბით ჩნდება საზოგადოების წინაშე (თითქოს არაფერი ხდება), მოსახლეობა და ოპოზიციური სპექტრი წინა „სააქციო" მზადებაში არიან. თუ რა ალტერნატიულ გზებს სახავს და როგორ აფასებს საკუთარ კოლეგებს — უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს, ასევე ოპოზიციური სპექტრის „დიპლომატიურ" ფრთას — „რვიანს" პარლამენტარი და „საერთო სახალხო კრების" სათათბიროს წევრი კარლო კოპალიანი, ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.**



— დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ ქართველებს მოცდის დრო არ გვაქვს, ფაქტობრივად, საქართველოს ვკარგავთ, ქართული მენტალობა და ტრადიციები ხელიდან გვეცლება. რა დროს პარტიებს შორის დაპირისპირება და საქმეების გარჩევაა, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა. რა დროს პირველობასა და ლიდერობაზე საუბარია, როცა ქვეყნის პრეზიდენტი დღეს ახალი მენტალიტეტის ქართველის ჩამოყალიბებაზე საუბრობს და დირექტივებს აძლევს მექანიზატორებს: თუ ქართველმა გლეხმა მიწის გასხვისებაზე პრეტენზია გამოთქვა და მიწის მფობელი ინდოელები, ჩინელები, არაბები მიწის დამუშავებისას დააბრკოლა, ტრაქტორით გადაუარეთო. ამ კაცის გადაყენებაა საშური საქმე და არ არსებობს ამაზე მნიშვნელოვანი რამ.

ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე თქვა, ფრთხილად, ქართველებო, დადგება დრო, საქართველოში მტერი ხმლითა და ზარბაზნით კი არა, ცოდნითა და იდეებით შემოვა; თუ ქართველები საკუთარი ცოდნითა და ძლიერი მენტალობით არ დახვდებით, ისე გამოგაცლიან ხელიდან სამშობლოს, სახტად დარჩებითო. ეს დრო უკვე დადგა.

— **ბატონო კარლო, როგორ შეაფასებთ „რვიანის" პოზიციას?**

**ხალხთან ერთად ქუჩაში მანამ უნდა ვიდგეთ, ვიდრე ხელისუფლება იძულებული არ გახდება, უარი თქვას ძალაუფლებაზე**

— **დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ „რვიანი" ვერანაირ შედეგს ვერ მიიღებს; ამაზე მისი შემადგენელი ოპოზიციური სპექტრის წარსულიც მეტყველებს. 2007 წელს სწორედ ამ პარტიებმა ხელისუფლებასთან მოლაპარაკება არჩიეს ქუჩაში გამოსვლას, მაგრამ ერთი შედეგიც ვერ დადეს, ბოლოს კი ისევ ხელისუფლების მიერ მოწოდებული საარჩევნო კანონმდებლობით წარდგნენ არჩევნებზე.**

ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა მოატყუებინო თავი ხელისუფლებას?! თავმოყვარეობამ მაინც ხომ უნდა შეგაწუხოს, ადექი და პირში მიახალე — მატყუარებთან სალაპარაკო არაფერი გვაქვს-თქო.

**ვერ გამიგია „რვიანში" გაერთიანებული იმ პოლიტიკური ძალების ფერიცვალებაც, რომლებიც წინა აქციებზე ხელისუფლებასთან დიალოგის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, ამის გამო სხვებს აქილიკებდნენ და დღეს კი თავად გაიძახიან დიალოგს, რა შეიცვალა ასეთი?**

ერთი კი ცხადია: მოლაპარაკებით ხელისუფლებას „რვიანი" ვერანაირ დათმობაზე ვერ წამოიყვანს, რადგან ხელისუფლება საკუთარი ხელით იმ ტოტს არ მოჭრის, რომელზეც ზის და არც იმ პრინციპებს დათმობს (ლოიალური გზით), რომლითაც იკვებება.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს „რვიანი" საკუთარი ნაბიჯების „გაპრავებას" ცდილობს, მერე სათქმელად რომ ჰქონდეს — რადიკალურები არ ვყოფილვართ, მაგრამ ხელისუფლებასთან მაინც არაფერი გამოგვივიდაო. რატომღაც გათვლებს საერთაშორისო ორგანიზაციებზე აკეთებენ. **ბევრი ჭორი გავრცელდა, თითქოს „რვიანიდან" ვიღაც-ვიღაცეები ხელისუფლებას გაურიგდნენ, მაგრამ მე არ მინდა, ეს დავიჯერო. თუმცა ისეთ სიახლეებს ვიგებ, რომ თავს უკვე ვერავისზე დავდებ.** სხვათა შორის, ხელისუფლებამ, შესაძლოა, „რვიანს" მაცდური წინადადებები შესთავაზოს, მაგრამ რამდენად გამოიჩენენ სიმტკიცეს, ეს მაგათ სინდისზეა დამოკიდებული.

მიმაჩნია, რომ ხალხთან ერთად ქუჩაში მანამ უნდა ვიდგეთ, ვიდრე ხელისუფლება იძულებული არ გახდება, უარი თქვას ძალაუფლებაზე. ჩვენ ერთ კონკრეტულ მმართველ გუნდს კი არ ვებრძვით, არამედ იდეოლოგიას, რასაც დავასამარებთ კიდეც კონსტიტუციური გზით. იმედია, 21 მაისის აქციას სხვა პარტიებიც შეუერთდებიან.

ადრე ლიდერებს გამოჰყავდა ხალხი, დღეს კი ხალხი ხელისუფლების ქმედებებს გამოჰყავს ქუჩაში. ასე რომ, ძალიან დიდი სხვაობაა 21 მაისსა და 2007-ში ჩატარებულ აქციებს შორის. მაშინ ხალხს ლიდერები იმორჩილებდნენ, დღეს კი ლიდერს იქეთ გადაუვლიან, თუ მათ ნებას არ დაჰყვება. ჩვენი მაშინდელი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ყველაფერს წინასწარ ვაცხადებდით (სად რას ვაპირებდით). ახლა კი ასე არ იქნება, ეს მხოლოდ 21-ში გაცხადდება და, რასაც გავაკეთებთ, ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში იქნება. წინა გამოცდილებიდან უკვე კარგად ვიცით, რა ძალას- ▶

### დენიელ ლარისონი:

# ვაშინგტონმა რაც შეიძლება მალე უნდა აღიაროს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველო აღარ არის

**Inosmi.Ru-ს მიმომხილველი დენიელ ლარისონი ამერიკელი სენატორების — ლინდსი გრეჰემისა („რესპუბლიკური პარტია", სამხრეთ კაროლინა) და ჯინ შაჰინის („დემოკრატიული პარტია", ნიუ-ჰემფშირი) მიერ სენატისთვის რეზოლუციის პროექტის წარდგენას ეხმიანებიან, რომელიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის დასრულების მოთხოვნას შეიცავს და გამოთქვამენ ვარაუდს, რომ „მიღების შემთხვევაში ეს რეზოლუცია კონფლიქტის სრულმასშტაბიან და გრძელვადიან დარეგულირებას ვერაფრით დაეხმარება".**

დენიელ ლარისონი





„ეს ტიპიური მაგალითია ამერიკის შეცდომითი დაუოკებელი ზრახვისა, — მოკავშირე სახელმწიფოს კონტრპროდუქტიული და პროვოკაციული დეკლარაციებით დაეხმაროს. **თუ სენატი ამ რეზოლუციას მიიღებს, იგი აბსოლუტურად ვერაფრით დაეხმარება დავის სრულმასშტაბიან და გრძელვადიან გადაწყვეტას. მსგავსი მცდელობებით ვითომდა პროქართული სენატორები მხოლოდ აძლიერებენ მოსკოვის, ვაშინგტონისა და თბილისის ყველა იმ მავნე ჩვევას, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიგვიყვანა.**

ამასთან, ეს რეზოლუცია არანაირ გავლენას არ ახდენს რუსეთის მიმართ აშშ-ის პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, როგორც ამერიკის მხრიდან საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის სიმბოლო, იგი უეჭველად გამბედაობას შემატებს ოფიციალურ თბილისს, რომელიც აშშ-ის სამომავლო დახმარების უსაფუძვლო იმედებით იკვებება და ამავე დროს რუსეთის მხრიდან ახალი ჩივილების პროვოცირებას მოახდენს. **საბოლოოდ კი საქართველო აშშ-ის მხრიდან ხელშესახები დახმარების არარსებობით კვლავ იმედგაცრუებული დარჩება, ხოლო რუსეთს კიდევ ერთი მოტივი გაუჩნდება იმისთვის, რომ არანაირ დათმობაზე არ წავიდეს და საკუთარი პოლიტიკის წარმოება გააგრძელოს.** მართალია, რუსულ-ამერიკული ურთიერთობები საგრძნობლად არ დაზარალდება, მაგრამ რეზოლუცია იმის მორიგ შეხსენებად იქცევა, რომ საქართველო-ამერიკის კავშირები ძირითადად ტვირთად და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზაზე წინაღობად იქცა," — წერს ლარისონი და აქვე დასძენს, რომ „**რეზოლუციის პროექტში დაფიქსირებული მოთხოვნების სერიოზულად აღქმა, უბრალოდ, შეუძლებელია**".

**საქართველო აშშ-ის მხრიდან ხელშესახები დახმარების არარსებობით კვლავ იმედგაცრუებული დარჩება**

იგი რეზოლუციის პროექტის ავტორთა **„რადიკალური განწყობის ტრადიციულობაზეც" საუბრობს და ამ კონტექსტში მკითხველს იმასაც შეახსენებს, რომ „სერბეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა მაშინ, როცა ამერიკულმა და ევროპულმა მთავრობებმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს, ხოლო სუდანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დასავლეთმა საერთოდ უგულებელყო და ქვეყნის დაყოფას აქტიურად შეუწყო ხელი, რის შედეგადაც შემდგომი ათწლეულებისთვის კორუმპირებული, მკაცრი და არასტაბილური სახელმწიფო ჩამოყალიბდა".**

„ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნები აქტიურად აქეზებენ სეპარატიზმს და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს. მათ პრეცენდენტების მთელი სერია შექმნეს, როცა სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა არ წარმოადგენს პრინციპულ საკითხსა და განუყოფელ პირობას, როგორც ეს დღემდე საქართველოს შემთხვევაში ხდება. პირიქით, ეს საკითხები მათთვის პრინციპული არ არის და შეიძლება უგულებელყოფილ იქნას, როგორც კი ამას ძლიერი სახელმწიფოები ჩათვლიან საჭი- ▶

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ლევან ჩიტაძეს, ის ვანო მერაბიშვილის პირადი პატიმარია, ვინაიდან ის „არასთან“ და „სახალხო კრებასთან“ ერთად შსს-ს მაღალჩინოსნების უკანონო ქონებას „ამზეურებდა“. ამიტომ მასზე განსაკუთრებულ ზეწოლას ახორციელებდნენ. ლევანს 30 დღე მიუსაჯეს, ზოგი გამოუშვეს. ბიჭები საშინელ პირობებში იმყოფებოდნენ. საკვებს ვუგზავნიდით და მათთან არც მიჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ დაბალი რანგის პოლიციელებში აბსოლუტურად სხვა განწყობაა. ისინი უფრო კეთილგანწყობილები იყვნენ ჩვენ მიმართ, ალბათ, გრძნობენ, რომ მოეკითხებათ.**

თან გვიწევს ბრძოლა და რა რესურსის გამოყენება შეგვიძლია მათ წინააღმდეგ.

**— და მაინც, თუ ამჯერადაც ვერ გაამართლებს ქუჩის აქციები, მაშინ რას აპირებთ?**

— ეს უკვე საბოლოო გზაა. თუ ამ აქციებით საზოგადოებამ შედეგი ამჯერადაც ვერ დაინახა, ეს იქნება აქციაში მონაწილე ყველა პოლიტიკოსის პოლიტიკური დასამარება და ყველა საზოგადო მოღვაწის რეპუტაციის შელახვა. ეს თითოეულ ჩვენგანს გათავისებული და გააზრებული აქვს, ამიტომ ძალიან ფაქიზად ვეკიდებით ამ საკითხს. ჩვენ არამარტო კარიერას ვდებთ სასწორზე 21 მაისის მოვლენების გამო, არამედ — ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რადგან არავინ იცის, რა ძალას გამოიყენებს ხელისუფლება აქციის დასაშლელად. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ.

**— როგორც პარლამენტარი, რაიმე რესურსის გამოყენებას თუ აპირებთ ხელისუფლების წინააღმდეგ?**

— როცა ქვეყანაში უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა, პარლამენტი ჩუმად არ უნდა იყოს, მან თავისი სათქმელი უნდა თქვას. **უმრავლესობის წარმომადგენლებს მინდა ვურჩიო, რომ ნამდვილად არ ღირს ცხოვრება იმად, პირობითად, ერთდღიან კეთილდღეობას საკუთარი ხალხი შესწირონ. ბევრი ვიცი, მთავრობაში ცალ-ცალი კალოშით მოსული, ახლა მილიონერები რომ არიან. თუ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსასწორებლად ზრუნვას ისინიც არ დაიწყებენ, თუ ერთსულოვნებას არ გამოიჩენენ და საკუთარ ხალხს მხარს არ დაუჭერენ, მაშინ ყველას გვერდზე დარჩება ნაგროვები ქონება, — უმცირესობასაც და უმრავლესობასაც.**

ჩემი სურვილია, საპარლამენტო ოპოზიციამ საქართველოს პარლამენტს, ქვეყანაში მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების მიზნით, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისკენ მოუწოდოს; უარის შემთხვევაში კი, პარლამენტში იმპიჩმენტის პროცედურები დაიწყოს. ამით პარლამენტი საკუთარი თავის რეაბილიტაციასაც მოახდენს და დაკარგულ იმიჯსაც დაიბრუნებს.

**— ბატონო კარლო, ბოლოს და ბოლოს, რისი ეშინიათ სხვა დეპუტატებს, არასოდეს თქვენ გვერდით რომ არ დგანან და არც ერთ პრობლემაზე ხმამაღლა რომ არ საუბრობენ, ნუთუ მათ რაიონებში ყველაფერი რიგზეა?**

— რას ამბობთ, ყველა რაიონში ერთსა და იმავე პრობლემებს ვაწყდებით. თქვენ რა გგონიათ, უმრავლესობის ზოგიერთ წარმომადგენელს გული არ შეტკივა არსებულ მდგომარეობაზე? მაგრამ რალაცით დაშინებულები არიან და ხმას ვერ იღებენ.

რაც შეეხება უშუალოდ მაჟორიტარ დეპუტატებს, ალბათ, ხელსაყრელ დროს ელოდებიან და მერე ისინიც ალაპარაკდებიან.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

## გიორგი ფარესიშვილი:

# 7 მაისს გამართული პროცესი უსამართლო სასამართლოს დემონსტრირება იყო

**ახალგაზრდული მოძრაობა „არას“ და „სახალხო კრების“ წევრები ქალაქ რუსთავში მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი პროექტის „ამხილე აჯალათი“ ფარგლებში პოლიციის მაღალჩინოსნის — ვალერი დუღაშვილის სახლთან მორიგ საპროტესტო აქციას მართავდნენ. სასამართლომ ლევან ჩიტაძეს, გოჩა თედორაძესა და ვასილ ბალახაძეს თავისუფლების 30 დღით აღკვეთა მიუსაჯა; დავით დალაქიშვილსა და შალვა მახარაშვილს — 15 დღით; გია ნოზაძეს, გელა ნაკაშიძესა და კახა სალუქვაძეს — 7 დღით; ნიკა სამხარაძეს, მირიან ჯანიაშვილს, ნიკა ლაპიაშვილსა და გიორგი ფარესიშვილს კი სასამართლომ 400-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.**

**აქციის მონაწილეების მიმართ საქმე წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით აღიძრა, თუმცა ამას კატეგორიულად არ ეთანხმება „არას“ წევრი გიორგი ფარესიშვილი და ამბობს, რომ აქციაზე მათ წინააღმდეგ პროვოკაცია განხორციელდა.**

გიორგი ფარესიშვილი



ლევან ჩიტაძე



— 7 მაისის მშვიდობიან აქციაზე უბრალოდ მოვუწოდებდით ვალერი დუღაშვილს, გონს მოსულიყო. უკვე ვასრულებდით აქციას, როდესაც ჩვენთან ქალი პოლიციელები მოვიდნენ. მოულოდნელად მოვარდა ჩვენთვის სრულიად უცხო ადამიანი, პოლიციელ ქალს ხელი გაარტყა და გაიქცა. პოლიციელებს მისი დაკავება არც უცდიათ. სამაგიეროდ, დაიჭირეს „არას“ და „სახალხო კრების“ წევრები.

როგორც გავარკვიეთ, **ის ადამიანი, რომელმაც პოლიციელს ხელი გაარტყა, რუსთავის მკვიდრია და მას პოლიცია სწორედ ასეთ ბინძურ საქმეებს ასრულებინებს.**

**— დაპატიმრების შემდეგ თქვენზე ზეწოლას ხომ არ ახდენდნენ?**

— 7 მაისს გამართული პროცესი უსამართლო სასამართლოს დემონსტრირება იყო. ისეთი მოწმეები შემოიყვანეს, საერთოდ რომ არ ყოფილან აქციაზე; ზუსტად რა მოხდა, სიტუაციასაც ვერ აღწერდნენ.

რამდენიმე დაკავებული რუსთავის პირველ განყოფილებაში გადაგვიყვანეს, რომლის უფროსიც არის ვალერი დუღაშვილი. მან სიტყვიერი და მორალური ზეწოლა განახორციელა რუსთაველ გოჩა თედორაძეზე, უთხრა, რომ მან ჩაუდო იარაღი და კიდევ ჩაუდებდა, დაემუქრა მის ოჯახსაც. ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა.

**რაც შეეხება ლევან ჩიტაძეს, ის ვანო მერაბიშვილის პირადი პატიმარია, ვინაიდან ის „არასთან“ და „სახალხო კრებასთან“ ერთად შსს-ს მაღალჩინოსნების უკანონო ქონებას „ამზეურებდა“. ამიტომ მასზე განსაკუთრებულ ზეწოლას ახორციელებდნენ. ლევანს 30 დღე მიუსაჯეს, ზოგი გამოუშვეს. ბიჭები საშინელ პირობებში იმყოფებოდნენ. საკვებს ვუგზავნიდით და მათთან არც მიჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ დაბალი რანგის პოლიციელებში აბსოლუტურად სხვა განწყობაა. ისინი უფრო კეთილგანწყობილები იყვნენ ჩვენ მიმართ, ალბათ, გრძნობენ, რომ მოეკითხებათ.**

**— თუ შეაფერხებს თქვენს მუშაობას ლიდერის დაჭერა?**

— ლევანი ჩამოგვაშორეს, ეგონათ, ამით დაგვასუსტებდნენ, არადა, პირიქით მოხდა — ათმაგი შემართებით ვაგრძელებთ მუშაობას. 21 მაისს ვიწყებთ ბრძოლას. ჩვენი პროექტები: „ამხილე ჯალათი“, „სამართალი მოდის“ პატარ-პატარა ბრძოლები იყო დიდი გამარჯვებისთვის. ახლა იმ ხალხის მობილიზებას ვახდენთ, ვინც ამ სისხლიანი რეჟიმით დაიღალა.

**რამდენიმე დღის წინათ, დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე, „არას“ წევრი ოთარ ბექაური ჩვენი ოფისიდან რომ გადიოდა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ასახვევთან SKODA-ს მარკის თეთრი ფერის დაბურულმინებიანი ავტომობილი დაეწია (სანომრე ნიშნებით — WKW 398). იგი ჯერ ნელა მიჰყვებოდა უკან ბექაურს, მერე იქიდან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი მუქსათვალიანი კაცი გადმოვიდა და ვიდრე ბექაურს მიუახლოვდებოდა, ეს უკანასკნელი მაღაზიაში შევარდა, რათა თავიდან აეცილებინა პროვოკაცია. ისინიც გაეკიდნენ, მაგრამ, ბევრი ხალხი რომ დაინახეს, უკან გაბრუნდნენ.**

ვფიქრობთ, რომ ამით ჩვენი შეშინება უნდოდათ, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, რომ ასეთი სისულელეებით ვერ შეგვაშინებენ.

**ორიოდე დღის წინათ გაჩერებაზე ვიდექი, ვიღაცამ ჩავლისას ხელი გამკრა და ჯიბეში წერილი აღმოვაჩინე ტექსტით: „არელებმა დააყენეთ ერთი ადგილი, თორემ ყველას გაგისწორდებით“.**

ამგვარი პროვოკაციებისა თუ ინციდენტების მიუხედავად, ჩვენ არ გვეშინია და 21 მაისის აქციისთვის შემართებით ვემზადებით.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**



**ის ადამიანი, რომელმაც პოლიციელს ხელი გაარტყა, რუსთავის მკვიდრია და მას პოლიცია სწორედ ასეთ ბინძურ საქმეებს ასრულებინებს**

როდ. ეს ორმაგი სტანდარტები კიდევ უფრო გამაღიზიანებელია იმის გათვალისწინებით, რომ დასავლელი ინტერვენციონისტები ამტკიცებენ, თითქოს მათი ქვეყნები სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტს „სამართლებრივი საერთაშორისო წესრიგის დამყარების“ მიზნით არღვევენ,“ — წერს სტატიის ავტორი.

ამავე კონტექსტში იგი ცოტა ხნის წინათ ევროკავშირის წარმომადგენლის — ქეთრინ ეშტონის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ე.წ. სამხრეთ ოსეთში ვიზიტის მიმართ პროტესტის გამოხატვას იხსენებს. **„ეშტონმა ამის მიმართ პროტესტი ისე დააფიქსირა, თითქოს თავად ევროკავშირსა და ბევრ დასავლურ სახელმწიფოს საკუთარი წარმომადგენლები არ ჰყავდეთ პრიშტინაში. ეშტონი ამტკიცებდა, რომ მოსკოვს ამ ვიზიტზე საქართველოს თანხმობა უნდა მოეპოვებინა. ეს ჟესტი სრულიად უაზრო იყო, თუმცა მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან ეს ერთ-ერთია, როგორ ცდილობენ დასავლეთის ქვეყნები იმ ილუზიის განმტკიცებას, თითქოს ტერიტორია, რომელსაც თბილისი, უკვე 20 წელია, ვეღარ აკონტროლებს, როგორღაც საქართველოს ნაწილად რჩება,“** — წერს ლარისონი, რომლის აზრით, **„რაც უფრო სწრაფად აღიარებენ სხვა სახელმწიფოები და ინსტიტუტები, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მით უფრო მეტი იქნება შანსი, რათა კონფლიქტების მოგვარების უფრო დამაკმაყოფილებელი და მუდმივი გზები იქნას მოძიებული“.**

„ამერიკის სენატმა გრეჰემისა და შაჰინის რეზოლუციის წინააღმდეგ უნდა მისცეს ხმა, ვაშინგტონმა კი შეწყვიტოს დიდი ხნის წინათ ჩამოშორებული ტერიტორიების დასაბრუნებლად თბილისის მცდელობების მხარდაჭერა. თუ მხარეებს ამ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო დასწრების შემცირება და ამ რეგიონის ვაჭრობისა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის გახსნა სურთ, ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტოს იმ იმიჯის შექმნა, თითქოს ის იცავს ურყევ პრინციპებს, რომელთაც წამდაუწუმ თავად არღვევს. ამის მაგივრად მას იმის აღიარება მართებს, რომ **სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებმა მოსახლეობამ საქართველოს ხელისუფლებისადმი ნდობა სრულიად დაკარგა და კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი ოპტიმალური გზა იმ ფაქტის აღიარებაა, რომ აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს ნაწილი აღარასოდეს იქნება“.**

დენიელ ლარისონს ამერიკულ ჟურნალ „The American Conservative“-ში ყოველდღიური ბლოგი და „The Week“-ის ყოველდღიური სვეტი მიჰყავს. იგი ამერიკული კონსერვატიული სკოლის წარმომადგენელია, რომელმაც ჩიკაგოს უნივერსიტეტში მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიიღო და 2003 წელს გაქრისტიანდა.

## აშშ სამხედრო ხარჯებს ამტკიცებს



**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებულ საქმეთა კომიტეტმა 2012 წლისთვის აშშ-ის სამხედრო დანახარჯების კანონპროექტი დაამტკიცა.** კანონპროექტის მიხედვით, ამ სფეროს მომავალ წელს 690 მილიარდი აშშ დოლარი მოხმარდება; ავღანეთსა და ერაყში სამხედრო ოპერაციებს — 119 მილიარდი, ამის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა მისცა. 2012 ფინანსური წელი, კანონპროექტის მიხედვით, მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს იწყება.

საქართველო და მსოფლიო
ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გაერომ 2009 წლის დეკემბერში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ნაციზმის ხოტბის შესხმასა და განდიდებას, ფაშიზმთან მებრძოლთა ძეგლების შებღალვას და ა.შ. ამ რეზოლუციას 127-მა დელეგაციამ დაუჭირა მხარი; 54-მა, სიტყვის თავისუფლების მოტივით, თავი შეიკავა, მათ შორის — საქართველოს წარმომადგენლობამაც. წინააღმდეგი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა.**

# მასხარაშვილი ისტორიას აყალბებს, ანუ სტაჟიორი გებელსის კანტორიდან

**ქლეო შემოკლებული ქლესაა — ფლიდსა და ფარისეველს ნიშნავს.
შეკვეცა-შემოკლება დღეს მოდაშია: კლეოპატრა — კლეო, თეონა — თეო, მზექალა — მზეო, ლეონარდო — ლეო, ქრისტიან-დემოკრატები — ქდმო, ედეპე, კიდევ ნაცები, ცესკო, მაპი და რა გინდა რა.
ქლესა ქლედ რომ ვთქვათ, ვინ აკრძალა?
არც არავინ!**



## ცადამაღლება ავლაბრის თავზე

ჰოდა, იმ დილაადრიან, სანამ მარშრუტკების არმადა დაიპყრობდა ქალაქს, თბილისელებმა შენიშნეს, რომ შუა ქუჩაში, იქ, სადაც მეორედ დააგეს ასფალტი და თეთრი ხაზით გაავლეს კიდევ ერთი საზღვარი საქართველოსი, წყვილი ფეხსაცმელი იდო.

„— Чей туфля?..

— Мое...“

ჩემიაო „ტუფლი“, აღიარა ვიცინმა „კავკაზსკაია პლენიცაში“.

არც ჩვენ გაგვჭირვებია დადგენა პატრონის ვინაობის, რადგან, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც აღმოჩნდნენ თვითმხილველნი, რომელთაც დაადასტურეს, რომ **წუხელ, ხელისუფლების საამებელი გულმოდგინების პიკზე ამომხტარა ქლესა იგი „ლაკის ტუფლებიდან“ და ამ ბედნიერი დილის გარიჟრაჟზე ამაღლებულა ავლაბრის თავზე.**

**მზე ამჯერად აღმოსავლეთიდან ამოსულიყო და მისი სხივების შუქზე ერთგული ქვეშევრდომობის სიმბოლოდ ლივლივებდა სვიმონ მასხარაშვილის თავი სააკაშვილის რეზიდენციაზე ორგუმბათოვნობის სახით.**

**ქლესა ის იყო, ანუ — ქლეო.**

მიეცა მას ინტერვიუ ჟურნალისტისთვის და ამად რგებოდა პატივი, ნაცბოლების სალოცავის მეშვიდე ცაზე ამაღლების...

ფაშიზმზე გამარჯვების დღის შეცვლის სურვილით აენთო სხვისი შემყურე ჩვენი ხელისუფლება და საამისოდ დასჭირდათ ქვეყნის მამა-დამაქცევართ მხარდაჭერა ერთი კაცისა მაინც, ერის ხმად რომ გაესაღებინათ.

**იპოვეს მასხარაშვილი სვიმონი და ამანაც იმდენი ქნა, სიცრუის გოდოლის ასაგებად ისეთი კირითხუროობა იკისრა, რომ თავისი ხელით ამოყვანილი სიყალბის კედელს საკუთარი თავი ჩააყოლა და ჩამარხა.**

„შვილო, სვიმონ, სადამდის?“

სიმართლესთან პირველ შეხებამდის.

ეს ქლეო მასხარაშვილიც შეეცადა საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას და მის მიერ მოტყუებულ კორესპონდენტს უკარნახებს პირველ სიყალბეს: **„ჯერ ერთი, გერმანიამ დასავლეთის სარდლობასთან კაპიტულაციაზე ხელი 8 მაისს მოაწერა“.**

ჯერ ერთი, 8 მაისს კი არა, 7 მაისს, 02 საათსა და 40 წუთზე (ცენტრალური ევროპის დროით).

ისტორიკოსს ასეთი „წვრილმანები“ არ უნდა ეშლებოდეს, წვრილმანი რომ იყოს! გულდაჯერებული შედის სვიმონი სიცრუის ტყეში და გაიყოლიებს საინფორმაციო სააგენტოს მიამიტ წითელქუდას: **„გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელი, მესამე რაიხზე პასუხისმგებელი, დენიცინი იყო, რომელსაც რვაში, დასავლეთის სახელმწიფოებთან უკვე ჰქონდა კაპიტულაციაზე ხელი მოწერილი“.**

მასხარაშვილს, ეტყობა, დენიცი (ინტერვიუს მიხედვით, დენიცინი) შაშკინის მიერ სკოლებში შეგზავნილ მანდატურად წარმოუდგენია: **მესამე რაიხზე პასუხისმგებლად გაასაღა 1945 წლის 30 აპრილიდან 23 მაისამდე გერმანული სახელმწიფოს მეთაური და გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გერმანიის „უკანასკნელი ფიურერი“.**

კეთილი და პატიოსანი: დავუშვათ, რუსოფობიის ტალღაზე გვარი შეეშალა ან სვიმონს, ან წითელქუდა ჟურნალისტს, რომელიც ტყეში მასხარაშვილთან ერთად არ უნდა გაეშვათ.

ნუ გამოვეკიდებით!

პრობლემა სხვაა: **დენიცს არც შვიდში, არც რვაში, არც არასოდეს კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერია და ეს მასხარაშვილის გარდა ყველამ იცის.** კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერის პერიპეტიები წვრილად არის განხილული „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში **(დიმიტრი მონიავა, „კაპიტულაციის დღე, ანუ „Vashadze kaput!”), ასევე — გაზეთის დღევანდელ გემოშვებაში — „ლიფსიტების ტანგო“).**

დენიცი სადღაა? მასხარაშვილის წარმოდგენაში. იქამც იყოს!

## რაიხზე დამოკიდებული საქართველო

**ეტყობა, ავადაა „ლაკის ტუფლების“ პატრონი, სხვა ვერაფრით ახსნი იმ ზნეობრივ გარყვნილებას, რასაც ეს ისტორიკოსი კადრულობს.**

9 მაისი, მისი აზრით (თუ აზრი შეიძლება ეწოდოს მის სიტყვამრუშობას), ქართველებმა არ უნდა იზეიმონ, **„ნუ გვავიწყდება, რომ მრავალი ქართველი პატრიოტი გერმანიის მხარეს იბრძოდა“.**

ამას რომ პატრიოტებად მიაჩნია, ისინი ვერმახტის ქართული ლეგიონის შემადგენლობაში ებრძოდნენ თანამემამულეებს.

ეს საკითხი ასე მარტივი არ არის და ცალკე მსჯელობის საგანია. ამიტომ ამჯერად მასხარაშვილის ლოგიკაზე შევაჩეროთ ყურადღება.

**ქლესა — ქლეო, როგორც ვთქვით, გვიმტკიცებს, რომ ქართველებმა არ უნდა ვიზეიმოთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება, რადგან „ბევრი ქართველი ვერმახტის მხარეს იბრძოდა“.**

მივყვეთ: ბევრი რუსი რუსეთის გამათავისუფლებელ არმიაში იბრძოდა (РОА). მაშასადამე, რუსებმა არ უნდა იზეიმონ 9 მაისი. ვლასოველებიც დავუმატოთ ამ „სიბევრეს“.

ბევრი უკრაინელი ნაციონალისტურ გაერთიანებებში გერმანელების მხარეს ომობდა. მაშასადამე, არც უკრაინელებმა უნდა იზეიმონ.

იმავეს თქმა შეიძლება ბელარუსებზეც: არც ამათ არ უნდა ეზეიმებოდეთ.

ფაშისტების მხარეს ომობდნენ: თურქესტანის, ჩრდილოეთ კავკასიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ვოლგა-თათრეთის ლეგიონები.

ესენიც „გავიყვანოთ თამაშიდან“.

გერმანელების მხარეს, ვერმახტის შემადგენლობაში იბრძოდნენ ევროპის ქვეყნების დივიზიები, პრაქტიკულად — ყველასი, ჰიტლერის მოკავშირეებიც და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების, მასხარაშვილის შეფასებით, პატრიოტები.

მაშასადამე, არც ევროპამ არ უნდა იზეიმოს გამარჯვება.

და იყო კი საერთოდ გამარჯვება?

ჰა, სვიმონ?!

თუმცა რა სვიმონ, როცა ასეთია გუმბათოვანთა ლოგიკა.

ახლა „პატრიოტობის“ პრობლემის შესახებ. გავიხსენოთ, რომ **გაერომ 2009 წლის დეკემბერში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ნაციზმის ხოტბის შესხმასა და განდიდებას, ფაშიზმთან მებრძოლთა ძეგლების შებღალვას და ა.შ. ამ რეზოლუციას 127-მა დელეგაციამ დაუჭირა მხარი; 54-მა, სიტყვის თავისუფლების მოტივით, თავი შეიკავა, მათ შორის — საქართველოს წარმომადგენლობამაც.**

**წინააღმდეგი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა.**

მასხარაშვილი უფრო შორს მიდის და ომში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების ხსოვნას ცინიკური გამოხდომით შეურაცხყოფს: **„სამას ათას ქართველს, რომლებიც ამ ომში დაიღუპნენ, თავის დროზე რომ ებრძოლა, იმ უბედურებას, რასაც კომუნიზმი ჰქვია, ავცდებოდით“.**

საყვედურობს!

მხოლოდ ავადმყოფური წარმოსახვის ადამიანმა შეიძლება განაცხადოს ის, რაც ამ „ისტორიკოსს“ მოსდის თავში: **„გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო გახდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, ასე უნდა ყოფილიყო გერმანული მხარის ოფიციალური გეგმის მიხედვით. ხოლო საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ, საქართველო კვლავ კოლონიად დარჩა. მაგალითად, ლატვიასა და ესტონეთში საბჭოთა გამარჯვება სულაც არ მიაჩნიათ სასიხარულო ამბად“.**

ლიტვაში მიაჩნიათ?

ყური მოუკრავს რაღაცისთვის და ასაღებს ჭეშმარიტებად.

სვიმონ, ნაცისტების მაქებარო და მეხოტბევ, აბა, დაკვირვებით წაიკითხე ნაცისტების შეიარაღებული ძალების ოპერატიული შტაბის დოკუმენტი, რომელიც ჰიტლერისთვის მოსახსენებლად თან დაურთეს „ბარბაროსას“ გეგმას. ეს დოკუმენტი 1940 წლის 18 დეკემბრითაა დათარიღებული.

**„ამ ომის მოსაგებად იმ პირობებში, როცა მოწინააღმდეგეს უდიდესი ტერიტორია უკავია, საკმარისი არ არის მისი შეიარაღებული ძალების განადგურება, ეს ტერიტორია უნდა დაიყოს რამდენიმე სახელმწიფოდ, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან თავიანთი მთავრობები, რომლებთანაც შევძლებდით სამშვიდობო ხელშეკრულებების დადებას“.**

სახელმწიფოებზეა ლაპარაკი, მაგრამ როგორ სახელმწიფოებზე? **სოციალისტურ სახელმწიფოებზე. სოციალიზმი კი კომუნიზმის წინა ეტაპია.**

**„სოციალისტური იდეების ამოძირკვა დღევანდელ რუსეთში უკვე შეუძლებელია.** — განგვიმარტავს დოკუმენტი, — **ეს იდეები შეიძლება შიდაპოლიტიკურ საფუძვლად გამოდგეს ახალი სახელმწიფოებისა და მთავრობების შექმნის პროცესში. ებრაულ-ბოლშევიკური ინტელიგენცია, რომელიც ხალხის დამთრგუნველია, სცენიდან უნდა მოსცილდეს. ყოფილი ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული ინტელიგენცია, თუკი დარჩა, პირველ რიგში, ემიგრანტთა შორის, ასევე არ უნდა დაიშვას ხელისუფლებაში“.**

მიხვდით, რა თქმა უნდა, საით მიყავთ მსჯელობა: სახელმწიფო — სოციალისტური, ინტელიგენცია — ამოწყვეტილი და ამოცანა — ასე ჩამოყალიბებული: **„ჩვენი ამოცანაა, რომ, რაც შეიძლება სწრაფად, სამხედრო ძალების მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯით შევქმნათ ეს (მიაქციეთ ყურადღება!), ჩვენზე დამოკიდებული სოციალისტური ქვეყნები“.**

რაიხსლაიტერმა როზენბერგმა 1941 წლის 20 ივნისს ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში გერმანიის პოლიტიკური მიზნები ასე ჩამოაყალიბა: **„ოთხმა დიდმა ბლოკმა უნდა დაგვიცვას ჩვენ და, ამასთან ერთად, განავრცოს შორს, აღმოსავლეთისკენ ევროპის არსი: 1. დიდმა ფინეთმა, 2. ბალტიისპირეთმა, 3. უკრაინამ, 4. კავკასიამ“.**

არ ჩანს, რაღაც არსად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ჩვენზე დამოკიდებულიო, ფონ ქლესა მასხარაშვილო! სად დაიკარგა თქვენი განცხადება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მტკიცებით?!

ნაცისტებს ნაციონალისტების გამოყენება, როგორც იგივე როზენბერგი ადასტურებს, დაგეგმილი ჰქონდათ მხოლოდ თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, იმ გარდამავალი მიზნების, რომლებიც ომის დაწყებამდე და ომის დაწყების პირველ პერიოდში ჰქონდათ დაგეგმილი. შემდეგ **ნაციონალისტური მოძრაობები სსრ კავშირის ოკუპირებული რეგიონების პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა გამქრალიყო.** ასეც მოხდა: ფაშისტებმა თავდაპირველად აქტიურად გამოიყენეს, მაგალითად, უკრაინელი ნაციონალისტები სიმონ ბანდერას მეთაურობით და ლიტველი ნაციონალისტები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ლიტვის ყოფილი ელჩი გერმანიაში შკირპა. მაგრამ სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, მალევე ბანდერა გერმანელებმა დააპატიმრეს, ხოლო ლიტვის ეროვნული მთავრობა, რომელიც 1941 წლის ივნისში შეიქმნა და რომელსაც შკირპა ჩაუდგა სათავეში, იმავე წლის 5 აგვისტოს გერმანიის საოკუპაციო სარდლობის ბრძანებით გააუქმეს.

თუ ვინმეს კიდევ დარჩა ეჭვის ნატამალი, თავად ჰიტლერის ნათქვამს მიადევნოს თვალი. გთავაზობთ ამონაწერს ვერმახტის მთავარსარდლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის 1941 წლის 3 მარტის დღიურიდან. ჰიტლერმა თითქმის 2 საათ-ნახევარს ილაპარაკა მასთან ჩატარებულ დიდ თათბირზე:

**„ორი იდეოლოგიის ბრძოლა... ლაპარაკია გამანადგურებელ ბრძოლაზე...**

**რუსეთის მომავალი პოლიტიკური რუკა: ჩრდილოეთი რუსეთი ეკუთვნის ფინეთს, ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში პროტექტორატებია.**

ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ: ბოლშევიკური კომისრებისა და კომუნისტური ინტელიგენციის განადგურება. **ახალი სახელმწიფოები უნდა იყოს სოციალისტური, მაგრამ საკუთარი ინტელიგენციის გარეშე. ახალი ინტელიგენციის წარმოშობა არ უნდა დავუშვათ. აქ საკმარისი იქნება მხოლოდ პრიმიტიული სოციალისტური ინტელიგენცია...“** (ჩანაწერი გაკეთებულია სახმელეთო ძალების უფროსის ფ. გელდერის მიერ).

ეს ჩვენი ფონ ფლიდ მასხარაშვილი გებელსის კანტორაში სტაჟიორად ხომ არ მუშაობდა?!

## გამხეცებული სერიოზულობა

ნეოფაშისტი სვიმონ მასხარაშვილი ბოლოს საკუთარ თავსაც გადაახტა და ღვარძლისა და სისულელის ისეთი ნაზავი, ანუ ლორწოვანი ყლარტი ამოარწყია, რომ გამორიცხული არ არის, ნაცისტებმა ბანდერა რომ დააპატიმრეს, ჩვენმა ნაცბოლებმაც იგივე გააკეთონ — თავის გასამართლებლად და ხალხის უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად: **„სტალინი ჩემთვის** ▶



**შარლ დე გოლი:**
**„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში. მას თავისი მტრების „მოთვინიერება“ შეეძლო, პანიკაში არ ვარდებოდა წაგების დროს და არ ტკბებოდა გამარჯვებით. გამარჯვება კი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე დამარცხება. სტალინის რუსეთი უწინდელი რუსეთი არ არის, რომელიც მონარქიასთან ერთად დაიღუპა. მაგრამ სტალინის სახელმწიფო სტალინის ღირსი მემკვიდრეების გარეშე განწირულია“...**

ჩეჩლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**◀ქართველი არ არის. მასე სეროჟა გარაჟში დაიბადა და ავტობუსი ხომ არ არის. გენეტიკას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ვის ემსახურები. იოსებ სტალინი ჩემთვის რუსია, რომლის წყალობით საქართველომ სამასი ათასი კუბო მიიღო“.**

წესით, ამ სიბილწეს არ უნდა უპასუხოს კაცმა, გაისვრები.

მაგრამ რახან საინფორმაციო საშუალებამ თავს უფლება მისცა, გაევრცელებინა ასეთი ნაბოდვარი, ხომ შეიძლება ვინმემ დაიჯეროს, რომ მართლაც ასეა?

ამაზე ნაკლები გიჟები დადიან ქუჩაში? გაგახსენებთ: **გორში სტალინის ძეგლი უცხოპლანეტელებმა კი არ დაამხეს — ჩვენმა თანამემამულეებმა, რომელთაგან ერთი ძეგლის ბრინჯაოს თავს ხელს ურტყამდა — შეხედეთ, რა მაგარი ვარო.**

„ძალიან მაგარი!“

მაგრამ მასხარაშვილამდე მაინც ბევრი უკლია...

**ამ ქლესას ყური რომ უგდო, ქართველებს 300 გმირი არაგველი კი არ გვყოლია, არც 9 ძმა ხერხეულიძე, არამედ 300 კუბოს პლიუს 9 კუბო!**

ვაი, ჟამსა უბედურს, როცა ასეთ უკულმართობას სიტყვის თავისუფლება ჰქვია!

სტალინი მასხარაშვილისთვის ქართველი არ არის. ეტყობა, მასხარაშვილის ქართველობით უნდა დავკმაყოფილდეთ!

გენეტიკის უარყოფა (ეგეც ახალი აკადემიკოსი ლისენკო!) და სტალინის ქართველობაზე ასე აგდებულად ლაპარაკი მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ან არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს, ან პირიქით, — განდიდების მანიითაა შეპყრობილი.

საკითხს, კარგა ხანია, გაეცა პასუხი. დიდი ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევაც საკმარისია. მაგრამ გავიხსენოთ, რომ **„არაქართველმა“ სტალინმა მიიწვია თავისთან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების სახელოვანი მოღვაწეები და საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების ყოველმხრივი წარმოჩენის აუცილებლობაზე მიუთითა.**

ეს უნდა გაკეთებულიყო იმის საცნობარად მთელი მსოფლიოსთვის, თუ რა წვლილი მიუძღვის ქართველ ერს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაში. ეს არ იყო კერძო შეხვედრა და საუბარი: **სტალინის სურვილი, მისი მითითება სახელმწიფო პოლიტიკის გეზის მიცემას ნიშნავდა.**

ამის კვალზე განვითარებულმა მოვლენებმა ეს დაადასტურა და, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუხედავს გასული საუკუნის საქართველოს ისტორიაში, დამემოწმება.

მკვლევარი და ჟურნალისტი გელა ქოქიაშვილი თავის მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომში „სტალინის 7 ნიშანი“ ამასთან დაკავშირებით ერთ გარემოებას შენიშნავს: **„სტალინმა იცოდა, რომ მისი წინაპრების ფესვები კავკასიასა და წინააზიაში ერთნაირად იყო გატოტვილი. სწორედ ამიტომ ეუბნებოდა იგი სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილს: „ტერმინი ქართველი უნდა გაფართოვდეს. ეს აუცილებელია როგორც ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, ისე ადრინდელი საქართველოს პოლიტიკური თვალსაზრისით“** (იხ. ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, №4 (17), 2011 წელი).

კი უნდა იცოდეს ეს ისტორიკოსმა, თუ სხვა რამ მიზანი არ აწუხებს და ამოძრავებს.

თქვით ახლა — ვინაა გარაჟში დაბადებული!

ქლესა — ქუჩაში, რასაც მისი „მოსაზრებებიც“ ადასტურებს, რომლებიც იმავე ქუჩაში, გადავსებულ ბუნკერებთან დაყრილი ნაგავივით ყარს.

თანაც არ არის ორიგინალური, სიმყრალეშიც ეპიგონია. მაგინებელთა რიცხვი ლეგიონია.

**„ჩვენი პარტიისა და ხალხის მრავალ საქმეს შერყვნიან და ფურთხში ამოსვრიან, უწინარესად, საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაშიც... მეც ცილს დამწამებენ, უამრავ ბოროტმოქმედებას მომაწერენ“** (ი. სტალინი, ამონარიდი სტალინის საუბრიდან ცნობილ რევოლუციონერთან და პირველ საბჭოთა დიპლომატ ქალთან, ალექსანდრა კოლონტაისთან).

სვიმონ მასხარაშვილის ლანძღვაც ამ რიგისაა.

გამხეცებული სერიოზულობა! რაზეც დღეს დიდი მოთხოვნაა.

რატომ ებრძვიან სტალინს?

იმიტომ, რომ სურთ, ძირფესვიანად ამოძირკვონ მისი სახელი კაცობრიობის ისტორიიდან, რომლის ახალი ვარიანტი ანგლოსაქსური რედაქციით იწერება ამჟამად.

ჩვენი ბედოვლათებიც ცდილობენ, ფეხი აუწყონ და შეაწიონ ხმა, რომელიც არ ისმის, რადგან უგნურის ხავილია.

## სტალინის „ყინულის ტახტი“

**სერიოზული მკვლევარები, ისტორიკოსები, მწერლები სულ უფრო ხშირად ცდილობენ, არ მოექცნენ ცალმხრივობის ტყვეობაში და ობიექტურად შეაფასონ სტალინი და მისი დრო.**

მრავლდება ნაშრომები, რომლებიც სულაც არ არის „ბელადის ხოტბა“, არც რეაბილიტაციის მცდელობაა. რეალური ისტორიაა, პრიმიტიული კლიშეების გარეშე.

**„ის ტახტი, რომელზეც სტალინი აღზევდა რევოლუციიდან ორი ათწლეულის შემდეგ,** — წერს, მაგალითად, **ალექსანდრ ბუშკოვი** თავის ფუნდამენტურ ნაშრომში **„სტალინი. ყინულის ტახტი. დიადი და საშინელი დროის ქრონიკა“,** — **შეიძლება ვინმეს თვალში ლამაზი, მიმზიდველი, მოხერხებული ჩანდა, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ იგი ყინულისა იყო...**

**სტალინი, იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება, იმთავითვე გრძნობდა ამ ტახტის გამჭოლ სიცივეს. და იცოდა, რომ ყინულის ტახტი კლავს... მაგრამ არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა, რომ სწორედ მას, და სხვას არავის, ხელეწიფებოდა, აეწყო საქმე, განესაზღვრა კურსი, მიეღწია მიზნისთვის... ყველა დიადი მონაპოვარი, — ისინი კი იყო! ყველა საშინელი დანაშაული, — მათ ვერსად გავექცევით! — ყველაფერი ეს ერთი უბრალო ფაქტიდან მომდინარეობს: სტალინი გრძნობდა პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე და დარწმუნებული იყო, რომ სწორი კურსით შეძლებდა საქჩის მართვას“** (დასახელებული წიგნი, გვ. 4-5).

უინსტონ ჩერჩილი: „სტალინმა ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ღრმა და ცივი სიბრძნით, რომელიც ყოველგვარ ილუზიასაა მოკლებული“.



სრულიად ვეთანხმები დამსახურებული კოლეგის გელა ქოქიაშვილის დასკვნას, რომელიც ასე აფასებს სტალინის მოღვაწეობას: **„დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მსოფლიო ისტორიაში სტალინი იყო ერთადერთი პიროვნება, მბრძანებელი, გნებავთ, დიქტატორი, გნებავთ, იმპერატორი, ვინც ნაწილობრივ, მაგრამ მაინც შეძლო, საკაცობრიო ოცნებისთვის ფრთები შეესხა და ასე თუ ისე მოესპო სოციალური ჩაგვრა“** (დასახელებული ჟურნალი, გვ. 37).

ზუსტი აქცენტებია.

ახლა მსოფლიო მნიშვნელობის ლიდერებსაც დავეკითხოთ აზრს სტალინის შესახებ.

**„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში.** მას თავისი მტრების „მოთვინიერება“ შეეძლო, პანიკაში არ ვარდებოდა წაგების დროს და არ ტკბებოდა გამარჯვებით. გამარჯვება კი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე დამარცხება.

**სტალინის რუსეთი უწინდელი რუსეთი არ არის, რომელიც მონარქიასთან ერთად დაიღუპა. მაგრამ სტალინის სახელმწიფო სტალინის ღირსი მემკვიდრეების გარეშე განწირულია“...** — **ასე აფასებს სტალინს შარლ დე გოლი** („სამხედრო მემუარები, წიგნი II).

წააკითხეთ ეს სტრიქონები ავლაბრის ცისკიდურიდან ჩამობრძანებულ მასხარაშვილს, თუ იკადრებს.

იქნებ, დაგვდოს პატივი და უინსტონ ჩერჩილიც გადაიკითხოს. რაც გინდა იყოს, მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკური ფიგურაა: **„დიდი იღბალია რუსეთისთვის, რომ მისი შეუპოვარი ბრძოლისა და ტანჯვის ჟამს სათავეში უდგას დიადი და მკაცრი მხედართმთავარი.**

იგი ძლიერი და გამოჩენილი პიროვნებაა, რომელიც ესადაგება იმ პირქუშ და ბობოქარ დროს, რომელშიც ცხოვრებამ მოაქცია **ჭეშმარიტი სიმამაცისა და ნებისყოფის მქონე ადამიანი,** საუბრისას პირდაპირი და მკაცრია, რასაც მე, თემთა პალატაში აღზრდილი, სულაც არ ვეწინააღმდეგები, განსაკუთრებით მაშინ, როცა თვითონ მაქვს სათქმელი. უწინარეს ყოვლისა, იგია ადამიანი, რომელსაც აქვს იუმორის გრძნობა, რომელიც აუცილებელია ყველა ადამიანისა და ხალხისთვის, განსაკუთრებით, დიადი ადამიანებისთვის და დიადი ხალხებისთვის.

**სტალინმა ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ღრმა და ცივი სიბრძნით, რომელიც ყოველგვარ ილუზიასაა მოკლებული“.**

აი, ეს თქვა ჩერჩილმა ჯერ კიდევ 1942 წლის 8 სექტემბერს. შემდეგ და შემდეგ იგი უფრო გულახდილია და არ იშურებს მაქსიმალურად აღმატებულ ხარისხს სტალინის შესაფასებლად.

ეს — დე გოლი და ჩერჩილი.

ჰენრი კისინჯერს, აბა, როგორ გაუყადრებს თავს სვიმონი. იგნორირებული იქნება ჰენრი! მაგრამ ჩვენ მაინც გავიხსენოთ მისი ერთი გამონათქვამი სტალინზე: **„როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი ლიდერი, სტალინი მზად იყო, ნებისმიერ წუთს დაეწყო ძალების შეფარდების სკრუპულოზური შესწავლა. და სწორედ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, რომ მატარებელია ისტორიული სიმართლის, რასაც მისი იდეოლოგია ემსახურება, იგი მტკიცედ და შეუპოვრად იცავდა საბჭოთა ეროვნულ ინტერესებს, არ იზღუდებოდა ფარისევლური მორალით ან პირადი მიდრეკილებებით“** (ჰ. კისინჯერი, დიპლომატია. მ., 1997, გვ. 287).

სტალინის მიმართ მსოფლიო ლიდერების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ციტირება დაუსრულებლად შეიძლება.

ერთი გადახვევა ამქვეყნიური დონეებიდან, რაც სულიერებას შეეხება.

**„სტალინმა შეგვინარჩუნა რუსეთი, გვაჩვენა, თუ რას ნიშნავს იგი მსოფლიოსთვის. ამიტომ მე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი და რუსი პატრიოტი, მდაბლად ვხრი თავს სტალინის წინაშე,“ — არქიეპისკოპოსი ლუკა.**

სტალინი და მართლმადიდებლობა ცალკე თემაა და ფრიად მნიშვნელოვანი. დღესავით ნათელია, რომ, „თუ ვინმეს და რამეს ებრძვის მასონური დასავლეთი, ეს მართლმადიდებელი ქრისტიანობაა, ერთის მხრივ, და სტალინი — მეორეს მხრივ...“

რატომ?

კვლავ ციტატა: **„განგებამ მას საერო ცხოვრების ეკლიანი გვირგვინი დაადგა და ქრისტიანული მრწამსის დასაცავად ხელში მახვილი და მათრახი მისცა: მახვილი — სატანის არმადის დასამარცხებლად, მათრახი — ამ არმადის მიზანმიმართულ თუ უნებლიე მეხოტბეთა გასაროზგად“** (გ. ქოქიაშვილი).

სტალინმა, და არა ვინმე სხვამ, რადიკალურად შეცვალა ლენინისა და ტროცკის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ქრისტიანობის დევნას, ეკლესიათა ნგრევას, სასულიერო პირების რეპრესიას განახორციელებდა.

მისი ინიციატივითა და კარნახით მიიღო ცკ-მა დადგენილება, რომლითაც დაიწყო სრულიად განსხვავებული, ახალი ეტაპი რელიგიისა და საბჭოთა ხელისუფლების თანაარსებობის.

**„ეს და მათი მსგავსი მრავალრიცხოვანი მაგალითი საკმაოდ ნათლად ადასტურებს,** — ნათქვამია პარტიის ცკ-ის დადგენილების საკონსტატაციო ნაწილში, — **როგორ გაუფრთხილებლად, არასერიოზულად, დაუფიქრებლად ეკიდება პარტიის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაცია და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა რელიგიური რწმენის საკითხი. ამ ორგანიზაციებსა და ხელისუფლების ორგანოებს, ეტყობა, არ ესმით, რომ თავიანთი უხეში, უტაქტო მოქმედებით მორწმუნეთა წინააღმდეგ, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ, უდიდეს ზიანს აყენებენ საბჭოთა ხელისუფლებას“...**

ამ დადგენილებით აიკრძალა ეკლესიების, სალოცავების დახურვა, მიუღებლად ჩაითვალა კრებებზე, რომლებშიც მონაწილეობენ ურწმუნოები და გარეშე პირები, კენჭისყრით სამლოცველოების გაუქმების საკითხების გადაწყვეტა, ასევე, — მათი ლიკვიდაცია გადასახადების გადაუხდელობის მოტივით.

აიკრძალა „რელიგიური ხასიათის“ დაპატიმრებები და ა.შ.

ამ დირექტივის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა საგუბერნიო, საოლქო კომიტეტების, ეროვნული ცკ-ისა და სამხარეო კომიტეტების მდივნებს პირადად.

გადაწყვეტილებას ხელს აწერს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დაბოლოს, სტალინის პიროვნების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელსაც, გნებავთ, შორსმჭვრეტელობა დაარქვით, გნებავთ, — წინასწარმეტყველება.**

**ჩვენი განათლებული მკითხველი, იმედია, სწორედ ამ კუთხით, ახალი თვალით წაიკითხავს ერთ პასაჟს, რომელსაც გთავაზობთ და აღმოაჩენს, როგორი სიზუსტით არის გათვლილი მოვლენების განვითარება ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოში.**

**ალექსანდრა კოლონტაისთან საუბარში სტალინმა ასე განსჭვრიტა მომავალი:**

**„მსოფლიო სიონიზმი მთელი ძალებით შეეცდება, გაანადგუროს ჩვენი კავშირი, რათა რუსეთმა ველარასოდეს შეძლოს ფეხზე წამოდგომა. სსრკ-ის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლის მახვილი მიმართული იქნება, უწინარეს ყოვლისა, ამ მეგობრობის მოსაშლელად, განაპირა მხარეების რუსეთისგან მოსაკვეთად. აქ, უნდა ვაღიაროთ, ყველაფერი ჯერ კიდევ არ გაგვიკეთებია. დიდი სამუშაო გვიდევს წინ.**

**განსაკუთრებული ძალით თავს იჩენს ნაციონალიზმი. იგი რაღაც დროით დათრგუნავს ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს, მხოლოდ რაღაც დროით. წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები ერებს შიგნით. ბევრი მოღალატე ბელადი-პიგმეი გაჩნდება თავ-თავიანთ ერებში.**

მომავალში განვითარება წარიმართება უფრო რთული და თავაწყვეტილი გზებით, მოსახვევები უკიდურესად მკვეთრი იქნება. **საქმე იქით მიდის, რომ განსაკუთრებით აფორიაქდება აღმოსავლეთი. მწვავედ დაუპირისპირდება დასავლეთს.**

და მაინც, როგორადაც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და ახალი თაობები მზერას მიმართავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებისა და გამარჯვებებისკენ. წლიდან წლამდე ახალი თაობები მოვლენ. ისინი კვლავ აღმართავენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და სრულად მოგვაგებენ პატივს. თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე ააგებენ“.

* * *

**მასხარაშვილი?! კიდევ გახსოვთ ეს ქლესა?!**

ჩემიზმა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲙᲐᲪᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ, ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲤᲐᲡᲝᲗ. ᲑᲠᲫᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ: „ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲛᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲐᲩᲘᲜᲝᲡᲝ“. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲔᲜᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ! ᲖᲜᲔᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲒᲕᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘᲐ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲤᲐᲚᲡ ᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗ.

### მეუფე იობი, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი:

# ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲕᲔᲫᲐᲮᲘᲗ, ᲪᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲖᲔᲐ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ



**„საქართველო და მსოფლიო“ სისტემატურად გთავაზობთ ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან საუბრების ციკლს, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე. ამჯერად გთავაზობთ მეუფე იობის ქადაგებას, რომლითაც მან მრევლს ქარელის რაიონის სოფელ ჭანდრებში კვირაცხოვლობის სახელობის ტაძრის კურთხევისას მიმართა.**

## ᲕᲔᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ, ᲕᲔᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲐ!

დღეს ჩვენს ეპარქიაში, ღვთის განგებულებით, ახალი ტაძარი (ქარელის რაიონში, სოფელ ჭანდრებში კვირაცხოვლობის სახელობის) იკურთხა. მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის. ტაძრის კურთხევა — ეს სულიწმინდის გარდამოსვლაა ამ ტაძარსა და მთლიანად ამ სოფელზე.

**ᲡᲣᲚᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲡ, ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲡᲘᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ. ᲡᲣᲚᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐᲐ ᲐᲛᲐᲕᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ — ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲐᲛ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ.**

ტაძრის აღდგენა, ტაძრის კურთხევა უდიდესი მოვლენაა და მადლობა უფალს, რომ ამ მოვლენის მომსწრენი კიდევ ერთხელ გავხდით. განსაკუთრებით მინდა დავლოცო დედა ქეთევანი (დულარიძე), რამეთუ მისმა ღვაწლმა და მონდომებამ შთააგონა მის ვაჟს ამ ტაძრის აღდგენა. ეს უდიდესი საქმეა!

ღმერთი ირჩევს, თუ ვინ აღადგინოს ტაძარი. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს მატერიალური შესაძლებლობა, მაგრამ აზრადაც არ მოუვიდეს ტაძრის აღდგენა! არაერთგზის მითქვამს, რომ ადამიანს შეიძლება ყველაფერი ჰქონდეს, მაგრამ იგი მაინც მკვდარი იყოს. ასეთი „მკვდარი“ ადამიანები ძალიან ბევრია ჩვენს გარშემო, სამწუხაროდ. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ადამიანი, რომელიც ეკლესიურად არ ცხოვრობს, სულიერად მკვდარია. მკვდარ ადამიანს კი აზრადაც არ მოუვა სიკეთის კეთება, ტაძრის აღდგენა.

დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: **„თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა, „არა არს ღმერთი“, კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვსა უგუნურსა და მიემსგავსა მას“. ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲡᲐᲐ ᲛᲘᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲭᲐᲛᲐ-ᲡᲛᲐ, ᲓᲠᲝᲡᲢᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲖᲔ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ!**

გავიხსენოთ დავით აღმაშენებელი — დიდი მეფე, რომელიც, როგორც სასულიერო პირთათვის, ისე ხელისუფლებისთვის მისაბაძი უნდა იყოს. ის სულ ლოცულობდა, წელიწადში ოცდაოთხჯერ სამოციქულოს კითხულობდა. სამოციქულოს წაკითხვა მხოლოდ რაოდენობით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ ეს იყო სულიერი საზრდო მეფისთვის, რომ გაძლიერებულიყო და ბრძნულად ემართა თავისი სახელმწიფო, თავისი ქვეყანა. ასეთი მეფეები და ხელისუფალნი გვყავდა და სწორედ ამან გაგვამარჯვებინა! რწმენა, უფლის, სამშობლოს სიყვარულია მთავარი, თორემ დღეს ვერავინ ვერავის მოატყუებს, დღეს ყველას ყველაფერი აწერია სახეზე. სანამ სიტყვას იტყვის ადამიანი, უკვე ჩანს, რისთვის ამბობს და რა დგას ამ სიტყვის უკან. ეს ნებისმიერ გლეხსაც კი არ შეეშლება, წერა-კითხვის უცოდინარსა და გაუნათლებელ ადამიანსაც კი არ გაუჭირდება იმის გამოცნობა, როდის ტყუიან ადამიანები...

სამწუხაროდ, დღეს რასაც პოლიტიკას ვეძახით, ამ ცბიერებაზე, ტყუილზეა დაფუძნებული. სწორედ ეს ტყუილის გავრცობა გამოიწვევს იმას, რომ ადამიანებს უკვე ნდობა აღარ ექნებათ ხელისუფლების მიმართ. ეს კი, თავის მხრივ, მათ ცნობიერებაში მოამზადებს ნიადაგს, რომ აირჩიონ ანტიქრისტე. ის თავიდან წარმოაჩენს თავის სახეს, როგორც კეთილშობილს, როგორც ბრძენსა და განსწავლულს. ადამიანები სწორედ ამისთვის არიან შემზადებულნი, რომ მეორე ადამიანი გარეგნობით შეაფასონ. გარეგნობით კი არა, კაცი ღირსებით, ადამიანობით, დამსახურებით უნდა შევაფასოთ. ბრძენ ქართველს უთქვამს: „საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო“. მართლაც, მისი გაკეთებული საქმე გამოაჩენს ადამიანს, გაკეთებული საქმიდან წარმოჩინდება თითოეული ჩვენთაგანის პიროვნება! **ᲖᲜᲔᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲒᲕᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘᲐ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲤᲐᲚᲡ ᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗ.** ამიტომაა ტაძრის აღდგენა, აშენება ასეთი დიდი, საღვთო საქმე; ამიტომაც ასე განსაკუთრებულად ვლოცავ ამ ტაძრის აღმდგენსაც და იმ ხალხსაც, ვინც მცირეოდენი წვლილიც კი გაიღო ამ საქმისთვის.



**რა დანიშნულება აქვს ტაძარს? ტაძარი ადამიანს სულიერად ზრდის, სულიერად განამტკიცებს, განსჯის უნარს ანიჭებს, რომ დაინახოს, სად არის ბოროტება და სად — სიკეთე. მაგრამ, თუ ადამიანი სულიერად არ ცხოვრობს, ის ამ განსჯის უნარს მოკლებულია. ასეთ ადამიანზე შეიძლება ითქვას: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო“. როგორც არის აღზრდილი, როგორც თავად აზროვნებს, ისე სჯის მის ირგვლივ მოვლენებს. სულიერი ადამიანი კი სხვაგვარად ხედავს და აღიქვამს გარემოს — მას თავადაც უჩნდება სურვილი, სიკეთე აკეთოს, მოწყალე იყოს და სხვასაც ამისკენ მოუწოდებს. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲣᲧᲐᲚᲘᲑᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲢᲔᲕᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ. ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ, ᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲐ, ᲘᲥ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ.**

სახარებიდან მინდა გაგახსენოთ, როცა უფალი მიბრძანდა ოჯახში, სადაც ორი და იყო, მართა და მარიამი, მარიამი ფერხთით დაუჯდა იესო ქრისტეს და მის ღვთიურ ქადაგებას უსმენდა, ხოლო მართა ზრუნავდა, სუფრას აწყობდა და ემზადებოდა, რომ ღირსეულად შეხვედროდა მაცხოვარს. მართა ჩქარობდა სუფრის გამზადებას და უფალს საყვედურით უთხრა — მომახმარე ჩემი და ამ სამზადისშიო. უფალმა კი უპასუხა: „მართა, მართა, მრავლისთვის ზრუნავ და შფოთავ შენ, აქა ერთისთვის არს სახმარო“ — მოსახმარი ამ ქვეყნად ერთი და მთავარი არის, მარიამმა კეთილი წილი გამოირჩიაო. კეთილი წილის გამორჩევა კი ნიშნავს ეკლესიურ ცხოვრებას, ეს ნიშნავს, რომ ძალა, მადლი და ღირსება მხოლოდ ეკლესიურ ცხოვრებაში, სულიწმინდის მადლის მოპოვებაშია. თუ ეს არ გვაქვს, არარანი ვართ წინაშე ღვთისა.

**ᲘᲝᲐᲜᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲨᲛᲐᲙᲗᲐᲜ ᲕᲐᲠᲗ. ᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲜᲖᲝᲛᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ — ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲦᲕᲗᲘᲡ, ᲐᲜ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ.**

ვინც ნებით თუ უნებლიეთ ეშმაკს ემსახურება, ის მასთან ერთად დამკვიდრდება საიქიო ცხოვრებაში. ღვთის მსახურნი და მორწმუნე მრევლი, რომელიც ერთგულად იცავს ღვთის მცნებებსა და მოძღვრის ლოცვა-კურთხევით ცხოვრობს, ის ღვთის მადლითა და წყალობით დამკვიდრდება სასუფეველში — ეს ▶

## ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲦᲕᲗᲘᲡ, ᲐᲜ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ

მოკლედ

### ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲬᲔᲡᲐ

**ევროკავშირი სირიისთვის „იარაღისა და აღჭურვილობის მიწოდებაზე, რომელიც, შესაძლოა, ოპოზიციის წინააღმდეგ გამოიყენონ“, აკრძალვას აწესებს.** გარდა ამისა, ევროკავშირმა სირიის ხელისუფლების 13 წარმომადგენელს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა და მათი ევროპული აქტივებიც გაყინა. სიას სათავეში ქვეყნის პრეზიდენტის, ბაშარ ასადის ძმა უდგას. თავად პრეზიდენტი ამჯერად სიას გადაურჩა.



### ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

**ორგანიზაცია „თალიბანმა“ პასუხისმგებლობა აიღო პაკისტანში განხორციელებულ ორმაგ ტერაქტზე, რომელიც, ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, პირველი შურისძიებაა ბინ ლადენის სასტიკი მკვლელობისთვის.** აფეთქებებს 70 ადამიანი ემსხვერპლა, 30-ზე მეტი კი მძიმედ დაშავდა. ორი აფეთქება ქალაქ ფეშავარიდან 30 კილომეტრში, პოლიციის მომზადების ცენტრთან მოხდა. დაღუპულთა უმრავლესობა ის სამხედროები არიან, რომლებიც ამ ცენტრში წვრთნას გადიოდნენ. დაიღუპა 5 სამოქალაქო პირიც.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**არაერთგზის მითქვამს, რომ ძალიან რთულ დროში გვიწევს ცხოვრება, როცა ჩვენი ეკონომიკა თითქმის სრულად და საინფორმაციო საშუალებების თითქმის ოთხმოცი პროცენტი „ვიღაცების“ ხელშია... და გვკარნახობენ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. სწორედ აქ უნდა გვქონდეს სულიერი თვალი, რომ მათი კარნახით არ ვიცხოვროთ, მათი შემოთავაზებული ცხოვრების წესი არ გავიზიაროთ, თუ გვინდა, რომ სწორი, ღვთივსათნო იყოს ჩვენი ცხოვრება. რადგან იქ, ვისთანაც სულიერება დაკარგულია, მკვდარია; ის, ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამიანებს ვერ მივემსგავსებით...**



# თუ ადამიანი ეკლესიურად ცხოვრობს, ის ზნეობრივადაც ღირებულია და მას პატრიოტული სულისკვეთებაც გააჩნია

◀ მიზანი უნდა ამოძრავებდეს თითოეულ ჩვენთაგანს. ჩვენ, ყველანი მოკვდავნი ვართ, ცოდვილნი და ჩვენი ამ ცოდვილი ბუნების განსაწმენდად სწორედ ეკლესია და ეკლესიური ცხოვრებაა აუცილებელი.

ისიც მინდა გაგახსენოთ, რომ ჩვენი ჯარისკაცები ბრძოლის ველზე გასვლის წინ აღსარებას ამბობდნენ, ეზიარებოდნენ და, თუ ქრისტეს სისხლსა და ხორცს ნაზიარებნი გარდაიცვლებოდნენ, იცოდნენ, რომ საიქიოში ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებდნენ, მართალთა წიაღში დაამკვიდრებდნენ თავიანთ სულს. სწორედ ეს არის მთავარი, ამაშია ჩვენი ძალა, ჩვენი მომავალი ცხოვრება და შევთხოვ უფალს, დედა ღვთისმშობელს, რომ მათი მეოხებით ჩვენი ერი გაძლიერდეს სარწმუნოებაში.

მე მინდა უფლის სიტყვები შეგახსენოთ: **„ვინც ჩემთან არ არის, იგი მტერ ჩემდა არს“.** ისევ უფალი გვპასუხობს, ვინ არის მასთან — ვინც ჩემს სისხლსა და ხორცს ღებულობს, ის ჩემთანა ჰგიესო — ვინც ეზიარება, ეკლესიურად ცხოვრობს, მხოლოდ მასზეა სულიწმინდის მადლი გადასული.

არაერთგზის მითქვამს, რომ ძალიან რთულ დროში გვიწევს ცხოვრება, როცა ჩვენი ეკონომიკა თითქმის სრულად და საინფორმაციო საშუალებების თითქმის ოთხმოცი პროცენტი „ვიღაცების“ ხელშია... და გვკარნახობენ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. სწორედ აქ უნდა გვქონდეს სულიერი თვალი, რომ მათი კარნახით არ ვიცხოვროთ, მათი შემოთავაზებული ცხოვრების წესი არ გავიზიაროთ, თუ გვინდა, რომ სწორი, ღვთივსათნო იყოს ჩვენი ცხოვრება. რადგან იქ, ვისთანაც სულიერება დაკარგულია, მკვდარია; ის, ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამიანებს ვერ მივემსგავსებით...

ხშირად „გვიქადაგებენ“ დასავლური ცხოვრების იმ მხარეს, სადაც გაუფასურებულია ადამიანური ღირებულებები; იქ თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. მათთვის სამშობლოს მცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ჩვენ სულით და ხორცით ცოცხალნი მაშინ ვართ, როცა ეკლესიაში ვართ. **ვერანაირი პრესა, ტელევიზია, ვერანაირი მოწოდებები პატრიოტიზმს და ზნეობას ვერ ჩამოაყალიბებს. ამის მომცემი მხოლოდ ეკლესიაა. თუ ადამიანი ეკლესიურად ცხოვრობს, ის ზნეობრივადაც ღირებულია და მას პატრიოტული სულისკვეთებაც გააჩნია.**

არაეკლესიური ადამიანი მოკლებულია ამ თვისებებს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ეკლესია-მონასტერი გაიხსნას, რაც შეიძლება მეტი ადამიანი შემოვიდეს ეკლესიაში, რომ საქართველო განიწმინდოს,საქართველო გადარჩეს... სხვანაირად — თუ სული დავიღუპეთ, თუ სულით თავისუფალნი არ ვიქნებით, მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობით, ეკონომიკური განვითარებით საქართველო ვერ გადარჩება...

საოცარია, როცა ჩვენი ერის, ეკლესიის ისტორიას ვეცნობით, ვგრძნობთ, რომ აშკარად ღვთის ხელი მოქმედებს როგორც ჩვენს ერზე, ისე ეკლესიაზე. ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან მომდინარეობს, როცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ მოციქულებთან ერთად მიიღო მონაწილეობა წილისყრაში — თუ ვის სად უნდა ექადაგა. **აი, სწორედ იქიდან განისაზღვრა საქართველოს მომავალი, ჩვენი ცხოვრება, როდესაც გადაწყდა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უნდა წამობრძანებულიყო საქართველოში, მისი ამ ქვეყნიდან გასვლის დრო იყო დამდგარი, მას მაცხოვარი გამოეცხადა და უთხრა — შენს წილხვედრ ქვეყანაში გააგზავნე ანდრია პირველწოდებული და „არა გავწირო ერი ესე საზეპურო უკანასკნელ ჟამამდეო“. სწორედ დედა ღმრთისმშობელი ბრძანდება ჩვენი უზესთაესი პატრონი, ჩვენი მფარველი, ჩვენი დედა, რომ არა ეს განსაზღვრულობა უფლისგან, ჩვენ ნამდვილად აღარ ვიარსებებდით, ჩვენზე უფრო ძლიერი, განვითარებული ქვეყნები წაიშალა ისტორიიდან, მაგრამ საქართველო ისევ არსებობს და იარსებებს „უკანასკნელ ჟამამდე“. ეს კი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დიდი დამსახურებაა...**

ჩვენს განსაკუთრებულობას და იმას, რომ ჩვენი ერი ღვთის მფარველობის ქვეშ არის, ისტორიაც დაგვიდასტურებს. **ჩვენი ერის ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა არც ერთმორწუნეობა გვშველოდა ბერძნებთან თუ რუსებთან, ისინიც კი გვმტრობდნენ, რადგან ქვეცნობიერად გრძნობდნენ, რომ ჩვენ ყველაზე მთავარი თვისება გვქონდა ღვთისგან მონიჭებული — სიყვარული. ამ ღვთიური ნიჭითაა ქართველი დაჯილდოებული და ჩვენი ეს უპირატესობა ყოველთვის იგრძნობოდა ბერძნებთან თუ რუსებთან ყოფნის დროს. ჩვენ მათ კი არ გადაგვარჩინეს ან ერთმორწმუნეობამ კი არ გადაგვარჩინა, ჩვენ გადაგვარჩინა ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელმა დედამ, ჩვენ გადაგვარჩინა ერთგულებამ დედა ეკლესიისადმი და მართლმადიდებლობამ.**

მინდა, ერთი მაგალითი მოგიყვანოთ: ყოველთვის გვებრძოდნენ, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არ ყოფილიყო დამოუკიდებელი. მეთოთხმეტე საუკუნეში საბერძნეთში იყო პატრიარქი — კალისტე კონსტანტინეპოლელი, რომელსაც მისმა ქვეშევრდომებმა და სასულიერო პირებმა სთხოვეს, გაეუქმებინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და ისტორიულად აუხსნეს, თითქოსდა არ ვიმსახურებდით ამ დამოუკიდებლობას. შეადგინეს წერილი, ტრაქტატი და ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა კალისტემ. მოხდა ისე, რომ მალევე შეწყდა მისი პატრიარქობა და ეს გადაწყვეტილება მან სისრულეში ვერ მოიყვანა. ჩვენ ავტოკეფალური და დამოუკიდებელი ვიყავით და ვართ დღესაც. სწორედ ამაშია ღვთის ხელი.

ისიც მინდა გავიხსენო, თუ როგორ დამაჯერებლად დაუსაბუთა ღირსმა მამამ, გიორგი მთაწმინდელმა ისტორიული წყაროებით ანტიოქიის პატრიარქს, თეოდოსი მესამეს, რომელიც „იყო კაცი მაღალი და ფილოსოფოსი, ორთავ ცხოვრებაში გამოცდილი“, რომ ჩვენი ეკლესია ნამდვილად იმსახურებდა ავტოკეფალიას — **„წმინდაო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ თავისა მის მოციქულისა პეტრეს საყდართა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათთორმეტთა მოციქულთაგანი სვიმონ კანანელი ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და დავსწყევთ... შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისა და ძმასა ანდრეას და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ“, რადგან ანდრიას პირველად მოუწოდა იესო ქრისტემ და ამის გამო პირველწოდებული ეწოდა, ქართველები კი მისი მოქცეულები ვართ, ხოლო პეტრეს — ანდრიას ძმას, ანდრიას შემდგომ მოუწოდა უფალმა მოციქულად და აქედან გამომდინარე, ჩვენ კი არ უნდა დაგემორჩილოთ თქვენ, არამედ თქვენ უნდა დაგვემორჩილოთ ჩვენ, თქვენ უნდა იყოთ ჩვენს დაქვემდებარებაშიო...**

უფლის მადლითა და წყალობით მაშინ გიორგი მთაწმინდელმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიას იმსახურებდა. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ **ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ყოველთვის იყო ბრძოლა და დღეს განა შეიძლება რამე გაგვიკვირდეს? დღეს რაღაც ჯგუფმა — არაქართველებმა დაიწყეს ეკლესიის წინააღმდეგ შეტევა (ვინც დედაეკლესიას ებრძვის, მას არ შეიძლება ქართველი ეწოდოს).**

ის მაინც გაიხსენონ, რომ ისტორიულად ასე იყო ყოველთვის — როცა მტერი შემოდიოდა, ცდილობდა, პირველად ეკლესია-მონასტრები დაენგრია, მცდელობა იყო იმისა, რომ მეფე-დედოფალთ სარწმუნოება შეეცვალათ და მერე სხვა ფენის ადამიანებიც შეიცვლიდნენ სარწმუნოებას, მაგრამ ჩვენი მეფე-დედოფალნი ქრისტეს ერთგულნი რჩებოდნენ. ამისი ყველაზე ნათელი დადასტურებაა ქეთევან დედოფალი, მეფე ლუარსაბი, არჩილი... **დღეს კი ჩვენს ვაი-ქართველებს (მე ძალიან მტკივა გული ამ ადამიანებზე) არ ესმით ეკლესიის მნიშვნელობა და მიზანმიმართულად, შეგნებულად ებრძვიან ეკლესიას და ის კი არ იციან, რომ ეკლესია ბრძოლაში იწრთობა, უფრო ძლიერდება და მყარდება! ჩვენ ბრძოლის არ გვეშინია. ეკლესიის დაარსებიდან, პირველი საუკუნიდან დღემდე მიმდინარეობს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა და ბრძოლაში ასე გამობრძმედილ ქრისტეს ეკლესიას ვერაფერს დააკლებს ვერც შინაური და ვერც გარეული მტერი... ეს კარგად ახსოვდეს ყველას!...**

ჩვენ გამოვიარეთ კომუნისტური ეპოქა, სადაც ათეიზმს, უღმერთობას გვასწავლიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ დღესაც იგივე მდგომარეობაა — **ტელევიზიით თუ პრესის საშუალებებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიდის მოწოდება, რომ ღმერთი არ ვიწამოთ, ტაძრები, მონასტრები არ ავაშენოთ... ასეთ რთულ ვითარებაში ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ლოცვები გავაძლიეროთ, რომ ღვთის მადლით, ანდრია პირველწოდებულის ლოცვით** (სწორედ ანდრია პირველწოდებულმა მისცა ჭეშმარიტი სარწმუნოება ქართველ ერს, რომლითაც დღესაც ვცხოვრობთ და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ სიცოცხლეს) **სულიერი თვალი აგვეხილოს.**

**შევთხოვ წმინდა ანდრია პირველწოდებულს, რომელსაც პირველად მოუწოდა უფალმა მოციქულთა შორის, რომელმაც საქართველოში დედა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ჩამოაბრძანა ნიშნად იმისა, რომ ეს ქვეყანა ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის წილხვედრია, რომ სულიერად წარიმართოს საქართველოს მომავალი, მართლმადიდებლური ჭეშმარიტი სარწმუნოებით განმტკიცდეს ქართველი ერი და ჩვენი ეს ღვთივკურთხეული მიწაწყალი ყოველთა ქართველთა წმინდანთა ლოცვით დაცული ყოფილიყოს ხილული და უხილავი მტრებისგან. ჩვენს სამშობლოს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს — შინაური თუ გარეული. ქართველ წმინდანთა ლოცვით ყველა ეს მტერი დათრგუნულიყოს; ყველა, ვისაც ჩვენი სამშობლო, ჩვენი დედაეკლესია არ უყვარს, ვინც ქართველი ერის მიმართ მტრულადაა განწყობილი.საქართველოს ყველა მტერი — შინაური თუ გარეული, ყველა წმინდა გიორგის ძლევაშემოსილი მახვილით განგმირულიყოს! ხოლო ვინც ერთგულია დედასამშობლოსი, დედაეკლესიისა, ღვთისა და წმინდანთა მფარველობა არ მოჰკლებოდეს!**

ჩვენ, მორწმუნენი ერთმანეთს აღდგომის შემდეგაც ორმოცი დღის განმავლობაში „ქრისტე აღსდგა“-თი ვესალმებით, რადგან კვლავ გრძელდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც არის საწყისი სიყვარულისა, იმედისა. აღდგომის დღესასწაული ყოველთვის განგვაახლებს, გვაძლიერებს, დაცემულს აღადგენს, სასოწარკვეთილებაში მყოფს კი იმედს შთაუნერგავს. სიხარული, სიყვარული, იმედი არ მოგიშალოთ უფალმა!

**ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, მადლით და წყალობით აგავსოთ! ყოველთა ქართველთა წმინდანთა ლოცვა გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!**

**ქრისტე აღსდგა!**

# ეკლესია ბრძოლაში იწრთობა, უფრო ძლიერდება და მყარდება! ჩვენ ბრძოლის არ გვეშინია

მსოფლიო

## კოსოვოს საქმეს გაერო გააკონტროლებს

**გაეროს უშიშროების საბჭომ კოსოვოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ღია სხდომა ჩაატარა. ყურადღების ცენტრში კვლავ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საქმის გამოძიება მოექცა.** სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წამოაყენა წინადადება, უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებული კომისია შეიქმნას და პრობლემა ევროკავშირს არ გადაბარდეს. ამ აზრს მხარი დაუჭირა რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ჩურკინმაც.



## იემენში სახალხო დაუმორჩილებლობა დაიწყო

**იემენის ოპოზიციამ ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში საერთო სახალხო დაუმორჩილებლობა დაიწყო.** ოპოზიციის ლიდერები იმედოვნებენ, რომ მათ უახლოეს ხანში დანარჩენი პროვინციებიც შეუერთდება. ამის მიუხედავად, იემენის პრეზიდენტი ალი აბდულა სალეხი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. სახელმწიფოს მეთაურის თქმით, თუ ვინმეს მისი ადგილის დაკავება სურს, დაე, ეს არჩევნების დროს განახორციელოს.

ჩვენი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ქრონიკა



კაპიტულაციის აქტს ხელი მოაწერეს 9 მაისს, 00 საათსა და 43 წუთზე მოსკოვის დროით. შუაევროპის დროით 9 რიცხვი ევროპასა და, მით უფრო, ამერიკაში მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დადგებოდა. ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირში გამარჯვების დღეს ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებთან შედარებით ერთი დღის დაგვიანებით დღესასწაულობდნენ.



# ლიფსიტების ტანგო, ანუ გაქარა ვაშაძის კლოუნადამ ოქრუაშვილის ფეკალიებამდე?

**ყურს დაუგდებ ამ ჩვენი ცოდვით სავსე ხელისუფლების „ცნობად სახეებს“, მათ მხარდამჭერ ექსპერტებს და ჰკვირდები: ნუთუ მართლა ვერ ხვდებიან ეს პატივცემული გვამნი, რომ მათი სიტყვამრუშობის ხალთაში ვერა და ვერ იმალება შუბი, სახელად ინსტრუქცია, რომელსაც უშურველად ურიგებენ მათ მაღალხელფასიანი მრჩევლები, ვისი ჭკუითაც იმართება, აგერ რამდენი ხანია, სუვერენული სახელმწიფო ჩვენი?!**

ამ ინსტრუქციიდან ასოასო ამოკენკილი მჭლე არგუმენტები წითელ ხაზად გასდევდა მათ სამაისო სიტყვამჭევრობის კონგენიალურ ნიმუშებს: **მაშინ, როცა „მთელი პროგრესული კაცობრიობა“ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 8 მაისს აღნიშნავს, საქართველო 9 მაისზე დაიციკლა, როგორც რუსეთი, რომელიც „სეპარატისტულად ზეიმობს“ ამ დღეს.** ასე განაცხადა ჩვენმა შარახვეტია საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

მარტო ეს რომ ეთქვა, კიდევ ჰო, თუმცა ამ „კიდევ ჰოს“ უკან აშკარად ჩანს ის რეალობა, რომლის მიხედვით, პატივცემულ ქერქეტებსა და ქარაფშუტებს ისტორიის არა გაეგებათ რა. საერთოდაც და ამ შემთხვევაში კერძოდ.

**მიღებული ინსტრუქციის თანახმად მეტყველი მინისტრი, რომელსაც ბენდუქიძის მსგავსად, ფეხი რუსეთში აქვს ადგმული და იქაური ძუძუ უწოვია, კანიდან ძვრება, თავისი ურაქართული პატრიოტობა რომ დაამტკიცოს, და აქედან გამომდინარე, მამა-პატრონების დასანახად ისეთ სისულელეებს როშავს, ლუარსაბ თათქარიძის „გაფრენილან“ ამასთან შედარებით ლოგიკური მსჯელობის მწვერვალია.**

„დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“.

გაიყვანეს, თანაც ისე, რომ კენწეროზე ჩამოსვეს, მინისტრი გახადეს კაცი, რომელსაც, თავისი და ცოლის ნათესავმეგობრების გარდა, მანამდე საქართველოში არავინ იცნობდა.

თორემ ვერონიკა ქობალია ხომ პოპულარობის მარგალიტი იყო!..

ჰოდა, ამტკიცებს ახლა, რომ ერთგული ლაქიის წოდების ღირსია, რომ ისეთი ვაჟკაცია, შეუძლია დაშხოშიანად ზურგს უკან შეაგინოს რუსეთის პრეზიდენტს საამებლად სააკაშვილისა.

ამერიკის პრეზიდენტს არ უთხოვია!

იმას არ უთხოვია, ესენი ძვრებიან კანიდან, რათა დაუმტკიცონ აშშ-ის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს, ჩვენც თქვენსავით ვაზროვნებთ და გადმოგვხედეთ მოწყალების თვალითო.

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ქართველ ხალხს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და კეთილდღეობა უსურვა,** — გვაცნობეს საინფორმაციო სააგენტოებმა.

ქოში უკულმა ყარა ამის გამგონე ვაშაძემ, მისმა აღშფოთებამ, როგორც ამ დღეებში ადიდებულმა მისისიპიმ, გაარღვია დიპლომატიის ყველა წესი და ჯებირი და სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობის ის ნარჩენებიც წალეკა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჯდებოდა ცივილიზებულ ჩარჩოებში: **„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ რუსეთის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის ქართველი ხალხისათვის მილოცვას კლოუნადა უწოდა“.**



გრიგოლ ვაშაძე

მიდი, გრიშა, დაგიფასებს მიშა!

ნინო კალანდაძემ პირი მობანა თავის უფროსს: **„როცა ამხელა სახელმწიფო ასეთ არასერიოზულ ნაბიჯს დგამს და არასერიოზულ სახეს აძლევს ძალიან მნიშვნელოვანი დღის შეფასებას, სწორედ ამით იყო გამოწვეული მინისტრის გაღიზიანება და მისი განცხადება“.**

აი, თურმე რამ ამოაგდო კალაპოტიდან კეთილშობილი მინისტრი.

ნეტა, თვითონ თუ სჯერა, რომ ასეა?

თუ არასერიოზულობაზეა ლაპარაკი, 9 მაისს ეს სიკეთე თავზესაყარი გვქონდა ეკრანებიდან და გამარჯვების პარკშიც, სადაც, **ვითომ ვეტერანების პატივსაცემად მისულმა, დედაქალაქის მერმა სწორედ ამ ვეტერანებს სულში ჩააფურთხა,** როცა განაცხადა, რომ **„8 მაისი ობიექტურად არის ფაშიზმზე გამარჯვების დღე... 9 მაისი უფრო საბჭოთა თარიღია, რომელიც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობასთან იყო დაკავშირებული“**. ამ სულელურ მტკიცებას ველარ უშველა მისმა საეჭვო კომპლიმენტმა: **„იმ ხალხისთვის, ვინც მეორე მსოფლიო ომი გამოიარა, 365-ვე დღე დღესასწაულია“.** სულ საზეიმოდ და სადღესასწაულოდ აქვთ საქმე ჩვენს ვეტერანებს!

კი შეეცადა ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მისული პარლამენტის თავმჯდომარე ცოტა დაეწია ახლადშობილი ისტორიკოსების თავგამოდების პატრუქისთვის — რომელი თარიღის აღნიშვნა უფრო გამართლებულია — 8 თუ 9 მაისი, ამაზე დავა ისტორიკოსების საქმეაო, მაგრამ, ჯერ ერთი, ამან „საქმეს“ ისე უშველა, როგორც მომაკვდავს — საფენებმა; მეორე, ბაქრაძის ლოგიკას თუ მივყვებით, ასე გამოვა: ისტორიკოსებს აქვთ უფლება, იდავონ. გადაწყვეტილების მიღება კი ჩვენი საქმეა, ანუ — უფლებაა ჩვენი.

რას არ გაიძულებს ინსტრუქცია — ამათი კათეხიზისი!

**ესენიც ჭრიან და კერავენ „ახალ ისტორიას“ ამ ინსტრუქციაში ჩაწერილი მითითებების შესაბამისად. აკვარიუმის ლიფსიტებივით ტრიალებენ ბროუნის ტანგოს აყოლილები და ხან ერთ კედელს მიაწყდებიან, ხან მეორეს და ისევ ტრიალებენ, რადგან კედლები გამჭვირვალეა, როგორც პოლიციის ახლადაგებული შენობები და გლუვია, როგორც მათი ტვინის პირველქმნილი ზედაპირი. ლიფსიტები ეჯაჯგურებიან გიგანტების მიერ შექმნილ ისტორიას: ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი ქვეყნების ლიდერები — სტალინი, ჩერჩილი და ტრუმენი მაისის რვასა და ცხრაში გამარჯვების ზეიმზე შეთანხმდნენ იმ უმარტივესი რეალობიდან გამომდინარე, რომ როგორც ჩერჩილმა თქვა მაშინ, „დედამიწა მრგვალია“** (იხ. „ბ-ნ ჩერჩილის პირადი და საიდუმლო წერილი მარშალ სტალინს“, რომელიც 1945 წლის 7 მაისითაა დათარიღებული).

თუ ჩვენი, თარიღებთან მებრძოლი ჩინოვნიკები ისტორიის ანალებში ჩაიხედავენ, ამოიკითხავენ: 1945 წლის 8 მაისი რომ დაღამდა, ბერლინის შემოგარენში, კარლხისტში გერმანიის სარდლობის წარმომადგენლებმა, რომელთაც ფელდმარშალი კეიტელი მეთაურობდა ხელი მოაწერეს ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების სრული და უპირობო კაპიტულაციის აქტს.

**კაპიტულაციის აქტს ხელი მოაწერეს 9 მაისს, 00 საათსა და 43 წუთზე მოსკოვის დროით. შუაევროპის დროით 9 რიცხვი ევროპასა და, მით უფრო, ამერიკაში მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დადგებოდა. ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირში გამარჯვების დღეს ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებთან შედარებით ერთი დღის დაგვიანებით დღესასწაულობდნენ.**

ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს მივუთითებ დოკუმენტურ კრებულზე „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმოწერა აშშ პრეზიდენტებთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებთან 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს“, თბილისი 1985 წელი, გვ. 445-449.

ხოლო, რაც შეეხება 9 მაისის კავშირს „ევროპის დაპყრობასთან“, წაიკითხეთ, გეთაყვა, უინსტონ ჩერჩილის წერილი, იოსებ სტალინს რომ გამოუგზავნა მაინც და მაინც 9 მაისს 1945 წლისა.

**ამ წერილს აქვე გთავაზობთ და მიიღეთ, ჩვენო ერთგულო მკითხველებო, ეს წერილი, როგორც კომენტარი, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარება.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სხედან ახლა ხელისუფლებისა და ოპოზიციის თეორეტიკოსი მამები და განსჯიან: ქაჩავს თუ არა ვაშაძის კლოუნადა ოქრუაშვილის ფეკალიებამდე?**

უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ რუზველტი, იოსებ სტალინი



**№464**
**მიღებულია 1945 წლის 9 მაისს.**

**პრემიერ-მინისტრი მარშალ სტალინს
ბრიტანელი ერის წერილი
წითელ არმიასა და რუს ხალხს**

**გულითადად მოგესალმებით ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც თქვენი მიწა-წყლიდან დამპყრობლების განდევნითა და ნაცისტური ტირანიის განადგურებით მოიპოვეთ. მტკიცედ მჯერა, რომ კაცობრიობის მომავალი ბრიტანელი და რუსი ხალხების მეგობრობასა და ურთიერთგაგებაზეა დამოკიდებული. აქ, ჩვენს კუნძულოვან მამულში, დღეს ხშირად ვფიქრობთ თქვენზე და თქვენი ბედნიერებისა და კეთილდღეობის გულის სიღრმიდან მომდინარე სურვილებს გითვლით. ჩვენ გვინდა, რომ იმ პირქუშ ველზე, რომელიც ერთად განვვლეთ, განცდილი ყველა ტანჯვისა და მსხვერპლის შემდეგ, ახლა ერთგული მეგობრობითა და ურთიერთსიმპათიით დაკავშირებულებმა ვიაროთ წინ გამარჯვებული მშვიდობის ელვარე მზის ქვეშ.**

**ვთხოვ ჩემს ცოლს, გადმოგცეთ ყველას მეგობრობისა და აღფრთოვანების ეს სიტყვები.**

## ასანჟი დააჯილდოეს

**ავსტრალიურმა ორგანიზაციამ „Sydney Peace Foundation“ საიტ „ვიკილიკსის“ დამფუძნებელ ჯულიან ასანჟს „ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში გამოჩენილი არნახული სიმამაცისთვის“ ოქროს მედალი გადასცა.** მედალი უფლებადამცველი ფონდის უმაღლესი ჯილდოა. თავისი არჩევანი ორგანიზაციამ იმით ახსნა, რომ ასანჟმა მოახერხა, სახელმწიფოების საუკუნეობით გასაიდუმლოებული მოქმედებები გამოეაშკარავებინა და მსოფლიო მთავრობებისთვის უფრო გამჭვირვალე მუშაობისკენ ებიძგებინა.



## კლინტონს 8 წლის ბიჭი უჩივის

**8 წლის ამერიკელი ებრაელი მენაჰემ ბენიამინ ჟივოტოფსკი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს უჩივის.** მენაჰემი 2002 წლის 17 ოქტომბერს იერუსალიმში დაიბადა. საელჩოში ბიჭის დაბადების ადგილად მიუთითეს იერუსალიმი და არა ისრაელი. 2002 წელს მიღებული კანონი იერუსალიმში დაბადებულ ამერიკელებს უფლებას აძლევდა, ქვეყნის სტატუსად ისრაელი მიეთითებინათ. მიუხედავად აშშ-ის ადმინისტრაციის წინააღმდეგობისა, უზენაეს სასამართლოში დაზარალებულთა სარჩელი მიიღეს.

ქვეყანაში მძვინვარებს პოლიტიკური და ეკონომიკური ტერორი, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული სისასტიკე და კაცთმოძულეობა, მუდმივად მიმდინარეობს სოციალური გენოციდი, საფრთხე ექმნება ქართულ სახელმწიფოებრიობას და თვით ქართველი ერის არსებობას. ერისთვის ამ უმძიმეს ვითარებაში ყოველმა ჩვენგანმა უნდა გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე, ჩაებას თავგანწირულ ბრძოლაში სამშობლოს გადასარჩენად.

თავყრილობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# «შენს გისოსებში მზეა»

## «საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის» აქცია-მარათონი — ფილარმონიაში

**11-12 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პატიმართა ოჯახების დასახმარებლად გაიმართა „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის" ორდღიანი თავყრილობა და საქველმოქმედო აქცია-მარათონი „შენს გისოსებში მზეა". აქციის სიმბოლოდ საგანგებოდ შეირჩა თეთრი გვირილა. „თეთრი გვირილის დღე" მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ექიმმა გრიგოლ ორბელიანმა დაამკვიდრა. გვირილების გაყიდვით შემოსული თანხა კი ჭლექით დაავადებულ ადამიანებს ხმარდებოდა.**

**„წინააღმდეგობის მოძრაობის" მიზანიც ტუბერკულოზით დაავადებული იმ ადამიანების დახმარება იყო, ვისაც საპატიმროებში შეეყარა ეს მძიმე სენი. აქცია ასევე მიზნად ისახავდა ციხეებში წამებით მოკლულთა ოჯახების წევრების, მათი მცირეწლოვანი შვილებისა და უმწეო მშობლების თანადგომას.**

„21-ე საუკუნის საქართველოში ეს დაავადება ისევ მძვინვარებს. საპყრობილეებში უამრავი პატიმარი ილუპება ტუბერკულოზით. ჩვენ გვინდა, ამ აქციით დავეხმაროთ ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს და მივაწოდოთ აუცილებელი წამლები," — განაცხადეს აქციის ორგანიზატორებმა.

აქციაში მომღერლები და მსახიობებიც მონაწილეობდნენ. შეკრებილ საზოგადოებას უჩვენეს ვიდეოკლიპები უსამართლოდ დახოცილ ახალგაზრდებსა და ციხეში გარდაცვლილ პატიმრებზე, ასევე, — აფხაზეთის ომის ამსახველი ვიდეომასალა.

**„ჩვენთვის ეს არის ბრძოლა იმისთვის, რომ დავიბრუნოთ მომავალი, ღირსება და პროფესია. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს," — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას მედია-კავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა.**

აქცია-მარათონს უძღვებოდნენ მსახიობი ნანა შონია და მომღერალი ზურაბ მანჯავიძე. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჯემალ სეფიაშვილი და დიმიტრი ლორთქიფანიძე, მერაბ ჭიქაშვილი და ანსამბლი „ილორი", სოსო მანჯავიძე და ზურაბ დოიჯაშვილი, მარინა ბერაძე და ანსამბლი „ფორტე", ლევან ანჯაფარიძე და აველინა დავითულიანი, ადა მარშანია და დიმიტრი ჯაიანი, ნათია ავსაჯანიშვილი და ციხეებში გარდაცვლილ პატიმართა ოჯახის წევრები...

„წინააღმდეგობის მოძრაობის" უპრეცენდენტო აქციამარათონმა ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველოში მოყვასის მიმართ თანაგრძნობისა და თანადგომის მუხტი კვლავაც მძლავრია.

**დარბაზში ყურადღებით უსმენდნენ „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერის — დავით თარხან-მოურავის გამოსვლას, რომელმაც ხალხს დეკლარაციისა და მანიფესტის პროექტები გააცნო და მხარდაჭერა სთხოვა. ეს დოკუმენტები რამდენად სერიოზულია და რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესრულებას, თავადაც დარწმუნდებით, როცა გაეცნობით.**

**მარათონის ფარგლებში 8000 ლარი შეგროვდა. თანხა გადაეცათ გარდაცვლილი პატიმრების: ზენონ ხალვაშის, ჯამბულ აბუსერიძის, ციხის ბუნტის დროს მოკლული 23 წლის პატიმრის, ნუგზარ ქსოვრელისა და მალხაზ მუზაშვილის ოჯახის წევრებს. აგრეთვე, 50-ვე პატიმრის ანგარიშზე, რომელთაც ტუბერკულოზის ყველაზე მძიმე ფორმა აქვთ, 100-100 ლარი დაირიცხება.**

საყოველთაო ნიჰილიზმისა და უნდობლობის ფონზე, ორი დღის განმავლობაში ფილარმონიის ხალხით გავსება არც ერთ პოლიტიკურ ძალასა და საზოგადოებრივ მოძრაობას არ შეუძლია. „წინააღმდეგობის მოძრაობამ" კი შეუძლებელი შეძლო, ხალხმა იმედგაცრუება დაძლია, გაჩნდა რწმენისა და იმედის ნაპერწკალი და ამას გაღვივება სჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ **11 მაისს „წინააღმდეგობის მოძრაობის" აქციას დროში დაემთხვა მახათას მთაზე ახალი ეკლესიის კურთხევის ცერემონია და სახალხო მსვლელობა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის არქიეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.**

**იყო სერიოზული რისკი, რომ ამ მნიშვნელოვან რელიგიურ რიტუალს გადაეფარა „წინააღმდეგობის მოძრაობის" აქცია, თუმცა მოძრაობის მიერ წამოჭრილი პრობლემები საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ძალიან აქტუალური აღმოჩნდა.** ამიტომაც, მართალია, აქცია-მარათონი საქმიანი ატმოსფეროთი გამოირჩეოდა და ამავე დროს, თანამედროვე დასავლური ტრადიციების მიხედვით, შოუს ელემენტებიც — კლიპები, ფილმების პრეზენტაციები, მუსიკა და პოეზიაც ვიხილეთ, მაგრამ სევდითა და ცრემლით იყო გაჯერებული, როგორც ქვეყანაში არსებულ სიტუაციას შეეფერება.

**ბონდო მძინარაშვილი**

# «საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის» დეკლარაცია


წინააღმდეგობის მოძრაობა

**ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გზით, მიიტაცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ქვეყანაში მოკლა პოლიტიკური პროცესი და ოპონენტებს დაუტოვა მხოლოდ ქუჩის პოლიტიკის არეალი, ციხეები გაავსო პოლიტპატიმრებით, დაიმორჩილა მედიის დიდი ნაწილი და აწარმოებს საზოგადოების ცნობიერებაზე მავნე ზემოქმედებას, ეკონომიკის „პრიორიტეტად" აქცია წართმევა, სოციალური დაცვის პოლიტიკა შემოფარგლა დევნილთა ბანაკების მშენებლობით, გააღატაკა მოსახლეობა, მიზანმიმართულად გაანადგურა პროფესიონალი კადრები, სამარცხვინოდ დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის 22 პროცენტი.**

**ჩვენ მიგვაჩნია, რომ დასაღუპავად განწირული ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელია:**

ა) შსს-ს დეცენტრალიზაცია, მისი ცენტრალური აპარატის, სოდ-ის, კუდ-ისა თუ სხვა პოლიტიზებული სამსახურების გაუქმება, ხოლო საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, დაზვერვის, კონტრდაზვერვის, საზღვრის დაცვის სამსახურების დამოუკიდებელ უწყებებად ჩამოყალიბება;

ბ) პროკურორის ინსტიტუტის გაუქმება, მის ნაცვლად სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტის შემოღება, რომელსაც არ ექნება საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლება;

გ) დამოუკიდებელი ერთიანი საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბება; გამომძიებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სახალხო დამცველის მოთხოვნისთანავე, თუკი მას საგამოძიებო მოქმედებები არაობიექტურად მიაჩნია;

დ) სასამართლო პროცესებზე მედიასაშუალებების დაშვების გაუქმებული წესების აღდგენა; მოსამართლის უფლებამოსილების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, თუკი ამას მოითხოვს სახალხო დამცველი ამ მოსამართლის მიერ მიღებულ სამ სხვადასხვა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

ე) ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადება, რათა საპატიმროებში დარჩეს 5000-ზე ნაკლები პატიმარი (ევროსტანდარტების შესაბამისად); ნარკომომხმარებელთა განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და მათი სავალდებულო მკურნალობა; საზოგადოებისთვის სანდო, ავტორიტეტული უფლებადამცველებისა და ჟურნალისტებისთვის საპატიმროებში მონიტორინგის უფლებამოსილების მინიჭება;

ვ) საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნა არაკომერციულ იურიდიულ პირად — ჟურნალისტთა კავშირად, რომლის წევრებიც (საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები) თავად აირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციას; „თავისუფალი ტრიბუნის" ხელმისაწვდომობა არაკომერციული იურიდიული პირებისთვის;

ზ) წვრილი და საშუალო მეწარმეებისთვის მხოლოდ ფიქსირებული გადასახადის დაწესება, მათი განთავისუფლება საფინანსო, საბუღალტრო და ნებისმიერი სხვა ანგარიშგებისგან;

თ) უფასო და საყოველთაო სამწლიანი ზოგადი უმაღლესი განათლების შემოღება;

ი) გადაუდებელი უფასო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისთვის; უფასო მედიკამენტების ნუსხის განსაზღვრა საქართველოს მიერ საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად;

კ) პენსიისა და სოციალური დახმარების გათანაბრება საარსებო მინიმუმთან; რეალური და სამართლიანი შემწეობის სისტემის შექმნა სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი პირებისთვის;

ლ) სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავებას განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით;

მ) დევნილთათვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა, მათთვის დროებითი საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა და შემწეობის გაზრდა საარსებო მინიმუმამდე;

ნ) საქართველოს ეროვნული ინტერესების გამომხატველი და ქვეყნის გამთლიანებაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე პოლიტიკის წარმოება რუსეთთან, ევროპასა და აშშ-სთან;

**ვაცხადებთ, რომ ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად ვაერთიანებთ ჩვენს ადამიანურ, ორგანიზაციულ, საინფორმაციო, ფინანსურ და სხვა რესურსებს.**

**ვირჩევთ მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული ბრძოლის გზას.**

**მივმართავთ ყველა მამულიშვილს — ერთად ვიხსნათ სამშობლო!**

**თბილისი,
2011 წლის 12 მაისი.**

# «საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის» მანიფესტი

**ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ პოლიტიკური ძალადობის, კრიმინალური ქმედებებისა და არჩევნების გაყალბების გზით, საქართველოში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ავანტიურისტთა ჯგუფმა, რომელმაც ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა. ეს კრიმინალური დე ფაქტო ხელისუფლება მიზანმიმართულად იბრძვის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და ქართველ ხალხს არ უტოვებს თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობას. ამ რეჟიმმა უხეშად ხელყო ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, მთელი ქვეყანა აქცია ციხედ, გამუდმებით ატერორებს მოსახლეობას და ადამიანებს ართმევს სიცოცხლის უფლებას.**

**ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში მძვინვარებს პოლიტიკური და ეკონომიკური ტერორი, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული სისასტიკე და კაცთმოძულეობა, მუდმივად მიმდინარეობს სოციალური გენოციდი, საფრთხე ექმნება ქართულ სახელმწიფოებრიობას და თვით ქართველი ერის არსებობას. ერისთვის ამ უმძიმეს ვითარებაში ყოველმა ჩვენგანმა უნდა გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე, ჩაებას თავგანწირულ ბრძოლაში სამშობლოს გადასარჩენად.**

**მიგვაჩნია, რომ ქვეყნის სათავეში მყოფი დამნაშავე რეჟიმი საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ტერორს ახორციელებს მის ხელთ არსებული ყველა რესურსისა და საშუალების გამოყენებით, განიხილავს და იყენებს სახელმწიფო ორგანოებსა და უწყებებს, როგორც ამ ტერორის განხორციელების ქმედითუნარიან ინსტრუმენტებს.**

**ვთანხმდებით, რომ კრიმინალი დე-ფაქტო ხელისუფლების გასანეიტრალებლად აუცილებელია უკომპრომისო და თავგანწირული ბრძოლა, რათა დავიბრუნოთ წართმეული სამოქალაქო — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.**

**ტერორის ინსტრუმენტების გასაუვნებელყოფად და დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიტაცებული ძალაუფლების კვლავ ხალხისთვის დასაბრუნებლად მოვითხოვთ:**

ა) შსს-ს დეცენტრალიზაციას, მისი ცენტრალური აპარატის, სოდ-ის, კუდ-ისა თუ სხვა პოლიტიზებული სამსახურების გაუქმებას, ხოლო საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, დაზვერვის, კონტრდაზვერვის, საზღვრის დაცვის სამსახურების დამოუკიდებელ უწყებებად ჩამოყალიბებას;

ბ) პროკურორის ინსტიტუტის გაუქმებას, მის ნაცვლად სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტის შემოღებას, რომელსაც არ ექნება საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლება;

გ) დამოუკიდებელი ერთიანი საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბებას; გამომძიებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სახალხო დამცველის მოთხოვნისთანავე, თუკი მას საგამოძიებო მოქმედებები არაობიექტურად მიაჩნია;

დ) სასამართლო პროცესებზე მედიასაშუალებების დაშვების გაუქმებული წესების აღდგენას; მოსამართლის უფლებამოსილების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, თუკი ამას მოითხოვს სახალხო დამცველი ამ მოსამართლის მიერ მიღებულ სამ სხვადასხვა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

ე) ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადებას, რათა საპატიმროებში დარჩეს 5000-ზე ნაკლები პატიმარი (ევროსტანდარტების შესაბამისად); ნარკომომხმარებელთა განთავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და მათ სავალდებულო მკურნალობას; საზოგადოებისთვის სანდო, ავტორიტეტული უფლებადამცველებისა და ჟურნალისტებისთვის საპატიმროებში მონიტორინგის უფლებამოსილების მინიჭებას;

ვ) საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნას არაკომერციულ იურიდიულ პირად — ჟურნალისტთა კავშირად, რომლის წევრებიც (საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები) თავად აირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციას; „თავისუფალი ტრიბუნის" ხელმისაწვდომობას არაკომერციული იურიდიული პირებისთვის.

ვაცხადებთ, რომ ჩვენი ქმედებებით ერთდროულად უზრუნველვყოფთ:

ა) საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებასა და ჩართვას ჩვენთვის წართმეული უფლებების დასაბრუნებლად;

ბ) პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვას და ამ აქციებში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმას;

გ) ქვეყნის დე ფაქტო ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის გამოსავლენად რეფერენდუმის ჩატარებას; ხელისუფლების წინააღმდეგობის შემთხვევაში რეფერენდუმს ჩავატარებთ დამოუკიდებლად, ჩვენი ძალებით.

**გვჯერა, რომ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთობა წარმატების საწინდარია!**

**მოვუწოდებთ სამოქალაქო თანხმობისკენ ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალას, ყველა მამულიშვილს!**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

**თბილისი,
2011 წლის 12 მაისი.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სააკაშვილის მმართველობის მთავარი ამოცანა ნატოში გაწევრიანება იყო. აშშ ამ მისწრაფებას მხარს უჭერდა, თუმცა ამაოდ — რუსეთთან ომმა ნატოში გაწევრიანების სერიოზული შანსები დღის წესრიგიდან მოხსნა და მართლაც, საქართველო კონფლიქტის დაწყების მომენტისთვის ნატოს წევრი რომ ყოფილიყო, ეს იძულებულს გახდიდა აშშ-სა და ნატოს დანარჩენ წევრებს, რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინათ. ახლა საქართველოს ახალი მიზანი გაუჩნდა: ამერიკული შეიარაღება. გასულ წელს მან სერიოზულად დაიწყო იმის ლობირება, რომ აშშ-ს საქართველო „თავდაცვითი იარაღით“ მოემარაგებინა, კერძოდ კი — ანტისაჰაერო და ანტისატანკო სისტემებით.**

# აშშ საქართველოს მხოლოდ რიტორიკით ეხმარება

**საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, თავი მოაწონოს ამერიკელ პატრონებს, არაერთხელ გამხდარა მსოფლიო პრესის განსჯის საგანი. მლიქვნელობა მხოლოდ სიტყვებით არ გამოიხატება და, სამწუხაროდ, ხელისუფლება ცდილობს, ქართველი სამხედროების სიცოცხლის სანაცვლოდ შეინარჩუნოს პოზიციები და მიიღოს დახმარება შეიარაღების სახით. ამას ადასტურებს „ქართული თავგამოდება“ ავღანეთსა და ერაყში, სადაც ქართველი ჯარისკაცები იღუპებიან. The Atlantic-ში გამოქვეყნებულ წერილში ჯოშუა კუცერა ცდილობს, დაინახოს ლოგიკა სააკაშვილის ხელისუფლების მოქმედებებში, თუმცა საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ ასკვნის, რომ მათი მცდელობები ფუჭია, რადგან საქართველო, მიუხედავად ერთგული ვასალობისა, აშშ-ისგან საჩუქრად ვერანაირ იარაღს ვერ მიიღებს, უახლესი საბრძოლო თუ თავდაცვითი შეიარაღების შესაძენი ფული კი არ აქვს და მხოლოდ იაფფასიანი აღჭურვილობით უნდა დაკმაყოფილდეს.**



**საქართველო ვერასდროს შეძლებს, დამოუკიდებლად შეიძინოს ამერიკული აღჭურვილობა**

K Street-ის ლობისტებით დაწყებული Newsweek-**ის ინტერვიუებით დამთავრებული საქართველო ყველა ღონეს ხმარობს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ამერიკული იარაღით შეიარაღდეს, მაგრამ განა ეს მართლა კარგი იდეაა?**

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა, ეს პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე თავდადებული მოკავშირეა. მან ერაყსა და ავღანეთში ერთ სულ მოსახლეზე გათვლით ყველაზე მეტი სამხედრო გააგზავნა, თუმცა მის ორ ტერიტორიას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რუსეთის მტრული ძალები დაეუფლნენ.

საქართველოს ძალიანაც არ ერიდებოდა იმის გამხელა, რომ საკუთარ წვლილს აშშ-ის სამხედრო მისიაში ისე აღიქვამდა, როგორც სამსახურს სამსახურის წილ. **„ჩვენ ჯარისკაცები ვართ და ამერიკელ ჯარისკაცებს ვეხმარებით,** – 2007 წელს New York Times-ს განუცხადა ერთმა ქართველმა კაპრალმა, – **მერე კი ამერიკა ჩვენს ქვეყანას დაეხმარება“.** ავღანეთში ქართველები ჰელმანდის სახიფათო პროვინციაში ნებაყოფლობით მსახურობენ, სადაც უკვე 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

**საპასუხო დახმარებად კი საქართველოს ის უნდა, რომ მისი მოსისხლე მტრისგან — რუსეთისგან დაიცვან და რუსების მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, კონტროლის აღდგენაში დაეხმარონ, მაგრამ ჯერჯერობით აშშ-ს, გარდა რიტორიკისა, საქართველოსთვის დიდი ფაქტობრივი დახმარება არ გაუწევია.** 2005 წელს საქართველოს ჯორჯ ბუში ეწვია და აქაურობას „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. გასულ თვეში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა გენერალმა ექსპანსიურად შეაქო ქართველების სამსახური ავღანეთში და აღნიშნა: **„ქართველებს ბრძოლა უყვართ“.**

მაგრამ სიტყვებს დიდი ფასი არ აქვს და ამ სიტყვათა განსამტკიცებლად ცოტა რამ იყო გაკეთებული. მაგალითად, როდესაც 2008 წელს სამხრეთ-ოსეთის გამო ომი ატყდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ ვაშინგტონი რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში საპასუხო ნაბიჯებს გადადგამდა, აშშ-მა მხოლოდ ის გააკეთა, რომ თავისი სამხედრო თვითმფრინავებით ერაყში მომსახურე ქართველი ჯარისკაცები შინ გადმოაფრინა. თუმცა იმ დროს, როდესაც ჯარისკაცებმა საქართველოში ჩამოაღწიეს, ომი უკვე წაგებული იყო.

**სააკაშვილის მმართველობის მთავარი ამოცანა ნატოში გაწევრიანება იყო. აშშ ამ მისწრაფებას მხარს უჭერდა, თუმცა ამაოდ — რუსეთთან ომმა ნატოში გაწევრიანების სერიოზული შანსები დღის წესრიგიდან მოხსნა და მართლაც, საქართველო კონფლიქტის დაწყების მომენტისთვის ნატოს წევრი რომ ყოფილიყო, ეს იძულებულს გახდიდა აშშ-სა და ნატოს დანარჩენ წევრებს, რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინათ. ახლა საქართველოს ახალი მიზანი გაუჩნდა: ამერიკული შეიარაღება. გასულ წელს მან სერიოზულად დაიწყო იმის ლობირება, რომ აშშ-ს საქართველო „თავდაცვითი იარაღით“ მოემარაგებინა, კერძოდ კი — ანტისაჰაერო და ანტისატანკო სისტემებით.**

**„საქართველოს დაუცველობა სიტუაციას არაფერს შემატებს,** – განუცხადა სააკაშვილმა Newsweek-ს, — **საქართველო რუსეთს თავს ვერ დაესხმება, მაგრამ დაუცველი საქართველო რუსეთისთვის დიდ ცდუნებას წარმოადგენს – ის ჩვენი ხელისუფლების შეცვლას სამხედრო ძალის გამოყენებით მოინდომებს. დღეს არსებული სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აშშ თავდაცვითი შეიარაღების სიმძლავრეებით დაგვეხმარება“.**

მოგვიანებით მან კიდევ უფრო გაამძაფრა რიტორიკა და განაცხადა, რომ მხოლოდ აშშ-ს შეუძლია საქართველოსთვის ისეთი შეიარაღების მიყიდვა, რომელიც მას თავდაცვისთვის სჭირდება: **„საქართველოს ისეთი რამ სჭირდება, რაც არსად არ მოიპოვება. ეს ანტისაჰაერო და ანტისატანკო შეიარაღებაა და აბსოლუტურად ცხადია, რომ ჩვენი თანამშრომლობის შემდეგი ეტაპი ეს უნდა გახდეს“.**

აშშ არასდროს ყოფილა საქართველოს განსაკუთრებულად დიდი მომმარაგებელი. საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა აღჭურვილობა და შემდეგ სხვა ყოფილ საბჭოთა და ვარშავის პაქტის ყოფილ ქვეყნებზე იყო დამოკიდებული გადაიარაღების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ პენტაგონმა რამდენიმე სამხედრო წვრთნა საქართველოში ჩაატარა, ეს წვრთნები ქართულ ჯარს ერაყსა და ავღანეთში დისლოცირებისთვის ამზადებდა.

მაგრამ ამერიკული შეიარაღების საკითხი ახლა იმისთვის ამოტივტივდა, რომ აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობა ზუსტად განისაზღვროს. საქმე ისაა, რომ **საქართველო და მისი მოკავშირეები ვაშინგტონში ამტკიცებენ, რომ, თუ აშშ საქართველოს შეიარაღებას არ მიაწვდის, ეს წარმოსახვითი „გადატვირთვის“ გამო რუსეთისადმი მონური მორჩილების ტოლფასი იქნება.** ამერიკელი სენატორი ჯონ მაკეინი შეიარაღებით საქართველოს უზრუნველყოფის მთავარი ადვოკატია. მარტში მან კონგრესში მოსმენებზე განაცხადა, რომ **„იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ჯერ კიდევ აქვს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც ნამდვილად ქართულია და კვლავინდებურად ემუქრება საქართველოს, ჩემთვის რთულია იმის გაგება, რომ ჩვენ საქართველოს თავდაცვით იარაღსაც კი არ ვაწვდით. ეს გაუგებარია“.**

როგორც იტყობინებოდნენ, **საქართველოს ბოლო ელჩი თანამდებობიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მან ვერ შეძლო შეიარაღების მიღება ამერიკიდან.** საქართველომ გასულ წელს მარტოდენ ოთხ ყველაზე წარმატებულ ლობისტურ ფირმას ვაშინგტონში 1,5 მილიონი დოლარი გადაუხადა, რითაც ბევრად გაუსწრო წინ თავისი კატეგორიის ქვეყნებს. ამ ლობისტურ ძალისხმევაში შედიოდა პრესაში აგრესიული კამპანია, რომელიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა დე ფაქტო ემბარგო დააწესა საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე იმ დროს, როდესაც ამგვარი ემბარგოს დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობდა.

**ერთი საკვანძო, მაგრამ პასუხგასაცემი კითხვა ასეთია — საქართველო შეიარაღების ყიდვას აპირებს, თუ სურს, რომ აშშ-მა შეიარაღება მას დახმარების სახით მისცეს?**

როდესაც ამ კითხვით საქართველოს ოფიციალურ პირებს მიმართავენ, ისინი პასუხს გაურბიან და ამბობენ, რომ დისკუსია ასე შორს ჯერ არ შესულა. მაგრამ საქართველოსთვის იარაღის შესყიდვაზე ნებართვის მიცემა სხვა საკითხია, ხოლო აშშ-ს გადასახადის გადამხდელთა მიერ მათი შეიარაღების დაფინანსება — სხვა. თუმცა ციფრები იმის ვარაუდს აჩენს, რომ **საქართველო ვერასდროს შეძლებს, დამოუკიდებლად შეიძინოს ამერიკული აღჭურვილობა.**

საქართველო ღარიბია, ხოლო ამერიკული იარაღი — ძვირი. საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 2011 წლისთვის დაახლოებით 370 მილიონი დოლარია, შესყიდვებისთვის მისი ერთი მესამედის — 123 მილიონი დოლარის გამოყენებაა შესაძლებელი. იმისთვის, რომ ერთი შედარება მაინც მოვახდინოთ: გაერთიანებულმა არაბულმა საემიროებმა ახლახან აშშ-ის საჰაერო-თავდაცვითი შეიარაღების შესაძენად 7 მილიარდი დოლარი დახარჯეს. მხოლოდ ერთი ანტი-საზენიტო სარაკეტო სისტემა „პატრიოტი“ დაახლოებით 6 მილიონი დოლარი ღირს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთელი თავისი წლიური ბიუჯეტით მხოლოდ 20 სარაკეტო სისტემის ყიდვა შეეძლება, აღარაფერს ვამბობთ სატყორცნ დანადგარებზე, რადარებსა და სხვა საკვანძო კომპონენტებზე.

**თუ საქართველოს მართლა სურს საკუთარი ფულით იარაღის შეძენა, მაშინ უკეთესი იქნება, თუ ის შეიარაღების უფრო იაფ წყაროს მიაგნებს.**

რუსეთმა საქართველოს ბევრი ყოფილი მომმარაგებელი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ევროპასა და ისრაელში, შეაშინა და მათ საქართველოსთან თანამშრომლობის შეწყვეტა მოსთხოვა, მაგრამ სხვა მწარმოებლები (ისეთები, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია ან თურქეთი) ნამდვილად შეძლებენ საქართველოსთან თანამშრომლობას.

მაგრამ არც ისაა გარკვეული, რამდენად არგებს საქართველოს კბილებამდე შეიარაღება. რუსეთის სამხედრო ძალა იმდენად ძლიერია ქართულზე, რომ დამატებითი შეიარაღება საკამათო საკითხია. უფრო უარესიც: მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს არაერთი განცხადების თანახმად, ის მხოლოდ „თავდაცვითი“ შეიარაღების მიღებას ცდილობს, ნებისმიერი თავდაცვითი შეიარაღება აადვილებს აგრესიას იმით, რომ კონტრშეტევის წინააღმდეგ მიმართულ თავდაცვას აუმჯობესებს. **საქართველო ბევრს ლაპარაკობს რუსული შეტევის საფრთხეზე, მაგრამ რეალურად ეტყობა იმ რწმენით, რომ რუსეთი არაფერს მოიმოქმედებდა პირველად საქართველომ გაისროლა 2008 წელს, რამაც დააჩქარა კიდეც 2008 წლის ომი რუსეთთან.**

ამ წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ სტატიაში რეგიონის ორი სპეციალისტი — გორი ველტი და სამუელ ჩარაპი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს შეიარაღებით მომარაგება სამუდამოდ შეინარჩუნებდა მარადიული კონფლიქტის მენტალიტეტს — „ბერლინის კედლის მენტალიტეტს“ და გზას გადაუღობავდა იმ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს მართლა სჭირდება, თავის დაკარგულ ტერიტორიებთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ველტი და ჩარაპი წერდნენ, რომ ეს არის ნელი, მტკივნეული პროცესი, რომელიც ჩააცხრობს დაძაბულობას, კონფლიქტის ხაზებზე მცხოვრებ ადამიანებს ერთმანეთთან დაახლოებს, შექმნის ნდობას, სავაჭრო კავშირებს და ხელისუფლებებს შორის დაარეგულირებს ურთიერთობას.

**მაგრამ სინატიფეს სააკაშვილის ძლიერ მხარედ ვერ დავასახელებთ. ამერიკული შეიარაღება ადგილზე ვერაფერს შეცვლის, მაგრამ გახდება ხელშესახები ნიშანი დასავლური მხარდაჭერისა, რაც სააკაშვილს აშკარად სურს.** გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ, შეერთებული შტატების სხვა მოკავშირეებთან შედარებით, შესაძლოა, ყველაზე მეტი გააკეთა და ყველაზე ნაკლები მიიღო ჯილდოდ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ საქართველო უფასო სარაკეტო სისტემებით მოვამარაგოთ. ეს, უბრალოდ, სიტუაციას კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის.

**ჯოშუა კუცერა**
**11 მაისი, 2011 წელი**

the Atlantic

**რუსეთსა და ნატოს შორის ძველებურად არსებობს პრინციპული უთანხმოება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, საქართველო. ნატო ძველებურად მოითხოვს ქართული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ პატივისცემას და ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს ამ მიმართულებით საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისკენ. ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ ამ უთანხმოებების განხილვას. მაგრამ ამავე დროს არ უნდა მივცეთ მათ ჩვენი პარტნიორობის პარალიზების საშუალება.**

## დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ნატო და რუსეთი ანტისარაკეტო თავდაცვაზე თანხმდებიან

**ნატო აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან და მისი პრაგმატიზმი სრულიად ბუნებრივია. მართალია, ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი Chicago Tribune-ში გამოქვეყნებულ წერილში ხაზს უსვამს ნატო-რუსეთის უთანხმოების ერთ-ერთ საკითხს და კონკრეტულად საქართველოს ასახელებს, მაგრამ მისი ამ წერილის პათოსი გვარწმუნებს, რომ გლობალური პოლიტიკისთვის ჩვენს ქვეყანას მხოლოდ „ხურდა ფულის“ ფუნქცია აკისრია.**

როდესაც 2009 წელს ნატოს გენერალური მდივანი გავხდი, ბევრი გაოცებული დარჩა იმით, რომ ჩემი პირველი საპროგრამო სიტყვა რუსეთს მივუძღვენი. ბევრს ახლაც გაუკვირდება ის, რომ შეერთებულ შტატებში ჩემი ვიზიტის დროს, რომელიც ამ კვირაში იგეგმება, ერთ-ერთი თემა, რომელზეც ვისაუბრებ, ისევ ნატო-რუსეთის ურთიერთობები იქნება, რადგან ამისთვის სერიოზული მიზეზები არსებობს.

შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა ძალისხმევა არ დაიშურეს იმისთვის, რომ ევროპა ერთიანი, თავისუფალი და დაცული ყოფილიყო. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩვენ ამ მიზანს საგრძნობლად მივუახლოვდით.

ახლა იმის შესანიშნავი შესაძლებლობა გვაქვს, რომ უსაფრთხოება განვამტკიცოთ არამხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში, რადგან **ნატომ და რუსეთმა გვერდზე გადადეს უთანხმოება უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სასარგებლოდ.**

აშშ-ს შეუძლია ამ პროცესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა გახდეს.

ცივი ომის დასრულებიდან დიდი ხნის განმავლობაში ნატო და რუსეთი ერთმანეთს უნდობლობით ეპყრობოდნენ. თუმცა გაფართოებისა და თანამშრომლობის განმტკიცების სასარგებლო არგუმენტები სულ უფრო დამაჯერებელი ხდებოდა იმ საფრთხეების რაოდენობისა და მასშტაბების ზრდასთან ერთად, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს ემუქრებოდა. **ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება, კიბერდანაშაული და პირატობა — ეს მხოლოდ რამდენიმე საფრთხეა იმ გლობალური საფრთხეების ჩამონათვალიდან, რომლებიც დღეს ყველა მხარეს ემუქრება.**

ერთადერთი, რაც ამ საფრთხეებს წარმატებით დაუპირისპირდება, ქვეყნებსა და ორგანიზაციებს შორის უფრო ფართო თანამშრომლობაა. ნატოსთვის და რუსეთისთვის ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ისინი პასუხისმგებლები არიან ამ პროცესის განვითარებაზე.

შარშან, ნოემბერში, ლისაბონის სამიტზე, პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი 27 კოლეგა ალიანსიდან, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან ნატო-რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორობაზე შეთანხმდნენ. ეს გადაწყვეტილება უსაფრთხოების თანამედროვე კლიმატის ფხიზელ შეფასებას ეფუძნებოდა. ამავე დროს ის ეფუძნებოდა მხარეების საერთო რწმენას, რომ ერთად მუშაობით ნატოსა და რუსეთს უსაფრთხოების განმტკიცება საკუთარი საზღვრების მიღმაც შეუძლიათ.

**რა თქმა უნდა, რუსეთისა და ნატოს მდგრადი პარტნიორობა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერების სადღესასწაულო ვალდებულებებზე ვერ აშენდება. ორივე მხრიდან ნამდვილი პოლიტიკური ნებისა და პრაგმატიზმის მუდმივი გამოვლენაა საჭირო.**

რუსეთსა და ნატოს შორის ძველებურად არსებობს პრინციპული უთანხმოება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, საქართველო. ნატო ძველებურად მოითხოვს ქართული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ პატივისცემას და ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს ამ მიმართულებით საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისკენ.

**ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ ამ უთანხმოებების განხილვას. მაგრამ ამავე დროს არ უნდა მივცეთ მათ ჩვენი პარტნიორობის პარალიზების საშუალება.**

აშშ, რუსეთთან თავისი ორმხრივი ურთიერთობებისა და იმ მნიშვნელოვანი მდგომარეობის წყალობით, რომელიც ამერიკას ნატოში უკავია, ბევრს აკეთებს ამ პარტნიორობის განვითარებისთვის. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ის მომავალშიც ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის“ შემდეგ, აშშ-მა ამ ქვეყანასთან დაახლოებისთვის ბევრი რამ გააკეთა. მათ შორის, ის მხარს უჭერს რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში. აშშ-რუსეთის სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შემცირებაზე ახალი შეთანხმება უკიდურესად სასარგებლოა არამხოლოდ შეიარაღების კონტროლისთვის, არამედ ზოგადად რუსეთთან ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს შეთანხმება ობამას ადმინისტრაციისა და კონგრესის მნიშვნელოვან მიღწევად იქცა.

**დარწმუნებული ვარ, რომ ანტისარაკეტო თავდაცვა რუსეთთან ურთიერთობებში წინსვლისთვის ახალ შესაძლებლობას მოგვცემს. დღეს ოცდაათ ქვეყანაზე მეტი ან უკვე ფლობს ბალისტიკურ რაკეტებს, ან აპირებს მათ შექმნას. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს სარაკეტო პოტენციალი სხვადასხვა ქვეყნისთვის პირდაპირი საფრთხეა.**

აშშ, მრავალი წელია, ამ საფრთხისგან დაცვის საერთაშორისო ძალისხმევას ხელმძღვანელობს. შარშან ნოემბერში ნატოს ლისაბონის სამიტზე ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ამას ალიანსის მიზნად ვაქცევთ და შევქმნით ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემას. ჩვენ რუსეთს შევთავაზეთ ასევე ნატოს დამოუკიდებელ სისტემასა და რუსეთის ანტისარაკეტო პოტენციალს შორის კავშირების დამყარების შესაძლებლობების ერთობლივი შესწავლა. პრეზიდენტმა მედვედევმა ეს წინადადება მიიღო.

დღეს ამ საერთო მიზნის მქონე ორ სისტემას შორის ურთიერთქმედების დამყარებაზე მუშაობა მიმდინარეობს. ჯერ უამრავი ტექნიკური, იურიდიული და პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაა აუცილებელი, თუმცა სერიოზულ პროგრესს უკვე მივაღწიეთ.

**თუკი ჩვენი ანტისარაკეტო სისტემები კოორდინირებული იქნება და ერთობლივად იმუშავებს, ნატო და რუსეთი, ერთმანეთისგან თავდაცვის ნაცვლად, პირველად შეძლებენ უსაფრთხოების სისტემის ერთობლივად შექმნას.** ამის მიღწევა აბსოლუტურად შესაძლებელია და დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებული შტატების მუდმივი მხარდაჭერისა და მისი წამყვანი როლის პირობებში ჩვენ ამ იდეას რეალობად ვაქცევთ.

**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი**
**11 მაისი, 2011 წელი**

EURASIANET.org

# საით მიდის გაერო?

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის დროზე კეთილშობილური მიზნით შეიქმნა და გარკვეულწილად აბალანსებდა კიდეც მსოფლიო პოლიტიკას. ცივი ომის დასრულებამ გაეროს სამუშაო მოუმატა, თუმცა მისი უფლებამოსილება ყველაზე თანაბრად არ ვრცელდება. დრომ ცხადად გვიჩვენა, რომ, როცა იმპერიების ინტერესები იკვეთება, გაერო პრობლემებს ვერ აგვარებს, თუმცა ეს სახელმწიფოები მათთვის სასურველ პოლიტიკას სწორედ მისი ეგიდით ატარებენ. პიერ სიმონიჩის Bazler Zeitung-ში გამოქვეყნებულ წერილში გაეროს შექმნის წინაპირობების შესახებაც წაიკითხავთ და იმასაც გაიგებთ, რამდენად არის დაცული თანასწორობა, სად გადის ბრძოლის ველი და კიდევ ვინ აცხადებს პრეტენზიას ვეტოს უფლებაზე.**

64-წლიანი ისტორიის მანძილზე გაერო ძალიან მსხვილ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. მაგრამ ის საკითხი, თუ როგორ შეიცვლება ის მრავალპოლარული სამყაროს წარმოქმნის კვალდაკვალ, ისევ ღიად რჩება.

ერთნი გაეროს უაზრო სალაყბო ადგილად მიიჩნევენ, მეორენი – პირველ ნაბიჯად მსოფლიო მთავრობის შექმნის გზაზე. ეს მიდგომები უფრო პერსონალურ შეხედულებებზე მოწმობს და არა თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე. შვეიცარია დიდი ქვეყანაა, თუკი მას პარლამენტის შენობის ტერასიდან შევხედავთ. ეს თვითკმარი სახელმწიფოა და დამოუკიდებლად ყველაფერს შესანიშნავად უმკლავდება. მაგრამ გლობუსზე შვეიცარია უფრო კანფეტს ჰგავს. საერთაშორისო ორგანიზაციების გარეშე თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია — არ იქნებოდა ავტომატური სატელეფონო ქსელი, საფოსტო კავშირი, რომელიც მთელ მსოფლიოს ფარავს, არ იქნებოდა ამინდის პროგნოზი და შეუძლებელი გახდებოდა ეპიდემიების შეკავება.

**შარლ დე გოლმა ქედმაღლურად უწოდა გაეროს LE MACHIN – „რაღაც“. უმცროსმა ჯორჯ ბუშმა მას შემდეგ, რაც ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე უშიშროების საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება ვერ შეძლო, გაერო დაახასიათა როგორც „IRRELEVANT“-ი („უსარგებლო“).**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხან ამ ორგანიზაციის სისუსტეებს აკრიტიკებენ, ხან — მის უზარმაზარ ბიუროკრატიას. თუმცა, ამავე დროს, ისინი ვერ ამჩნევენ იმას, რომ გაერო ზენაციონალური ორგანიზაცია არ არის, არამედ კლუბია, სადაც 192 დამოუკიდებელი (ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე) სახელმწიფოა გაერთიანებული.

## თანასწორობა

გაეროს წესდების თანახმად, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ხუთი ზესახელმწიფოს გარდა (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი), ყველას თანაბარი უფლებები აქვს. ამ ხუთ ქვეყანას უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება აქვს. გაეროს რეფორმირებაზე საუბარი, უკვე რამდენიმე ათწლეულია, მიმდინარეობს.

64-წლიანი ისტორიის განმავლობაში გაერო გიგანტურ ხომალდად გადაიქცა, რის მართვაც გართულდა. აქ, მუდმივი თანამშრომლის სახით, 44 ათასი ადამიანი მუშაობს, თუ არ ჩავთვლით მათ, ვინც ორგანიზაციის სპეციალიზირებულ დაწესებულებებშია დასაქმებული. **გაეროს ეგიდით მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში ამჟამად 114 ქვეყნიდან 120 ათასი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი მონაწილეობს. ამ ოპერაციების საერთო ღირებულება წელს თითქმის 8 მილიარდი დოლარია.** ციფრი უზარმაზარია, მაგრამ ის ყველა ქვეყნის სამხედრო ხარჯების მოცულობის მხოლოდ 0,5%-ს შეადგენს.

## ბრძოლის ველი

**გაეროს პირველმა გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ საკუთარ თანამდებობას „მსოფლიოში ყველაზე შეუძლებელი სამუშაო“ უწოდა. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციის გამო გაერო დიპლომატიური ბრძოლის ველად გადაიქცა. დღეს სიტუაცია თითქოს უფრო მშვიდობიანია. უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ვეტოს უფლებას ძალიან იშვიათად იყენებს. ისინი კომპრომისის მიღწევამდე, მოლაპარაკებების გაგრძელებას ამჯობინებენ.**

ფაქტობრივად, სასწაულია ის, თუ რა სწრაფად მიაღწია მსოფლიოში უსაფრთხოებასა და სიმშვიდეზე პასუხისმგებელმა ამ ორგანომ ლიბიასა და კოტ-დიუვარში სამხედრო ძალის გამოყენებაზე ერთიანობას. მაგრამ სისტემის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ თავად ვეტოს უფლებით აღჭურვილი სახელმწიფოები ხელშეუხებელია.

მაგრამ ხუთი წევრისგან შემდგარი დირექტორთა საბჭო დაშლას იწყებს. **დასავლური სახელმწიფოების ჰეგემონიას გამოწვევას უგზავნიან „აღმავალი სახელმწიფოები“. ახლახან ბრაზილიამ, რუსეთმა, ინდოეთმა, ჩინეთმა და სამხრეთ აფრიკამ (BRICS) ნებაყოფლობითი კავშირი ჩამოაყალიბეს. ისინი დასავლეთს იმაში ადანაშაულებენ, რომ ჰუმანიტარული სამხედრო ოპერაციების ჩატარების საბაბით ის „ქვემეხიანი ნავების დიპლომატიას“ მიმართავს.**

ნელ-ნელა მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი ადრე შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ პოლარიზაციას ენაცვლება. მაგრამ ჯერჯერობით რთული სათქმელია, თუ როდის აისახება ეს ახალი რეალიები უშიშროების საბჭოს შემადგენლობაზე.

არ არის გამორიცხული, რომ გერმანია, იაპონია, ბრაზილია და სამხრეთ აფრიკა მუდმივი წევრების სტატუსს მიიღებენ. მაგრამ იტალია, არგენტინა, პაკისტანი და ნიგერიაც რიგში დგანან. არსებობს კიდევ ერთი კითხვა: **უნდა სარგებლობდნენ თუ არა უშიშროების საბჭოს ახალი წევრები ვეტოს უფლებით? ეს აუცილებლად გამოიწვევს გაეროს უმაღლესი ორგანოს მუშაობის პარალიზებას. იქნებ ვეტოს უფლება საერთოდ გასაუქმებელია?**

## ვეტოს უფლება

**ამ საკითხზე დღეს უშიშროების საბჭოს ხუთ წევრს შორის ერთიანობა არ არსებობს. ისინი არასდროს დათანხმდებიან იმას, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილებას დაემორჩილონ, როდესაც საუბარი ომსა და მშვიდობაზეა. არსებობს ტენდენცია, რომლის თანახმადაც შესაძლებელია მუდმივი წევრების კატეგორიის შექმნა ვეტოს უფლების გარეშე, თუმცა ამას ინდოეთი და ბრაზილია არ ეთანხმებიან.**

გაეროს ყველაზე დიდი მიღწევა, შესაძლოა, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე მის მიერ შექმნილი მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციებია. მათ შორის 1948 წლის „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“. ეს არის ერთგვარი ბიბლია, 30 მოკლე მცნება ერთობლივი ცხოვრების წესების შესახებ. მას შემდეგ ჰუმანიტარული საერთაშორისო სამართალი დიდ ბიბლიოთეკად გადაიქცა. შვეიცარია ყოველთვის იყო ამ შეთანხმებების პიონერი, რომლებშიც, სხვა უფლებებთან ერთად, გარანტირებულია ქალთა და ბავშვთა უფლებებიც.

**პიერ სიმონიჩი**
**10 მაისი, 2011 წელი**

Basler Zeitung

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



1944 წლის 14 დეკემბერს ფუკოკომ გოგონები საზეიმოდ გამოაწყო და მდინარე არაკავასკენ გაემართა, რომელიც იქვე, მფრინავთა სკოლის სიახლოვეს მიედინებოდა. გამოსამშვიდობებელ წერილში მან მეუღლეს მისწერა: „თუ ჩვენ ცოცხლები დავრჩებით, შენ ჩვენზე იდარდებ და ვერ იბრძოლებ ისე, როგორც გსურს. ამიტომ ჩვენ პირველები წავალთ და იქ დაგელოდებით“. მათი სხეულები მდინარეში მხოლოდ მომდევნო დღეს იპოვეს.



## მოკლედ

### მოსკოვს «МРИЯ» აინტერესებს



**უკრაინული კომპანია „Мотор Сич“-ის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ბოგუსლაევმა განაცხადა, რომ კიევის ავიამშენებელ ქარხანაში სტუმრობის დროს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი სატრანსპორტო თვითმფრინავ „Ан-225 Мрия“-ს აწყობის განახლების შესაძლებლობით დაინტერესდა.** 80-იან წლებში შექმნილი „სპმჭ მსოფლიოში ყველაზე დიდი სატრანსპორტო თვითმფრინავია, მას 250 ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია, მისი სიჩქარე 800 კმ/სთ-ია; ფრენის სიშორე კი 15 კილომეტრს აღწევს.

### ლიბია თუ სირია?



**ამერიკული ავიამზიდი „George H.W. Bush“ (CVN-77) ხმელთაშუა ზღვისკენ გაემართა, სადაც პატრულირებას 6 თვის განმავლობაში განახორციელებს.** მასთან ერთად იმოქმედებს კრეისერები: „Anzio“ და „Gettysburg“-ი, აგრეთვე, საესკადრო ნაღმოსნები: „Mitscher“-ი და „Truxtun-ი. პირველად ისტორიაში ავიამზიდ დაჯგუფებას ქალი, კონტრ-ადმირალი ნორა ტაისონი ხელმძღვანელობს.

### ჩინური კლონები ვითარდება



**ჩინეთმა შეიარაღებაზე ახალი ბომბდამშენი „Xian H-6K“ მიიღო; ის „H-6“-ის (საბჭოთა „Ту-16“-ის ასლის) მოდერნიზებულ ვერსიას წარმოადგენს.** ახალ თვითმფრინავზე რუსული ძრავები „Д-30КП2 დაამონტაჟეს. „H-6K“-დან 23 მმ. ქვემეხი მოხსნეს, მისი ადგილი რადიოელექტრონული ბრძოლის აპარატურამ დაიკავა. „H-6K“-ს 6 ფრთოსანი რაკეტის „CJ-10A“ (საბჭოთა „X-55“-ის კლონი, რადიუსი 2 ათასი კმ.) გადატანა შეუძლია. „H-6K“-ს მაქსიმალური სიჩქარეა 1050 კმ/სთ, მისი საბრძოლო რადიუსი, სავარაუდოდ, 3 ათას კილომეტრს აღწევს.

### კანადელებს «ციტადელი» დაიცავს



**BAE Systems-მა კანადის არმიას ახალი საპატრულო მანქანა “RG35 RPU წარუდგინა. მან პერსპექტივაში სადაზვერვო “RG31 და “Coyote უნდა ჩაანაცვლოს.** მისი წონა 21 ტონაა და ათი მებრძოლის გადაყვანა შეუძლია. ღია ტიპის მოდულური არქიტექტურა შესაძლებელს ხდის მის გარდაქმნას სატვირთო ან პატრულის საცეცხლე მხარდაჭერის მანქანად. დაჯავშნული მოდული, რომელსაც კონსტრუქტორებმა „ეკიპაჟის ციტადელი” უწოდეს ნაღმებისგან და ცეცხლსასროლი იარაღისგან მაღალი ხარისხის დაცვას უზრუნველყოფს.

# ერთი კამიკაძის ისტორია

**ეს წერილი ჩვენი რუბრიკის სხვა მასალებისგან განსხვავდება იმით, რომ მასში არც ბრძოლების მიმდინარეობა და არც შეიარაღების მახასიათებლები განიხილება. მაგრამ ეს ისტორია შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთ გავერკვეთ იაპონელი სამხედროების (და, ზოგადად, იაპონელების) მენტალობაში, რაც მომავალში II მსოფლიო ომის წყნარი ოკეანის თეატრზე განვითარებული მოვლენების ანალიზის დროს უდავოდ დაგვეხმარება.**



ფუძი ხაძიმე იბარაგის პრეფექტურაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. იგი შვიდი ძმიდან უფროსი გახლდათ. არმიაში მოხალისედ შევიდა. ჩინეთში როგორც ქვეითი იბრძოდა, თუმცა მეთაურებმა ის სხვა ჯარისკაცებისგან გამოარჩიეს და არმიის საჰაერო აკადემიაში წარგზავნეს. აკადემიის დამთავრების შემდეგ მას ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და კუმაგაიას მფრინავთა სკოლაში გაანაწილეს. იქ ხაძიმე ასმეთაურად მსახურობდა, მისი მოვალეობა მომავალი მფრინავების ფსიქოლოგიური მომზადება იყო.

ლეიტენანტ ხაძიმეს მეუღლე ფუკუკო ტაკასაკაში, ვაჭრის ოჯახში დაიბადა. ჩინეთში ომის დროს ის ჰოსპიტალში მუშაობდა. მომავალი ქმარი სწორედ იქ გაიცნო, სადაც ხაძიმე ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრის შედეგად მოხვდა. ისინი დაქორწინდნენ და ორი გოგონა, კაზუკო და კიეკო, ეყოლათ. როდესაც ამ ოჯახის ტრაგიკულმა ისტორიამ კულმინაციას მიაღწია, გოგონები (შესაბამისად) სამი და ერთი წლის იყვნენ.

**ჯერ კიდევ 1944 წლამდე, როდესაც სარდლობამ კამიკაძეების ტაქტიკის გამოყენება ოფიციალურად მოიწონა, ლეიტენანტი ხაძიმე თავის კურსანტებს ეუბნებოდა: „საჭიროების შემთხვევაში თქვენ თვითმფრინავი მოწინააღმდეგის ბაზისკენ ან ხომალდისკენ უნდა მიმართოთ და ააფეთქოთ. მე, თქვენი ასმეთაური, ამ ნაბიჯს აუცილებლად გავიმეორებდი“.**

ოდნავ გადავუხვიოთ ლეიტენანტ ხაძიმეს ისტორიას, რათა ერთი ფართოდ გავრცელებული მითი გავაქარწყლოთ, თითქოსდა თვითმკვლელი მფრინავების ტაქტიკა თავიდან ბოლომდე იაპონელების გამოგონებაა. ეს ასე არ არის; 1937 წლის 19 აგვისტოს, „შანჰაის ინციდენტის“ დასაწყისში, ჩინელმა მფრინავმა შენ ჩანგჰაიმ თავისი თვითმფრინავი იაპონური ხომალდისკენ მიმართა. გამორიცხული არაა, რომ ეს მაშინ შემთხვევით მოხდა, რადგან თვითმფრინავი ძლიერ დაზიანებული იყო, თუმცა როგორც ჩინელებმა, ისე იაპონელებმა ეს ფაქტი შეაფასეს როგორც შეგნებული, თავგანწირული ნაბიჯი. შენ ჩანგჰაის მომდევნო დღეებში კიდევ თხუთმეტმა ჩინელმა მფრინავმა მიბაძა; მათ შვიდი მცირე იაპონური ხომალდის ჩაძირვა მოახერხეს.

საინტერესოა, რომ იაპონური პრესა მოწინააღმდეგის ამ მფრინავებზე აღტაცებით წერდა. ორი წლის შემდეგ, ხალხინ-გოლზე ბრძოლების დროს, **1939 წლის 5 აგვისტოს, საბჭოთა მფრინავმა მიხეილ იუიუკინმა თავისი ალმოდებული ბომბდამშენი იმ ადგილისკენ მიმართა, სადაც იაპონური სახმელეთო ნაწილები იყო თავმოყრილი. ამგვარად, სახმელეთო სამიზნის პირველი ტარანი, მან და არა ნიკოლაი გასტელომ (1941 წლის 26 ივნისს) განახორციელა.** აღსანიშნავია, რომ ხალხინ-გოლის ბრძოლების დროს გასტელო იუიუკინთან ერთად ბომბდამშენთა 150-ე პოლკის რიგებში იბრძოდა. სულ საბჭოთა მფრინავებმა მსგავსი შეტევა დაახლოებით 350-ჯერ განახორციელეს. ამგვარად, **კამიკაძეების ტაქტიკას საფუძვლად არა იაპონიაში დაბადებული ორიგინალური იდეა, არამედ სხვისი გამოცდილების გააზრება ედო; კონკრეტულად ხომალდებისთვის შეტევის შემთხვევაში, — ჩინელი მფრინავების გამოცდილება.**



საინტერესოა, რომ პირველი კამიკაძე, რომელმაც წარმატებული შეტევა განახორციელა, ლეიტენანტი სეკი იუკიო (ამერიკული ავიამზიდი „St. Lo“ (CVE-63); 1944 წლის 25 ოქტომბერი) საღი აზროვნების უნარს მოკლებული ფანატიკოსი სულაც არ ყოფილა. გაფრენის წინ მან სააგენტო „დომეის“ კორესპონდენტს გულახდილი ინტერვიუ მისცა, სადაც თქვა: **„იაპონიის მომავალი სახარბიელო ვერ იქნება, თუ ის თავის საუკეთესო მფრინავებს დაღუპვას აიძულებს. მე ამ დავალებაზე მივფრინავ არა იმპერატორისთვის ან იმპერიისთვის, არამედ იმიტომ, რომ მიბრძანეს. თუ ნებას მომცემდნენ, მე ავიამზიდზე 500-კილოგრამიან ბომბს ჩამოვაგდებდი და ყოველგვარი ტარანის გარეშე უკან დავბრუნდებოდი“.** ეს სიტყვები ცენზურას, ალბათ, მხოლოდ იმიტომ არ ემსხვერპლა, რომ თვითმკვლელთა ტაქტიკის ფართო დანერგვას ბევრი გავლენიანი სამხედრო ეწინააღმდეგებოდა; მათთვის ამ ინტერვიუს გამოქვეყნება დამატებით არგუმენტს წარმოადგენდა. ლეიტენანტ იუკიოს ბოლო სიტყვები იყო: **„სჯობს, მოკვდე, ვიდრე იცხოვრო როგორც ლაჩარმა“.**

დავუბრუნდეთ ლეიტენანტ ფუძი ხაძიმეს. მას შემდეგ, რაც კამიკაძეების შეტევები დაიწყო და მათში მონაწილეობა მისმა კურსანტებმა მიიღეს, მან ორი პატაკი დაწერა, სადაც კამიკაძეების რიგებში ჩარიცხვას ითხოვდა. მას უარი უთხრეს. ის კარგი პედაგოგი იყო, თანაც სარდლობა მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ცოლშვილიანი მფრინავები კამიკაძეები არ გამხდარიყვნენ. ფუკოკო ყველანაირად ცდილობდა, ქმარზე ზემოქმედება მოეხდინა, რათა მას თავის განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ ფუძი გადაწყვეტილებას არ ცვლიდა.

**1944 წლის 14 დეკემბერს ფუკოკომ გოგონები საზეიმოდ გამოაწყო და მდინარე არაკავასკენ გაემართა, რომელიც იქვე, მფრინავთა სკოლის სიახლოვეს მიედინებოდა. გამოსამშვიდობებელ წერილში მან მეუღლეს მისწერა: „თუ ჩვენ ცოცხლები დავრჩებით, შენ ჩვენზე იდარდებ და ვერ იბრძოლებ ისე, როგორც გსურს. ამიტომ ჩვენ პირველები წავალთ და იქ დაგელოდებით“.**

მათი სხეულები მდინარეში მხოლოდ მომდევნო დღეს იპოვეს.

მას შემდეგ, რაც ცოლ-შვილი დაიტირა, ლეიტენანტი ხაძიმე ყაზარმაში შებრუნდა, თითი მოიჭრა და მესამე პატაკი სისხლით დაწერა. სარდლობამ მას უარი ვეღარ უთხრა. კურსანტებმა ფული შეაგროვეს და გამოსამშვიდობებელ საღამოზე ასმეთაურს ხმალი მიართვეს. ბოლო წერილი ლეიტენანტმა ფუძი ხაძიმემ გარდაცვლილ უფროს ქალიშვილს მისწერა: **„როგორ მიყვარს ეს სიცოცხლე, რომელიც დეკემბრის სუსხიანმა ქარმა გააქრო, როგორც ნამის წვეთი არიკავას ნაპირზე. პატარა, მომღიმარე, სევდიანი სიცოცხლე, რომელიც დედამისთან ერთად გაქრა. მამაშენი მალე შენთან იქნება და შენ მოფერებას შეძლებს. იქამდე კი გთხოვ, დამელოდე და ნუ იტირებ. თუ კიოკო იტირებს, დაამშვიდე. დროებით გემშვიდობებით. თქვენი მამა ბრძოლის ველზე დიდ გმირობას ჩაიდენს. იქამდე კი ორივეს — კაზუკოსა და კიოკოს გთხოვთ, მოითმინოთ, სანამ თქვენ გვერდზე არ ვიქნები“.** წერილის მეორე გვერდზე ხაძიმემ ძაღლთან და პეპელასთან მოთამაშე გოგონა დახატა.





საბრძოლო გაფრენა ლეიტენანტმა (სიკვდილის შემდეგ მაიორის წოდება მიანიჭეს) ფუძი ხაძიმემ სპეციალური დანიშნულების არმიის, ტაისინ-კაის რაზმის ათ სხვა მფრინავთან ერთად 1945 წლის 28 მაისს განახორციელა. იმ დღეს მან შეასრულა დაპირება, რომელიც თავის კურსანტებს მისცა.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## ანი რაღა უჭირთ

**აშშ-ის საჰაერო ძალების აკადემიაში წარმართული სამლოცველო გაიხსნა. აკადემიის სუპერინტენდანტის, გენერალ-ლეიტენანტ მაიკლ გულდის თქმით, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ „ყველა რელიგიის მიმდევარს დაეხმარონ“.** აკადემიის ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში უძლებდა წარმართული ჯგუფების კრიტიკას და სამლოცველოს გახსნისგან თავს იკავებდა, თუმცა ბოლოს იძულებული გახდა, უკან დაეხია. „Gazzette.com“-ის ცნობით, წარმართულ კულტებს აკადემიის ათამდე კადეტი ეთაყვანება.



# ლიბიის ფრონტზე ცვლილებების გარეშე








**ომი ლიბიაში გრძელდება; გამარჯვების მიღწევას ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებს. მოკლედ მიმოვიხილოთ დღეისთვის შექმნილი ვითარება.**

„მთავარ ფრონტზე“, ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრეგასა და აჯდაბიას შორის, მაისის პირველ დეკადაში გამართული ინტენსიური ბრძოლების შემდეგ, ბოლო კვირაში ფარდობითი სიმშვიდე სუფევდა. თუმცა გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ სამთავრობო ძალებმა წინ, ფლანგზე წაიწიეს და აჯდაბიას სამხრეთ-აღმოსავლეთით დასახლებული პუნქტები — ჯალუ და ავლია დაიკავეს. ამ მანევრმა აჯდაბიის ზურგში მაგისტრალზე გასვლისა და, შესაბამისად, ამ ქალაქის ალყაში მოქცევის რეალური საფრთხე შექმნა. აჯდაბიის დაკავება კი სამთავრობო ძალებს პირდაპირ გზას გაუხსნის „მეამოხეთა დედაქალაქისკენ“, ბენგაზისკენ. ამიტომ კოალიცია და მეამბოხეები, სავარაუდოდ, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს ქალაქი შეინარჩუნონ.

კიდევ ერთი საფრთხე მეამბოხეებისთვის გაჩნდა იქ, სადაც მას ნაკლებად მოელოდნენ. სამთავრობო ძალების მობილურმა რაზმებმა მსუბუქ ჯავშანტექნიკასა და ჯიპებზე, როგორც ჩანს, უდაბნოში რეიდი განახორციელეს და კიდევ ერთი საკვანძო ქალაქის, ტობრუკისგან ასიოდე კილომეტრში (სამხრეთით) აღმოჩნდნენ. ინფორმაცია ამ ძალების შემადგენლობის შესახებ ბუნდოვანია, მაგრამ ამ ტერიტორიაზე მათი ყოფნის ფაქტი ეჭვს არ იწვევს. ტობრუკზე მეამბოხეების მომარაგების (ეგვიპტიდან) მთავარი არტერია გადის. ამ კომუნიკაციისთვის საფრთხის შექმნა მეამბოხეებისთვის ძალზე სერიოზული პრობლემაა, მისი დაკარგვა კი, ფაქტობრივად, ომის დასრულებას ნიშნავს. კადაფის აღნიშნული მობილური რაზმების მოქმედების ხასიათი ჯერჯერობით საბოლოოდ არ გამოკვეთილა, მაგრამ ფაქტია, მეამბოხეებს სერიოზული საფიქრალი გაუჩნდათ.

**როგორც ჩანს, სამთავრობო ძალები აპირებენ, აქტიურად გამოიყენონ ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის დროიდან აქტუალური, ლიბიაში ომის წარმოების მთავარი** (და, პრაქტიკულად, ერთადერთი შესაძლებელი) **ხერხი — შემოვლითი მანევრი უდაბნოს მხრიდან.**

მეამბოხეები ამ მხრივ ნაკლებ ინიციატივას ავლენენ. 9 მაისს, ნატოს ავიაციის მასირებული მხარდაჭერის პირობებში, მათ ბრეგასთან საკმაოდ შაბლონური შეტევა დაიწყეს და სრულიად უშედეგოდ სამთავრობო ძალების 32-ე ბრიგადას (იგივე „ჰამისის ბრიგადა“) თავიანთი მეტნაკლებად ორგანიზებული ქვედანაყოფები „შეალეწეს“.

კიდევ ერთ ფრონტზე (ცხადია, ამ სიტყვას არა კლასიკური გაგებით ვიყენებთ) მისურატაში მეამბოხეებისთვის კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. ისინი ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ზღვისპირა უბანს აკონტროლებენ. ეს საკმაოდ ვიწრო სივრცეა, რომლის ნებისმიერი წერტილი ხელმისაწვდომია კადაფის არტილერიისთვის. გასულ კვირას **ვითარება იმდენად დამძიმდა, რომ ევროპელი პოლიტიკოსები მისურატაში „ჰუმანიტარული ზონის“ შექმნის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ, რაც ამ რაიონში ნატოს ჯარების გადმოსხმასა და კონტროლის ზონის გაფართოებას გულისხმობს.** კოალიციის ავიაციის მოქმედება, მართალია, აიძულებს კადაფის ძალებს, დროდადრო მისურატას საარტილერიო დაბომბვა შეწყვიტონ, მაგრამ მის სრულ აღკვეთას ნატო დღესდღეობით ვერ ახერხებს.

ხუთშაბათს მისურატაში საინტერესო რამ მოხდა. ბრიტანულმა საესკადრო ნაღმოსანმა „HMS Liverpool“-მა, რომელიც მისურატას ნაპირთან პატრულირებდა, შეამჩნია გემი, რომელიც პორტის სიახლოვეს ნაღმების დაყენებას ცდილობდა. ბრიტანული ხომალდი მას მიუახლოვდა და ამ დროს მას ხმელეთიდან მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს (უმართავი სარაკეტო ჭურვები და დაუდგენელი კალიბრის ქვემეხები). „Liverpool“-მა საპასუხო ცეცხლი გახსნა. ბრიტანელთა ვერსიით, ხომალდმა მოწინააღმდეგის არტილერიის ჩახშობა და პორტის დანაღმვის ოპერაციის ჩაშლა მოახერხა, ხოლო კადაფის მომხრეთა ვერსიით, მან „შეშინებულმა მოკურცხლა“. თუმცა ორივე მხარე აღიარებს, რომ საარტილერიო დუელი ნამდვილად შედგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „Liverpool“-ი საკმაოდ საშიშ სიტუაციაში აღმოჩნდა.

**მისურატაში შექმნილი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, იმის თქმა, რომ მეამბოხეებმა ინიციატივა სრულად დაკარგეს, არ შეიძლება.** 11 მაისს დაიწყო საერთო შეტევა რკალის გაფართოების მიზნით, ხოლო ერთ-ერთი მეამბოხე პოლკოვნიკის, ჰაჯი მუჰამედის ბრიგადამ დაიწყო შეტევა დასახლებულ პუნქტ ზლაითნიზე. ცნობები სხვადასხვა წყაროებიდან იმის შესახებ, თუ რამდენად მოახერხეს მათ წინ წაწევა, იმდენად განსხვავებულია, რომ გაუგებარია, მოჰყვა თუ არა ამ შეტევას რაიმე მნიშვნელოვანი პოზიციური ცვლილებები. ეჭვს მხოლოდ ის არ იწვევს, რომ შეტევა ნამდვილად დაიწყო.

**კიდევ ერთ „ფრონტი“ ლიბიის სამხრეთ-დასავლეთით, ბერბერების ტომების დასახლების ზონაშია. ეს ტომები ჯერ კიდევ თებერვალში აჯანყდნენ, თუმცა ომის პირველ ეტაპზე კადაფის მათთვის „არ ეცალა“. დღეს ვითარება შეცვლილია, სამთავრობო ძალები ნელ-ნელა „ახრჩობენ“ მეამბოხეებს, მათი ორივე საკვანძო ქალაქი, ზინთანი და ნალუთი, სამთავრობო არტილერიის მოქმედების რადიუსშია. ნატოს ავიაცია ამ შორეულ ზონაში ნაკლებად ინტენსიურად მოქმედებს. თუ სამთავრობო ძალები ამ „ფრონტის“ ლიკვიდაციას მოახერხებს, ეს ტრიპოლისთვის სამხრეთიდან მომავალ საფრთხეს მოხსნის.**

მიუხედავად იმისა, რომ მეამბოხეების მდგომარეობა დღეს არცთუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება და ინიციატივა, ასე თუ ისე, სამთავრობო ძალების ხელშია, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **იმ შემთხვევაში, თუ კადაფი ომს უახლოეს 2-3 თვეში არ დაამთავრებს, მას ბლოკადის გამო, მომარაგებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეექმნება.** თუ ის ამ პერიოდში გადამწყვეტ გამარჯვებას ვერ მიაღწევს, რაც უფრო მეტი დრო გავა, მისი ძალები სულ უფრო დასუსტდება, ხოლო მოწინააღმდეგე — გაძლიერდება.

მეორეს მხრივ, კადაფი მოკლებულია შესაძლებლობას, ყველა საშუალების გამოყენებით ტოტალური შეტევა დაიწყოს, რადგან ამ შემთხვევაში მისი ტექნიკა კოალიციის ავიაციის დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. ამიტომ ის იძულებულია, ფრთხილად იმოქმედოს და მოწინააღმდეგის კონტროლის ზონა ნაბიჯ-ნაბიჯ შეზღუდოს. **გამორიცხული არაა, რომ მისი ამ „ფრთხილი წინსვლის“ რაღაც ეტაპზე, კოალიციის ხელმძღვანელობა ჩათვლის, რომ, სახმელეთო ოპერაციის დაწყების გარდა, სხვა გამოსავალი არ აქვს და ლიბიის ომის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშლება.**





## გაფრაზებული

**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**



დაუშვებელია, როდესაც უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები არ სრულდება. არ დამეზარა და გადავხედე 2009 წლის ჩემს გზავნილს, რომელშიც წერია: მომავალ წელს აუცილებელია, დაიდგას სახმელეთო და საზღვაო ბაზირების 30-ზე მეტი ბალისტიკური რაკეტა, ხუთი სარაკეტო კომპლექსი „ისკანდერი“, 300 ერთეული ჯავშანტექნიკა, 30 ვერტმფრენი, 28 საბრძოლო თვითმფრინავი, სამი ატომური წყალქვეშა ნავი, „კორვატის“ კლასის ერთი გემი, 11 კოსმოსური აპარატი. როდესაც სიტყვით გამოვდიოდი, ეს ყოველივე მე არ მომიგონია, ეს შეთანხმებული იყო ყველა აქ მყოფთან. რატომ არაა გაკეთებული? აღებულ ვალდებულებებზე პასუხისგებაა საჭირო. ჩვენ აბსოლუტურად მიუღებლად გამოვიყურებით.

*newsru.com*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



საუკეთესო გადაწყვეტაა, როდესაც დაპირისპირებული მხარეები კომპრომისს პოულობენ და, საკუთარი ხალხის ინტერესების შესაბამისად, დამოუკიდებლად წყვეტენ იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას ქვეყანა. ვიმედოვნებ, რომ საბოლოოდ ასეც იქნება ლიბიასთან დაკავშირებით.

*rosbalt.ru*

**სერგეი ლავროვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



ჩვენი პოზიცია ძალზე უბრალოა. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათლად აღიარა აშშ-ის თავდაცვის უფლება გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. მათ, ვინც ბენ ლადენის განადგურების ოპერაცია განახორციელა, მყარი სამართლებრივი ბაზა აქვთ გაეროს წესდების შესაბამისად თავდაცვის უფლების სახით.

*rian.ru*

**ჯორჯ ბუში,**
**აშშ-ის ექსპრეზიდენტი:**



უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციით არ აღვფრთოვანებულვარ და ეს ცნობა აბსოლუტურად მშვიდად მივიღე. ჩემი აზრით, ამერიკელმა მედესანტეებმა ოპერაცია არა სიძულვილის გამო, არამედ მართლმსაჯულების აღსრულების გამო განახორციელეს. მე ოჯახთან ერთად რესტორანში ვსადილობდი, როდესაც ობამამ დამირეკა და ერთადერთი ფრაზა მითხრა: „ბენ ლადენი მკვდარია“.

*ტელეკომპანია ABC*

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ტერორისტებთან ბრძოლა იწვევს მიწისძვრებს, ვულკანის ამოფრქვევებს, ამინდის ცვალებადობას და არა მხოლოდ ამინდის. ამ ადამიანებს შეუძლიათ ჩამოაგდონ თვითმფრინავები, დაბლოკონ თანამგზავრები, გამოიწვიონ ვულკანის ამოფრქვევის მსგავსი დარტყმები. ჰარპის დახმარებით შეგიძლია ისე იომო ვისთანაც გინდა, რომ არც კი გამოუცხადო მას ომი.

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-16

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**სერგეი კომკოვი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო დუმის ექსპერტი საგანმანათლებლო განხრით:**

— ახლა ამ მობილური ტელეფონების საშუალებით, როგორც ჩვენი ექსპერტები ამბობენ, მართვაც კი არის შესაძლებელი. არავინ იცის, როგორია დღეისთვის იმ მიკროტალღების ზემოქმედება, რომლებიც ჩვენს მობილურ ტელეფონებზე მოდის. **როდესაც ვაჭერთ ხელს ღილაკს და ვიწყებთ ტელეფონით საუბარს, ამავე დროს შეიძლება მოდიოდეს ნებისმიერი სიგნალი. ამ სიგნალმა შეიძლება ტვინში ისეთი რეაქცია განაპიროზოს, რომ ადამიანს განუვითარდეს პანიკა, ფსიქიური აშლილობა, გაუჩნდეს რაღაც ჰალუცინაციები და ასე შემდეგ. ანუ ეს არის ზემოქმედება ფსიქიკასა და ადამიანის ტვინზე. მობილური ტელეფონის საშუალებით ადამიანს შეიძლება ჩაუნერგო ნებისმიერი აზრი.**



თუ ჩვენ ვსაუბრობთ მობილური ტელეფონით, ვიღაც, ვინც ამ ქსელში ჩაერთო, შეძლებს მშვიდად და წყნარად არა მხოლოდ ჩვენი საუბრის მოსმენას, არამედ შესაბამისი სიგნალების გაგზავნას ორივე მოსაუბრისთვის, გარკვეული აზრების შთაგონების მიზნით.

გარეგანი ზემოქმედების ხასიათის მიხედვით იცვლება ადამიანის მდგომარეობაც. ტვინის აქტივობაზე ზეგავლენა, შესაძლოა, სასიკეთოც იყოს და საზიანოც — მოშალოს ფსიქიკა. სიგნალის სხვადასხვა სიხშირის სპეციფიურ მოდულაციასთან შერწყმით ტვინის უჯრედულ სტრუქტურაში შეიძლება წარმოიშვას ესა თუ ის ქიმიური პროცესები. მათი შედეგი კი სხვადასხვა ფსიქიური რეაქციაა — შიში, დეპრესია, სიყვარული, აგრესია და ასე შემდეგ.





ტვინის ამ ფერმენტების შემადგენლობის რთული კომბინაციები ადამიანის ცნობიერების უჩვეულო მდგომარეობებს იწვევს, მაგალითად, — სიბნელის შიშს ან ყურადღების ზეკონცენტრირებას.



**უკიდურესად დაბალი სიხშირეების რადიოგამოსხივების გამოყენება შეიძლება თავის ტვინის რიტმების სამართავად.** 2003 წელს ახლო აღმოსავლეთში უჩვეულო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ადრე დილით ისრაელის ქვედანაყოფებმა განახორციელეს მიზანმიმართული შეტევა პალესტინის ტერიტორიაზე. უკვე შუადღისთვის იასირ არაფატის რეზიდენცია სრულიად ბლოკირებული იყო. სპეცოპერაციის ზონაში არც ერთი ჟურნალისტი არ დაუშვეს. ცოტა ვინმე თუ ხვდებოდა, რომ ისრაელელებმა გადაწყვიტეს, ახალი აკუსტიკური საიდუმლო იარაღი გამოეყენებინათ. მისი მძლავრი ხმოვანი ტალღები მოქმედებს ადამიანის ქვეცნობიერზე და მასში საშინელ შეტევებს იწვევს.



**დოკუმენტური ფილმი „შეთქმულების თეორია“:**

**წიგნის „ჰარპი — არმაგედონის იარაღი“ ავტორი, დოქტორი ბეგიჩი ამბობს, რომ ჰარპისგან გამომდინარე მთავარი საფრთხე ქვეცნობიერზე ზემოქმედების შესაძლებლობაა. ცხადია, ისინი ამას უარყოფენ, მაგრამ ჩვენ ვნახეთ სამხედრო-საზღვაო ძალების, სამხედრო საზღვაო ფლოტის დოკუმენტები. ეს ჩვენი ნათქვამი არაა, ეს მათი სიტყვებია. ეს ყველაფერი შემაძრწუნებლად ჟღერს. მიდიხარ ქუჩაში და გასხივებენ რაღაც ტალღებით, რათა**



**ზომბად გაქციონ ისე, რომ წარმოდგენაც არ გქონდეს ამის შესახებ. დიახ, სწორედ ასეა. ერთია რაღაც გარკვეული კონკრეტული სიტყვების გადაცემა და მეორეა ემოციური ფონის გადაცემა, რაც გაცილებით ადვილია და ჰარპისთვის რაიმე სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს. ადამიანის ტვინსა და სხეულს შეუძლია სიგნალების მიღება. მაგალითად, თუ ავიღებთ რადიოსადგურსა და მიმღებს და მათ ერთსა და იმავე ტალღაზე ავაწყობთ, მივიღებთ ჰარმონიულ სიგნალებსა და სუფთა კავშირს. ამ სიგნალების პრინციპი მარტივია, ერთადერთი სირთულე იმის ცოდნაა, თუ როგორ უნდა მომართო ისინი. დაახლოებით ისევეა, როგორც იმ რადიომიმღების მომართვა, რომელზეც წეღან ვსაუბრობდით. მაგრამ თუ გადამცემსა და მიმღებს შორის კავშირი უკვე დაამყარეთ, შედეგები დაუყოვნებლივ გამოჩნდება. დედამიწასთან დაკავშირებითაც ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა. თუ არსებობს არასტაბილური ადგილი, შეიძლება იქ მიწისძვრის გამოწვევა.**



**ტერორისტებთან ბრძოლა იწვევს მიწისძვრებს, ვულკანის ამოფრქვევებს, ამინდის ცვალებადობას და არა მხოლოდ ამინდის. ამ ადამიანებს შეუძლიათ ჩამოაგდონ თვითმფრინავები, დაბლოკონ თანამგზავრები, გამოიწვიონ ვულკანის ამოფრქვევის მსგავსი დარტყმები. ჰარპის დახმარებით შეგიძლია ისე იომო ვისთანაც გინდა, რომ არც კი გამოუცხადო მას ომი.**

ობიექტზე სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების ზემოქმედებით შესაძლებელია მისი ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის სრულად კონტროლი.



**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

— უკლებლივ ყველა მოქალაქეზე, ყველა ადამიანსა და მთლიანად ხალხებზე მსოფლიო კონტროლის ერთ-ერთი მიმართულება ჩიპიზაციაა.

**სერგეი კომკოვი:**

— პასპორტში ინერგება სპეციალური ჩიპი, რომელზეც ჩაწერილია ადამიანის შესახებ მთელი ინფორმაცია, მისი ბიოლოგიური მონაცემების ჩათვლით.



**უახლოეს მომავალში იგეგმება იმ ტიპის ჩიპებზე გადასვლა, რომელიც უშუალოდ ადამიანის კანქვეშ ჩაინერგება და, ფაქტობრივად, ის შეცვლის ნებისმიერ დოკუმენტს. საფრთხე ამ საკითხთან მიმართებაში საკმაოდ თვალნათელია, რადგან, ფაქტობრივად, ეს კონტროლს დაქვემდებარებული საზოგადოების შექმნის საწინდარია.**

ამ ჩიპის საშუალებით დასაწყისისთვის მხოლოდ საკონტროლო ფუნქცია განხორციელდება, ანუ შესაძლებლობა გაჩნდება, თვალყური ადევნონ ადამიანის ნებისმიერ გადაადგილებას, მის ქმედებებს და ასე შემდეგ. ▶



**ადამიანის ორგანიზმში ჩიპის ჩანერგვა რაღაც ძალებს, რომლებიც თანამგზავრებს აკონტროლებენ, საშუალებას მისცემს, დედამიწის ნებისმიერ წერტილში მყოფ ადამიანზე კონტროლი დაიწყონ. შესაძლოა, ვინმეს აინტერესებდეს, რისთვისაა ეს საჭირო. იმისთვის, რომ გამოირიცხოს სისტემისთვის რაიმე სახის წინააღმდეგობის გაწევის ყველანაირი ალბათობა; იმისთვის, რომ გამოვლინდნენ წინააღმდეგობის სურვილით შეპყრობილი კონკრეტული ადამიანები, დამყარდეს მათზე კონტროლი და, აუცილებლობის შემთხვევაში, უპრობლემოდ განადგურდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისი შინაარსით, ეს ადამიანებზე ტოტალური კონტროლის სისტემაა.**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— ვინაიდან თავისთავად ჩიპი პასიურ ელემენტს წარმოადგენს, ამ ჩიპიდან სიგნალის მიღების, მისი გაშიფვრის შესაძლებლობა დიდწილად დამოკიდებულია არა თავად ამ ჩიპზე, არამედ დასხივებადი სიგნალის სიმძლავრეზე. რაც უფრო მძლავრია ამ ჩიპის დასხივების სიგნალი, რაც უფრო ვიწრო მიმართულებისაა მიმღები ანძა, მით უფრო დიდი დაშორებიდან იქნება შესაძლებელი ამ ჩიპიდან ინფორმაციის მიღება. პრინციპულად არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს თანამგზავრზე სიგნალის სასურველი სიმძლავრის დაყენება და შემდეგ ამ თანამგზავრის საშუალებით ჩიპიდან სასურველი ინფორმაციის მიღება-გაშიფვრა. მომავალში, იქნება რა ჩაშენებული ადამიანის ორგანიზმში, ის, როგორც ქიმიური ზემოქმედების, ასევე მიკროტალღური გამოსხივების საშუალებით პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენს ადამიანის სისხლზე, მისი ორგანიზმის სხვა ელემენტებზე. ასე რომ, **საჭირო სიმძლავრის მიკროტალღური გამოსხივებით ამ ჩიპზე ზემოქმედების შედეგად შეიძლება ჩიპმა დაიწყოს სავსებით კონკრეტული დაავადებების გამოწვევა მის მფლობელ ადამიანში და საბოლოოდ მოკლას კიდეც.**



კანქვეშ ამგვარი მიკროჩიპის არსებობის შემთხვევაში თუ ადამიანი მძლავრი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზონაში ხვდება, მიკროჩიპმა შეიძლება, უბრალოდ, დაწვას ადამიანი. ჩიპმა არა მხოლოდ უნდა გააკონტროლოს ადამიანის მდგომარეობა, ადგილმდებარეობა, საუბრები და ასე შემდეგ, არამედ უნდა მართოს კიდეც ის და მისი ფიზიკური სიცოცხლე. ამასთანავე, აღნიშნული მოწყობილობა უნდა იყოს ინტერნეტთან მიერთებული, ანუ აშშ-ის სრულ კონტროლს ექვემდებარებოდეს.

როგორც გაირკვა, 2007 წელს ოფიციალურად დამტკიცდა ბრძანება რუსეთის ყველა მოქალაქისთვის ელექტრონული მოწყობილობის — ჩიპის ჩანერგვის შესახებ.



**ოლგა იაკოვლევა, მოსკოვის ადვოკატთა საოლქო კოლეგიის წევრი, სამოქალაქო მოძრაობის „რუსეთის მიწა — ხალხის მონაპოვარი“ ხელმძღვანელი:**

— მე ხელთ მაქვს ნორმატიული დოკუმენტი „რუსეთის ფედერაციაში ელექტრონული მრეწველობის განვითარების სტრატეგია 2025 წლამდე“. იმისთვის, რომ ეს ყველაფერი, მათ შორის ადამიანის ორგანიზმში ჩიპის ჩანერგვა, პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით ფანტასტიკად არ გამოიყურებოდეს, ამ დოკუმენტიდან ამონარიდებს წავიკითხავ:


«Стратегия развития электронной пром
России на период до 2025 года»:
Раздел 3. Основные цели и задачи Стратегии
«...Внедрение нанотехнологий должно еще бол
глубину ее проникновения в повседневную жизнь населения.
Должна быть обеспечена постоянная связь каждого индивидуума с глобальными информационно-управляющими сетями типа Internet.
Наноэлектроника будет интегрироваться с биообъектами и обеспечивать непрерывный контроль за поддержанием их жизнедеятельности, улучшением качества жизни, и таким образом сокращать социальные расходы государства.

**„სტრატეგიის ძირითადი მიზნები და ამოცანები.**

**ნანოტექნოლოგიების დანერგვამ კიდევ უფრო უნდა გაზარდოს მოსახლეობის ცხოვრებაში მისი შეღწევის სიღრმეები. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უკლებლივ ყველა ინდივიდის მუდმივი კავშირი ინტერნეტის მსგავს გლობალურ საინფორმაციო-სამართავ ქსელებთან. ნანოელექტრონიკა ინტეგრირდება ბიოობიექტებთან და განახორციელებს უწყვეტ კონტროლს მათ სიცოცხლისუნარიანობაზე, ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე და ამრიგად შეამცირებს სახელმწიფოს სოციალურ დანახარჯებს. ფართო გავრცელებას ჰპოვებს ჩაშენებული უსადენო ნანო-ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის მუდმივ კონტაქტს მის გარშემო მყოფ ინტელექტუალურ გარემოსთან, გავრცელდება პირდაპირი, უსადენო კონტაქტის საშუალებები ადამიანის ტვინსა და მის ირგვლივ მყოფ საგნებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ადამიანებს შორის. ამ პროდუქციის ტირაჟი მილიარდს გადააჭარბებს მისი საყოველთაო გავრცელების გამო“.**



ეს ფანტასტიკური ფილმის სცენარის ნაწყვეტი არაა, ეს რუსეთის ფედერაციაში მიღებული და უკვე მოქმედი ნორმატიული აქტია. ამ ნორმატიულ აქტებს ჩვენი ხელისუფლება იღებს და ეს არის სამართლებრივი მზადება იმისთვის, რომ ამ კომერციულმა სტრუქტურებმა, საკომუნიკაციო სისტემების ამ მფლობელებმა იდენტიფიკაციის ამ საშუალებების ადამიანთა ორგანიზმებში ჩანერგვა შეძლონ.



**კონსტანტინე სივკოვი:**

— ადამიანის ორგანიზმში ჩიპის ჩანერგვა რაღაც ძალებს, რომლებიც თანამგზავრებს აკონტროლებენ, საშუალებას მისცემს, დედამიწის ნებისმიერ წერტილში მყოფ ადამიანზე კონტროლი დაიწყონ. **შესაძლოა, ვინმეს აინტერესებდეს, რისთვისაა ეს საჭირო. იმისთვის, რომ გამოირიცხოს სისტემისთვის რაიმე სახის წინააღმდეგობის გაწევის ყველანაირი ალბათობა; იმისთვის, რომ გამოვლინდნენ წინააღმდეგობის სურვილით შეპყრობილი კონკრეტული ადამიანები, დამყარდეს მათზე კონტროლი და, აუცილებლობის შემთხვევაში, უპრობლემოდ განადგურდნენ.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისი შინაარსით, ეს ადამიანებზე ტოტალური კონტროლის სისტემაა.



**ვლადიმერ ნიკიტინი, პოლიტოლოგი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი:**

— როდესაც მსოფლიო მთავრობა მთელს კაცობრიობაზე ტოტალური კონტროლის დამყარებას გეგმავს, ამით ჩვენ თავს გვახვევს ელექტრონულ მონობას, ანუ გვაბრუნებს მონათმფლობელურ წყობილებაში. ისინი გააკონტროლებენ ნებისმიერ ადამიანს, მის გადაადგილებას, მის ქმედებებს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ისინი ახლა ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად უკვე თავს გვახვევენ საბანკო კონტროლს გადახდებისთვის იმ საბანკო ბარათების დანერგვით, რომელთა საბოლოოდ გავრცელების შემდეგ ნაღდი ფულის სრულ ლიკვიდაციას გეგმავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ერთ ღილაკზე უბრალო ხელის დაჭერით არსებობის ყოველნაირი საშუალების გარეშე დარჩება. **ჩიპიზაცია, ამ სისტემასთან ერთობლიობაში, ადამიანს საერთოდაც მმართველებზე სრულიად დამოკიდებულ ბიორობოტად აქცევს.**



დღეისათვის ზელინოგრადში უკვე მიმდინარეობს ჩიპებისა და მიკროსქემების დამზადება 100-80 ნანომეტრის საპროექტო ნორმის შესაბამისად. როგორ შეიძლება ამ ზომის წარმოდგენა? 100 ნანომეტრი ათი ათასჯერ ნაკლებია მილიმეტრზე. სწორედ ამგვარი ნანოჩიპებით უშვებენ წამლების ვაქცინებს. უკვე არსებობს ყველა აუცილებელი ტექნოლოგია საიმისოდ, რომ მსოფლიოში საყოველთაო ტოტალური კონტროლი დამყარდეს, ანუ შეიქმნას ერთი დიდი ელექტრონული საკონცენტრაციო ბანაკი.




**კონსტანტინე სივკოვი:**

— ჩიპი არის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ნებისმიერი ცალკე აღებული ადამიანის მართვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ადამიანებზე ზემოქმედებისა და მათი მდგომარეობის კონტროლირების მაღალი სიზუსტით მომუშავე სისტემა, მაშინ, როდესაც ჰარპი არის გეოფიზიკური პროცესების პლანეტარული მასშტაბის კონტროლის სისტემა. სწორედ ამ გეოფიზიკური პროცესების საშუალებით ზემოქმედება ხორციელდება არა მხოლოდ ერთ, ცალკე აღებულ ადამიანზე, არამედ ადამიანთა მნიშვნელოვან მასებზე, პოტენციურად — მთელს ცივილიზაციაზე. მილიარდერმა, კომპანია **„სან მიკროსისტემსის“** დამაარსებელმა **ბილ ჯოიმ** 2000 წელს თამამად გაახმაურა კონსენსუსის პაქტი, რომელიც მსოფლიო ელიტამ მიიღო და რომლის მიხედვითაც **2030 წლისთვის ჩიპიზაციის საშუალებით კაცობრიობა მთლიანად უნდა იქცეს მართვად მონებად. უფრო მეტიც, უნდა განხორციელდეს დედამიწის მოსახლეობის მასობრივი განადგურება, ცხადია, გარდა მსოფლიო ელიტის წარმომადგენლებისა და მათი მსახურებისა.** ჩიპებჩანერგილი და ფსიქოტრონული დანადგარებით, მათ შორის ჰარპით, დასხივებული ადამიანები ერთ დიდ მორჩილ ჯოგად იქცევიან მსოფლიო ელიტის ხელში.






**ლეონიდ ივაშოვი:**

— საჭიროა ცნობიერების მყარად ჩამოყალიბება, ეს კი მხოლოდ მაღალი სულიერების, ეკლესიის დახმარებითაა შესაძლებელი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქონიებს ჩვენზე ნაკლებ გავლენას ეს ყველაფერი; მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი, რომ შევინარჩუნოთ ცხოვრება საკუთარი ჭკუა-გონებით.

თუ ქუჩაში გამოსვლისას ცაში აგიხედავთ და ყურადღება მიგიქცევიათ, ხანდახან ავიაცია ძალზე უცნაურად იქცევა — ცაზე რაღაც უჩვეულო ინვერსიულ კვალს ტოვებს, რაც მოგვიანებით არანაკლებ უცნაურ ღრუბლებად იქცევა ხოლმე. თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ თვითმფრინავები იმგვარი მარშრუტებით ფრინავენ, რომ ცაზე ცხაურის მაგვარ კვალს ტოვებენ. ქიმტრეილების კვალი თვითმფრინავთა ინვერსიული კვალისგან განსხვავდება. ინვერსიული კვალი კონდენსაციის ან კვამლის შედეგია, ეს თვითმფრინავის ძრავების გამონაბოლქვისგან წარმოქმნილი კონდენსირებული წყლის ორთქლის ხილული ნაკვალევია. ქიმტრეილები არის ქიმიური კვალი, რომელიც ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მოფრქვევის შემდეგ ჩნდება. კონდენსაციური კვალი თვითმფრინავისგან, რომელიც მაღალ სიმაღლეზე მიფრინავს, ფაქტობრივად, მაშინვე თვალწინ ქრება, ქიმიური კვალი კი ცაზე რამდენიმე საათის განმავლობაში ჩანს, ფართო ზოლებად იშლება და შემდეგ მთელ ცას ღია ფერის ღრუბლით ფარავს.



**ედვარდ გრიფინი, მრავალი წიგნისა და დოკუმენტური მასალის ავტორი ქიმტრეილების თემაზე:**

— მინდა, იმ თემაზე გესაუბროთ, რომელიც ახლა სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, თემაზე, რომელსაც სამეცნიერო ენაზე სტრატოსფერული აეროზოლური გეოინჟინერია ეწოდება. ეს იგივეა, რაც ქიმტრეილების პრობლემა. ადამიანები, რომლებიც ამ პროექტს აფინანსებენ, შეეცდებიან, დაგვარწმუნონ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი კეთილდღეობისთვის კეთდება, პლანეტის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის და რომ ამით გლობალური დათბობის თავიდან აცილებას ცდილობენ. შეუძლიათ, ისიც გვიმტკიცონ, რომ ეს ნივთიერებები დაგვეხმარება, წინააღმდეგობა გავუწიოთ ბიოლოგიური იარაღის ზემოქმედებას, თუ საიდანმე უეცრად ბიოლოგიური შეტევა განხორციელდება. ნებისმიერი ადამიანის მკლავში ნემსის გაკეთებით ვაქცინიაცია საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იქნებოდა. მაგრამ ამგვარად მოფრქვეული ნივთიერებებით ადამიანებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება გაცილებით ადვილია და ამას, ცხადია, კაცობრიობის საკეთილდღეოდ ვაკეთებთ, — იტყვიან პროგრამის მესვეურები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ჩოლოქთან გამარჯვებამ ბოლო მოუღო უცხოელი გენერლების მიერ შედგენილ გეგმას, რომლის მიხედვითაც ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით წამოსული თურქთა რაზმი სურამის უღელტეხილის გადავლით უნდა შეერთებოდა სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსს, რათა შემდეგ „გაშლილი კომბინირებული შეტევა“ დაეწყო, რასაც, მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა „რუსეთის ბატონობის დასასრული ამ მხარეში“. ჩოლოქთან გურიის რაზმის გამარჯვებამ ამიერკავკასიის ფრონტის სხვა უბნებზე მოქმედ ჯარებს საშუალება მისცა, შეტევაზე გადასულიყვნენ.**

# ყირიმის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-16

**სელიმ-ფაშა თავისი რაზმით მოუახლოვდა გურიის საზღვრებს, მაგრამ დიდხანს ვერ ბედავდა მდ. ჩოლოქის გადმოლახვას. ბოლოს მის ყურამდე მიაღწია ივანე ანდრონიკაშვილის მიერ განზრახ მის შემოსატყუებლად დარხეულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლის-საფრანგეთის ომში ჩაბმით შეშინებული რუსები გურია-სამეგრელო-იმერეთიდან აპირებდნენ ჯარის გაყვანას და თბილისთან თავმოყრას. ამ ხმებით გათამამებული სელიმ-ფაშა გურიაში შემოიჭრა და ოზურგეთში დაბანაკდა. თურქებს მოჰყვნენ საქონლით დატვირთული ინგლისელი ვაჭრები და მოსახლეობის მოზიდვას ცდილობდნენ. მაგრამ გურულმა მოსახლეობამ მალაქია გურიელის მეთაურობით, რომლის რაზმი დღითიდღე იზრდებოდა, თურქების წინააღმდეგ ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და მტერს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.**



სასაზღვრო ზოლის დაცვა თურქების მხრიდან გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს მილიციის საშუალებით ხორციელდებოდა. მილიცია რეგულარულად აწვდიდა სარდლობას ცნობებს თურქთა ჯარების განლაგების შესახებ. გურიის მილიციამ შეატყობინა სარდლობას, რომ თურქების 12-ათასიანმა რაზმმა მდინარე სუფსა გადმოლახა და ლანჩხუთის ხეობით სოფ. ნიგოეთისკენ მოეშურებოდა. რაზმი უმთავრესად ბაში-ბუზუკებისგან შედგებოდა. იგი მოჰყავდა რენეგატ ჰასან-ბეი თავდგირიძეს. სოფ. ნიკოეთთან ქუთაისისკენ მიმავალ გზას იცავდა ნიკოლოზ ერისთავი 2 ბატალიონით და 4 ქვემეხით. ერისთავის დასახმარებლად ანდრონიკაშვილმა 12-მდე ცხენოსანი და ქვეითი მილიციის ასეული გაგზავნა.

27 მაისს განთიადისას სოფ. ნიგოეთთან ლანჩხუთის ტყეში ნიკოლოზ ერისთავი ანაზდად თავს დაესხა თურქებს. ერისთავმა იცოდა, რომ კაჟიანი თოფებით შეიარაღებული ჯარით მოწინააღმდეგის შორსმსროლელ შაშხანებთან ვერაფერს გახდებოდა და ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა. მტერმა დიდხანს ვერ გაუძლო შეტევას და უკან დახევა დაიწყო. თავადი ერისთავი ქვეითი ჯარით და მილიციით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მტერს. მან ტყიდან გასასვლელი ბილიკები ჩაკეტა და უკანდასახევი გზა მოუჭრა. მტრის დევნაში გართულ მეომრებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ ჰასან-ბეი ბაში-ბუზუკების რაზმით ჩუმად ხელიდან გაუსხლტა. ჰასან-ბეიმ ზურგიდან შემოუარა ერისთავის რაზმს და რუსთა ბანაკს დაეცა, მაგრამ ერისთავი დროზე მიხვდა მტრის ფანდს და სასწრაფოდ გაეშურა ბანაკში მყოფი ჯარის დასახმარებლად. **რუსთა რეგულარულმა ჯარებმა და მილიციამ სასტიკად დაამარცხეს ჰასან-ბეის რაზმი. თვით ჰასან-ბეი გაქცევას ლამობდა, მაგრამ გურულმა აზნაურმა ერასტი ჭყონიამ მას ხმლის ერთი მოქნევით მოჰკვეთა თავი და გენერალ ანდრონიკაშვილს მიართვა.**

ნიგოეთიდან თურქების დამარცხების მერე ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო, ოზურგეთში თურქების მთავარი კორპუსისთვის შეეტია და ოზურგეთისკენ გასწია. ამ დროისთვის სელიმ-ფაშას ოზურგეთი დაეტოვებინა, მდ. ჩოლოქზე გადასულიყო და გურიის საზღვართან დაბანაკებულა. **ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო 11 ბატალიონი ქვეითი რეგულარული ჯარით, დონელი კაზაკების 4 ასეული, გურიის ექვსი ქვეითი რაზმი, იმერეთის მილიციის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ასეული, რომლის ერთ-ერთ ასეულს ხელმძღვანელობდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის თანამედროვე — 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძე. ქაიხოსრო მთელ იმერეთში განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობით და გარეგნობით. მან მიქელაძეების გვარის თავადებისგან შეადგინა მთელი ასეული და, როგორც მისი თანამედროვე გადმოგვცემს, საბრძოლოდ ამხედრებულმა ქაიხოსრომ სახალხოდ გამოაცხადა, რომ იგი მტრის საბოლოოდ დამარცხებამდე და უკანასკნელ გასროლამდე თავდადებით იბრძოლებდა.**

აქვე ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში მყოფ ქართული ნაკრები ცხენოსანი ლაშქრის აღწერაზე. ეს ლაშქარი 1854 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა და სპეციალური სამხედრო სწავლება გაიარა. იგი შედგებოდა საუკეთესო ნარჩევი ვაჟკაცებისგან. **ლაშქრის უფროსი იყო მამაცობით განთქმული გიორგი ჯანდიერი, რომელსაც მეტსახელად „დროშა-გიორგის“ უწოდებდნენ.** ლაშქრის **პირველ ასეულში** იყვნენ მხოლოდ ოსები, რომლებიც სხვა ასეულებისგან გამოსარჩევად ფაფახებზე წითელ ნიშანს ატარებდნენ. მათი მეთაური იყო თავადი გიორგი მაჩაბელი. **მეორე ასეული** სიღნაღის მაზრის მცხოვრებთაგან იყო შედგენილი, ჰქონდათ თეთრი ნიშანი და თეთრი ფაფახები. მათ მეთაურობდა თავადი ზაქარია ანდრონიკაშვილი. **მესამე ასეულში** თელავის მაზრის მცხოვრებლები იყვნენ, მეთაურობდა ნიკო ჭავჭავაძე, ჰქონდათ მოყვითალო-ოქროსფერი ნიშანი. **მეოთხე ასეული** შედგენილი იყო თბილისისა და გორის მაზრის მცხოვრებლებისგან, მეთაურად ჰყავდათ თავადი დავით ვახვახიშვილი, ატარებდნენ ცისფერ ნიშანს. **მეხუთე ასეულში** იყვნენ თუშები და ფშაველები შავი ნიშნით და შავი თუშური ქუდით, მათ მეთაურობდა ვაჟკაცობით განთქმული ელისაბერიძე, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული. **მეექვსე ასეული** მწვანე ნიშნით გამოდიოდა და მის შემადგენლობაში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი გვარების თავადაზნაურობის წარმომადგენლები შედიოდნენ, მეთაური იყო თავადი გიორგი ერისთავი. **ლაშქარს მიუძღვებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული გოლიათური აგებულების ბოდბისხეველი ნატროშვილი, რომელსაც შავი დროშა მოჰქონდა.**

**თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართული ლაშქარი თავისი ჩაცმულობითა და საბრძოლო გარეგნობით თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა.**

**ოზურგეთში მისვლისას ანდრონიკაშვილმა თავისი გენერლები შეკრიბა და მომავალი ბრძოლის შესახებ თათბირი გამართა. უმრავლესობის მოთხოვნის მიუხედავად, რამდენიმე დღით გადაედოთ შეტევა, ვიდრე კარგად არ შეისწავლიდნენ მტრის ძალებს, ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა, სწრაფი და გაბედული იერიში მიეტანა მტერზე, რათა ესარგებლა ნიგოეთთან მათი დამარცხების შემდეგ თურქების დემორალიზაციით.**

4 ივნისს, გათენებისას, „გურიის რაზმმა“ დატოვა ოზურგეთი და გაემართა გურიის საზღვრებისკენ, სადაც მდინარე ჩოლოქს გაღმა, მისთვის ხელსაყრელ პოზიციებზე განლაგებული იყო ბათუმის 35-ათასიანი კორპუსი სელიმ-ფაშას მეთაურობით.

ავანგარდში მიდიოდა გურული მილიცია მაჭავარიანისა და თავდგირიძის მეთაურობით, რომელნიც გზაში თურქების მოწინავე რაზმს წააწყდნენ. მილიცია შეებრძოლა ამ რაზმს, სასტიკად დაამარცხა და გაფანტა მებრძოლები, თვითონ ჩოლოქისკენ დაეშვა და თურქების უკანდასახევი გზა დაიკავა.

გურიის რაზმმა გადალახა ჩოლოქი და საბრძოლველად განლაგებულ მტრის პირდაპირ აღმოჩნდა. ბრძოლა საარტილერიო ცეცხლით დაიწყო. შემდეგ ანდრონიკაშვილის განკარგულებით ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო 2 კოლონა, გენერლების მეიდელისა და ბრუნერის მეთაურობით. მეიდელის კოლონა პირდაპირ ეკვეთა მტერს, ხოლო ბრუნერის კოლონასა და ქვეით მილიციას მტრის მარჯვენა ფლანგიდან უნდა შემოეარა და მეიდელთან ერთდროულად დაეცხო მისთვის. გენერალმა მეიდელმა ხელჩართული ბრძოლა გამართა და კარგად შეავიწროვა თურქები. ამავე დროს ბრუნერის კოლონასაც რომ დაერტყა მტრისთვის, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ ბრუნერი, გაუგებარი მიზეზის გამო, იგვიანებდა. მეიდელის კოლონა თავისიანებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და ბრძოლის ბედი ბეწვზე ეკიდა.

**გათამამებული თურქები მთელი ფრონტით შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ანდრონიკაშვილი არ დაიბნა. მან უბრძანა კავალერიას, ჩაბმულიყო ბრძოლაში. როგორც ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე ქართული ლაშქრის ინსტრუქტორი ივანე ამილახვარი მოგვითხრობს, კავალერია, იმერეთის ცხენოსანი მილიცია, ქართული ლაშქარი გააფთრებული ეკვეთნენ მტერს.** დონელი კაზაკების ასეულები პოლკოვნიკ ხარიტონოვის მეთაურობით და იმერეთის ცხენოსანი მილიცია ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით მტრის მოწინავე პოზიციებში შეიჭრნენ, ხოლო ქართულმა ლაშქარმა მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა და ზურგიდან დაესხა მტერს. შეტევაზე გადასული ქართული ლაშქარი ისეთი ელვის სისწრაფით მიაგელვებდა ცხენებს, რომ **წინა რიგებში მყოფი ასეულის მეთაურები დავით ვახვახიშვილი და ზაქარია ანდრონიკაშვილი ღრმად შეიჭრნენ თურქების რიგებში და მტრის ხიშტებზე წამოგებულებმა ბრძოლის ველზე განუტევეს სული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავითი ამ ომში დაღუპული 4 ძმა ვახვახიშვილების მეხუთე ძმა იყო.** ლაშქარმა ამ ბრძოლაში 120 კაცი დაკარგა, მაგრამ თითქმის სავსებით გაანადგურა მტრის რეგულარული ჯარის გვარდიის ბატალიონი; წაართვა მათ დროშა, ასეულის ნიშნები და ქვემეხი. ასევე შეუპოვრად ებრძოდა მტერს დონელ კაზაკთა პოლკი, რომელთა მეთაური ხარიტონოვი ბრძოლის ველზე დაეცა. ამ ბრძოლაშივე დაიღუპა იმერეთის მილიციის სახელოვანი მეთაური ქაიხოსრო მიქელაძე.

შეტევაზე გადასულ კავალერიას ანდრონიკაშვილმა ფეხდაფეხ მიაყოლა ჯარის დანარჩენი ნაწილები და მტრის წინააღმდეგ გაშლილ შეტევაზე გადავიდა.

სისხლისმღვრელი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ თურქები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. მაგრამ რუსი და ქართველი ცხენოსნები მათ ფეხდაფეხ დაედევნენ და იქამდე სდიეს, ვიდრე სელიმ-ფაშას ჯარების გზააბნეული ნაშთები მდინარე ლეღვს იქით არ გადაკარგეს. თვითონ სელიმ-ფაშა რამდენიმე მხლებლით ქობულეთს გაიქცა. **ჩვენს ჯარს ხელთ ჩაუვარდა თურქების ბანაკის სამხედრო ქონება-ინვენტარის მთელი მარაგი, არტილერია და სხვ. თურქების რიცხობრივი სიჭარბის მიუხედავად** (სელიმ-ფაშას განკარგულებაში 35 10-ათასკაციანი ჯარი ჰყავდა), **გამარჯვება სრული იყო. ჩოლოქთან ბრძოლაში თითქმის** სავსებით განადგურდა ბათუმის კორპუსი.

**ჩოლოქთან გამარჯვებამ ბოლო მოუღო უცხოელი გენერლების მიერ შედგენილ გეგმას, რომლის მიხედვითაც ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით წამოსული თურქთა რაზმი სურამის უღელტეხილის გადავლით უნდა შეერთებოდა სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსს, რათა შემდეგ „გაშლილი კომბინირებული შეტევა“ დაეწყო, რასაც, მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა „რუსეთის ბატონობის დასასრული ამ მხარეში“.**

იმავე ხანებში შამილმა კვლავ სცადა საქართველოში შემოჭრა და თურქების ჯარებთან შეერთება. 1854 წლის ივლისში შამილი 12-ათასიანი არმიით შეიჭრა კახეთში, ხანმოკლე ბრძოლით დაიკავა სოფ. შილდა. ერთ-ერთმა რაზმმა დაარბია ალაზნის ნაპირები, ისინი წინანდლისკენ გაიჭრნენ, გაძარცვეს თავად დავით ჭავჭავაძის სახლი, დაატყვევეს ქალები და ბავშვები. დატყვევებულთა შორის იყვნენ დავითის მეუღლე და ბაშკადიკლართან დაღუპული ილია ორბელიანის მეუღლე. შამილი, რაზმის სრული განადგურების შიშით, იძულებული იყო, მალევე გაბრუნებულიყო უკან. ამ დივერსიას თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე, გარდა იმისა, რომ ჩოლოქთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდროპოლის მთავარი კორპუსის დასახმარებლად მიმავალი გენერალი ანდრონიკაშვილი თავისი ჯარებით იძულებული იყო, თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც გაიგო, რომ შამილი უკვე მოეგერიებინათ.

**ჩოლოქთან გურიის რაზმის გამარჯვებამ ამიერკავკასიის ფრონტის სხვა უბნებზე მოქმედ ჯარებს საშუალება მისცა, შეტევაზე გადასულიყვნენ.**

17 ივლისს გენერალ ვრანგელის მეთაურობით რუსის ჯარები თავს დაესხნენ ბაიაზეთის მახლობლად ჩინგილის მაღლობზე განლაგებულ თურქებს. ბაიაზეთის ეს რაზმი ქურთების ცხენოსანი მილიციის მხარდაჭერით სარგებლობდა და ერევნის ციხესიმაგრეს ემუქრებოდა. ბრძოლა ჩინგილის მაღლობზე 2 საათს გაგრძელდა და რუსების სრული გამარჯვებით დამთავრდა. **რუსებმა გაანადგურეს ბაიაზეთის რაზმი და შორს გარეკეს იგი. 2 დღის შემდეგ გენერალმა ვრანგელმა დაიკავა ქალაქი ბაიაზეთი.**

მალე ამას მოჰყვა 1854 წლის კამპანიის ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება. ალექსანდროპოლის რაზმის უფროსს, ბებუთოვს მოუვიდა ცნობა, რომ ყარსში მდგარი თურქების ანატოლიის 60-ათასიანმა კორპუსმა, მუსტაფა ზორიფ-ფაშას მეთაურობით, დატოვა ყარსი და სოფ. კიურეკ-დართან განლაგდა. ბებუთოვმა თავისი რაზმი მსწრაფლ წაიყვანა შეტევაზე. 24 ივლისს თურქეთის ტერიტორიაზე სოფ. კიურეკ-დართან მოხდა ბრძოლა, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. **მიუხედავად იმისა, რომ ჯარების რიცხობრივი თანაშეფარდება თურქების სასარგებლოდ იყო, მტერმა ვერ შეძლო თა-** ►

მემკვიდრეობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყარსში განლაგებულ თურქეთის ძლიერ არმიას მეთაურობდა ინგლისელი გენერალი ვილიამსი. ამავე დროს თურქეთი ცდილობდა, დაეყოლიებინა მოკავშირეები დასავლეთ საქართველოში ძლიერი დესანტის გადასხმაზე, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. საფრანგეთი საქართველო-ამიერკავკასიით სრულებით არ იყო დაინტერესებული, მის უპირველეს ამოცანას სევასტოპოლ-ყირიმის აღება წარმოადგენდა და ინგლისიც საქართველო-ამიერკავკასიის პრობლემის გადაწყვეტას ყირიმში სრული გამარჯვების მოპოვებამდე სდებდა.**

**◀ვისი უპირატესობით ესარგებლა და კიურეკდართან ბრძოლა გენერალ ბებუთოვისა და მისი რაზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ამ გამარჯვებებს და, საერთოდ, მთელ 1854 წლის კამპანიას ამიერკავკასიის ფრონტზე ყირიმის ომისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არ ჰქონია.**

1854 წლის ივლისში გურიის რაზმის უფროსად გენერალი ივანე მუხრან-ბატონი დანიშნეს. მუხრან-ბატონმა შეადგინა საბრძოლო გეგმა, რომლითაც ითვალისწინებდა, რომ თურქეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს ყოველთვის ადვილად შეეძლოთ ძლიერი დესანტის გადმოსხმა გურია-სამეგრელოს სანაპიროებზე. ამ დროისთვის შავ ზღვაზე მოკავშირეთა ფლოტი ბატონობდა, ხოლო რუსეთის ფლოტი სევასტოპოლთან იყო ჩაკეტილი. შავი ზღვის მთელი სანაპირო კი, რუსეთის გარნიზონების ევაკუაციის შემდეგ, მოწინააღმდეგეთა ფლოტისა და ჯარებისთვის სავსებით გაშიშვლებულ პლაცდარმს წარმოადგენდა და მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ ქობულეთის, რედუტ-კალესა და აფხაზეთის მხრიდან. ამიტომ ჯარს უნდა დაეკავებინა ისეთი პოზიციები, საიდანაც უფრო ადვილად შეაჩერებდა მოწინააღმდეგის შემოტევას.

მუხრან-ბატონმა, უპირველეს ყოვლისა, რომ გაეძნელებინა მტრისთვის აფხაზეთიდან ენგურზე გადმოსვლა, ყურადღება მიაქცია სამურზაყანოს. იქაური მოსახლეობისგან ჩამოყალიბდა მილიცია და აფხაზეთიდან მომავალი გზები გაუვალი გახადა. მისი გეგმის მიხედვით, **სამეგრელოს წინა ხაზი დაიკავა ადგილობრივმა მილიციამ, რეგულარული ჯარები კი განლაგებული იყო ზუგდიდში, ხეთასა და ხობის მონასტერთან. თუ მტერი შემოუტევდა ერთდროულად რედუტ-კალედან და ენგურიდან, ჯარი უნდა შეგროვილიყო ხეთაში. ეს პოზიცია რედუტ-კალესა და ენგურიდან გადმოსულ მტრის ჯარს შუაზე ყოფდა.**

იმავე საფუძველზე იყო შედგენილი გურიის დასაცავი გეგმა. ქობულეთის საზღვარი და ზღვისპირი დაკავებული იყო ძლიერი მილიციით, რომელიც მტერს უნდა შეხვედროდა უშუალოდ საზღვრის გადმოლახვის შემდეგ.

რეგულარული ჯარების განსალაგებლად არჩეული იყო აკეთის მთის პოზიციები. აკეთის მთები ბუნებრივად მიუვალი იყო და ქუთაისისკენ მიმავალ ორ გზას (ერთი მხრივ ლანჩხუთ-ნიგოეთის გავლით, მეორე მხრივ, ჩოხატაურის გავლით) შორის იყო გადაჭიმული. გურია-სამეგრელოს დამცველი რაზმების დასაკავშირებლად და საერთო რეზერვის განსალაგებლად არჩეული იყო ორივე პოზიციებიდან თანაბარი მანძილით დაშორებული სოფელი სორტა. რაზმების უკეთ დასაკავშირებლად რიონზე მოაწყვეს გადასასვლელი. ქვეითი ჯარის 6 ბატალიონი განლაგდა სამეგრელოში ზუგდიდ-ხეთა-ხობის პოზიციებზე, გურიაში აკეთის პოზიციებზე დააყენეს 4 ბატალიონი, 6 ბატალიონი კი რეზერვად იდგა სოფელ სორტაში. **მუხრან-ბატონის გეგმის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მტერთან შეხვედრას მორიდებოდა, არ მიეცა მისთვის გადამწყვეტი მოქმედებების საშუალება. საჭირო იყო, მოეგოთ დრო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოდან რეზერვი მოვიდოდა, რომელსაც უნდა შეეტია უკვე ნაწილობრივ ბრძოლით დასუსტებული მტრისთვის.**

**ზამთრის დაწყებამდე გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვრებზე სახალხო მილიცია და პარტიზანები იგერიებდნენ თურქების დივერსიულ გამოხდომებს.**

მთელი ზამთრის განმავლობაში თურქეთი გამალებული ემზადებოდა 1855 წლის კამპანიისთვის. მათ მთავარი ყურადღება მიაქციეს ისედაც ბუნებრივი გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული მდებარეობით მიუვალი ყარსის ციხის გამაგრებას. ინგლისელი სპეციალისტების ზედამხედველობით აიგო საფორტიფიკაციო ზღუდეები და ბასტიონები, რითაც ყარსი მრისხანე ციდატელად იქცა. **ყარსში განლაგებულ თურქეთის ძლიერ არმიას მეთაურობდა ინგლისელი გენერალი ვილიამსი. ამავე დროს თურქეთი ცდილობდა, დაეყოლიებინა მოკავშირეები დასავლეთ საქართველოში ძლიერი დესანტის გადასხმაზე, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. საფრანგეთი საქართველო-ამიერკავკასიით სრულებით არ იყო დაინტერესებული, მის უპირველეს ამოცანას სევასტოპოლ-ყირიმის აღება წარმოადგენდა და ინგლისიც საქართველო-ამიერკავკასიის პრობლემის გადაწყვეტას ყირიმში სრული გამარჯვების მოპოვებამდე სდებდა.**



მთელი ზამთრის განმავლობაში თურქები და რუსები ერთმანეთს უთვალთვალებდნენ და არც ერთი მხარე არ აპირებდა გადამწყვეტი მოქმედების დაწყებას.

**1855 წლის გაზაფხულზე ხანშიშესული და სერიოზულად დაავადებული მეფისნაცვალი ვორონცოვი გენერალმა მურავიოვმა შეცვალა.**

ივნისის დასაწყისში მურავიოვი 25 ათასამდე მებრძოლით ყარსის ასაღებად გაეშურა. მან თანდათანობით დაიწყო ყარსისთვის ალყის შემორტყმა, ყარსისა და არზრუმის დამაკავშირებელი ყველა გზა ჩაკეტა და მჭიდრო მარყუჟში მოაქცია ყარსის ციხესიმაგრე.

ოსმალეთი ყარსის ალყამ ძალზე შეაშფოთა, რადგანაც მისი აღებით რუსებს მცირე აზია-ანატოლიისკენ გზა გახსნილი ექნებოდათ. ოსმალეთი ევროპული მოკავშირეებისგან დაუყოვნებლივ მოითხოვდა ყარსის გადასარჩენად ზომების მიღებას, მაგრამ ინგლის-საფრანგეთი სევასტოპოლის აღებამდე არ აპირებდა ყარსის გადარჩენისთვის მაშველი არმიის გამოგზავნას.

ოსმალთა ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა მრავალრიცხოვანი არმიის გადმოსხმა სამეგრელოში. ამით იძულებულს გახდიდნენ რუსებს, რომ ყარსის ალყა მოეხსნათ. ოსმალთა ჯარების გადმოსხმა საქართველოში მხოლოდ სევასტოპოლის აღების შემდეგ გახდა შესაძლებელი. **1855 წლის 2 სექტემბერს ბათუმში 8-ათასიანი ჯარი გადმოსხეს. მთელი სექტემბრის განმავლობაში ბათუმში, ყულევსა და ტრაპიზონში გრძელდებოდა ოსმალთა ჯარების გადმოსხმა.** ჯარების მთავარსარდალმა ომერ-ფაშამ ყარსისკენ გაჭრა სცადა, მაგრამ ეს მოსატყუებელი მანევრი უფრო იყო. ომერ-ფაშას სავსებით არ შესწევდა ძალა, რომ ბათუმიდან ყარსამდე უამრავი დაბრკოლებებით აღსავე მანძილი გადაელახა და ალყაშემორტყმულ ყარსის გარნიზონს მიშველებოდა; მითუმეტეს, რომ ყარსის ციხესიმაგრისა და მისი გარნიზონისათვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენა სულაც არ შედიოდა ომერ-ფაშასა და მისი ევროპელი შეფების ანგარიშში. **მათი ყურადღების ცენტრში ამიერიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობისა და დანაწევრების პრაქტიკული ამოცანები იდგა.**

ცნობები ომერ-ფაშას მოქმედებისა და სევასტოპოლის დაცემის შესახებ ალყაშემორტყმულმა ყარსის გარნიზონმა თითქმის ერთდროულად მიიღო, რამაც ისინი სულიერად გაამხნევა. მურავიოვმა კი გადაწყვიტა, თურქთა დამხმარე კორპუსის მოსვლისთვის დაესწრო და იერიშით აეღო ყარსის ციხესიმაგრე. წარმატების შემთხვევაში იგი შეძლებდა არდაღანის გზით ბათუმისკენ გალაშქრებასა და თურქეთის მეორე არმიის განადგურებას. რაც მთავარია, მურავიოვი ისე გაიტაცა ამ იდეამ, რომ ყურად არ იღო გამოცდილ კაზაკთა გენერლის — ბალკანოვის მტკიცება იმის შესახებ, რომ მათ განკარგულებაში მყოფი ძალებით ყარსის აღება სავსებით შეუძლებელი იქნებოდა.

**17 სექტემბერს ყარსის გარშემო განლაგებულმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ციხეზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსი და ქართველი ჯარები არნახული თავგამოდებითა და შეუპოვრობით იბრძოდნენ, ყარსის აღება მაინც ვერ მოხერხდა. იერიში განსაკუთრებით სისხლისმღვრელი გამოდგა რუსებისთვის. ბრძოლაში დაჭრილი და მოკლული იყო რუსების 4 გენერალი, 248 ოფიცერი და 7226 ჯარისკაცი.** 17 სექტემბრის იერიშმა, მართალია, ძალიან შეასუსტა რუსების არმია, მაგრამ სულიერად არ დაცემულა. მურავიოვი ამ უბედური იერიშის შემდეგ კვლავ აგრძელებდა ყარსის ალყას. კავკასიის არმიის ყველა ბრძოლისუნარიან რაზმებს ყარსთან მოუყარეს თავი, გურიის რაზმი კი, რომელიც ყოველ წუთს მოელოდა გურია-სამეგრელოს მხრიდან მტრის ძლიერი დესანტის თავდასხმას, მაშველი ჯარის მიღების შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა.

**ომერ-ფაშამ 1856 წლის სექტემბერ-ოქტომბერში 36-ათასიანი არმია გადასხა აფხაზეთში. აშკარა იყო, რომ ომერ-ფაშას ალყაშემორტყმული ყარსისთვის დახმარება კი არ ამოძრავებდა, არამედ იგი მთელი დასავლეთ საქართველოს თუ არა, აფხაზეთ-სამეგრელოს ხელში ჩაგდებით იყო დაინტერესებული.**

აფხაზეთში დიდი არმიის გადასხმის შემდეგ ომერ-ფაშას სამეგრელოში შემოჭრას დღედღეზე ელოდებოდნენ. გურიის რაზმის უფროსი, მუხრან-ბატონი გამალებული ემზადებოდა გადამწყვეტი შეტაკებისთვის, მაგრამ მის განკარგულებაში მყოფი მცირერიცხოვანი რაზმით სამეგრელოს გაჭიმული საზღვრის დაცვა თითქმის შეუძლებელი იყო.

გურიის რაზმი ამ დროისთვის 16 ბატალიონისგან შედგებოდა, აქედან 5 ბატალიონი გურიის დასაცავად იყო საჭირო, ყულევისა და ანაკლიის მომავალი გზების ჩასაკეტად 4 ბატალიონი გაიგზავნა, ენგურის ფრონტისთვის კი, საიდანაც მოსალოდნელი იყო აფხაზეთიდან წამოსული თურქების სამეგრელოში შემოჭრა, მხოლოდ 7 ბატალიონი რჩებოდა. რეგულარულ ჯარებთან ენგურზე დასავლეთ საქართველოს სახალხო ლაშქარიც იბრძოდა — დაახლოებით 5 ათას კაცამდე.

1856 წლის ოქტომბერში ომერ-ფაშა აფხაზეთიდან სამეგრელოსკენ დაიძრა. ჩვეულებრივ ამ დროისთვის მდინარე ენგური წყალდიდობის გამო თითქმის გადაულახავი ხდებოდა. არსად არ შეიძლებოდა ფონის მონახვა, ხოლო ხიდების აგება მისი სწრაფი დინების გამო თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ იმ წელიწადს გვალვებმა დიდხანს გასტანა. მდინარე ისე იყო დაპატარავებული, რომ მისი გადალახვა არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

საჭირო იყო ანაკლიიდან ჯვარამდე ენგურის სანაპიროს გამაგრება, მაგრამ იმ მცირე ძალებით, რომელიც მუხრან-ბატონის განკარგულებაში იმყოფებოდა, ამის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო. მუხრან-ბატონი შეეცადა რამდენიმე უფრო მოხერხებული გადასასვლელის გამაგრებას. ყველაზე უკეთ გაამაგრეს რუხის გადასასვლელი, რომელიც ზუგდიდიდან მიმავალ მოსახერხებელ გზას კეტავდა. აქ დააყენეს 2 ბატალიონი 4 სამთო ქვემეხით, კაზაკთა 3 ასეული და სამეგრელოს ლაშქრის ცხენოსანთა ორი რაზმი. რუხთან ჩაყენებულ რაზმს მეთაურობდა გრიგოლ დადიანი. რუხის ქვევით, კახათის გადასასვლელთან, იდგა ქვეითი ჯარის 1 ბატალიონი და ლეჩხუმის ცხენოსანთა რაზმი კონსტანტინე დადიანის სარდლობით.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი"**

**დასასრული შემდეგ ნომერში**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეჩვიდმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაცია — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიულ დოკუმენტთა კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეძღვნება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„აშშ-ში არსებობს ათობით კარგად ორგანიზებული და კარგად აღჭურვილი ჯგუფი, რომელთაც მასშტაბური ნგრევის გამოწვევა შეუძლიათ. და არ შეიძლება დავივიწყოთ ამერიკელი ებრაელები, რომლებიც განაწყენებული არიან პრეზიდენტ ბუშზე ფლორიდაში არჩევნების შემდეგ და მასზე შურისძიება სურთ. აშშ-ში ასევე არის სადაზვერვო სამსახურები, რომელთაც კონგრესისა და ხელისუფლებისგან ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი სჭირდებათ. დაფინანსებასთან დაკავშირებული ეს საკითხი დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, მაგრამ შემდგომ ამ სამსახურის ბიუჯეტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა“.

# უსამა ბენ ლადენი: დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მსოფლიოა და ქვეყნების ბედი მისი ზეწოლის საშუალებით წყდება

## Global Research-ის რედაქტორის შენიშვნა

ჩვენ მკითხველს წარვუდგენთ უსამა ბენ ლადენის მიერ გაზეთ „Ummat“-ისთვის მიცემულ ინტერვიუს, რომელიც 2001 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა. ინტერვიუ ინგლისურ ენაზე თარგმნა BBC-ის მსოფლიო მონიტორინგის სამსახურმა და 2001 წლის 29 სექტემბერს გამოაქვეყნა.

ელექტრონული ახალი ამბების საყოველთაოდ აღიარებულ არქივებში დაცული ამ ინტერვიუს ნამდვილობა დადასტურებულია.

უსამა ბენ ლადენი კატეგორიულად უარყოფს 11.09.01-თან კავშირს.

ამ ინტერვიუში ბენ ლადენის განცხადებები მნიშვნელოვნად განსხვავდება უსამას სავარაუდო ვიდეოჩანაწერებში დაფიქსირებული განცხადებებისგან.

ამ ინტერვიუში უსამა ბენ ლადენი ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ერკვევა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში; იგი თავის აზრს გამოხატავს 11.09.01-ის შედეგად ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებით და ამავე დროს აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო 11 სექტემბრის თავდასხმების შემსრულებელი.

ეს არის მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელსაც დასავლეთის საზოგადოება არ იცნობს.

ინტერვიუში ჩვენ საკვანძო მომენტები ავარჩიეთ და ვიმედოვნებთ, რომ ამ ინტერვიუს ტექსტი, რომელიც ავღანეთში ომის დაწყებამდე სულ ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდა, ხელს შეუწყობს „ალ ქაიდას“ ისტორიის, უსამა ბენ ლადენის როლისა და 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების უკეთ გაგებას.

მიშელ ჩოსუდოვსკი, 2011 წლის 9 მაისი

## ინტერვიუ უსამა ბენ ლადენთან





# იგი 2001 წლის ტერაქტებთან საკუთარ კავშირს უარყოფს

## Ummat-ის შესავალი

ქაბული: ცნობილი არაბი მოჯაჰედი, წმინდა მებრძოლი უსამა ბენ ლადენი ამბობს, რომ არც მას, არც მის დაჯგუფება „ალ ქაიდას“ არანაირი კავშირი არ აქვთ 11 სექტემბერს თვითმკვლელი ტერორისტების მიერ ვაშინგტონსა და ნიუ იორკზე განხორციელებულ შეტევებთან. მან თქვა, რომ აშშ-ის მთავრობამ დამნაშავეები ქვეყნის შიგნით უნდა ეძებოს. მან თქვა, რომ ეს დარტყმები შეეძლოთ განეხორციელებინათ მათ, ვინც ამერიკული სისტემის ნაწილია და მის წინააღმდეგ ილაშქრებს, სხვა სისტემაზე მუშაობს. როგორც უსამამ თქვა, ესენი შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომელთაც სურთ, მიმდინარე საუკუნე ისლამისა და ქრისტიანობის კონფლიქტის საუკუნედ აქციონ. დამკვეთები ასევე შეიძლება იყვნენ ამერიკელი ებრაელები, რომლებიც ფლორიდაში არჩევნების შემდეგ ბუშის წინააღმდეგ გამოდიან. დიდია იმის ალბათობაც, რომ ამაში მონაწილეობდნენ ამერიკის სპეცსამსახურები, რომელთაც ყოველწლიურად მილიარდობით დაფინანსება სჭირდება. მან თქვა, რომ აშშ-ში ხელისუფლების შიგნით მეორე ხელისუფლება არსებობს.

**Ummat: თქვენ ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე თავდასხმებში გადანაშაულებენ. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით? თუ თქვენ არაფერ შუაში ხართ, მაშ, ვინ შეიძლება იყოს ამაში ჩარეული?**

**უსამა:** მადლობელი ვარ საგამომცემლო ჯგუფ „Ummat“-ისა, რომელმაც მომცა საშუალება, ჩემი თვალსაზრისი გავაცნო ადამიანებს, განსაკუთრებით თავგამოდებულ მორწმუნეებსა და ჭეშმარიტ მუსლიმანებს — პაკისტანის მკვიდრთ, რომლებმაც უარი განაცხადეს ეშმაკის ტყუილების დაჯერებაზე.

უკვე მითქვამს, რომ აშშ-ში მომხდარ 11 სექტემბრის შეტევებთან კავშირი არ მაქვს. როგორც მუსლიმანი, მთელი ძალით ვცდილობ, არ ვიცრუო. ამ შეტევების შესახებ არაფერი ვიცოდი და უდანაშაულო ქალების, ბავშვებისა და სხვა ადამიანების დახოცვას მნიშვნელოვან ნამოქმედრად არ მივიჩნევ. ისლამი მკაცრად კრძალავს უდანაშაულო ქალების, ბავშვებისა და სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას.

ამგვარი ქმედებები იკრძალება ბრძოლის დროს. აშშ ექცევა ყველანაირად ცუდად ქალებს, ბავშვებსა და სხვა ადამიანებს, თუ ისინი სხვა რწმენის, განსაკუთრებით ისლამის მიმდევარნი არიან. მხოლოდ ის, რაც პალესტინაში უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში ხდება, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ღვთის რისხვა დაატყდეთ აშშ-სა და ისრაელს.

ეს არის გაფრთხილება ყველა იმ მუსლიმანური ქვეყნისთვის, რომლებიც მდუმარე მაყურებელივით უყურებდა ყველაფერს. რა უქნეს ადრე ერაყის, ჩეჩნეთისა და ბოსნიის უდანაშაულო ხალხებს?

**ტერორის ამ აქტებისა და ტირანების მფარველობის მიხედვით, ამერიკასა და დასავლეთზე ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ამერიკა ანტიისლამური სახელმწიფოა და ანტიისლამურ ძალებს მფარველობს.**

მუსლიმანურ ქვეყნებთან მისი მეგობრობა მხოლოდ მოჩვენებითია, უფრო ტყუილია. შეიტყუებს ან შეაშინებს რა ამ ქვეყნებს, აშშ მათ აიძულებს, ის როლი ითამაშონ, რომელიც თავად შეურჩია. მიმოიხედეთ ირგვლივ და დაინახავთ, რომ აშშ-ის მონები მმართველები ან მუსლიმანების მტრები არიან.

აშშ-ს არ ჰყავს მეგობრები და არც სურს, ჰყავდეს, იმიტომ, რომ მეგობრობის აუცილებელი პირობაა მეგობართან ერთ დონეზე იყო ან მას შენს თანასწორად მიიჩნევდე. ამერიკას არ სურს, ვინმეს თავის თანასწორად თვლიდეს, ის სხვებისგან მონობას ელის. ამიტომაც სხვა ქვეყნები ან მისი მონები არიან, ან — მორჩილები.

მაგრამ ჩვენ სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს. ჩვენ მონობას ერთადერთ ყოვლისშემძლე ღმერთს შევპირდით და ამ პირობის შემდეგ შეუძლებელია ვინმე სხვას ემონო. თუ ამას გავაკეთებთ, ეს ჩვენი საყრდენისა და მასთან დაახლოებულთა უპატივცემულობა იქნება.

**იმ ქვეყნების უმეტესობა, რომლებიც თავისუფლებას ინარჩუნებენ, რელიგიური ქვეყნებია. ისინი აშშ-ის მტრები არიან ან თავად აშშ მიიჩნევს მათ მტრად. კიდევ არიან ქვეყნები, რომელთაც არ სურთ, მონებად იქცნენ, ისეთები, როგორიც ჩინეთი, ირანი, ლიბია, კუბა, სირია და რუსეთია.**

ვისაც არ უნდა ჩაედინა 11 სექტემბრის ტერაქტები, ისინი არ არიან ამერიკელი ხალხის მეგობრები. მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ ამერიკული სისტემის წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ არა — ამერიკელი ხალხისა, მაშინ, როდესაც ამ შეტევებს ჩვეულებრივი ამერიკელები ემსხვერპლნენ.

**ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე აშშ-ის ხელისუფლებამ გამოაცხადა, მაგრამ ბუშის ადმინისტრაციას არ სურს, რომ პანიკა შეიქმნას.** აშშ-მა უნდა ეცადოს, ამ ტერაქტის დამნაშავეები ქვეყნის შიგნით გამოავლინოს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ამერიკული სისტემის ნაწილი არიან, მაგრამ არ ეთანხმებიან მას, ან ადამიანები, რომლებიც სხვა სისტემას ემსახურებიან; ესენი არიან ადამიანები, რომელთაც სურთ, მიმდინარე საუკუნე ისლამსა და ქრისტიანობას შორის კონფლიქტის ასწლეულად აქციონ, რათა მათმა ცივილიზაციამ, ნაციამ, ქვეყანამ ან იდეოლოგიამ გადარჩენა შეძლოს. ესენი ვინც გინდათ შეიძლება იყვნენ რუსეთიდან ისრაელამდე, ინდოეთიდან სერბეთამდე. **თავად აშშ-ში არსებობს ათობით კარგად ორგანიზებული და კარგად აღჭურვილი ჯგუფი, რომელთაც მასშტაბური ნგრევის გამოწვევა შეუძლიათ. და არ შეიძლება დავივიწყოთ ამერიკელი ებრაელები, რომლებიც განაწყენებული არიან პრეზიდენტ ბუშზე ფლორიდაში არჩევნების შემდეგ და მასზე შურისძიება სურთ.**

**აშშ-ში ასევე არის სადაზვერვო სამსახურები, რომელთაც კონგრესისა და ხელისუფლებისგან ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი სჭირდებათ. დაფინანსებასთან დაკავშირებული ეს საკითხი დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, მაგრამ შემდგომ ამ სამსახურის ბიუჯეტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

მათ მტერი სჭირდებოდათ. ამიტომ ჯერ უსამასა და თალიბანის წინააღმდეგ დაიწყეს პროპაგანდა, შემდეგ კი ეს ისტორია მოხდა. ბუშის ადმინისტრაცია 40-მილიარდიან ბიუჯეტს დათანხმდა, რაზე დაიხარჯება ამხელა თანხა? ის გადაეცემა იმავე სამსახურებს, რომელთაც ეს უზარმაზარი სახსრები სჭირდებათ და რომელთაც სურთ, თავიანთი მნიშვნელობა დაამტკიცონ.

ახლა ისინი თანხას გაფართოებასა და საკუთარი მნიშვნელობის გაზრდაზე დახარჯავენ. ერთ მაგალითს მოვიყვან. მთელი მსოფლიოს ნარკომოვაჭრეებს ამერიკულ სპეცსამსახურებთან კონტრაქტები აქვთ. ამ სპეცსამსახურებს არ სურთ, გაანადგურონ ნარკოტიკების მოყვანა და ნარკოვაჭრობა, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მათი მნიშვნელოვნება შემცირდება. **ამერიკის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოში მომუშავე ადამიანები ხელს უწყობენ ნარკოვაჭრობას, რათა თავად შეეძლოთ საკუთარი მიღწევების დემონსტრირება და ბიუჯეტისთვის მილიონობით დოლარის მიღება.**

გენერალი ნორიეგა ცსს-მ ჯერ ნარკობარონად აქცია, რთულ პერიოდში კი განტევების ვაცად გამოიყენა. სწორედ ასევე ბუშს ან აშშ-ის ნებისმიერ სხვა პრეზიდენტს არ შეუძლია ისრაელის დასჯა ადამიანის უფლებების დარღვევის გამო ან მისთვის ამგვარი დანაშაულისთვის პასუხის მოთხოვნა. რა არის ეს ▶

**«ტერორი თანამედროვეობის ყველაზე საშინელი იარაღია და დასავლური მასმედია დაუნდობლად იყენებს მას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ»**



**2007 წლის 2 ნოემბერს პაკისტანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბენაზირ ბჰუტომ დევიდ ფროსტს უთხრა, რომ ბენ ლადენი ერთ-ერთმა მისმა ხელქვეითმა მოკლა. დაახლოებით ორი თვის შემდეგ თავად ბჰუტო მოკლეს და დადიოდა ჭორი, რომ მისი განადგურების მიზნით შეთქმულების ორგანიზება ძლიერი ამერიკული გავლენის ქვეშ მყოფმა პერვეზ მუშარაფმა განახორციელა.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## «ჩვენ არ ვართ რომელიმე ისლამური ქვეყნის წინააღმდეგი და ისლამური ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლასაც არ მივიჩნევთ ჯიჰადად»

◀ თუ არა ის, რომ აშშ-ში ხელისუფლებაში ხელისუფლება არსებობს? ეს არის საიდუმლო ხელისუფლება და უნდა ვიკითხოთ, ვინ ჩაიდინა ეს ტერაქტები.

**Ummat: მსოფლიოს მრავალი ქვეყანა შეუერთდა აშშ-ის მოწოდებას ავღანეთზე შეტევასთან დაკავშირებით. მათ შორის არიან მუსლიმანური ქვეყნებიც. გამოაცხადებს „ალ ქაიდა“ ჯიჰადს ამ ქვეყნების წინააღმდეგაც?**

**უსამა:** ჩემი მოვალეობაა, უბრალოდ, გამოვაღვიძო მუსლიმანები; ვუთხრა, რა არის მათთვის კარგი და რა — არა. რას ამბობს ისლამი და რა სურთ ისლამის მტრებს. „ალ ქაიდა“ იმისთვის შეიქმნა, რომ ულმერთობის წინააღმდეგ ჯიჰადი აწარმოოს, განსაკუთრებით, წინ რომ აღუდგეს ულმერთო ქვეყნების ზეწოლას ისლამურ ქვეყნებზე. ჯიჰადი ისლამის მეექვსე დაწერილი ელემენტია. „ალ ქაიდას“ სურს, ეს ელემენტი ცოცხლად და აქტიურად შეინარჩუნოს და ის მუსლიმანთა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად აქციოს. მას სურს, რომ ჯიჰადმა კულტის სტატუსი მიიღოს. **ჩვენ არ ვართ რომელიმე ისლამური ქვეყნის წინააღმდეგი და ისლამური ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლასაც არ მივიჩნევთ ჯიჰადად.**

**ჩვენ შეიარაღებული ჯიჰადის მომხრენი ვართ მხოლოდ იმ ულმერთო ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც უდანაშაულო კაცებს, ქალებსა და ბავშვებს მხოლოდ იმიტომ ხოცავენ, რომ ისინი მუსლიმანები არიან.**

**Ummat:** ვაშინგტონსა და ნიუ იორკზე დარტყმების შედეგებმა დაამტკიცა, რომ აშშ-ზე ეკონომიკური დარტყმის მიყენება არც თუ ისე რთულია. ამერიკელი ექსპერტები აღიარებენ, რომ კიდევ რამდენიმე ამგვარმა დარტყმამ, შესაძლოა, ამერიკის ეკონომიკა დაანგრიოს. რატომ არ იღებს მიზანში „ალ ქაიდა“ მის ეკონომიკურ საყრდენებს?

**უსამა:** უკვე ვთქვი, რომ ჩვენ არ ვართ მტრულად განწყობილები აშშ-ის მიმართ, ჩვენ იმ სისტემის წინააღმდეგი ვართ, რომელიც სხვა ქვეყნებს აშშ-ის მონებად აქცევს ან აიძულებს, თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება დააგირაონ. ეს სისტემა მთლიანად იმ ებრაელთა კონტროლქვეშაა, რომელთა მთავარ პრიორიტეტს ისრაელი წარმოადგენს და არა — აშშ. უბრალოდ, **ამერიკელები თავად არიან ებრაელების მონები და იძულებული არიან, მათ მიერ დამყარებული პრინციპებითა და კანონებით იცხოვრონ. ამისთვის ისრაელს სასჯელმა უნდა უწიოს, სინამდვილეში ისრაელი ხოცავს უდანაშაულო მუსლიმანებს, აშშ კი ამაზე სიტყვასაც არ ასველებს.**

**Ummat:** რატომ არ აყენებთ ზიანს ისლამის მტრებს სხვა საშუალებებით, **შეიარაღებული ბრძოლის გარდა, მაგალითად, მუსლიმანთათვის მოწოდებით — ბოიკოტი გამოუცხადონ დასავლურ პროდუქტებს, ბანკებს, ნაოსნობას, ტელეარხებს?**

**უსამა:** დასავლეთის პროდუქტების ბოიკოტირება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მუსლიმანური საძმო სრულად გამოიღვიძებს და ორგანიზებული იქნება. მეორეც, მუსლიმანური კომპანიები დამოუკიდებლები უნდა გახდნენ და დასავლური ნაწარმის თანასწორი პროდუქცია შექმნან. დასავლეთისთვის ეკონომიკური ბოიკოტი შეუძლებელია მანამ, ვიდრე არ იქნება მიღწეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სანაცვლო პროდუქტების წარმოება არ დაიწყება. სიმდიდრე მიმოფანტულია მთელს ისლამურ მსოფლიოში, მაგრამ არ შეძენილა ტელეარხი, რომელიც ისლამის მცნებების პროპაგანდას განახორციელებს და საერთაშორისო გავლენას მოიპოვებს. მუსლიმანმა კომერსანტებმა და მეცენატებმა მიზნად უნდა დაისახონ, რომ, თუ საზოგადოებრივი აზრის იარაღს გამოიყენებენ, ეს იარაღი ხელთ უნდა ჰქონდეთ. **დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მსოფლიოა და ქვეყნების ბედი მისი ზეწოლის საშუალებით წყდება.** როგორც კი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალება გაჩნდება, შეიძლება გააკეთო ყველაფერი, რაც მოგესურვება.

**Ummat: ჯერჯერობით თქვენი ბრძოლის თაობაზე პროპაგანდას მხოლოდ დასავლეთის მასმედია ახორციელებს. მაგრამ „ალ ქაიდასა“ და მისი წარმატებების შესახებ ინფორმაცია თქვენი წყაროებიდან არ მოდის. შეგიძლიათ ამაზე კომენტარის გაკეთება?**

**უსამა:** სამწუხაროდ, დასავლეთის მასმედიას, იმისთვის, რომ გადარჩეს, სხვა თემები არ აქვს, ჩვენ კი სხვა საქმე გვაქვს. ჩვენი დუმილია ჩვენი ნამდვილი პროპაგანდა. დასავლეთის მასმედია იმდენად უსაფუძვლო პროპაგანდას ეწევა, რომ გაოცებული ვართ, მაგრამ ის იმას ასახავს, რაც გულში აქვთ და ნელ-ნელა ისინი თავად ექცევიან ამ პროპაგანდის ტყვეობაში. მათ ამის ეშინიათ და საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებას იწყებენ. **ტერორი თანამედროვეობის ყველაზე საშინელი იარაღია და დასავლური მასმედია დაუნდობლად იყენებს მას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.** ეს იმას ნიშნავს, რომ, რასაც აშშ-ის მტრები ვერ აკეთებენ, აკეთებს მისივე მასმედია. გასაგებია, როგორი იქნება იმ ქვეყნის ომში მოქმედებათა შედეგები, რომელიც შიშსა და უსუსურობას განიცდის.

**DAILY UMMAT IN URDU, ყარაჩი, 2001 წლის 28 სექტემბერი**

**GLOBAL RESEARCH, 2011 წლის 9 მაისი**

# კონტრტერორისტული ტელეშოუ და მისი შედეგები

**როგორც ტელეკომპანია „ფოქსის“ სერიალ „24“-ში, სადაც გამოგონილი გმირები — ცსს-ს აგენტები და ამერიკული ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეები — ტერორიზმთან ბრძოლაში ერთვებიან, ტელემაყურებლების თვალწინ გაიელვა პრეზიდენტ ობამას, ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის, ამერიკული ადმინისტრაციის ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ჩინოვნიკების რაზმების და აშკარად უხერხულობაში ჩავარდნილი ჰილარი კლინტონის გამოსახულებებმა. ყველა ეს გმირი თეთრი სახლის სიტუაციური ოთახის მაგიდის ირგვლივ იჯდა და რეალური დროის რეჟიმში ადევნებდა თვალს ვიდეოტრანსლაციას პაკისტანის ქალაქ აბოტაბადიდან, თუ როგორ კლავს 45-წუთიანი შერკინების შემდეგ ამერიკული სპეცრაზმ დელტას „Navy Seal“-ის მეექვსე ქვეგანყოფილება და ცსს-ს გასამხედროებული ფორმირებები პირდაპირ თვალში სროლით ბენ ლადენს, რომელმაც, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერაფერი გააწყო აშშ-ის სპეციალური ოპერაციების სამმართველოს თანამშრომლებთან.**




ცსს-სა და პენტაგონის მიერ შექმნილი ტელეშოუ „24“-ის დასრულებისთანავე, სავსებით შესაძლებელია, ობამა რადიომიმართვით გავიდა ეთერში და განაცხადა, რომ აშშ-ის სპეცქვედანაყოფებმა ქვეყნის მთავარი მტრის ლიკვიდაცია შეძლეს. მალე თეთრი სახლის წინ შეიკრიბა მოზეიმე ბრბო, რომელმაც დაიწყო სკანდირება „აშშ! აშშ!“ და ობამას ქებადიდება იმისთვის, რომ დროულად გასცა სროლის ბრძანება იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც 11 სექტემბრის ტერაქტების სულისჩამდგმელად მოიაზრებენ. შედეგად, ობამას არც თუ მყარი რეიტინგი ცაში აიჭრა, აშშ-მა კი, როგორც იქნა, იძია შური ბოროტ ტერორისტ ბენ ლადენზე, რომელიც, უკვე მრავალი წელია, ამერიკას საეჭვო აუტენტურობისა და დედამიწის გაურკვეველ ადგილას ჩაწერილი ვიდეო და აუდიოჩანაწერების სახით ათას მუქარას უთვლის.

**თეთრი სახლიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბენ ლადენს მიაგნეს დიდ კერძო სახლში, რომელიც პაკისტანის უმაღლესი სამხედრო ჩინების ალმა მატერად ცნობილი სამხედრო აკადემია კაკულიდან სულ რამდენიმე ასეული მეტრით იყო დაშორებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხედროებისა და დაზვერვისგან შეუმჩნევლად ბენ ლადენი პაკისტანის ერთ-ერთ სამხედრო ქალაქში ცხოვრობდა, პაკისტანის შეიარაღებულ ძალთა და უწყებათაშორისი დაზვერვის გადამდგარი ოფიცრების გვერდით.**

ისლამაბადიდან 75 მილით დაშორებული აბოტაბადი ქალაქ მაკლინის პაკისტანური ანალოგია, სადაც ასე თუ ისე დაზვერვასთან დაკავშირებული ადამიანები ცხოვრობენ. ეს ადგილი კარგადაა ცნობილი როგორც თავად პაკისტანის სამხედროებისთვის, ასევე პაკისტანისა და ცსს-ს უწყებათშორისი დაზვერვისთვის. გამოდის, რომ ბენ ლადენმა ამჯობინა, ეცხოვრა კარგად დაცულ ქალაქში მის მიერ ესოდენ საძულველ „ურწმუნოთა“ გვერდით.

**თვალგამოთხრილი და ფართოდ პირდაღებული ბენ ლადენის ფოტომ მსოფლიოს ყველა ტელეარხზე გაიელვა და ახალი ამბების უმსხვილესი სააგენტოების ოფიციალურ საიტებზეც მოხვდა. მაგრამ ერთი პატარა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ფოტო ჩვეულებრივი ბლეფი იყო, რის შესახებაც ზემოაღწერილ მოვლენებზე ბევრი რამ ადრე გახდა ცნობილი.**

პაკისტანური, არაბული და დასავლური მედიის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების მიხედვით, ბენ ლადენი მოკლეს ან თირკმელების დაავადებით გარდაიცვალა მრავალი წლის წინათ, ვიდრე თეთრი სახლი მსოფლიოს ტელეშოუ „24“-ის უახლეს ვერსიას წარუდგენდა.

2001 წლის ივლისში, 11 სექტემბრის ტერაქტებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე, „Le Figaro“ და „Radio France“ იტყობინებოდნენ, რომ ცსს-ს დუბაის რეზიდენტურის შეფმა, ვინმე ლარი მიტჩელმა ბენ ლადენი დუბაის ამერიკულ ჰოსპიტალში მოინახულა. 2002 წლის 19 აპრილს „San Francisco Commonwealth Club“-ში გამოსვლისას გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა რობერტ მიულერმა განაცხადა: **„ჩვენი გამოძიების შედეგების მიხედვით, არც აშშ-ში, არც ავღანეთსა და სხვა ადგილებში მოპოვებულ სხვა ინფორმაციებში არ აღმოჩნდა ქაღალდის ნაკუწიც კი, რომელიც 11 სექტემბერთან დაკავშირებით რაიმე მინიშნებებს მაინც შეიცავდა“.** მაშ, როგორ გაიდა გამოძიების ფედერალური ბიურო ბენ ლადენზე? — არანაირად. 2002 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: **„არ ვიცი, სად იმყოფება ბენ ლადენი და ჩემთვის ეს სულ ერთია. ეს არც ისე მნიშვნელოვანია, ეს არ შედის ჩვენი პრიორიტეტების რიცხვში“.**

უკვე 2006 წელს ცსს-ში, სადაც, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ბენ ლადენზე მითი სულ უფრო და უფრო ცუდად იყიდებოდა, გამოაცხადეს ბენ ლადენით დაკავებული ქვედანაყოფის (კოდური სახელწოდებით Alec Station) დახურვის შესახებ. შემდგომ, **2007 წლის 2 ნოემბერს, პაკისტანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბენაზირ ბჰუტომ დევიდ ფროსტს უთხრა, რომ ბენ ლადენი ერთ-ერთმა მისმა ხელქვეითმა მოკლა. დაახლოებით ორი თვის შემდეგ თავად ბჰუტო მოკლეს და დადიოდა ჭორი, რომ მისი განადგურების მიზნით შეთქმულების ორგანიზება ძლიერი ამერიკული გავლენის ქვეშ მყოფმა პერვეზ მუშარაფმა განახორციელა.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბენ ლადენი მისი გარდაცვალების თაობაზე ყველა წინა განცხადების შემდეგ მკვდრეთით აღადგინეს მხოლოდ აშშ-ის ადმინისტრაციის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და დაზვერვის უმაღლესი ეშელონისთვის ცნობილი მიზნით. საიტ „ვიკილიკსზე“ (რომელიც სავსებით არ იმსახურებს ნდობას) გამოქვეყნებული სახელმწიფო დეპარტამენტის დეპეშების საეჭვოდ შერჩეული გაჟონილი ინფორმაცია იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ **გუანტანამოს პატიმრების დაკითხვების შედეგების მიხედვით, „ალ ქაიდა“ ბენ ლადენის დაჭერის ან მოკვლის შემთხვევაში დასავლეთს „ბირთვულ ჯოჯოხეთს“ მოუწყობს. ასე რომ, ახლა ცსს-სა და პენტაგონის დამსახურებით, კაცობრიობა ვითომდა ტერორისტული აქტების მთელი წყებისთვის უნდა მოემზადოს.**

მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინის მეტეოსადგურები მასობრივი განადგურების იარაღის მოძრავ ლაბორატორიებად გამოაცხადეს, გაეროს კი სულ ახლახან უამბეს, როგორ სვამენ ვიაგრას კადაფის ჯარისკაცები და როგორ აუპატიურებენ ამის შემდეგ ქალებს, რაღაც დონეზე მაინც საღად მოაზროვნე ადამიანს წამოსული რაიმე მტკიცებულების დაჯერება ძალზე უძნელდება. უშიშროების საკითხებში ობამას თანაშემწის მოადგილემ ბრენენმა, რომელსაც ტერორიზმში ეჭვმიტანილთა გატაცებისა და წამების ცსს-ს მიერ რეალიზებული პროგრამისა და გუანტანამოში გულაგის ამერიკული ანალოგის შექმნის საავტორო უფლებები ეკუთვნის, განცხადა, რომ **99,9%-ით ამერიკის სპეცრაზმის რეიდის შედეგად პაკისტანიდან გამოტანილი ცხედარი ბენ ლადენის გვამია. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცნობა აშშ-ის ხელისუფლებიდან მოდის, 0,1%-იანი გაურკვევლობა სერიოზული მიზეზია, რომ ეჭვი შევიტანოთ იმაში, რასაც პროპაგანდისა და ფსიქოლოგიური ოპერაციის ამერიკული მანქანა იუწყება.**

რამდენადაც ობამა და მისი მეგობრები გვაფრთხილებენ, რომ ამერიკასა და დასავლეთს „ალ ქაიდას“ მხრიდან შურისძიების დარტყმები ელის, ამას უშიშროების გასაძლიერებლად ახალი ზომები მოჰყვება, შედეგად კი — ამერიკელთა პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობის უფლების მორიგი შეზღუდვაც. ჯორჯ ორუელი გაოცდებოდა, თუ გაიგებდა, რომ მისი ყველაზე შავ-ბნელი ფანტაზიებიც კი რეალობად იქცა.

პაკისტანი, როგორც ჩანს, დღეიდან აშშ-ის მტერი გახდება ტერორიზმის წინააღმდეგ ომში და ობამას სპეცებისა და პროპაგანდისტების მიერ ათასგვარი შეთქმულების მონაწილედ გამოცხადდება. მთელი მსოფლიოს გამოცდილ ჟურნალისტებს კი (და არა ობამას ბლოგერ-რობოტებს, რომლებიც მსოფლიოს თეთრი სახლის პრესსამსახურისა და ობამას პირადი გებელსის — „ინფორმაციის მამამთავრის“ — კას სუნშტეინისგან წამოსულ ცნობებს აწვდიან) ერთი მთავარი კითხვა აქვთ: **რა საჭირო იყო მოკლული ბენ ლადენის გვამის ასე სასწრაფოდ გაქრობა?**

მათი თქმით, ბენ ლადენი სინამდვილეში, უკვე რვა წელია, მკვდარია, რასაც ახლა ამბობენ, ეს ისეთივე სიცრუეა, როგორიც უამრავი ითქვა 11 სექტემბრის შემდეგ.

**fondsk.ru**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## მოსკოვმა საუკეთესო ქალაქების რეიტინგში წინ წაიწია

**კონსალტიგური კომპანია „Knight Frank“-ის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს 40 საუკეთესო ქალაქის სიაში მოსკოვმა 22-ე ადგილიდან 21-ზე გადაინაცვლა.** ყოველწლიური რეიტინგის შედგენისას ითვალისწინებდნენ პოლიტიკური გავლენის, ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლებს, ცხოვრების დონეს და მათ კულტურულ მნიშვნელობას. კონკურსში მონაწილე ქალაქებიდან პირველი ადგილი ნიუ იორკმა აიღო, მეორე — ლონდონმა, მესამე — პარიზმა, მეოთხე — ტოკიომ, მეხუთე კი — ბრიუსელმა.



# ყველაზე საშინელი და უცნაური მცენარეები

**ადამიანები შეჩვეული ვართ იმ აზრს, რომ მცენარეები ასუფთავებს ჰაერს, ახარებს თვალს და გვასაზრდოებს, მაგრამ არსებობს ისეთი მცენარეებიც, რომლებიც არა მხოლოდ სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, არამედ — მომაკვდინებელიც.**



## HYDNELLUM PECKII (სისხლიანი კბილი)

**ეს თითქოს უვნებელი სოკო უკვე დაღეჭილ საღეჭ რეზინს ჰგავს, მაგრამ მისით წახემსება უკანასკნელი იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის. სოკო კაცობრიობისთვის 1812 წლიდან არის ცნობილი და იმ დროიდანვე აღიარებულია სიცოცხლისთვის შეუთავსებელ საკვებად.** გადმოცემის თანახმად, ოდესღაც ცხოვრობდა მეცნიერი, რომელმაც ამ მცენარის ვერაგობის შესახებ იცოდა და რომელმაც მისი დაგემოვნებით საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, რათა შთამომავლობისთვის უტყუარი ფაქტით აერიდებინა თავიდან სისხლიანი კბილის ვერაგობა. საშინელი ვიზუალურობის გარდა, სოკო ისეთ ანტიბაქტერიულ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც სისხლის შედედებას იწვევს, რაც სიკვდილით სრულდება.

## DOLLS EYE (თოჯინის თვალი)



**ვიზუალურობის გამო, მას ასეთი უცნაური სახელწოდება აქვს. გარდა ამაზრზენი შესახედაობისა, სხვა განსაკუთრებული თვისებებით არ გამოირჩევა.** უფრო სწორად, ამგვარი თვისებები ცნობილი არაა. ექსტრიმის მოყვარულებს მისი დაგემოვნებაც შეუძლიათ, თუმცა ცნობილი არაა, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას.



## SEA ANEMONE MUSHROOM (ზღვის პრინტი)

**გარდა იმისა, რომ ყოვლად უსიამოვნო სანახავია, ისეთი საშინელი სუნი აქვს, რომ სახელად „მყრალი რვაფეხის რქა“ უწოდეს.**

## DEVILS CLAW (ეშმაკის ბრჭყალი)



**„ეშმაკის ბრჭყალი“ უდავოდ ამართლებს ამ სახელწოდებას. ეს** „დემონური“ მცენარე მხოლოდ არიზონაში ხარობდა, სადაც ადგილობრივი ინდიელები მისგან ამზადებდნენ ამაზრზენ კალათებს, რომელთაც მთელ „საპნის ველზე“ ყრიდნენ. შედეგად, მტრები ამჯობინებდნენ, იქაურობისთვის გვერდი აევლოთ.

## CHINESE BLACK BATFLOWERS (ჩინური ღამურა-ყვავილი)



**ეს სახელწოდება მან მართლაც ღამურას მსგავსი შეხედულების გამო მიიღო.**



## BUDDHAS HAND (ბუდას ხელი)



**ეს აზიაში ძალზე ცნობილი ხილია, რომელსაც ციტრუსოვანთა შორის ყველაზე დიდი ნაყოფი აქვს.** ნაყოფის სიგრძე 20-დან 40-სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო დიამეტრი 14-28 სანტიმეტრია. მცენარეს უცნაური სახელწოდება ბუდას მოქნილი ხელის გამო უწოდეს. როგორც ამბობენ, ბუდა ლოცვის დროს მოხერხებულად აბრუნებს ხელებს და ამ მომენტში ის სწორედ ამ მცენარეს წააგავს.

## PORCUPINE TOMATO (პორკუპინური ტომატი)





**პორკუპინური ტომატი — ნახევარმეტრიანი ურჩხული, რომლის ფოთლები შემზარავი სტაფილოსფერი ეკლებითაა დაფარული, მხოლოდ მადაგასკარზე ხარობს.** ამ ურჩხულს ულამაზესი იისფერი ყვავილი გამოაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ვერაგულად დაგებული ხაფანგია, რომლითაც ის თავის მსხვერპლს იზიდავს. გარდა იმისა, რომ შხამიანი ეკლები აქვს, პორკუპინური ტომატის განადგურება თითქმის შეუძლებელია — მასზე არ მოქმედებს შხამქიმიკატები და უპრობლემოდ შეუძლია აიტანოს ისეთი პირობები, როგორიცაა გაუსაძლისი სიცივე ან სრული გვალვა.

## DIONAEA MUSCIPULA (ბუზსაჭერი ბუნე)



**როგორც ვარაუდობენ, მილიონი წლის წინათ ეს „ურჩხული“ დინოზავრებით იკვებებოდა და დედამიწის სრული მმართველი იყო. მაგრამ ევოლუცია ხომ მაქსიმალიზმის მტერია, ამიტომაც ყველა გიგანტი გადაშენდა ან გადარჩენისთვის ბრძოლაში უფრო მოკრძალებულ ზომებამდე შემცირდა. დღესდღეობით ეს მცენარე მწერებით, ლოკოკინებითა და ბაყაყებით იკვებება.** ბუზსაჭერის ფოთლის ღრუში მოთავსებულია პატარა, მგრძნობიარე ღეროები, ფოთლის ღრუში მოხვედრილი მსხვერპლი არხევს ამ ღეროებს, რომლებიც გადასცემს სიგნალს ქსოვილის შეკუმშვისა და ღრუს დავიწროვებისთვის. ხაფანგში გაბმული მსხვერპლი თავისი გამუდმებული ფართხალით თავადვე უწყობს ხელს მომნელებელ სისტემაში მის გადამუშავებას. პროცესი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობს, მაგალითად, ლოკოკინას გადამუშავებისთვის ბუნეს მთელი კვირა სჭირდება.

## CEDAR-APPLE RUST FUNGUS (ნაძვ-ვაშლისებრი ბლაგვი სოკო)



ეს საშინელი სანახაობა წარმოიქმნება სოკოს ერთი სპორისგან, რომელიც ვითარდება და წარმოქმნის 3,5-დან 5 სანტიმეტრამდე ზომის ოვალურ სხეულაკს. შედეგად, ნაძვის ან ვაშლის ნაყოფს საშინელ „მონსტრად“ აქცევს.

## RAFFLESIA (რაფელსია)



**პარაზიტული მცენარე Euphorbiacea-ს ოჯახს მიეკუთვნება და გამოაქვს ყვავილი, რომლის დიამეტრი ერთ მეტრს, ხოლო წონა 11 კილოგრამს აღემატება.** ის ხარობს ინდონეზიისა და ფილიპინების ტენიან ტყეებში. ამ უცნაურ მცენარეს ღერძი და ფესვები თითქმის არ გააჩნია, ის შედგება ყვავილის ხუთი უზარმაზარი ფოთლისგან. გიგანტური პარაზიტი ჯერ კიდევ 1818 წელს აღმოაჩინეს კუნძულ სუმატრაზე, ტომს სტემფორდის ექსპედიციის დროს. მოგზაურები ყვავილის ზომასა და წონას იმდენად არ გაუოცებია, რამდენადაც მის მყრალ სუნს. ამ საშინელი სუნით რაფელსია მხოლოდ ბუზებს იზიდავს.




## ტეხასელ სტუდენტებს შეაიარაღებენ

**ტეხასის შტატის სენატმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების სტუდენტებს თავად სასწავლებლებისა და საერთო საცხოვრებლების ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის ფარულად ტარების უფლება ეძლევათ.** ძალაში შესვლამდე კანონი უნდა დამტკიცდეს შტატის წარმომადგენელთა პალატაში, სადაც ის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბოლოს კანონს გუბერნატორი რიკ პერი მოაწერს ხელს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# იდუმალი გაუჩინარება

**1943 წელს აშშ-ს საზღვაო ძალებმა მოინდომეს, შეექმნათ საზღვაო ხომალდი, რომელიც მოწინააღმდეგეების რადარებისთვის უჩინარი იქნებოდა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „ელდრიჯი“. გეგმას საფუძვლად აინშტაინის გათვლები ედო. გამომცდელებმა ხომალდზე სპეციალური რადარები დააყენეს და გადაწყვიტეს, გემისთვის ტესტირება ჩაეტარებინათ. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა...— გემი გაქრა, ოღონდ არა მხოლოდ რადარებისთვის. გემი საერთოდ გაქრა, უხილავი გახდა. გარკვეული დროის შემდეგ, „ელდრიჯი“ სხვა ადგილას იპოვეს მომაკვდავი და ნახევრად შეშლილი ეკიპაჟით.**



ეს ამბავი მაშინვე არ გახმაურებულა და ამჟამადაც მომხდარზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასტროფიზიკოს მორის ჯესუპის დამსახურებაა. 1955 წელს მან დროსა და სივრცეში მოგზაურობის შესახებ გამოსცა ნაშრომი, რომელსაც ვინმე კარლოს მიგელ ალიენდე გამოეხმაურა. ეს ადამიანი ამტკიცებდა, რომ ხომალდ „ენდრიუ ფიურესეტზე“ მსახურობდა. „ენდრიუ ფიურესეტიც“ ზემოხსენებული ექსპერიმენტის მონაწილე იყო. მისი მტკიცებით, მან თავისი თვალით ნახა, როგორ გაუჩინარდა „ელდრიჯი“ ნისლში, მაგრამ ამის შემდეგ არანაკლებ საინტერესო ამბები მოხდა — „ელდრიჯი“ ისევ გაჩნდა, ხოლო გადარჩენილ ეკიპაჟს უცნაური ანომალიები დაეწყო: ჯერ იყო და 2 მეზღვაური თავისით აალდა და 18 დღე იწვოდა ისე, რომ ვერავინ შეძლო ცეცხლის ჩაქრობა; შემდეგ ერთი მეზღვაური საკუთარი სახლის კედელში გაუჩინარდა, საკუთარი ოჯახის თვალწინ.

ეს ყველაფერი ჯესუპმა მოიძია და ბოლოს საკუთარი აზრი ჩამოაყალიბა ამის შესახებ: **„ექსპერიმენტი ძალიან საინტერესო და ძალიან საშიშია. დიდ ზეგავლენას ახდენს მონაწილე სუბიექტებზე. ექსპერიმენტში მონაწილეობდა მაგნიტური გენერატორები, რომლებიც მუშაობდა რეზონანსულ სიხშირეებზე და ქმნიდა საშინელ ველს ხომალდის გარშემო. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი განზომილებიდან დროებითი ამოვარდნა. თუ პროცესი კონტროლს დაექვემდებარება, მომხდარი შეიძლება შეფასდეს, როგორც სივრცითი გარღვევა“.**



მაგრამ ამ ამბის გამოძიება საჭირო რომ ყოფილიყო, თავის დროზე გამოიძიებდნენ. ჯესუპი ამას ვერ მიხვდა. როგორც ჩანს, საკმარისზე მეტი რამ შეიტყო ამ ექსპერიმენტის შესახებ და დაისაჯა კიდეც...— იგი მოკლეს. სამხედრო საზღვაო ძალები კატეგორიულად უარყოფდნენ ამ ექსპერიმენტის ჩატარებას, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოჩნდნენ მოწმეები, რომლებსაც ნანახი ჰქონდათ ეს გემი. ასევე გამოჩნდა აინშტაინის მიერ შესრულებული გამოთვლების შავი ჩანაწერები, საგაზეთო სტატიები, სადაც აღწერილი იყო, როგორ გადნა ეკიპაჟის ორი გადარჩენილი წევრი ყველას თვალწინ.



ეს ამბავი დღესაც არ არის ბოლომდე გახსნილი და დღესაც უდიდეს ინტერესს იწვევს. ამერიკელი ინჟინერ-ელექტრიკოსი ადამ სკილინგი ყვება: **„1990 წელს ჩემმა ფლორიდელმა მეგობარმა მარგარეტ სენდისმა მე და ჩვენი საერთო მეგობრები დაგვპატიჟა ექიმ კარლ ლაისლერთან, რათა განგვეხილა ექსპერიმენტის ზოგიერთი დეტალი. ლაისლერი ფიზიკოსია, რომელიც 1943 წელს აღნიშნულ პროექტზე მუშაობდა. მისი თქმით, გემზე დაყენებული გენერატორები იმ რაოდენობის ენერგიით იკვებებოდა, რაც საშუალო ზომის ქალაქის განათებას სავსებით ეყოფოდა.**



**ექსპერიმენტის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერ ელექტრომაგნიტურ ველს უნდა შეესრულებინა ეკრანის ფუნქცია რადარის ტალღებისთვის. ლაისლერი ნაპირზე იმყოფებოდა და აკონტროლებდა ექსპერიმენტის მსვლელობას. როცა ყველაფერი ამუშავდა, ხომალდი გაქრა. გარკვეული დროის შემდეგ ის ისევ გაჩნდა, მაგრამ ეკიპაჟის დიდი ნაწილი გარდაცვლილი იყო. ზოგიერთი გვამი გარდაიქმნა იმ ტიპის მეტალად, რომლისგანაც ხომალდი იყო დამზადებული. ამბის მოყოლისას იგრძნობოდა, რომ დაინვალიდებული ლაისლერი ამ დრომდე გრძნობდა სინდისის ქენჯნას გარდაცვლილ მეზღვაურთა გამო. ისიც და ექსპერიმენტის მონაწილე მისი კოლეგებიც ვარაუდობენ, რომ მათ ხომალდი სხვა დროში გაგზავნეს. ამ დროს ხომალდი მოლეკულებად დაიშალა და როცა უკუპროცესი დაიწყო, ადამიანის ორგანული მოლეკულების ნაწილი მეტალის ატომებით შეიცვალა“.**





# ხელშეკრულება სატანასთან

**ბერლინში ნაპოვნია დოკუმენტი, რომლის შესახებაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ჰიტლერის მიერ სატანასთან დადებული ხელშეკრულებაა და ის ორივე მხარის ხელმოწერით დასტურდება. ხელშეკრულებაში წერია, რომ სატანა მას ყველანაირ ძალაუფლებას მისცემს, ოღონდ ბოროტი საქმეებისთვის, ხოლო ჰიტლერს, თავის მხრივ, სანაცვლოდ საკუთარი სული უნდა დაეთმო ზუსტად 13 წლის შემდეგ.**






ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა ემთხვევა ჰიტლერის ხელმოწერას 30-40-იანი წლების დოკუმენტებზე, ხოლო სატანის ხელმოწერა შეესაბამება სხვა მსგავსი დოკუმენტების ხელმოწერებს, ასეთი დოკუმენტაცია კი ისტორიას არც თუ ისე ცოტა მოეპოვება.

მეცნიერებს სჯერათ ამ დოკუმენტის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჰიტლერი თავისი ცხოვრების პირველ ეტაპზე საკმაოდ წარუმატებელი პიროვნება იყო — გამოაგდეს უმაღლესი სასწავლებლიდან, ორჯერ ჩაიჭრა გამოცდაზე ხელოვნების აკადემიაში, ციხეშიც იჯდა. საკითხავია, ასეთმა წარუმატებელმა პიროვნებამ როგორ შეძლო ამხელა ძალაუფლების მოპოვება? ის ხომ სრულიად ხელმოცარული იყო. მაგრამ 1933 წლიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა და იგი გერმანიის მმართველადაც კი მოგვევლინა. ასევე გავიხსენოთ, რომ მან, კაცობრიობისგან სრულიად მოძულებულმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სწორედ ეს ფაქტები გაიხსენა დოქტორმა ლაიბერმა. მისი თქმით, „სწორედ ასეთ ადამიანს ირჩევს ეშმაკი, წარუმატებელს, რომელიც პატივმოყვარეობით იტანჯება და ამქვეყნიურ სიამოვნებებს არის მოწყურებული. შედეგად კი სრული უბედურება მოაქვს“.




# თვითგაყიდვით გამდიდრებული

**ამერიკელი ლეონარდო ფრიში გინესის რეკორდების წიგნის კანდიდატი გახდა, როგორც ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ყიდის.**

უმუშევარმა ფრიშმა უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ტრანსპლანტაციისთვის გაყიდა საკუთარი თირკმელი, ფილტვი, თვალი, ფეხი, ერთი სათესლე ჯირკვალი და 10 კვადრატული სანტიმეტრი კანი. იგი მზად იყო, საკუთარი თავი ნაწილ-ნაწილ გაეყიდა, მაგრამ ექიმებმა ამის გაკეთება აუკრძალეს და გააფრთხილეს, თუ სხეულის კიდევ რაიმე ნაწილს მოიჭრიდა, აუცილებლად დაიღუპებოდა.

თვითგაყიდვის შემდეგ ლეონარდ ფრიში დაინვალიდდა, მაგრამ ის არ ნანობს იმას, რაც გააკეთა, ვინაიდან ამ გზით შეძლო თავისი ოჯახის მატერიალური პრობლემების მოგვარება. იყიდა მშვენიერი სახლი, შვილებს კარგი განათლება მისცა და ბანკშიც შეინახა ფული. ფრიში აცხადებს, რომ ის ბედნიერია, რადგან ბევრ მომაკვდავ ადამიანს დაეხმარა და სიცოცხლე შეუნარჩუნა.



„მიყვარს უფალი მისთვის, რომ იგი არის ჭეშმარიტი და მარადმყოფელი. მიყვარს უფალი მისთვის, რომ იგი არის მარადმოწყალე. ამ დიდი სიყვარულიდან გამომდინარე, მსურს, ჩემი გული და სული მივანდო მაღალ ღმერთს. სულისა და გულის თვისება კი ისეთია, რასაც შეიყვარებს სრული სიყვარულით, იმას დაემონება. დიახაც, მსურს, უმწიკვლოდ ვემსახურო ყოვლისშემძლე ღმერთს და ჩემს საყვარელ ერს“.

1992 წლის 17 მაისი, ეპისკოპოსად კურთხევის დღე.

„მუდამ უნდა ვიმეორებდეთ იოანე ოქროპირის სიტყვებს: „გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის!“. დიახ, ყველაფრისთვის მადლობა უნდა შევწიროთ უფალს — გვიჭირს თუ გვილხინს, განსაცდელი გვაქვს თუ ბედნიერება. ჩვენს ხვედრს უნდა შევურიგდეთ, ის განსაცდელები, რაც ღვთით დაიშვა ჩვენზე, ჩვენი სულისთვისაა საჭირო, ჩვენი საზიდი ჯვარია, ჩვენი ტვირთია, რაც მოთმინებით უნდა ვზიდოთ. თუ მოთმინებას დაინახავს უფალი, რომ მას არ ვყვედრით და არ ვწუწუნებთ, მაშინ იგი ჩვენს გულს ჩასწვდება და მოწყალედ მოგვხედავს.

...არასოდეს იფიქროთ, რომ უფალმა მიგატოვათ, იგი ყოველთვის ჩვენს გვერდითაა, ჩვენი მოთმინების ატანა, ჩვენი ლოცვა, მარხვა, ჩვენი მოწყალების გაცემა უხარია... რაც უფრო მეტს დავითმენთ, მით მეტი წყალობა გვექნება უფლისგან, მით უფრო სათნო იქნება ჩვენი ცხოვრება ღვთისთვის.

...და ყოველთვის გახსოვდეთ — წრფელთა და მართალთა გულით ლოცვას უფალი შეიწირავს“!

**მეუფე იობს დიდი სიყვარულით ვულოცავთ მისი მფარველი წმინდანის, იობ მრავალვნებულის ხსენების დღეს და დაბადების დღეს. ვუსურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას და გაბრწყინებულ საქართველოს!**



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net